ᲨᲔᲜᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲮᲔᲚᲒᲐᲨᲚᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲒᲐᲠᲘ ᲥᲘᲡᲘ

შენი ფინანსური რევოლუცია

ხელგაშლილობის ძალა

გარი ქისი

Your Financial Revolution, The Power of Generosity, Georgia
Copyright © 2022 by Gary Keesee

Originally published in English
Copyright © 2021 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-52-2
Gary Keesee Ministries,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com

This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is
NOT FOR SALE

შენი ფინანსური რევოლუცია, ხელგაშლილობის ძალა, ქართულად
Copyright © 2022 by Gary Keesee

ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
Copyright © 2021 by Gary Keesee
ISBN : 978-1-945930-52-2
გარი ქისის მსახურება,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com

ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუქარია და არ იყიდება.

მიძღვნა

წიგნი ეძღვნება დრენდას, ჩემს მშვენიერ მეუღლეს, აგერ უკვე 40 წელია რაც ერთად ვართ. იგი ყველაზე ხელგაშლილი ადამიანია, რომელიც კი ოდესმე მინახავს. დრენდა ყოველთვის სხვებზე ფიქრობს და იმდენი რამ მასწავლა ადამიანების სიყვარულზე, რომ მისი სამუდამოდ მადლიერი ვარ!

– გარი ქისი

შინაარსი

შესავალი.....7

თავი 1: ხელგაშლილობის ძალა.....15

თავი 2: პასუხი: მადლი.....31

თავი 3: საკმარისი კვალიფიკაცია გაქვთ?.....57

თავი 4: ვისია ეს ფული?.....73

თავი 5: პარტნიორი გჭირდებათ!.....89

თავი 6: მეათედის საიდუმლოება.....103

თავი 7: ქისა გჭირდებათ: ნაწილი პირველი.....121

თავი 8: ქისა გჭირდებათ: ნაწილი მეორე.....151

თავი 9: საწყაოს კანონი.....161

თავი 10: გულუხვი მეფე.....175

თავი 11: აღთქმა ხელგაშლილებისათვის.....191

შესავალი

ერთხელაც ღმერთმა მე და დრენდას ტელევიზიის დაარსებისკენ მოგვიწოდა. უნდა ვაღიარო, რომ ეს აზრი თავში ყველაზე ბოლოს მომივიდოდა. ალბანეთიდან ის-ის იყო დავბრუნდი, სადაც ხუთი გაკვეთილი ჩავატარე ცათა სამეფოზე და ხალხს ვუამბე, როგორ გავთავისუფლდით მე და დრენდა ვალებისგან ღვთის სასუფევლის კანონების გათვალისწინებით.

ჩემი წინა წიგნები თუ წაგიკითხავთ, გემახსოვრებათ, როგორ აავსო ღვთის დიდების ცისფერმა ბურუსმა მისიონერთა საცხოვრებელი ოთახი ბოლო გაკვეთილის საღამოს. სწორედ იქ დამელაპარაკა ღმერთი: *„მოგიწოდებ ერებში, რომ ხალხს ასწავლო ფინანსური კურთხევის აღთქმა. და სადაც არ უნდა წახვიდე, მე გადავიხდი“*.

იმ საღამომ ჩემი ცხოვრება შეცვალა. თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, რას გულისხმობდა უფალი ამ სიტყვებში: *„მოგიწოდებ ერებში“*.

როგორც მივხვდი, ტელევიზია იქნებოდა უფლის ჩანაფიქრის მიღწევის საშუალება. კიდევ ვიმეორებ, რომ ამ საქმეზე არასოდეს მიფიქრია და არც კი მიცდია რაიმეს წამოწყება. ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდი – მოწადინებული ვიყავი ხალხის დასახმარებლად, რომ მათაც ეპოვათ ის, რაც მე და დრენდამ ვიპოვეთ: ცათა სამეფო.

ცხრა წლის მანძილზე დიდ ვალებში ვიხრჩობოდი, ყველანაირი სახის სესხი მქონდა აღებული და გულისგამაწვრილებელ პანიკურ შეტევებს ვებრძოდი. ანტიდეპრესანტები, რომლებზეც ექიმებმა დამსვეს, არ მშველოდა. სიცოცხლე თანდათან ხელიდან მეცლებოდა და თითქოს ჩემი ყოველი ფიქრი სიბნელის შიშმა მოიცვა. ამ შიშმა ისე დამიმონა, რომ სახლიდან გამოსვლისაც კი მეშინოდა. ეს დადებითად არ აისახებოდა ჩემს სავაჭრო ბიზნესზე. სწრაფად მივექანებოდით გაკოტრებისკენ და ამის შეჩერება არ შემეძლო. ახლა სირცხვილი მექცა ცხოვრების გზად და მთელი არსებით შევიგრძნობდი წარუმატებლობას. ყველაზე დიდი მარცხის განცდა ჩემი მშვენიერი ცოლისა და

შვილების დანახვაზე მეუფლებოდა. იმ წლებში არც საკმარისი ფინანსებით უზრუნველვყოფდი მათ და არც სამაგალითო მამა და ქმარი გახლდით.

იმ დროს 1850 წელს აგებულმა სოფლის სახლმა გადაგვარჩინა, სადაც თითქმის ყველაფერი დამტვრეული იყო. ფანჯრები ერთმანეთს სქელი წებოვანი ლენტით უკავშირდებოდა. იატაკის საგები გზაზე, ნაგვის გროვაში ვიპოვეთ. ჩემი ბიჭების ოთახისთვის მატრასები მოხუცებულთა სახლის გადაგდებულ ნივთებში ვნახეთ. ჩვენი მანქანის მდგომარეობა სამარცხვინო იყო. ჩვენი ცხოვრება სავსე გახლდათ ადვოკატების, უამრავი საკრედიტო ბარათებისა და სესხის კომპანიების ზარებით, რომელთა ვალიც გვქონდა.

უიმედობამ დამრია ხელი! დიახ, ღვთის მოყვარული ქრისტიანი ვიყავი. ეკლესიაში დავდიოდი და სულიწმიდითაც მოვინათლე. ბაკალავრის დიპლომი მქონდა ძველ აღთქმაში და ბიბლიის სკოლის ერთწლიანი გამოცდილება, მაგრამ რაღაც არასწორად, საშინლად არასწორად მიდიოდა ჩემს ცხოვრებაში!

ერთ დღეს სასოწარკვეთილმა შევღაღადე ღმერთს და მან მაშინვე მიპასუხა. არ გეგონოთ, რომ იმ ცხრა დაძაბულ წელს არ ვლოცულობდი, მაგრამ ამჯერად *ვიცოდი*, რომ გაგონება აუცილებელი იყო.

ვფიქრობ, იმ დღემდე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ მიერ ამოთხრილ ფინანსურ ორმოდან თავის ამოთრევას საკუთარი ძალებით შევძლებდი. იმ დილით მივხვდი, რომ ყველაფერი დასრულდა. ყველა მეგობარს ვესესხე, ოჯახს ათასობით დოლარი გამოვართვი და კიდევ უფრო მეტი კრედიტის აღების ყოველგვარი გზა მოჭრილი მქონდა.

იმ დილით ლოცვისას სასოწარკვეთილი ვიყავი და გამიკვირდა კიდეც, პასუხი ასე სწრაფად რომ მივიღე. ჩემი სულის სიღრმიდან გავიგონე უფლის ხმა, რომელიც ფილ.4:19-ს წარმოთქვამდა:

> *„ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს, ქრისტე იესოში დიდების მეშვეობით“.*

უფალს ვუთხარი:

– მე ხომ ვიცი ეს მუხლი, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ ჩემს ცხოვრებაში ასე ხდებოდეს.

მან ისევ მომმართა და მითხრა, რომ ჩემი არეული ცხოვრების მიზეზი მხოლოდ ერთი რამ იყო: არასოდეს მიცდია მისი სამეფოს მოქმედების პრინციპები დამენახა. არ ვიცოდი, რას გულისხმობდა, მაგრამ მე და დრენდას გულით გვინდოდა ამის გამოკვლევა.

ერთ-ერთი პირველი მუხლი წერილიდან, რომელიც ღმერთმა გვიჩვენა, იყო ლუკ. 6:20:

> *„თვალი მიაპყრო თავის მოწაფეებს და თქვა: „ნეტარნი ხართ გლახაკნი, რადგან თქვენია ღმერთის სამეფო“.*

ღვთის სამეფო იყო ჩვენი პასუხი? ვერაფრით მოგვესაზრებინა, რას გულისხმობდა უფალი, მაგრამ ის კი ვიცოდით, რომ ძიება იყო საჭირო.

ბევრ რამეს გეტყოდით ცათა სამეფოზე თუნდაც ერთ წუთში, მაგრამ ნება მომეცით, შედეგები გაგაცნოთ.

სულიწმიდამ დაიწყო ბიბლიაში ისეთი საგნების ჩვენება, რომლებიც ადრე არასოდეს გვენახა. ღვთის სამეფოზე მისი სწავლების გამოყენებით ვალებიდან სრულად განთავისუფლება ორწელიწადნახევარში შევძელით. ჩვენს მანქანებში ნაღდი ფული გადავიხადეთ და ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით შევიძინეთ 55 აკრი მიწა, რომელიც სავსე იყო ფოთლოვანი ხეებით და წყალმარჩხებით, სადაც ნადირობა და ბავშვების სუფთა ჰაერზე გაზრდა შემეძლო.

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ სიამოვნებად იქცა დრენდას ყურება, თუ როგორ ადგენდა საოცნებო სახლის პროექტს და შემდეგ აშენებდა, რაც ასევე ვალის გარეშე მოხერხდა.

მას მერე, რაც გადავიტანეთ და ღვთის სამეფოს მუშაობის პრინციპი ჩვენს ცხოვრებაში ვიხილეთ, *ყოველი დღე* ზეიმად იქცა. ფაქტობრივად, ეს დღესასწაული ჯერ არ დასრულებულა. ახლაც ყოველდღიურად ვზეიმობთ ცათა სამეფოს. იყო დრო, როცა დივანის ბალიშების ქვეშ ვიქექებოდით რამდენიმე ხურდა ფულის პოვნის იმედით, რომ ბავშვებისთვის *ჰეფი მილი* გვეყიდა. ახლა კი ვალებისგან სრულიად თავისუფლები ასობით ათას დოლარს გავცემდით სახარების მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. ეს ნამდვილად დღესასწაულის მიზეზი გახლავთ.

მე და დრენდა დიდად მოწადინებული ვართ, რომ ადამიანებს ღვთის საოცარ სამეფოზე ვუამბოთ. სწორედ ამის გამო გავემგზავრეთ, პირველ რიგში, ალბანეთში.

როგორც აღვნიშნე, ღმერთი ალბანეთში დამელაპარაკა ერებთან წასვლაზე. ამან დამაბნია. რას ნიშნავდა ეს? იმ დროისთვის ეკლესიას ვმწყემსავდი, რომელიც მე და დრენდამ ათი წლით ადრე დავაფუძნეთ. ნუთუ ეკლესია უნდა მიმეტოვებინა და მოგზაურობა დამეწყო?

ღვთისგან დაგეგმილი წარდგენების ლაბირინთში გავიცანით ტელევიზიაში მომუშავე ადამიანები და კომპანიები, რომლებიც სატელევიზიო პროდუქციაზე მუშაობდნენ. მე ისინი არ მიძებნია. უბრალოდ, ღმერთმა შეგვახვედრა ჩვენს სავალ გზაზე. ვიმეორებ, არასოდეს მქონია სატელევიზიო საქმით დაკავების სურვილი, მაგრამ გამახსენდა რამდენიმე წლის წინ ნანახი ხილვა. ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთ მსახურებაზე ვლოცულობდი და მოულოდნელად უფალმა მითხრა, რომ ტელე-რადიომაუწყებლობით დავკავდებოდი. ბევრი არ მიფიქრია ამ საკითხზე, რადგან მაშინ ეს საქმე არ მაინტერესებდა, მაგრამ ყურადღება კი მივაქციე და დრენდასაც ვუამბე.

ლაპარაკი რომ არ გამიგრძელდეს, ღმერთმა საოცარი გზებით გახსნა კარი და შესანიშნავ ადამიანებს შეგვახვედრა, რომლებმაც ამ საქმისთვის ხელის მოკიდება გვირჩიეს, და მაინც, ტელევიზიების მუშაობაზე არაფერი ვიცოდით. *როცა ვამბობ არაფერი-მეთქი, მართლაც არაფერს ვგულისხმობ.* მიუხედავად ამისა, ვხვდებოდით, რომ ღვთის ნაჩვენებ გზას უნდა მივყოლოდით.

აპარატურა არ გვქონდა და არც ვიცოდით, რა გვჭირდებოდა მაუწყებლობისთვის, მაგრამ იმ ადამიანებმა იცოდნენ, რომლე-ბიც ღმერთმა შეგვახვედრა. ბოლოს იქამდე მივედით, რომ გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო. სატელევიზიო მაუწყებლო-ბის კომპანიამ კონტრაქტის დადება შემოგვთავაზა. ისინი სამაუწყებლო საქმიანობაზე ფასს გვიკლებდნენ. საეთერო დროისა და მაუწყებლობის დასაწყები ყველა სხვა ხარჯის გათვალისწინებით საჭირო იყო $300 000. ეს სწორედ ის $300 000 იყო, რომელიც იმ დროს არ გვქონდა. თუმცა ლოცვისა და ამ საკითხზე ღმერთთან ჭიდილის შემდეგ საბოლოო თანხმობა განვაცხადე (რა თქმა უნდა, ღმერთთან ჭიდილში ვერასოდეს მოიგებ).

ამრიგად, სამაუწყებლო კომპანია ქალაქში ჩამოვიდა (მათი ოფისი ტექსასში იყო) და პირველი სატელევიზიო პროგრამა გა-ვუშვით. ამისთვის მოწყობილი შესაბამისი გარემო არ გვქონდა,

ამიტომ მთელი პირველი წელი გადაღებები ჩვენს საცხოვრებელ ოთახში, ბუხრის პირას მიმდინარეობდა. რომ გითხრათ, პირველი გადაცემის გაშვებამდე ვნერვიულობდი-მეთქი, მეტად თავშეკავებული ნათქვამი იქნებოდა. არ ვიცოდი, რისი მოლოდინი უნდა გვქონოდა. მართალი გითხრათ, უშუალოდ ჩაწერის გამო როდი ვღელავდი. საჭირო იყო მთლიანი შინაარსის თავმოყრა და პროგრამად გადაქცევა, რასაკვირველია, დრენდას ჩართვის გათვალისწინებით. მომუშავე გუნდმა რამდენიმე დიდებული რჩევა მოგვცა და ბევრი რამ გვასწავლა, მაგრამ თავს მაინც უხერხულად ვგრძნობდი.

გთხოვთ, გამიგოთ, რომ ბუნებით გახსნილი პიროვნება არ ვარ, ამიტომ სატელევიზიო გადაცემის კეთება ჩემთვის კომფორტის ზონიდან გამოსვლას ნიშნავდა. გარდა ამისა, ჩაწერის დღეს პროდიუსერთა გუნდი გონზე არ იყო. გუნდის ხელმძღვანელი შუაღამეს გაიქცა, რადგან მისი პატარა ბიჭი გზის პირას მეზობლის მანქანამ გაიტანა. ეს ყველაფერი დილით შემატყობინეს, გადაღების წინ. გადავწყვიტე დრენდასთვის არაფერი მეთქვა, სანამ მუშაობას არ დავასრულებდით. ოჰ, ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა!

ჩაწერა დასრულდა თუ არა, ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩემი ვაჟის, ტიმის გრუნტზე სავალ მოტიკლს დააქროლებდა, დაშავდა. ტიმმა სახლში ღრიალით შემოირბინა, დევიდი მოკვდაო. ის მკვდარი არ იყო, უბრალოდ, გონება დაკარგა, მაგრამ როგორი დასაწყისია?

ჩაწერის კვირა გადავაგორეთ და ახლა ჩვენი შოუ ადგილობრივი ტელესადგურით უნდა გადაცემულიყო. ისევ გავაგრძელეთ ერთი კვირის მანძილზე გადაღებები, მაგრამ მეორე თვის დასასრულს ვითარება არ შემსუბუქებულა. ვიტანჯებოდი საკუთარი არაადეკვატურობისა და ამავდროულად, პანიკის შეგრძნებით. ბოლოს პროდიუსერული კომპანიის მფლობელს ვუთხარი, რომ ასე გაგრძელება აღარ შემეძლო. იგი ერთი წუთით მომაშტერდა და მითხრა: „არა! შენ გადაცემები უნდა აკეთო!“

შემდეგ დაჯდომა მთხოვა რაღაცის საჩვენებლად. მან ტელევიზორი ჩართო და ქრისტიანული არხების ბლოკზე გადართო. გულწრფელად რომ გითხრათ, ქრისტიანული არხებისთვის არასოდეს მიყურებია, მაგრამ იმ დღეს ნანახმა ცუდად გამხადა და კიდევ ერთხელ დავფიქრდი, საერთოდ ღირდა თუ არა ქრისტიანული მაუწყებლობის წამოწყება.

ერთ გადაცემაში ხალხი „წმინდა ზეთისხილის ზეთს“ ჰყიდდა და ამტკიცებდა, რომ ამას წარმატების დიდი ცხებულება მოჰქონდა. სხვა გადაცემაში მქადაგებელი „ცხებულ ვაფლებს“ ასაღებდა და აცხადებდა, რომ ყოველ ახალ ლუკმას ახალი გამოცხადება მოჰქონდა. კიდევ ერთი შოუდან გავიგე, რომ მომდევნო სამ წუთში შესაწირის გაღება წარმატების სამმაგ ცხებულებას მოგიტანდათ. სხვა პროგრამა ლიოფილიზირებულ (გაყინულ და ვაკუუმში გამომშრალ) საკვებს გვთავაზობდა. რომელი გადაცემისთვისაც არ უნდა გეყურებინათ, ადამიანებს უცნაური მეთოდებით უბიძგებდნენ ფულის გაღებისკენ.

შევნიშნე, რომ სრულიად უგულებელყოფილი იყო ერთი მხარე: ადამიანებს არავინ სთავაზობდა ყველაზე მეტად საჭირო საკითხში გაცნობიერებას, თუ როგორ მოქმედებდა ცათა სამეფო რეალობაში. ისინი მათ ეუბნებოდნენ, რომ საჭიროა თესლის თესვა, მაგრამ ვიღაცას მათთვის უნდა ეთქვა, როგორ *მოემკა* ის თესლი!

ამ ასაწყობ თავსატეხს ბევრი ფრაგმენტი ჰქონდა და ადამიანებს ყველა მათგანი უნდა შეესწავლათ, წარმატების მიღწევა თუ სურდათ. მხოლოდ თესვის სწავლება და მკის წესების არცოდნა ღვთის მიმართ იმედგაცრუებას მოიტანს. როცა მათი მოლოდინი არ გამართლდება, იფიქრებენ, რომ ღმერთმა უმტყუნათ.

ადამიანებმა ცათა სამეფოს კანონები უნდა იცოდნენ. მათ უნდა ესმოდეთ, რატომ არის გაღება ღვთიური სამეფოს სიუხვეში სიარულის არსებითი ნაწილი აქ, დედამიწაზე. და კიდევ ერთხელ, უფრო მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა გააკეთონ გაღების *შემდეგ*. მათ უნდა გაიგონ, როგორ მოიმკან ის, რაც ღვთისგან სჭირდებათ.

აღმოვაჩინე, რომ ჩემი მოსავლის მიღებაში გარკვეული როლი მაკისრია. უპირველესად ეს მდგომარეობდა რწმენის რაობის სწავლასა და იმის გაცნობიერებაში, რატომ იყო ის აუცილებელი. უნდა მესწავლა, როგორ მიმიძღოდა სულიწმიდა ჩემი მკისკენ და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მკის დრო და სხვა დეტალები. მივხვდი, რომ არსებობს სულიერი კანონები, რომელთა შესწავლა და გამოყენება აუცილებელია, ისევე როგორც ფიზიკურ სამყაროს მართავს კანონები, რომლებიც მკაზე ზეგავლენას ახდენენ.

ყველა ზემოხსენებული პროგრამა შთაბეჭდილებას გიქმნიდათ, თითქოს ფული უცებ გაჩნდებოდა თქვენს საფოსტო ყუთში.

რასაკვირველია, ზოგჯერ შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, სულიერ მინიშნებებს იპოვით, თუ რატომ და როგორ მოვიდა ფული თქვენამდე.

რამდენიმე გადაცემის ყურების შემდეგ ნანახმა გამაოცა. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ქვეყნიერება ამით არ ინტერესდებოდა. თანაც გავბრაზდი. იმ მომენტში გავაცნობიერე, რომ საჭირო ვიყავი მათთვის რაღაც უნდა მეთქვა.

გადავწყვიტე ტელემაუწყებლობა გამეგრძელებინა, რადგან სათქმელი მქონდა. ამრიგად, გავაგრძელე ტელევიზიაში შრომა და აგერ უკვე 14 წელია, ათობით ათასი ადამიანი პოულობს ცათა სამეფოს – არა რელიგიას, არამედ სამეფოს – და მათაც იგივე შედეგები აქვთ, რაც მე და დრენდას გვქონდა.

ვიცი, რომ თქვენც იგივე შედეგებს მიიღებთ.

წიგნი *„თქვენი ფინანსური რევოლუცია: ხელგაშლილობის ძალა“*, ფინანსური რევოლუციის სერიის მეხუთე და ბოლო წიგნია. მოხარული ვარ, რომ არსებობს სრული სერია. ასევე მიხარია, რომ ბოლო წიგნამდე მივედით.

– გარი ქისი

თავი 1
ხელგაშლილობის ძალა

ერთ საღამოს ჩვენი ოჯახი საყვარელ ადგილობრივ რესტორანში სადილობდა. მიმტანი ახალგაზრდა ქალბატონი გახლდათ, რომელსაც შესამჩნევად ეტყობოდა ორსულობა. როცა ანგარიშის გადახდა დავაპირე, მოულოდნელად ვიგრძენი, რომ მისთვის 22-25 %-ის ნაცვლად, როგორც ჩვეულებრივ მომსახურებისთვის ვაძლევდი, კიდევ 100 დოლარი უნდა დამემატებინა. მან ხელმოწერილი ვიზა ბარათის ფურცელი ისე აიღო, რომ ზედ არ დაუხედავს და სამზარეულოსკენ გაემართა.

ის მალევე დაბრუნდა უკან და სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ქალი მადლობის გადასახდელად მოვიდა. მან გვიამბო, რომ ახლა ფინანსურ შეჭირვებას განიცდიდა და აინტერესებდა, როგორ შეეძლო ამისგან თავის დაღწევა. წასვლამდე ქრისტეს შესახებ გაზიარებისა და მისთვის ლოცვის საშუალება მოგვეცა.

ხელგაშლილობის გარდა არაფერი გაგვიკეთებია მისი გულის კარის გასაღებად და მოსამსახურებლად.

> *„თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, მოთმინებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას **მონანიებისკენ** მიჰყავხარ?*
>
> *– რომ.2:4*

მეფე იაკობის თარგმანში რომ.2:4 მუხლი ამბობს, რომ ღვთიური სიკეთე მონანიებისთვის განგვაწყობს.

ხელგაშლილობა ღვთის მსგავსად მოქმედებაა.

მათ. 5:45 ამბობს:

> *„რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლოებსაც“.*

ღმერთი კარგი და ხელგაშლილია! მისი შვილები ვართ და ჩვენი ახალი ბუნება ქრისტეში გულუხვობასაც მოიცავს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ღმერთი კარგი და ხელგაშლილია! უხვად გაღებისას ღვთის გულს ადამიანებს ვუზიარებთ. ეს გვალვიან დღეს ცივი წყლით დარწყულებას ჰგავს და ხელგაშლილობას სიღარიბის უდაბნოში მყოფი ქვეყნიერებისთვის იმედიანი შვება მოაქვს.

უსასყიდლოდ გაღების ზეგავლენა ნათლად ჩანს პავლეს მითითებაში 2 კორინთელთა 9:10-15-დან, რომელიც კორინთოს ეკლესიისთვის დაიწერა:

> *„ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს. ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს;*
>
> *რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენ მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. <u>თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის“.</u>*

თქვენი გულუხვობა ადამიანებს ღვთის მიმართ ქებისა და მადლიერების გამოსახატავად აღძრავს!!! ყურადღება მიაქციეთ პავლეს ნათქვამს, რომ ხელგაშლილობა თქვენი *მსახურებაა* ღვთის მიმართ.

სიტყვა *მსახურების* განმარტება ასეთია: *სამუშაოს ან მოვა–ლეობების შესრულება ზემდგომისთვის ან როგორც მომსახურე პირის მიერ.*[1]

აქ, ქვეყნიერებაზე თქვენი მოვალეობაა ღვთის სახელით, რომ მისი გული და მზრუნველობა ხალხს დაანახოთ. შედეგი ნათელია – ეს ადამიანთა გულებს ეხება და ქრისტეს მისაღებად ხსნის.

ვფიქრობ, ყველას გაგვახსენდება ვინმე, ვინც ერთხელ მაინც მოსულა ჩვენს დასახმარებლად და რამდენს ნიშნავდა ეს ჩვენთვის.

მახსოვს, როცა დავქორწინდი, 4 000 დოლარი მქონდა გადასა-ხადების ვალი და არ ვიცოდი, საიდან მეშოვა ეს თანხა. ბევრი ღამე თეთრად გამითენებია ამ სიტუაციით შეძრწუნებულს. იმ დროს ტალსაში ვცხოვრობდით და დასვენების დღეებში ოჰაიოს მონახულებას ვგეგმავდით.

როცა მამამ მკითხა, როგორ მიდიოდა ჩვენი საქმეები, ვუთხარი, რომ საშემოსავლო სამსახურის გადასახადი ვალად მედო. მან თქვა: „ეს ადვილი მოსაგვარებელია“, ჩეკების წიგნაკი ამოიღო და მთელი ვალის თანხა გამოწერა. მისმა მეყსეულმა სულგრძელობამ მამაჩემი ადრინდელზე მეტად შემაყვარა. იმ მომენტში დავინახე მისი გულის განწყობა ჩემ მიმართ.

მამაზე გულგახსნილი ადამიანი არ ითქმოდა. მას საჯაროდ არასოდეს უჩვენებია თავისი გრძნობები დედის მიმართაც კი. არ მახსოვს, რომ იმ შემთხვევამდე მამას ჩემდამი სიყვარული ოდესმე სიტყვით გამოეხატა. მხოლოდ ერთხელ, დედაჩემის დაჟინებით და დიდი დავიდარაბის შემდეგ მოახერხა ამის თქმა. ის დღე გუშინდელივით მახსოვს. დედა ევედრებოდა: „ნუთუ არ შეგიძლია საკუთარ შვილს უთხრა, რომ გიყვარს?“ მამა ხმას არ იღებდა.

ბოლოს, როცა დედა ცრემლებად დაიღვარა, მან მითხრა, რომ ვუყვარვარ. ის ერთი შემთხვევა სერიოზულად არც მიმიღია, რადგან ჩემ მიმართ სიყვარულის გამოხატვა ძალდატანებით მოხდა.

სიტყვიერად გამოხატვის ნაცვლად იყო შემთხვევები, როცა მამა რაღაც განსაკუთრებულს გვყიდულობდა და ოთხივე შვილმა ვიცოდით, რომ მას ვუყვარდით. მამის გულის ამოცნობა მხო-ლოდ მისი საქმეებით შემეძლო და არასოდეს სიტყვით. ამგვარ

[1] The American Heritage® Dictionary of the English Language, Fifth Edition.

მომენტებს გულით ვინახავ, რადგან ისინი ჩემთვის ბნელ ღამეში გამომკრთალ სინათლეს ჰგავს.

იმ დღეს, როცა საშემოსავლოსთვის გადასახდელი თანხის ჩეკი გამომიწერა, გული მადლიერებით ამევსო. ცრემლმორეული გადავეხვიე მამას და მადლობა ვუთხარი. მისი პასუხი ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მან მითხრა: „თუკი მაქვს, მინდა, რომ დაგეხმარო“.

დარწმუნებული ვარ, თქვენც გახსენდებათ ადამიანების გულისხმიერება, მომენტები, რომლებმაც თქვენი ყურადღება მიიქცია. მაშ ასე, გონებაში ჩაიბეჭდეთ:

ხელგაშლილობა ადამიანებს თქვენი და ღვთის გულის დამოკიდებულებას აჩვენებს.

ამ თვისებას დიდი ძალა აქვს. ის სიტყვებს აღემატება და პირდაპირ გულს ხვდება. საოცარია, როგორ გვახსოვს ადამიანებისგან შექება ან საჩუქრები.

მეექვსე კლასში ვიყავი ერთ-ერთი იმ შემთხვევისას, როცა მამის გული დავინახე. იმ დროს მე და ჩემი ბიძაშვილი რაკეტების მოდელებით ვიყავით გატაცებული და ერთი ისეთი კონსტრუქცია შევიძინე, რომელსაც ცხვირი ცარიელი ჰქონდა. მასში საგნების ჩალაგება და ცაში გაშვება შეიძლებოდა.

იმ კონკრეტულ დღეს მე და ჩემმა ბიძაშვილმა გადავწყვიტეთ, რაკეტის სათავსოში ბაყაყი ჩაგვესვა. შემდეგ ცხვირს წებოვანი ლენტით დავამაგრებდით და რაკეტა პარაშუტის გახსნის ნაცვლად ძირს ჩამოვარდებოდა. გვაინტერესებდა, რა მოუვიდოდა ბაყაყს და ვფიქრობ, ამის წარმოდგენა არ გაგიჭირდებათ.

მაშ ასე, რაკეტა გავუშვით და ჩვენდა სამწუხაროდ, მამა გარეთ გამოვიდა საყურებლად. ვიცოდით, რომ ბაყაყის მკვლელობის ამბავი არ გაახარებდა.

რაკეტა ისე გაფრინდა, როგორც წესი და რიგია. შემდეგ ცაში კამარა შეკრა და მიწაში ჩაესო. როცა მის ასაღებად მივედი, დავინახე, რომ ცხვირი და მასთან ერთად ბაყაყიც სულ დაჭყლეტილიყო, როგორც ველოდი.

რაკეტა ავიღე თუ არა, მკვდარი ბაყაყი მაშინვე გვერდზე მოვისროლე, რომ მამისთვის დამემალა ჩვენი ნამდვილი განზრახვა. მამა ჩემკენ გამოეშურა და რაკეტის ჩვენება მთხოვა. ახლაც მახსოვს მისი ინტერესის სიწრფელე. როცა კარგად

დაათვალიერა, ამიხსნა, როგორ შევძლებდი შეკეთებას და მისი დამსხვრევის გამო მწუხარება გამოხატა. შემდეგ დეტალურად განმიმარტა, როგორ უნდა დამეკავშირებინა დამსხვრეული ნაწილები. მის ხმაში მზრუნველობა და სიკეთე გამოსჭვიოდა, რამაც უფრო მძაფრად მაგრძნობინა ჩემი შეცდომა. მამას არასოდეს გაუგია ბაყაყის ამბავი, მაგრამ მეც არასოდეს დამვიწყებია მისი სათნოებით სავსე ზრუნვა ჩემზე და ჩემს რაკეტაზე. ამ დროს მივხვდი, რომ მას ნამდვილად აღელვებდა ჩემი მდგომარეობა.

ამრიგად, გარკვეულ მომენტებში ღმერთი ადამიანებს იყენებს ჩვენს გასამხნევებლად და ჩვენამდე მოსაღწევად, თუმცა ამას ხშირად ვერ ვაცნობიერებთ.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ის დღე, როცა მე და დრენდა მეგობრებთან ერთად ხოხბებზე სანადიროდ წავედით. მაშინ ახალდაქორწინებულები ვიყავით და ტალსაში ვცხოვრობდით. ერთი მეგობარი, რომელთანაც ოთახს ვინაწილებდი, კანზასში ცხოვრობდა და ხოხბებზე ნადირობის სეზონის ყოველწლიური გახსნის დღეზე დაგვპატიჟა. მეტი რომ არაფერი ვთქვა, სიხარულისგან აღტაცებული ვიყავი.

კანზასამდე ხუთი საათი მანქანით ვიარეთ, მშვენივრად ვინადირეთ და ფრინველების დახოცვის დაშვებული ლიმიტი ამოვწურეთ. ტალსასკენ უკანმომავალ გზაზე ჩემი მეგობრის ავტომობილის ძრავი აფეთქდა. უდაბურ ადგილას ვიყავით მტვრიანი ტრასის პირას და სახლამდე კიდევ საათების გზა გვქონდა დარჩენილი. კანზასში ოდესმე თუ ყოფილხართ, გეცოდინებათ, რა უნაყოფო ადგილია.

უკვე ღამდებოდა და ერთადერთი სინათლე მოვლანდეთ სადღაც შორს. ფერმერის სახლამდე ავტოსტოპით მივედით და ჩვენი მდგომარეობა ავუხსენით. განცვიფრებამ მომიცვა, როცა მან საპასუხოდ გვითხრა: „მაშ ასე, ამ საღამოს სახლში წაგიყვანთ. თქვენს მანქანას ტრაილერზე დავდებ და სახლამდე დროულად მიხვალთ, რომ ორშაბათს სამუშაოზე არ დაგაგვიანდეთ“(დილით დრენდას ახალი სამსახური უნდა დაეწყო რესტორანში ნახევარ განაკვეთზე. ძალზე მოწყენილი იყო. შესაძლოა, დარეკვა და იმის თქმა დასჭირვებოდა, რომ ვერ მივიდოდა).

საოცარია, რომ ადამიანმა, რომელიც ადრე არასოდეს გვენახა, ხუთი საათი გვატარა ტალსამდე, შემდეგ უკან დაბრუნდა, რომ

კანზასში დილამდე ჩასულიყო. ამისთვის მთელი ღამე უნდა ევლო!

არასოდეს დამავიწყდება ეს უანგარო სიკეთე. საწვავისთვისაც კი არ დაგვიხარჯავს ფული. ყოველთვის იმ ადამიანის მადლიერი ვიქნები. როცა გამახსენდება, მადლიერება მიპყრობს მისი ამ ნიჭის გამო.

როცა ადამიანები თქვენზე იფიქრებენ, მადლობა უნდა უძღვნან ღმერთს თქვენი სულგრძელობის გამო.

დარწმუნებული ვარ, თქვენს ცხოვრებაშიც ყოფილა მსგავსი ვითარებები. მადლიერებით გაგონდებათ ადამიანებისგან მიღებული მზრუნველობა. სწორედ ამის სწავლება სურდა პავლეს კორინთელთა ეკლესიისთვის – მათი ხელგაშლილობა ხალხს ღვთის გულის დანახვის საშუალებას მისცემდა და მის მიმართ ქებისა და მადლიერების გრძნობას აღძრავდა გაწეული მსახურების გამო.

როცა ქრისტესთან მოვედი, მივხვდი, რომ ჩემი გული მოლბა. დავინახე, რომ წრფელად დავიწყე ადამიანებზე ზრუნვა. ყოველთვის მინდოდა დახმარება, როცა ვინმეს საჭიროებას ვხედავდი. თუმცა მეტწილად იმედგაცრუებული ვრჩებოდი, რადგან ზედმეტი ფული არასოდეს მქონდა.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲓᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

მივხვდი, რომ ადამიანთა უმრავლესობას სწორედ ეს აწუხებდა. უბრალოდ, დაელაპარაკეთ მათ და გზის ჩვენება სთხოვეთ. ნახავთ, რომ ათობით დახმარების მსურველი გამოჩნდება.

ბიბლიაში აღმოვაჩინე, რომ ხელგაშლილობას იმაზე დიდი ძალა ჰქონია, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა. 2 კორინთელთა მე-9 თავის კითხვისას ცათა სამეფოს კანონი გამიცხადდა, რომელმაც ყველაფერი შეცვალა ჩემს წარმოდგენაში ხელგაშლილობის შესახებ:

> *„ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს;*
>
> *რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენ მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და*

აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ.

თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის".

– 2კორინთელთა 9:12-15

ადამიანები მადლობას უძღვნიან ღმერთს აღმატებული მადლის გამო, რომელიც ასე უხვად ვლინდება მათ მიმართ!

სწორად რომ ჩავწვდეთ, რისი თქმა სურს აქ პავლეს, ტერმინები უნდა განვსაზღვროთ.

აღმატებული ნიშნავს: დიდ ოდენობას ან უკეთეს ხარისხს; მოჭარბებულს, მომეტებულს ან ზებუნებრივს: *გადაჭარბებული დიდებულების სტრუქტურას.* [2]

რა შეიძლება მოგეცეთ მოჭარბებით? რა შეიძლება იყოს ზებუნებრივი და გარდამეტებული სიდიადის მქონე თქვენს ცხოვრებაში? ღვთის მადლი!!!

კეთილი! ახლა მადლის განსაზღვრება გვჭირდება.

მადლი ნიშნავს ღვთის დაუმსახურებელ კეთილგანწყობას.

ეს გახლავთ მადლის სტანდარტული განმარტება, მაგრამ მეტისმეტად არასრულია მის ნამდვილ მნიშვნელობასთან შედარებით. ნება მომეცით, უკეთესი განმარტება შემოგთავაზოთ.

ქვემომოყვანილი ციტატა ღვთიური მადლის შესახებ ვიკიპედიიდან გახლავთ ამოღებული:

ზოგადი ქრისტიანული მოძღვრება მადლის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ მადლი (კეთილგანწყობა) ღვთის დაუმსახურებელი საჩუქარია კაცობრიობის მიმართ, რომელიც მისი ძის წარმოგზავნით, ჯვარცმით და შედეგად, საუკუნო ხსნის მოტანით უბოძა. თუმცა ეს განსაზღვრება სრულად არ მოიცავს ამ ტერმინის ყველა ბიბლიურ გამოყენებას. მაგალითად, ლუკ. 2:40 (მეფე იაკობის ვერსია): „ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა, სიბრძნით ივსებოდა და ღმერთის მადლი

[2] Dictionary.com

იყო მასზე“. ამ მონაკვეთში მადლის მნიშვნელობად ვერ მივიჩნევთ დაუმსახურებელ კეთილგანწყობას, რადგან უცოდველ ქრისტეს ეს არ სჭირდებოდა.

ჯეიმს რაილის თანახმად: „მადლი არის ღვთის გამაძლიერებელი თანდასწრება, რომ ჩამოყალიბდეთ ღვთისგან ჩაფიქრებულ პიროვნებად და აკეთოთ ის, რის საკეთებლადაც მოგიწოდათ“. ალტერნატიულ ვარიანტად შემოგთავაზებთ ბილ გოტარდის განმარტებას: „მადლი იძლევა სურვილსა და ძალას ღვთისგან, რომ შევასრულოთ მისი ნება“. ორივე განსაზღვრება ბიბლიური მადლის მნიშვნელობის კარგ აღწერას გვაწვდის. [3]

ამრიგად, ვხედავთ, რომ პავლე ზემომოყვანილ მონაკვეთში ლაპარაკობს მადლზე, როგორც წარმატების მიღწევისთვის საჭირო ძალაზე. ეს მადლის ნიჭი სიხარულით იყო მიღებული, რადგან ადამიანებს განვითარების ძალას აძლევდა. და როცა ისინი ხელგაშლილობას იჩენდნენ ხალხის საჭიროებების დაკმაყოფილებით, ეს უკანასკნელნი თაყვანს სცემდნენ ღმერთს.

პავლე თავის მსჯელობას ასე ასრულებს: „**მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის**“.

მაშ ასე, კიდევ ერთი განსაზღვრება. სიტყვა *ენითაღუწერელი* ცხადად გვეუბნება, რომ ლექსიკონში არ მოიძებნება მისი შესაფერისად აღსაწერი სიტყვები.[4] აი, ასე კარგად თქვა პავლემ მადლის ნიჭზე — *ენითაღუწერელი* — განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ფინანსური უზრუნველყოფით მოემსახურნენ.

აქ არის ძალა, რომელიც ფინანსური ბორკილებისგან გაგათავისუფლებთ. ღვთის მადლის ძალა ყველა მორწმუნისთვის არსებობს.

თუმცა აქ ერთი საკითხია გასარკვევი. ბევრი დრო შეიძლება დავხარჯოთ პავლეს ნათქვამის – *გაცემის* – განხილვაზე, მაგრამ თუ არ გავითავისებთ მადლს, როგორც წარმატებისთვის ღვთის ძალით გაძლიერებას, ავცდებით მკას, რომელიც ღმერთს ჩვენთვის ჰქონდა განსაზღვრული. მაშინ ჩვენი მოქმედება დაემსგავსება თესვას დიდი ხეების ჩრდილქვეშ, სადაც არც მზის სხივი აღწევს და არც ძალა სასურველი შედეგის მისაღებად.

მე და დრენდა ბიბლიურ ისტორიებს ვკითხულობდით, სადაც

[3] https://en.wikipedia.org/wiki/Divine_grace

[4] American Heritage Dictionary of the English Language, Fifth Edition

ღვთის ძალა ჩნდებოდა და სრულიად ცვლიდა მდგომარეობას ადამიანთა სასიკეთოდ. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ეკლესიაში იშვიათად თუ მომისმენია ამგვარი ამბები, როცა ვიზრდებოდით. არავინ ლაპარაკობდა, როგორ უნდა ჩაგვერთო ვითარებებში ღვთიური ძალა, გარდა სულის გადარჩენის საკითხისა.

ახლა ვაცნობიერებ, რომ ჩვენი გადარჩენა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა ახლახან აღვნიშნე, რომ იგივე მადლი მჭირდება ჩემი ცხოვრების *ყოველ* სფეროში ფუნქციონირებისთვის. მაშინ არ ვიცოდი, ეს როგორ ამემოქმედებინა. ჩემი უმეცრების გამო გულგატეხილი, ავადმყოფი და დეპრესიული ვიყავი. გადარჩენის შესახებ ვიცოდით — უკვე გვქონდა საუკუნო ხსნა — მაგრამ არ ვიცოდით ან ვერ ვხვდებოდით, როგორ ჩამოგვეტანა ზეცა ჩვენს ცხოვრებაში და ღვთის ძალა წარმოგვეჩინა. როგორც უკვე გითხარით, ფინანსურად განადგურებული გახლდით!

სწორედ ეს მითხრა უფალმა იმ დღეს, როცა ცათა სამეფოს შესახებ დამელაპარაკა: „*ამ არეულობაში იმიტომ აღმოჩნდი, რომ არ იცი, როგორ მოქმედებს ჩემი სამეფო*!“

სხვა სიტყვებით, ის ამბობდა, რომ არ ვიცოდი, როგორ გამომეთავისუფლებინა მეფის ძალაუფლება აქ, დედამიწაზე. არასოდეს მიცდია ამის გაგება ან საერთოდ შემეძლო თუ არა. წარმოდგენა არ მქონდა, როგორ გამომეყენებინა მადლი, ღვთიური ძალა.

სხვათა შორის, ღმერთმა თავის სამეფოზე საუბრისას კიდევ მითხრა რაღაც. მან ასე განაგრძო: „*ჩემი ეკლესია ისე ცხოვრობს, როგორც ისრაელის შვილები მონობაში. ისინი ფარაონისთვის აგურებს აკეთებენ. ისინი მონები არიან! ჩემს ერს ვალები აქვს და მისი განთავისუფლება მინდა*!“

ნება მომეცით, აღვნიშნო: ვერასოდეს გათავისუფლდებით, თუ არ გექნებათ ფინანსური თავისუფლება. და როგორც მე და დრენდა ვიმეორებთ ბოლო 30 წლის მანძილზე, ვერასოდეს მიხვდებით, ვინ ხართ სინამდვილეში და თქვენი ცხოვრების სულიერ დანიშნულებას ვერ შეასრულებთ, სანამ ფულის საკითხს არ გადაწყვეტთ.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ: **გათავისუფლება შეგიძლიათ!**

მე და კიდევ ათასობით სხვამ ეს დავამტკიცეთ. ღვთის მადლი აქ არის თქვენს დასახმარებლად. ბევრი რამისთვის ხართ მოწო-

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲚᲢᲕᲘᲐᲜ. ᲛᲐᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲮᲘᲚᲕᲐ ᲡᲣᲠᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ.

დებული, რასაც ვერასოდეს მიაღწევთ მონის მდგომარეობაში. ამისთვის ფინანსურად უნდა გათავისუფლდეთ ოჯახთან ერთად და თან ადამიანებმა უნდა დაინახონ ღვთის სამეფოს მოქმედება თქვენს ცხოვრებაში. ეს ისე მიიზიდავს მათ ცათა სამეფოსკენ, როგორც მწიფე ხილით დახუნძლული ხე.

ადამიანები პასუხებს ეძებენ. ისინი რეალური საქმისკენ ილტვიან. მათ ნამდვილი სამეფოს ხილვა სურთ და არა რელიგიის.

ნება მომეცით, იმ დიალოგზე გიამბოთ, რომელიც მეორე დღეს ექთანთან, უფრო სწორად, ორ ექთანთან მქონდა.

დედაჩემი 88 წლისაა და თავს საკმაოდ კარგად გრძნობს, თუმცა მას დახმარება სჭირდება, რაც ადვილი წარმოსადგენია. ამრიგად, იმ კონკრეტულ დღეს რამდენიმე ექიმთან უნდა წამეყვანა.

როცა პირველ შეხვედრაზე ექთანს ველაპარაკებოდი, ის ჩემი საქმიანობით დაინტერესდა. მას ჩვენი ეკლესიისა და ფინანსური კომპანიის შესახებ ვუამბე. ასევე ვუთხარი, რომ ადამიანებს ვალებიდან ამოსვლაში ვეხმარებოდით. ერთი სიტყვით, მისი ყურადღება მივიქციე. ექთანმა მითხრა, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მეტისმეტად ბევრი ვალი აქვს და არ იცის, როგორ დააღწიოს თავი.

როცა მეორე ექიმთან შეხვედრაზე მივედით, თითქმის იგივე საუბარი მქონდა მეორე ექთანთანაც. მას თვალებზე ცრემლები მოადგა, როცა თავის ფინანსურ გასაჭირზე მიყვებოდა.

მეგობრებო, ისინი გამორჩეულები არ არიან. სწორედ ასე ცხოვრობს მთელი ამერიკა დღეს.

ჩემი გულის წადილი და სწრაფვა ყოველთვის არის ადამიანების დახმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ცხოვრების უკეთესი გზა არსებობს — ცათა სამეფოს გზა.

როცა მე და დრენდამ ღვთის სამეფოს შესწავლა და ამ საკითხზე ღვთიური მითითებების გამოყენება დავიწყეთ, ჩვენი ცხოვრება შთამბეჭდავად შეიცვალა. ჩვენთანაც გამოჩნდა იმ მადლის მოქმედება, რომელზეც პავლე ლაპარაკობდა.

ერთ საღამოს სიზმარი ვნახე საკუთარი ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებით, რითაც ადამიანებს ვალებიდან ამოს-

ვლაში დავეხმარებოდი. სიგიჟეა, არა? ეს იდეა პლაკატზე გამოსახულ ბავშვს ჰგავდა, რომელსაც ფინანსების არაფერი გაეგება, მაგრამ კომპანიის მართვა დაევალა ხალხის ვალებიდან ამოსაყვანად. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ამის გაკეთება, არა?

ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ. „ეს როგორ მოხდა? რა იცოდი, როგორ ამოსულიყავი ვალებიდან, რომ შემდეგ სხვებისთვისაც გაგეწია დახმარება იგივე საკითხში?“ ეს მართლაც დიდებული კითხვაა!

მოკლედ რომ ვთქვა, სულიწმიდამ მაჩვენა, როგორ უნდა მემოქმედა.

რასაკვირველია, ფიზიკურ სამყაროში ნასწავლი საკითხებიც გამომადგა და შემდეგ დამჭირდა ისეთი ადამიანების მოძიება, რომლებიც მასწავლიდნენ კომპანიის მართვის წესებს. ამ ყველაფერს სულიწმიდა ხელმძღვანელობდა და მის უნიკალურ სტრატეგიებსა და მეთოდებს ვიყენებდი ხალხის დასახმარებლად. კომპანია თანდათან მოძლიერდა და ჩვენი განთავისუფლება დააფინანსა.

სხვათა შორის, ვიცი, რასაც ფიქრობთ: დახმარების სანაცვლოდ გვარიანი თანხა უნდა მოგვეთხოვა, რომ ფინანსური თავისუფლებისთვის საჭირო სახსრები გაგვჩენოდა.

სულაც არა! როგორც უკვე ვთქვი, სულიწმიდამ უნიკალური ბიზნეს-მოდელი შემოგვთავაზა და აი, ისიც:

ჩვენი კლიენტებისთვის უსასყიდლოდ ვმუშაობთ.

როგორ შემიძლია განთავისუფლებაში საფასური მოვთხოვო ადამიანს, რომელიც ისედაც გაჭირვებით იხდის გადასახადებს? არა, ამის გაკეთება არ შემეძლო. ღმერთმა ჩემი კომპანიის დაფინანსების სხვა გზაზე მიმითითა. არასოდეს ყოფილა და არც იქნება, რომ ჩემმა კომპანიამ საფასური მოითხოვოს კლიენტისთვის ინდივიდუალური გეგმის მომზადებაში, რომელიც მას შვიდ წელზე ნაკლებ დროში ვალებიდან ამოიყვანს, იპოთეკის ჩათვლით და არსებული შემოსავლის შეუცვლელად.

ფინანსურ მხარდაჭერას ვიღებთ არა ჩვენი კლიენტებისგან, არამედ ათობით კომპანიის, მომწოდებლისა და პროფესიონალისგან, რომლებიც ჩვენი კლიენტებისთვის გამოსავლის მოძიებისა და რესტრუქტურიზაციის ვარიანტების მოსაწოდებლად დავიქირავეთ. ისინი გვიხდიან ჩვენი კლიენტებისთვის მათ წარდგენაში.

მაგალითად, ჩვენი რესტრუქტურიზაციის პროცესისთვის, თუ ვიცი კომპანია „იქსი“, რომელიც ჩემი კლიენტის დაზღვევის

გადასახადს გაანახევრებს, მის შესახებ ვეუბნები კლიენტს, რომელიც ამ კომპანიას გაესაუბრება, თავად იფიქრებს და გადაწყვეტს, უღირს თუ არა მისი იაფი შემოთავაზების მიღება. დაინტერესების შემთხვევაში ეს კომპანია ჩვენი რესტრუქტურიზაციის გეგმის ნაწილი ხდება.

თავად კლიენტისთვის ყველაფერი უფასოა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ეს იყო ჩვენი კომპანიის წარმოუდგენელი ზრდის მთავარი ფაქტორი. მოიძიეთ ჩვენი საქმიანობის შესახებ შემდეგ ვებგვერდზე: forwardfinancialgroup.com.

ასევე ადამიანებს ვეხმარებით უსაფრთხო ინვესტირებაში. აი, ასე გამოიყურება ის: ინვესტირება ბაზრის ეკონომიკური ვარდნის რისკის გარეშე, რომელიც მათ ძვირფას საპენსიო ფონდს იპარავს.

30 წელზე მეტია, რაც ასობით ათას ადამიანთან გვისაუბრია და გვინახავს, რა არეულობაა ამერიკელთა უმრავლესობის ცხოვრებაში.

ერთი მაგალითი გამოირჩევა და ნათლად აჩვენებს ბევრი ამერიკელის ცხოვრებას.

ერთმა ქალბატონმა მასთან შეხვედრა მთხოვა, რადგან ვალებისგან გათავისუფლებაში დახმარება სჭირდებოდა. მას მე და ერთი ჩემი დამხმარე შევხვდით. გაოგნებული ვიჯექი, როცა თავისი მდგომარეობა ამიხსნა. მას 32 სხვადასხვა საკრედიტო ბარათი ჰქონდა და ყველა მათგანის თანხის ლიმიტი ამოწურული იყო (დიახ, სწორად გაიგეთ — მას 32 საკრედიტო ბარათი ჰქონდა).

ქალბატონმა წარმატებით გამოიმწყვდია თავი ციხეში და ახლა იქიდან თავის დაღწევის საშუალებას მთხოვდა. ჩემი აზრით, პასუხი მარტივი იყო: უნდა შეეწყვიტა საკრედიტო ბარათების გამოყენება. ეს კარგი დასაწყისი იქნებოდა. ვურჩიე, ბარათებზე უარი ეთქვა და მხოლოდ შემოსავლის ფარგლებში ეცხოვრა. შემდეგ დავავალე ხარჯების ჩამონათვალის გაკეთება, რომ გამერკვია, საიდან უნდა დამეწყო კონსულტაცია. ასევე ვურჩიე სადებეტო ბარათზე გადასვლა ბანკის საკრედიტო ბარათის ნაცვლად, რომ ვითარება კიდევ უფრო არ გაემწვავებინა.

ბარათებზე უარის თქმის გაგონებაზე ქალი ცრემლებად დაიღვარა და შოკისმომგვრელი კითხვა დასვა: „აბა, ფეხსაცმელები როგორ ვიყიდო?“

ვიფიქრე, ყური ხომ არ მატყუებდა. მას საკვებისთვისაც კი

არ ჰქონდა საკმარისი ფული, მაგრამ ფეხსაცმელები უფრო ადარდებდა.

შეიძლება იფიქროთ, რომ ამ ქალის შემთხვევა ანომალიის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ასეც იყო საკრედიტო ბარათების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ არა ფინანსურ ციხეში თავის დატყვევების თვალსაზრისით. გადახედეთ ამერიკის ბოლო-დროინდელ სტატისტიკას:

- ადამიანთა 57%-ს 1000 დოლარის დანაზოგიც კი არ აქვს ბანკში.[5]
- 44%-ს არ შეუძლია მოულოდნელი 400-დოლარიანი გადასახადის გადახდა.[6]
- ამერიკელთა 23% ვერ იხდის ყოველთვიურ გადასახადებს და სულ უფრო მეტ ვალში ეფლობა.[7]

მეგობრებო, ამერიკელთა უმრავლესობა იგივე მდგომარეობაშია, რაც ღმერთმა მითხრა — ისინი მონები არიან.

იფიქრეთ, რას აკეთებს მონა.

- ის საკუთარი თავისთვის არ მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ შრომობს და სარგებელი მოაქვს, მოგება მისი პატრონის ჯიბეში მიდის ყოველთვიურად. მას მხოლოდ მცირე რამ რჩება ოჯახისთვის მეორე თვემდე თავის გასატანად.
- მონები ცხოვრობენ სახლებში, რომლებიც მათ არ ეკუთვნით (ვგულისხმობ იპოთეკას).
- ისინი ატარებენ მანქანებს, რომლებიც არ ეკუთვნით და სამუშაოზე მიდიან, რომ გადაიხადონ სახლებისთვის, რომლებიც მათ მფლობელობაში არ არის.
- მათ საკრედიტო ბარათით ნაყიდი ტანსაცმელი აცვიათ, რომ სამუშაოზე წავიდნენ და გადაიხადონ მანქანისა და სახლისთვის, რომლებიც მათ არ ეკუთვნით და დაფარონ სტუდენტური სესხი, რომლის გადახდა 20 წლის წინ დაიწყეს.

[5] Ray Hanania, "57% of Americans have less than $1,000 in Savings, March 31, 2021, SuburbanChicagoland.com

[6] Joseph Lawler, "44 Percent of Americans Couldn't Cover an Unexpected $400 Expense," Washington Examiner, May 19, 2017.

[7] Megan Leonhardt, "Become Debt Free," May 24, 2017.

ალბათ, ახლა უკვე მიხვდით, რა ხდება.

„მდიდარი ღარიბზე ბატონობს, მსესხებელი კი გამსესხებელს ემონება“.

– იგავები 22:7

იცით, რომ ადამიანთა უმრავლესობას არ მოსწონს თავისი სამუშაო? რეალურად, გელაპის (Gallup) გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 85 %-ს სძულს თავისი სამუშაო.[8]

მაშ, რატომ მუშაობენ? იმიტომ, რომ მონები არიან და მონებს არჩევანის თავისუფლება არ აქვთ!

ამრიგად, არსებობს მონობიდან თავის დაღწევის გზა? დიახ! არ გჯერათ? ნება მომეცით, გაჩვენოთ.

„ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს;

რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენ მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო, რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ.

თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის“.

– 2 კორინთელთა 9:12-15

მოდი, არ მოვაშოროთ თვალი ამ პასუხს – ღვთის მადლს, წარმატების მიღწევისთვის აუცილებელ ძალას!

ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ მტერს თქვენი ვალებში ჩატოვება სურს ისე, რომ გამოსავალს ვერასოდეს მიაგნოთ. სწორედ ამის გამო არსებობს ამერიკაში 1.1 ტრილიონი აქტიური საკრედიტო ბარათი.[9] სწორედ იგივე მიზეზის გამო ეგზავნებათ ადამიანებს ყოველწლიურად რვა მილიარდი საკრედიტო

[8] Sara Burrows, “85% of People Hate !eir Jobs, Gallup Poll Says,” September 22, 2017, returntonow.net.

[9] Raynor de Best, “Credit Card and Debit Card Number in the U.S. 2012-2018,” December 16, 2020, statisa.com/statistics

ბარათის *შემოთავაზება.*[10]

ვიღაცას სურს, რომ ვალებში იყოთ და ეს არ გახლავთ მხოლოდ ბანკები ან სხვა მოვაჭრეები, რომლებიც ხვეწნით გთავაზობენ მათი ბარათების გამოცდას.

სატანამ იცის, რომ ვალებში ყოფნისას ვერასოდეს შეასრულებთ თქვენს სულიერ დანიშნულებას, რაც დიდ არეულობას მოიტანდა მის სამეფოში.

ამრიგად, ნება მომეცით, ერთი წუთით მიმოვიხილო. ეს წიგნი ხელგაშლილობაზეა, არა? კეთილი, დიახ და არა. დიახ, ჩვენ ვაპირებთ გულუხვობის ყველა სიკეთესა და ხელგაშლილობაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ გაცემა, როგორც ასეთი, პასუხი არ გახლავთ. თქვენ უნდა იცოდეთ, როგორ გამოიყენოთ მადლი, რომელიც ღვთის ძალაა.

ნება მომეცით, ხელახლა განვაცხადო: გაღების ფორმულა, თავისთავად, როგორც ფორმულა, გასაღები არ არის. ეს მხოლოდ ნაწილია და მე და თქვენ ის ზებუნებრივი, არაჩვეულებრივი გაძლიერება გვჭირდება წარმატების მისაღწევად, რომელსაც მადლი ეწოდება.

დასტინი და კენდალი მიხვდნენ, რაზე ვლაპარაკობ. ეს ახალგაზრდა წყვილი ვერ ხვდებოდა, რომ ფინანსების მოგვარებაში ღვთის მადლი სჭირდებოდა, სანამ სრულ ქაოსში არ აღმოჩნდა. მათ ახალი ბიზნეს-იდეა აიტაცეს და ამ მიმართულებით წასვლა გადაწყვიტეს. საფასური? $150 000 და სულ ვალით.

ბიზნესის შესყიდვის თვეს ისინი საშემოსავლო სამსახურმა შეამოწმა და 53 000 დოლარით დაბეგრა. დასტინის ნაამბობით, ვალი ისე გაიზარდა 200 000 დოლარამდე, რომ დაბრუნების საშუალება არ ჰქონდათ. თან ხსენებული ბიზნესი ყიდვამდეც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა.

მათ ის-ის იყო ფული ისესხეს ნაბოლარა ბავშვის ჰოსპიტლის ხარჯების დასაფარად, რომელსაც ჯერ კიდევ იხდიდნენ. აუდიტმა ისინი ფინანსურ უფსკრულამდე მიიყვანა და დასტინი სხვა ვარიანტების ძიებას შეუდგა.

გარკვეული მოკვლევის შემდეგ 30 000 დოლარის საკრედიტო შემოთავაზება აღმოაჩინა, რომელიც დაუმტკიცეს და ეს იდეა ცოლთან მიიტანა განსახილველად. მან არ იცოდა, რომ კენდალი ჩემს წიგნს, *თქვენი ფინანსური რევოლუცია: სიმშვიდის ძალა*,

[10] Bob Bryan, November 24, 2015, businessinsider.com

სწავლობდა და ამაზე ფიქრობდა, სადაც ასევე ლაპარაკია ღვთის მადლით ტკბობაზე.

მაშ ასე, როცა დასტინი მასთან მივიდა მორიგი სესხის აღების იდეით, კენდალი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ვალის აღების ნაცვლად ქმრის ღვთისკენ მოტრიალებას მოელოდა. ქალმა დასტინთან დალაპარაკება გადაწყვიტა მის შესაგულიანებლად, რომ ღმერთს მინდობოდა. საბედნიეროდ, ქმარი ცოლის სიბრძნეს დაეთანხმა.

ლოცვისას სულიწმიდის ხმა გაიგონეს, რომელიც ეუბნებოდა, როგორ დაეთესათ თესლი. რასაკვირველია, იმ დროისთვის არ ჰქონდათ ფულის ის ოდენობა, რომელიც ღმერთმა აჩვენა გასაცემად, ამიტომ მომდევნო 28 დღეს მხოლოდ იმისთვის იშრომეს, რომ ეს თანხა გამოემუშავებინათ.

შედეგი? მათმა ბიზნესმა განვითარება დაიწყო.

ერთი წლის მანძილზე შეძლეს $175 000 ვალის გადახდა და დასტინმა მითხრა, რომ იმ წელს თორმეტჯერ მეტი თანხის გამომუშავება შეძლო, ვიდრე მთელი ცხოვრების განმავლობაში მოუხერხებია!

კენდალი და დასტინი მიხვდნენ, რომ ღვთის სამეფო ყოველთვის მუშაობს!

როგორი იყო მათი პასუხი? სამეფო და ღვთის მადლი!

რა არის თქვენი პასუხი? სამეფო და ღვთის მადლი!

თავი 2
პასუხი: მადლი

წინა თავში ვისაუბრეთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ხელგაშლილობა ადამიანებზე – როგორ დრეკს მათ გულებს და მადლიერებით ავსებს თქვენსა და ღვთის მიმართ. ასევე მოვიყვანეთ პავლეს ნათქვამი, რომ უხვად გაცემის უნარი ჩვენს ცხოვრებაში ღვთის მადლის მოქმედების უნარია.

> *„თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის“.*

– 2 კორინთელთა 9:14-15

ყურადღება გავამახვილეთ პავლეს მიერ გამოკვეთილ სიტყვაზე — *აღმატებული*, როცა ის წარმატების მისაღწევად ღვთისგან მიღებულ მადლს აღწერს. აღმოვაჩინეთ, რომ მადლი რაიმეს მისაღწევად საჭირო ზებუნებრივი ძალაა. პავლე ღვთიური მადლით გაძლიერებას ენითაღუწერელ საჩუქარს უწოდებს! ვფიქრობ, ნებისმიერმა უნდა აღნიშნოს, რომ ცხოვრებისეულ წინსვლაში დახმარებისთვის ღვთის მზადყოფნა მართლაც წარმოუდგენელი უპირატესობაა.

მთელი იმ სიდიადის გასაცნობიერებლად, რის გაკეთებაც ღმერთს სურს თქვენს ცხოვრებაში და რა კოლოსალური ძალა არსებობს თქვენთვის გამოსაყენებლად, ცოტა უკან დავიხიოთ და მეექვსე მუხლიდან წავიკითხოთ.

> *„იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის.*

თითოეულმა გაიღოს ისე, როგორც გულით განეწყო, არც მწუხარებითა და არც ძალდატანებით; ვინაიდან ღმერთს სიხარულით გამცემი უყვარს; ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველ კეთილი საქმისთვის. როგორც სწერია: გაფლანგა, ღარიბებს დაურიგა; მისი სიმართლე რჩება უკუნისამდე!

ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს".

–2 კორინთელთა 9:6-11

აი, ახლა კი მართლაც საინტერესო რამეები იწყება!

ვხედავთ, რომ აქაც იგივე სიტყვა *მადლია* გამოყენებული, თუმცა პავლე ამატებს განსაზღვრება *ყოველგვარს* იმის მანიშნებლად, რომ სიტყვა მადლის უკან ღვთის ყოველგვარი ძალა დგას. პავლე ნათლად ლაპარაკობს გაცემასა და მიღებაზე და ხაზს უსვამს, რომ გაცემის შემდეგ ღვთის ყოველგვარი მადლი სამკალის მისაღებად მოქმედებს.

ღვთის ყოველგვარი მადლი ყველაფერს მოიცავს — ღვთის ძალას, სიბრძნეს, კეთილგანწყობას და შინაგან მიგნებას, რომლებიც ახლა თქვენთვის ხელმისაწვდომია იმ თესლიდან მოსავლის მისაღებად. თქვენი არ ვიცი და მე კი ამაზე ფიქრი აღრთოვანებას მგვრის!

თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ სამკალი თავისით მოვა.

ძალზე მდიდარმა ფერმერმა მარცვლეულის დასათესად და მოსავლის მისაღებად მთელი თავისი აღჭურვილობა რომ შე-მოგთავაზოთ, რომელიც მილიონობით დოლარი ღირს, მაგრამ მიწათმოქმედების არაფერი გაგეგებოდეთ, სარგებელი არ გექნებათ.

ღმერთმა მთელი თავისი ძალა ჩვენთვის მისაწვდომი გახადა, მაგრამ ჩვენი წილი საქმე მაინც უნდა შევასრულოთ ისე, როგორც ფერმერმა იცის ბევრი რამ მიწათმოქმედებაზე და მხოლოდ თესლის მიწაში ჩათესვით არ შემოიფარგლება.

ახლა იმას მინდა მიხვდეთ, რომ ღვთის ყოველგვარი უნა-

თქვენ ღვთის საქმეზე ზრუნავთ, ხოლო ღმერთი — თქვენსაზე.

რი არა მარტო დათესვის შემდეგ მოსავლის მიღებაში გეხმარებათ, არამედ იმის ცოდნასაც გაძლევთ, როდის და სად დათესოთ. ამის გამო უსაზღვრო ფინანსური მომავალი გელით!!!!

ახლა ერთი ნაბიჯით წინ უნდა წავიწიოთ და ხსენებული მონაკვეთის აშკარა გამოცხადებაზე ვისაუბროთ, რაც არის ფულის ქონის უპირველესი დანიშნულება.

> *„ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის“.*

ვხედავთ, რომ პირველ რიგში, ღმერთი ახსენებს თქვენი ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას. აქ მხოლოდ ფული არ იგულისხმება. იგი ლაპარაკობს *ყველაფერზე* ნებისმიერ დროს!

მე ყოველთვის ასე ვამბობ: „თქვენ ღვთის საქმეზე ზრუნავთ, ხოლო ღმერთი — თქვენსაზე“. მაშ ასე, „ყველაფერზე ნებისმიერ დროს“ ჩემთვის ნიშნავს, რომ არასოდეს დარჩებით მის გარეშე, რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდეს ქვეყნის ეკონომიკა. როცა ღმერთი ამბობს, რომ თქვენი საჭიროებები დაკმაყოფილებული იქნება, იგი არ გულისხმობს როგორღაც თავის გატანას.

> *„მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ. თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ, თუ შეისმენ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს, რომელთაც გამცნებ დღეს რომ დაიცვა და აღასრულო“.*

– მეორე რჯული 28:12ბ-13

როცა ღმერთი ყველა თქვენი საჭიროების დაკმაყოფილებაზე ლაპარაკობს, სრულ ფინანსურ თავისუფლებას გულისხმობს ყოველგვარი ვალის გარეშე, როცა თქვენს დავალებას შინაგანი სწრაფვით ასრულებთ და მიწის სიუხვისგან იკვებებით. ეს ასევე ნიშნავს სრულ ჯანმრთელობას და სრულყოფილ მშვიდობას.

მეორე, თქვენი საჭიროებების დაკმაყოფილების შემდეგ გადარჩენისთვის კი არ იბრძვით, არამედ იღწვით.

„რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელ-გაშლილობისთვის“.

საბოლოო შედეგი იქნება ხელგაშლილობისთვის საჭირო ფინანსური უნარების ქონა, რომ გასცეთ და მხარი დაუჭიროთ არა მარტო ადამაინებს, არამედ ღვთის საქმეებს დედამიწაზე.

ღვთის მიზანია თავისი გულის ადამიანებისთვის ჩვენება, რომ ხალხის გულები მისკენ ილტვოდეს.

როგორც ვამბობ ხოლმე: „ღმერთი ადამიანების ბიზნესითაა დაკავებული“.

ნება მომეცით, ერთი არასწორი მოსაზრება გავაბათილო, რასაც ხშირად ვისმენ.

ერთხელ ერთ მდიდარ კაცს ველაპარაკებოდი და მან თქვა: „მეტი ფული არ მჭირდება, ისედაც საკმარისი მაქვს“.

ახლა უკვე ვიცი, რის თქმას აპირებდნენ – ისინი ძალიან კარგად მოვლილები არიან და პირადი საჭიროებებისთვის მეტი ფული არ სჭირდებათ. საქმე იმაშია, რომ მათ ფული სჭირდებათ და თან, ძალიან ბევრი.

თუ ფულს მხოლოდ პირადი საჭიროებების დაკმაყოფი-ლებისთვის გამოვიმუშავებთ, ვფიქრობ, დადგება დრო, როცა მეტი ფულის შოვნის მამოძრავებელი ძალა შემცირდება. იმ შემთხვევაში, თუ ღვთის გულს კარგად იცნობთ, რომელსაც ადამიანებამდე მისვლა სწადია და მილიონობით მათგანმა ჯერ კიდევ არ იცის, რა კარგია სამეფოში ცხოვრება მაშინ, როცა ჯოჯოხეთად წოდებული ადგილისკენ თავით მიექანებიან, მიხვდებით, რომ ღმერთს გაცილებით მეტი ფული სჭირდება!!!

ნება მომეცით, გაგიმეოროთ: „**ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ**!“

ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი.

„ღმერთს კი ძალუძს სიუხვე მოგცეთ ყოველგვარ მადლში, რათა ყველაფერში ყოველივეს საკმარისად მქონენი, უხვნი იყოთ ყოველი კეთილი საქმისთვის“.

ყოველი კეთილი საქმე გაქვთ მათში მონაწილეობის მისაღებად. ყოველი კეთილი საქმე გახლავთ მეფის გამო გაკეთებული საქმე. ფაქტობრივად, ძალზე კონკრეტული საშრომია ეფესელთა 4:7, 11-12ა-ს თანახმად.

„ხოლო ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტეს საჩუქრის ზომისამებრ ... და მან მოგვცა ერთნი მოციქულებად, მეორენი წინასწარმეტყველებად, ზოგნი მახარებლებად, ზოგნი კიმწყემსებად და მასწავლებლებად, რათა აღჭურვონ წმიდანები <u>მსახურების საქმისთვის</u>“.

– ეფესელთა 4:7, 11-12ა

იცით, ადამიანთა უმრავლესობის მიზანია ფინანსური თავისუფლება, რადგან დაიღალნენ გააფთრებული კონკურენციის მანკიერ წრეზე სირბილით. ისინი მშვიდობას ეძებენ. ვინაიდან მათი დიდი უმრავლესობა უკმაყოფილოა სამსახურით, სადაც მუშაობენ, ეძებენ თავისუფლებას, რომელსაც ფული მოუტანს მათ. ისინი ეძებენ თავისუფლებას, რომ აკეთონ ის, რაც *სურთ* და არ იშრომონ *იძულებით*. ადამიანებს გულის წადილის ასრულება და მათთვის განსაზღვრული ცხოვრების მიზნის პოვნა უნდათ.

აი, განაცხადი, რომელიც რელიგიურ ადამიანებს აგიჟებს:

„...რათა ყველაფერში გამდიდრდეთ“.

დიახ, ასეა ნათქვამი. ყველაფერში უნდა გამდიდრდეთ!

თავად სიტყვა *სიმდიდრის* მნიშვნელობა სუბიექტურია და ხშირად, გაუგებრობას იწვევს ჩვენს კულტურაში. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ ერთი მილიარდის მფლობელი უფრო ბედნიერია, ვიდრე 100 000 დოლარის პატრონი. ასეა, სიტყვა „მდიდარს“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ადამიანისთვის. თუმცა მასში, რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ყველა ჩვენი საჭიროება დაკმაყოფილებულია, ვალებისგან თავისუფლებაში ვცხოვრობთ და მიწის დოვლათით ვტკბებით.

„თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ“.

– ესაია 1:19

სიმდიდრე მხოლოდ ფულს არ უკავშირდება. ეს ასევე გახლავთ შვილიშვილებთან თამაში, ჩემი ცოლისთვის ხელის ჩაკიდება და მრავალი სხვა საოცარი რამ ცხოვრებაში. მე და დრენდას ხუთი შვილიშვილი გვყავს. მათ ღმერთი უყვართ და ამა

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑ, ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲘᲧᲝᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ.

თუ იმ გზებით მსახურებაში ჩართულნი არიან. ჩვენ ყველანი ერთმანეთთან ახლოს ვცხოვრობთ და გულწრფელად რომ ვთქვა, გვიყვარს დროის ერთად გატარება. ამას ვეძახი სიმდიდრეს!

იცით, რელიგიური ადამიანები ბევრი ფულის ქონას სიხარბეს ეძახიან. თუმცა ღმერთთან ერთად ადამიანთა ბიზნესში ჩართული ხალხისთვის ფული ბევრი არასოდეს არის. ყოველთვის მოიძებნება ახალი დავალებები და ტერიტორიები ასათვისებლად.

კვლავ ვიმეორებ, ღმერთს სურს, რომ უხვად იყოთ უზრუნველყოფილი მისი საქმის მსოფლიოში გასავრცელებლად.

ღმერთს სურს, რომ ხელგაშლილები იყოთ მისთვის, დაეხმაროთ ადამიანებს და დააფინანსოთ მისი დავალებები. თუ აპირებთ უხვად გაცემას ყოველ შესაძლო შემთხვევაში, გარკვეული თანხა უნდა გქონდეთ.

ვგულისხმობ, რომ ყოველი შემთხვევა შეიძლება იყოს *ყოველი დღე* ან *დღეში რამდენიმე*. მოდი, ვიყოთ გულწრფელები – ამის გასაკეთებლად თვიდან თვემდე თავის გატანა საკმარისი არ არის. გაცილებით მეტი ფული უნდა გქონდეთ, ვიდრე გადასახადების გადახდას სჭირდება! ვფიქრობ, ამაში ყველა დამეთანხმება.

მოდი, გადავიდეთ იმ პუნქტზე, სადაც თეორია პრაქტიკად უნდა იქცეს ხელგაშლილობის ან ზოგადად, გაცემის საკითხში:

აუცილებლად უნდა მოაგვაროთ შიშის ფაქტორი, როცა გაცემას აპირებთ.

არ გეუბნებით, რომ უნდა დათმოთ ან გადალახოთ შიში. გეუბნებით, რომ ეს საქმე უნდა მოაგვაროთ გაღებისას. ამის საუკეთესო გზა ჭეშმარიტება გახლავთ!

მაშ, რაში მდგომარეობს გაცემის შიში? მარტივად აღებული, ეს არის გაცემის შიში, როცა თავად არ გაქვთ საკმარისი სახსრები. გასაგებია?

მე ეს თანხა მჭირდება, იფიქრებთ თქვენ და მართლაც გჭირდებათ. თუმცა თანხა ღმერთსაც სჭირდება. და ღმერთი არ მოგთხოვთ თქვენი თანხის გაცემას სანაცვლო დაპირების გარეშე, რომ ამ ინვესტიციას დაგიბრუნდებთ. ასე არ არის? ვფიქრობ, მან ეს ძალიან ნათლად გამოხატა თავის სიტყვაში:

„მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ თქვენსავე კალთაში“.

– ლუკა 6:38ა

ღმერთი იმაზე მეტ დროს ხარჯავს მისი სამეფოს მხარდაჭერის სარგებლის განმარტებაში, ვიდრე მითითებაში, თუ რა უნდა გააკეთოთ. იგი უბრალოდ ამბობს ერთ სიტყვას: „*მიეცი*“, მაგრამ 23 სიტყვას იყენებს მისი *სარგებლის* ასახსნელად. ვფიქრობ, ამგვარად შედგენილ ნებისმიერ კონტრაქტს ხელს მოვაწერდი!

იცოდეთ, რომ ღმერთი დიდად არის დაინტერესებული თქვენი წარმატებით. აბა, იფიქრეთ: საიდან მოიტანს იგი მისი პროგრამისთვის საჭირო დაფინანსებას?

რასაკვირველია, ეს თანხა თქვენგან, ჩემგან და სხვა თანამორწმუნეებისგან უნდა შემოვიდეს. ღვთიურ საქმეებს სატანის მომხრეები არ დააფინანსებენ.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ მორწმუნეთა უმრავლესობის აზრით, ღვთისგან სანაცვლოს მიღების რწმენა არასწორია. ისინი ფიქრობენ, რომ ღვთისთვის გაცემა და მისგან რაღაცის მიღების მოლოდინი სიხარბეს ეფუძნება და ღვთის თაყვანისცემის წმინდა აქტს აკნინებს.

გჯერათ, რომ მიწათმოქმედი უსაფუძვლოდ ელოდება კარგი მოსავლის და მოგების მიღებას მისთვის და მისი ოჯახისთვის? ის უბრალოდ იყენებს კანონებს, რომელიც ღმერთმა მისცა.

ღმერთს ახარებს, როცა წარმატებული ვართ. მან მოგვცა თესვისა და სარგებლის მომკის კანონი. ეშმაკი ოდითგანვე ატყუებს ეკლესიას გაცემისა და ფულის თაობაზე. ზოგიერთი დენომინაცია ამაყობს სიღატაკის აღთქმით და ვერ აცნობიერებს, რომ პირდაპირ სატანის ტყუილებს წამოეგენ. იესოს ბევრჯერ მოუხდა ამ დამოკიდებულებასთან გამკლავება მისი მსახურების მანძილზე. ფაქტობრივად, მისი ერთ-ერთი ცნობილი იგავი კეთილ სამარიელზე სწორედ ამ საკითხს ეხება.

„აჰა, ერთი რჯულის მცოდნე წამოდგა და გამოსაცდელად ჰკითხა: „მოძღვარო, რა უნდა გავაკეთო?“

იესომ უთხრა: „რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?“

მან უპასუხა: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“.

უთხრა მას იესომ: „სწორად მიპასუხე. ასე მოიქეცი და იცოცხლებ“.

მაგრამ მას თავის გამართლება უნდოდა და ჰკითხა იესოს: „ვინ არის ჩემი მოყვასი?“

მიუგო იესომ და უთხრა მას: „ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხოს მიდიოდა; თავს დაესხნენ ყაჩაღები, რომლებმაც ტანსაცმელი გახადეს, დაჭრეს და წავიდნენ; ის კი ნახევრადმკვდარი მიატოვეს. შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩამოიარა გზაზე, დაინახა იგი და გვერდი აუქცია. ლევიანმაც ჩაიარა იმ ადგილას, დაინახა და მანაც გვერდი აუქცია. მერე ვიღაც სამარიელმა გამოიარა, დაინახა და შეებრალა. მივიდა, ზეთითა და ღვინით მობანა ჭრილობები, შეუხვია, შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და უპატრონა. მეორე დღეს, სანამ წავიდოდა, ორი დინარი ამოიღო, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდიო.

როგორ ფიქრობ, იმ სამიდან რომელი იყო ყაჩაღების ხელში ჩავარდნილის მოყვასი?“

უპასუხა: „რომელმაც წყალობა უყო მას“.

მაშინ უთხრა იესომ: „წადი და შენც ასევე მოიქეცი“.

– ლუკა 10:25-37

ვფიქრობ, ყველას გვსმენია ეს ისტორია, რომელიც მნიშვნელოვან რამეს გვასწავლის: რას იზამდა ღმერთი, იმ გზაზე რომ ჩაევლო და ნაცემი კაცი ენახა? ვიცით, რომ უფალი გაჭირვებაში ჩავარდნილს გზაზე სიკვდილისთვის არ გაწირავდა.

აქედან ყველა საკვირაო სკოლის მოსწავლემ იცის, რომ კარგი მოყვასი უნდა იყოს, ადამიანებზე იზრუნოს. ადამიანებზე ზრუნვა ღვთის გულისნადებია და მთელი ასი პროცენტით ვეთანხმები ამ დავალებას. თუმცა ბევრი რამ ხშირად უყურადღებოდ არის დატოვებული ამ ამბავში.

რჯულის მოძღვრის მიმართ იესოს საყვედურის გასაგებად იმდროინდელი სოციალური ვითარების ცოდნა გმართებთ. იუდაელებს სძულდათ სამარიელები და მათ უწმინდურ და არასულიერ ხალხად თვლიდნენ. შესაბამისად, ებრაელებს თავი სამარიელებზე უფრო წმინდა და ღვთის თვალში მართალ ადამიანებად მიაჩნდათ ისე, რომ მათთან ურთიერთობაც კი არ სურდათ. ამრიგად, იესოს მიერ მოყოლილი ამბავი, რეალურად, იმ რჯულის მოძღვრისთვის სახეში სილის გაწვნის და მისი რელიგიური მიდგომის გამო საყვედურის ტოლფასი იყო. ვფიქრობ, ყველასთვის ცხადია ეს დამოკიდებულება.

თუმცა არასოდეს მომისმენია და როცა ამას ვამბობ, ვგულისხმობ, რომ საკვირაო სკოლაში არასოდეს უსწავლებიათ ამბის ის ნაწილი, რომელიც ორი ვერცხლის მონეტას ეხება. რატომ ლაპარაკობს იესო ვერცხლის ორ დინარზე, თუ იგი მხოლოდ მოძღვრის გულის არასწორ მდგომარეობაზე წუხდა? მან ხომ უკვე გამოხატა მთავარი სათქმელი? მოდი, გამოვიკვლიოთ.

> *„შესვა თავის პირუტყვზე, მიიყვანა სასტუმროში და უპატრონა. მეორე დღეს, სანამ წავიდოდა, ორი დინარი ამოიღო, მისცა სასტუმროს პატრონს და უთხრა: იზრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდიო“.*

– ლუკა 10:34ბ-35

იესოს სწავლებაში, რომლის გადმოცემაც ამ ამბით უნდოდა, ასევე ვხედავთ იმის ანალოგიას, რის გაკეთებაც ჩვენთვის სურდა. ვხედავთ სატანისგან, ამ მძარცველისგან ნაცემ და აბუჩად აგდებულ კაცობრიობას. ვხვდებით, რომ ზეთი და ღვინო წინასწარმეტყველურად წარმოადგენს სულიწმიდასა და აღთქმის სისხლს, რომელსაც იესო მისცემს მასთან მოსულ ყველა ადამიანს. ამ ისტორიაში ვხედავთ, რომ ზეთისა და ღვინის გამოყენების შემდეგ სამარიელი კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს და ეს დაჭრილი ადამიანი სასტუმროში მიჰყავს საბოლოო განკურნებისთვის. მან იცის, რომ ამას დრო სჭირდება და გამოჯანსაღებისთვის უსაფრთხო ადგილას ტოვებს ყველა ხარჯის გადახდით.

დარწმუნებული ვარ, რომ სასტუმრო ადგილობრივი ეკლესიაა. სწორედ აქ მოჰყავს იესოს ცხოვრების გზაზე ნაპოვნი ნაცემი და მომაკვდავი ადამიანები. ისინი ზეციდან შობას იღებენ, ცოდვებისგან იწმინდებიან აღთქმის სისხლით და სულიწმიდის ძალით ცოცხლდებიან, თუმცა მაინც რჩებათ ქვეყნიერების დაწყევლილი სისტემის ლაქა და ტკივილი. მათ განკურნებისა და ცხოვრების სრულიად ახალი გზის შესწავლისთვის დრო სჭირდებათ. იესო მათ ადგილობრივ ეკლესიაში ათავსებს და სასტუმროს პატრონს, ეკლესიის პასტორს სთხოვს, რომ იზრუნოს მათ წინსვლასა და განვითარებაზე.

საუბედუროდ, ეკლესიაში იგივე დამოკიდებულებას ვხედავთ, რაც რჯულის მოძღვარს ჰქონდა. ადამიანებს არ სურთ სასტუმროში დახმარების საქმეში ჩართვა. დაჭრილის გვერდით ჩავლილი ხალხის მსგავსად, ისინიც თავისად არ თვლიან მის პრობლემას. რატომ უნდა შეიწუხონ თავი? ეს ხომ დროისა და ფულადი ხარჯების მეტს არაფერს მოუტანს მათ?

სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამოა, პასტორები დიდ დროს რომ ხარჯავენ ხალხის ხვეწნაში ბავშვებთან ან პატარა ჯგუფის გაძღოლაში დახმარებისთვის. ისე ჩანს, რომ ადამიანები უკვე დაკავებული არიან საკუთარი საქმეების კეთებით და ეძნელებათ მიძღვნა. რელიგია, როგორც ასეთი, არ იძლევა სტიმულს, მხოლოდ მოვალეობა და კანონია წინა პლანზე. რელიგია ხალხში დანაშაულის გრძნობას აღძრავს მათგან დახმარების მოსაპოვებლად: „ღვთის წინაშე ვალდებული ხართ, რომ იზრუნოთ ამაზე ან იმაზე. ბოლოს და ბოლოს, შეხედეთ, რამდენი რამ გააკეთა ღმერთმა თქვენთვის“. ამას ვეთანხმები. ყოველთვის მოწადინებული და მადლიერებით სავსე უნდა ვიყოთ ღვთის მიმართ და სხვების დახმარების სურვილიც უნდა გვქონდეს. იგი ამბობს: „აჰა, ორი დინარი ... იზრუნე მასზე და, თუ *ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲮᲐᲠᲯᲘ* მოგივა, რომ დავბრუნდები, გადაგიხდი“.

ჩვენი ლეგალისტური აზროვნება ამ განაცხადში ზეცად მისვლას გულისხმობს. იესო დაგვაჯილდოვებს იმ საქმეებისთვის, რაც დედამიწაზე გავაკეთეთ მისი სამეფოსთვის. არა, არა, როცა იესო ამ ამბავს ყვებოდა, გულისხმობდა ბიზნესმენის უკანა გზაზე დაბრუნებას მშობლიურ ქალაქში. იესო იმ დროისთვის საჭირო ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკობდა, რაც სასტუმროს მეპატრონეს სჭირდებოდა. ახლა ადამიანები იტყვიან: „დიდებულია! ღმერთი სასტუმროს ხარჯების გას-

ტუმრებას აპირებს იმ ადამიანზე ზრუნვის გამო, მაგრამ მეც ხომ მაქვს ჩემი რეალური ხარჯები ოჯახში? არ შემიძლია დროის ან ფინანსების გამოყოფა ამ საქმისთვის“. ადამიანთა ჩართულობის შემთხვევაში ნებისმიერი ხარჯის დაბრუნების აზრი სტიმულს ბევრში არ აღძრავს. ეს გარკვეულწილად ეხმარება, მაგრამ მის საქმეში ჩართული ადამიანების მიმართ ღვთის სიყვარულს სრულად არ მოიცავს.

დიახ, ვიცი, რასაც იტყვით: „სასტუმროს პატრონს მხოლოდ იმიტომ უნდა დავეხმაროთ, რომ გულში ღვთის სიყვარული გვაქვს“. დიახ, ეს შეგიძლიათ თქვენი პასტორის ერთგულებისა და ღვთის მიმართ სიყვარულისა და ვალდებულების გამო გააკეთოთ და ეს ზოგჯერ აუცილებელიც კია ... თუმცა ღმერთს სურს, რომ *აღტაცებული* იყოთ მასთან ერთად „სასტუმროში შრომის“ იდეით.

აი, რა არის მთავარი: ჩვენ ღვთისთვის კი არა, ღმერთთან ერთად ვშრომობთ. ღმერთი თავად ამბობს პავლეს მეშვეობით:

> *„რომელ ჯარისკაცს უომია ოდესმე საკუთარი ხარჯით? ვინ რგავს ვაზს და მის ნაყოფს კი არ ჭამს? ვინ მწყემსავს სამწყსოს და სამწყსოდან რძეს არ სვამს? განა ადამიანურად ვლაპარაკობ ასე? განა რჯულიც ამასვე არ ამბობს? რადგან დაწერილია მოსეს რჯულში: პირს ნუ აუკრავ მლეწავ ხარს. განა ხარებზე ზრუნავს ღმერთი? თუ ყოველი ჩვენგანისთვის ამბობს ამას? დიახაც, ჩვენთვის წერია, რადგან მხვნელმა იმედით უნდა ხნას და ლეწვისას, მლეწავსაც უნდა ჰქონდეს თავისი წილის მიღების იმედი“.*

– 1 კორინთელთა 9:7-10

ღმერთს არ სურს, რომ მას მხოლოდ შიშის ან უბრალოდ, მოვალეობის გამო ემსახურო.

დააკვირდით, რას ამბობს იგი: „*მხვნელმა იმედით უნდა ხნას და ლეწვისას, მლეწავსაც უნდა ჰქონდეს თავისი წილის მიღების იმედი*“. ღმერთი მხოლოდ სამკალზე არ ზრუნავს, როგორც თქვენზე დაკისრებული საქმის შედეგზე. იგი ზრუნავს მასთან თანამშრომლობაში მყოფ ადამიანებზე და სურს, რომ მასთან ერთად გაიზიარონ სამკალის სიხარული.

იესომ ხსენებულ ამბავში სასტუმროს მეპატრონე მეტად

მნიშვნელოვანი მიზეზით შეარჩია. ჩვენთვის გასაგებია, რომ იგი ბიზნესს აწარმოებს. მან ყოველდღიურ გადასახადში ჩართო ზედნადები და მომსახურე პერსონალის ხარჯები. თუმცა სასტუმროს ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხების გარდა მას მოგებაც უნდა დარჩეს. დიახ, *მოგება*.

ყოველთვის, როცა სასტუმროს მფლობელი სტუმარს ერთი ღამით დარჩენის საფასურს ახდევინებს, მას მოგება რჩება. ამის გამო მას სრულიად გასნხვავებული ხედვა აქვს მასთან მოყვანილი ნაცემი კაცის მიმართ. მისი მოვლა ერთი ცენტიც არ დაუჯდება, რადგან მოგზაური ხარჯების ანაზღაურებას დაჰპირდა. თუმცა სასტუმროს პატრონმა იცის ერთი ფაქტი, რომელიც მას დაჭრილის მოვლაში ყოველგვარი წუწუნის გარეშე დაეხმარება. ფაქტობრივად, ის თავბრუდახვეულიც კია ამ შესაძლებლობის გამო.

იცით, სასტუმროს მფლობელი ხვდება, რომ ყოველი ღამე, რომელსაც ნაცემი იქ გაატარებს, მისთვის მოგების მომტანია და მოგზაური ბიზნესმენის ღია ჩეკის წიგნაკს ის აღტაცებაში მოჰყავს. ადვილად წარმომიდგენია მისი საუბარი ბიზნესმენთან, რომელიც გამგზავრებას აპირებს: „თუ კიდევ იპოვით ვინმეს გზაზე, ჩვენთან მოიყვანეთ. ყველას მივხედავ, ვისაც დახმარება დასჭირდება და თუ ოთახები არ მეყოფა, დავამატებ!“

სამწუხაროდ, ისინი არ იცნობენ ღვთის გულს, რომ ხალხამდე სასუფევლის მიტანისთვის უფალი მათ ყოველგვარ ხარჯს აანაზღაურებს. ყოველთვის.

როგორც ხედავთ, იესოს ნაამბობში ბევრად მეტი ჩანს, ვიდრე ჩვენთვის აქამდე იყო ცნობილი. იესო შეეცადა რელიგიური აზროვნების შესწორებას, რომელიც რჯულის მცოდნეს ჰქონდა ღვთისა და სამარიელის მიმართ. ის ასევე გამოკვეთს მთავარ აზრს, რომ რჯულის მოძღვარმა ხელიდან გაუშვა წარმოუდგენელი შესაძლებლობა, რომელიც სამარიელმა ხელთ იგდო – *მოგება*!

ყოველთვის ვნაღვლიანდები, როცა ადამიანების ნათქვამს ვისმენ, თითქოს ღმერთი ცუდს უკეთებს კარგ ადამიანებს ან ვხედავ, როგორ ემსახურებიან მას რელიგიური მოვალეობის გრძნობით, არადა შეეძლოთ ცხოვრებით გაეხარათ. სატანა ღვთის ერისგან მისი სიკეთის დამალვას ცდილობს, რომ ადამიანებმა ვერ შეძლონ უფლის მთელი გულით სამსახური.

ადამიანთა უმრავლესობისთვის ეკლესია მათ კალენდარზე აღნიშნული კიდევ ერთი ღონისძიებაა. ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ თავად წარმოადგენენ ეკლესიას, სასტუმროს, სადაც ღმერთი ადამიანებს გამოსაჯანსაღებლად გზავნის. სამწუხაროდ, ისინი არ იცნობენ ღვთის გულს, რომ ხალხამდე სასუფევლის მიტანისთვის უფალი მათ ყოველგვარ ხარჯს აანაზღაურებს. ის ყოველთვის მეტს გვაძლევს, ვიდრე ჩვენ ვთესავთ. ყოველთვის!

მახსოვს, წლების წინ დრენდას ძმასთან ერთად ვიჯექი და ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ვმსჯელობდით: ღმერთი კარგია და დამაჯილდოვებელი. მან მოგვცა სამეფო, რომელიც ჩვენს ყოველ საჭიროებას აკმაყოფილებს. სამეფოს ასეთი გაგება ახალი იყო ჯონისა და მისი მეუღლის, ქენდისთვის, რადგან ტრადიციული ეკლესიიდან იყვნენ, სადაც ჭეშმარიტება დიდად არ ისწავლებოდა.

იმ დროისთვის ცოლ-ქმარი ჯორჯიის შტატის სასკოლო განათლების სისტემაში მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო ჯონი შეთავსებით ჩემს ფინანსურ კომპანიაშიც იყო დასაქმებული, კერძოდ ფორვარდ ფაინენშლ გრუპში. ჩანდა, რომ მას ბიზნეს-საქმიანობა ბუნებრივად გამოსდიოდა. კომპანიაში მუშაობის პირველ წელს უფრო მეტად იქ იყო დაკავებული, ვიდრე სკოლაში, ამიტომ გადაწყვიტა მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა და მთლიანად ბიზნესის მიმართულებით ეშრომა.

თავდაპირველად, ჯონი შესანიშნავად მუშაობდა. იმ წელს მოგვიანებით შევნიშნე, რომ მისმა აქტიურობამ იკლო. მივხვდი, რომ ამ ტემპით დიდხანს ვერ გაძლებდა.

საშობაოდ მე და დრენდამ ჯორჯიაში წასვლა გადავწყვიტეთ. ჯონთან გარკვეული დროის მანძილზე დარჩენა მქონდა განზრახული, რომ დამედგინა ზოგიერთი მიზეზი, რის გამოც ნაყოფიერად ვერ შრომობდა იქ, სადაც სრული დროით იყო დასაქმებული. სანამ მას დავურეკავდი, აქეთ შემეხმიანა და მასთან შემოვლა მთხოვა ბიზნესზე სალაპარაკოდ. რასაკვირ-ველია, სწორედ ამისთვის ვიყავი მომზადებული.

შემეძლო მეთქვა, რომ ჯონი და ქენდი შეძრწუნებული იყვნენ. მათ უკვე ჰქონდათ მიმდინარე თვის $5 000-იანი საგადასახადო დავალიანება და არც მომავალი თვის $5 000-ის გადახდის საშუალება ჩანდა. როცა ჯონისთან სალაპარაკოდ დავჯექი, მისი პირველი სიტყვები ასეთი გახლდათ: „უბრალოდ, ეს არ მოქმედებს“. ვიცოდი, რომ სამეფოს გაგება სრულიად ახალი

იყო ჯონისა და ქენდისთვის და მივხვდი, რომ მათი განსწავლა მომიხდებოდა ამ საკითხის სულიერ დონეზე მოსაგვარებლად. მე ხომ ვიცოდი, რომ სამეფო ყოველთვის გამართულად მუშაობს! ამრიგად, ორი საათი დავყავი მათთან. სამეფოს კანონებს ვუხსნიდი და ვასწავლიდი, როგორ გამოეთავისუფლებინათ რწმენა. ლაპარაკისას ვიგრძენი, რომ შიში მიდიოდა და რწმენა იმატებდა. ვიცოდი, რომ ჯონი მზად იყო მომდევნო ნაბიჯის გადასადგმელად.

– ჯონი, – ვუთხარი მე, – თესლი უნდა დათესო ღმერთთან და ირწმუნო, რომ საჭირო თანხას მიიღებ.

ჯონი და ქენდი შეთანხმდნენ, მაგრამ ფული არ ჰქონდათ. ისე მოხდა, რომ ჯონის ხელფასი წამოვიღე სახლის ოფისიდან $160-ის ოდენობით. ვიცოდი, რომ ეს თანხა სჭირდებოდათ, მაგრამ ვურჩიე, დახარჯვის ნაცვლად დაეთესათ. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ $160 ვერ უშველიდა არსებულ $5 000-იან ვალს ან მომავალ $ 5 000-იან გადასახადს. ისინი დათანხმდნენ.

ის-ის იყო ლოცვა უნდა დაგვეწყო და რწმენა ერთად უნდა გამოგვეთავისუფლებინა, რომ ჯონის ვკითხე:

– რა თანხის მიღების რწმენა გაქვს?

როგორც კი ეს სიტყვები მოსწყდა ჩემს ბაგეებს, სულიწმიდამ შემაჩერა და მითხრა, რომ მისთვის პასუხის საშუალება არ მიმეცა და ვიცოდი რატომაც. ჯონი აუცილებლად იტყოდა, რომ $5 000-ის მიღება სურდა, რადგან სწორედ ეს თანხა სჭირდებოდა. ამის ნაცვლად, სულიწმიდამ მითხრა:

– ჰკითხე მას, $12 000-ის 30 დღეში მიღება საკმარისი თუ იქნება.

ასეც მოვიქეცი. შევაჩერე, რომ არაფერი ეთქვა და ვკითხე, საკმარისი იქნებოდა თუ არა $ 12 000-ის მიღება 30 დღეში. დავინახე, როგორ გაუფართოვდა თვალები, როცა უფლის მიერ დასახელებული რაოდენობა გაიგონა. ვიცოდი, რომ ჯონის ცხოვრებაში არ ჰქონდა ნაშოვნი თვეში 12 000 დოლარი. იგი ერთი წუთით ჩამოჯდა და თქვა, რომ შეეძლო ეს ერწმუნა. ქენდისაც იგივე კითხვა დავუსვი და ისიც დათანხმდა. ხელები ჩავჭიდეთ, იმ ქვითარს დავადეთ და 30 დღეში $12 000-ის მიღების რწმენა გამოვათავისუფლეთ.

სამი კვირის შემდეგ ჯონიმ დამირეკა. ბიჭოს, როგორ იყო აღტაცებული! გასულ სამ კვირაში ბიზნესისთვის საჭირო კონცეფციები საკმარისად დაეწერა ისე, რომ $2 000-ის ნაცვლად

$17 000 ეკუთვნოდა. მან თქვა, რომ ახლა უკვე ნამდვილი მორწმუნე გახდა.

სამწუხაროდ, ორი თვის შემდეგ, ჯონიმ ღამით შეხვედრიდან სახლში დაბრუნებისას წვიმიან გზაზე მანქანის მართვის კონტროლი დაკარგა. მისი ავტომობილი სრულიად გამოუსადეგარი გახდა, მაგრამ თვითონ გადარჩა. ავარიის შემდეგ ჯონიმ ვეღარ შეძლო მუშაობის გაგრძელება. ამ დროის განმავლობაში მან სახლის გამოსყიდვის უფლება დაკარგა და შერიფის აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. ჯონის $10 000 სჭირდებოდა სახლის დასახსნელად.

თუმცა ისე მოხდა, რომ ჯონიმ და ქენდიმ ოჰაიოში გადმოსვლა მოისურვეს, რომ ცათა სამეფოს სწავლებასთან ახლოს ყოფილიყვნენ, რამაც ასე შეცვალა მათი ცხოვრება. ამრიგად, მათ სახლის გაყიდვა გადაწყვიტეს, თუმცა იცოდნენ, რომ ერთ თვეში შერიფის აუქციონი დაიწყებოდა.

დრო გადიოდა, მაგრამ ნამდვილი კლიენტები არ გამოჩენილან. საჯარო გაყიდვამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა ერთი კაცი მოვიდა სახლის საყიდლად, მაგრამ მას მოთხოვნა ჰქონდა. კლიენტს სურდა გაეგო, შეინარჩუნებდა თუ არა ჯონი სახლს 30 დღის განმავლობაში იმ პირობით, რომ $10 000-ს ახლა გადაუხდიდა, ხოლო დარჩენილ თანხას – გარკვეული საქმეების მოგვარების შემდეგ.

ჯონი გაოგნებული დარჩა. მან იცოდა, რომ შერიფის აუქციონიდან სახლის გამოსახსნელად ნაღდი მყიდველი იყო საჭირო, რადგან საჯარო ვაჭრობა რამდენიმე დღეში გაიმართებოდა. მყიდველს სურდა ჯონისთვის $10 000-ის ჩეკი ადგილზევე გამოეწერა და მოგვიანებით, დარჩენილი თანხა მიეცა. ეს ზუსტად ის ოდენობა იყო, რაც მას სჭირდებოდა. ჯონიმ იცოდა, რომ ეს ღვთისგან იყო. აიღო $10 000-ის ჩეკი და სახლის დავალიანება გადაიხადა. ოჰ, ეს $10 000 იყო თანხა პრეისკურანტის ზევით.

ამრიგად, ჯონი და ქენდი ოჰაიოში გადმოვიდნენ და ნაქირავებ სახლში დასახლდნენ. ისინი ჩაერთნენ Faith Life-ად წოდებული ეკლესიის საქმიანობაში და ის ფინანსურ ბიზნესში უფრო მეტი შემართებით გადაეშვა. ახლა მათ ახალი პრობლემა გამოუჩნდათ. მხოლოდ ერთი მანქანა ჰყავდათ და ჯონის ის აუცილებლად სჭირდებოდა, რადგან კვირის მანძილზე უამრავ კლიენტს ხვდებოდა. მათ უკვე იცოდნენ, რა უნდა ექნათ. ჯონიმ

და ქენდიმ თესლი დათესეს ახალი მანქანისთვის და ლოცვისას ირწმუნეს, რომ მიიღებდნენ მარკოზის 11:24-ის თანახმად.

შემდეგ ყველაზე უჩვეულო რამ მოხდა. ჯონის ბავშვობის მეგობარმა დაურეკა ...

– ჯონი, ოდესმე გადამიხდია იმ ველოსიპედის გამო, მეექვსე კლასში რომ მომეცი? – ჰკითხა მან.

– არა, – უპასუხა ჯონიმ.

შემდეგ მეგობარმა უთხრა:

– კეთილი. ახლა მინდა გადაგიხადო. ერთ BMW-ს გიყიდი.

ბავშვობაში ორი ბიჭი ხშირად ლაპარაკობდა ავტომობილების შესახებ და მან იცოდა, რომ ჯონის ყოველთვის მოსწონდა BMW-ს მარკის მანქანები. მეგობარი სიტყვის ერთგული გამოდგა და ჯონის მანქანის შესაძენი თანხა გადმოურიცხა. თანხის მიღების შემდეგ მან გაიაზრა, რომ მზარდი ოჯახისთვის BMW-ს ავტომობილი არცთუ შესაფერისი იყო. მან და ქენდიმ გადაწყვიტეს, რომ ქენდისთვის საოჯახო სპორტული უნივერსალი (SUV) ეყიდათ, ხოლო ჯონის ბიზნეს-მოგზაურობებისთვის – პატარა ავტომობილი, რადგან ქენდის პატარა მანქანა, რომელსაც ისინი აქამდე იყენებდნენ, ძალიან დაძველდა და პრობლემები ჰქონდა. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

მახსოვს ის საღამო, როცა ჯონიმ დამირეკა. იგი თავის ახალ სპორტულ მანქანაში იჯდა საგზაო ნაწილზე და იქვე მეორე ახალი ავტომობილი ეყენა. აცრემლებული მეუბნებოდა, რა გაოგნებულ მდგომარეობაში იყო, როცა ცხოვრებაში პირველად გადაუხადეს ორი მანქანის საყიდელი ფული.

ჯონი ახალ ადამიანად იქცა. მან იცოდა, რომ ღმერთს ყველაფრის გაკეთება შეეძლო.

ერთ დღეს ის ჩემს ოფისთან მოვიდა და მითხრა, რომ დაიღალა ნაქირავებ სახლში ცხოვრებით. მას და ქენდის ფერმა უნდოდათ მიწის ნაკვეთით და ასეთს ეძებდნენ. მაშ ასე, ვიცოდი, რომ ჯონის კრედიტი საამისოდ არ გამოდგებოდა წინანდელი ავარიის გამო და ვურჩიე, უფრო დიდი ხნით დაექირავებინა სახლი, რომ ნაღდი ფული შეეგროვებინა. ამ დროის განმავლობაში მისი საკრედიტო ლიმიტიც ზევით აიწევდა. ჩანდა, რომ ჯონიმ დიდი ყურადღება არ მიაქცია ჩემს ნათქვამს.

შემდეგ მითხრა, რომ ერთი გასაყიდი ფერმა ნახა ჩემი ქუჩის დაბლა და მისი ყიდვის შესაძლებლობის შემოწმება სურდა. იმ დროს იპოთეკური კომპანია მქონდა და რა თქმა უნდა, ვიცოდი,

რომ ჯონისთვის მისი ყიდვის არანაირი გზა არ არსებობდა. ისიც ვიცოდი, რომ ამხელა შენაძენისთვის პირველადი შენატანის ფულიც არ ჰქონდა.

გაოგნებული დავრჩი, როცა ერთი კვირის შემდეგ ჩემს ოფისში მოვიდა ყურებამდე გაღიმებული და მითხრა, რომ ფერმა მისი იყო. ამის გაგონებაზე მივხვდი, რომ ეს ამბავი კარგად უნდა მომესმინა. რასაკვირველია, ჯონიმ და ქენდიმ დათესეს ღვთის საქმეში, როგორც ისწავლეს და რწმენით ელოდნენ ლოცვის შედეგს. შემდეგ მან ამიხსნა, რა მოხდა.

ის ბანკში მივიდა იმის გასარკვევად, შეეძლო თუ არა შეძენა. მენეჯერმა მისი საკრედიტო ისტორია ნახა, გვერდით დაუჯდა და უთხრა:

– ჯონი, შენ კრედიტის საკითხი გაინტერესებდა. სამწუხაროდ, ვერაფრის ყიდვას ვერ შეძლებთ.

თუმცა მენეჯერმა რაღაც უცნაური უთხრა. მან საკრედიტო ფაილი გევრდზე გასწია და თქვა:

– და მაინც, მომეწონეთ. ნება მომეცით, ვნახო, რა შემიძლია გავაკეთო.

გრძელი ამბავი რომ შევამოკლოთ, ბანკმა 100 %-ით დაფარა მისი შენაძენი ოთხი თვის ვადით, სანამ წინანდელი კრედიტის გადახდის ვადა არ ამოიწურებოდა, რომ შემდეგ ეს ახალი კრედიტი შესულიყო ძალაში; მისი მანქანის ავზი გაზის საწვავით აავსო, გადაიხადა საკუთრების დარჩენილი გადასახადი და დასასრულს, ჯონის ხელზე მისცა 5 000 $-ის ჩეკი, რომ მესრის ბეტონის კედელზე არსებული ბზარი ამოევსო.

გაშეშებული ვიჯექი და ჯონის ვუსმენდი სამეფოს ამბის მოყოლისას.

– ოჰო! – ერთადერთი ამის თქმა მოვახერხე.

ერთი თვის შემდეგ ჯონიმ მითხრა, რომ თესლი დათესა ფორდის ტრაქტორისთვის. მან გადაწყვიტა, რომ ტრაქტორი სჭირდებოდა თავისი ახალი ფერმისთვის და ძალზე განსაკუთრებული თესლი დათესა ფორდის ფირმის დიზელის ტრაქტორისთვის. ისევ გეტყვით, რომ ის ჩემთან მუშაობდა და ტრაქტორების ფასების გათვალისწინებით ვიცოდი, რომ მას ამხელა თანხა არ ჰქონდა.

რა თქმა უნდა, რამდენიმე კვირის შემდეგ გზაზე გავიხედე და დავინახე, როგორ მიჰყავს ჯონის სახლისკენ ცისფერი ფორდის ფირმის დიზელის ტრაქტორი. როცა ვკითხე, სად და

როგორ იშოვა ტრაქტორი, მითხრა, რომ ეკლესიაში შემთხვევით ერთი ქალი მასთან მივიდა და ჰკითხა, ვინმეს ხომ არ უნდოდა ტრაქტორი. მათი ოჯახი მშობლემის ფერმის გაყიდვას აპირებდა და იმ ტრაქტორის თავიდან მოშორებას ცდილობდნენ. ჯონიმ უთხრა, რომ თავად იყო დაინტერესებული მისი შეძენით.

ერთი სიტყვით, ქალმა დააიმედა, რომ საფასურზე არ ენაღვლა და მაშინ გადაეხადა, როცა შეძლებდა. მათ არ ეჩქარებოდათ. ამრიგად, ჯონმა თავისი ტრაქტორი მიიღო.

მისი წარმატებები გრძელდებოდა. მომდევნო თვეს $72 000-ის გამომუშავება შეძლო სულ რაღაც ერთ თვეში. ჯონის რომ ჰკითხოთ, როგორ მოხდა ეს, გეტყვით, რომ ღვთის საქმეში გულუხვობის გამოჩენით და ცათა სამეფოს კანონების ცოდნით მოხდა.

რა საოცარი ამბავია! ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ვიჯექით ჯონისა და ქენდისთან ერთად ჯორჯიაში, მათ სახლში ერთ საღამოს და ღვთის სამეფოს კანონებს ვუზიარებდი. ისინი მეტისმეტად შეწუხებული იყვნენ წინა თვის გადაუხდელი $ 5 000 -იანი გადასახადის გამო და შობას ისე ხვდებოდნენ, რომ მომავალი თვის იმდენივე თანხის გადახდის საშუალებაც არ უჩანდათ. ვფიქრობ, გაინტერესებთ, რა ვუთხარი მაშინ მათ.

ვიცოდი, რომ უბრალოდ უნდა დავხმარებოდი ღვთის დანახვაში მათ თავზე შემოჯარული გარემოებების ბურუსში. დავიწყე იმის ჩვენებით, თუ რას ამბობს 2 კორინთელთა 9:10-11 მუხლები:

> *„ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს“.*

მივუთითე პავლეს ნათქვამზე, რომ ღმერთი არა მარტო თესლით უზრუნველყოფდა, არამედ პურსაც მისცემდა ოჯახის საჭიროებებისთვის. პურში იგულისხმება ყველაფერი, რაც პირადად სჭირდებოდათ ცხოვრებაში. ის გაზრდის თქვენს უნარს, რომ უფრო მეტი გაიღოთ. ეს ნიშნავს, რომ ზრდას აქვს ადგილი.

კიდევ ვიმეორებ, რა სახის შიში მოდის გაცემისას? რომ თავად არ გეყოფა სახსრები.

ყურადღება მიაქციეთ, რას ამბობს ღმერთი. ის აძლევს თესლს მთესველს და პურს – საჭმელად. ახლა ისმის ძალზე მნიშვნელოვანი კითხვა და ეს ის კითხვა იყო, რომელიც ჯონის დავუსვი.

თქვენს ხელთ არსებული თესლია თუ საჭმელი? ეს თქვენი გადასაწყვეტია.

დედაჩემის მამა, ჩემი ბაბუა, მთელი ცხოვრება ფერმერი იყო. მახსოვს პატარაობაში როგორ ვთამაშობდი მისი თესლების ფურგონში. ალბათ, თესლის ფურგონის შესახებ არასოდეს გსმენიათ. ეს მიღებული ტერმინიც კი არ არის, მაგრამ ასე იყო ბავშვობაში, როცა ბაბუასთან ვიზრდებოდით. იცით, ყოველ წელს მოსავლის აღების დროს, ბაბუა ბეღელში მდგარ ფურგონს თესლით ავსებდა. მომდევლო წელს მარცვლეულის მოსავლის მისაღებად საჭირო მცენარეთა თესლები სწორედ იქ ინახებოდა.

ზამთრის თვეებში ბაბუა უყურებდა ხოლმე იმ დიდ ფურგონს, რომელიც სავსე იყო სოიოს მარცვლებით და იცოდა, რომ ჰქონდა მათი გაყიდვის ან გაზაფხულისთვის დასათესად შენახვის არჩევანი დიდი მოსავლის მისაღებად. მას ჰქონდა არჩევანი, მაგრამ დარწმუნებით იცოდა თესვა-მკის კანონები და მათ მიანდო თავისი ცხოვრება.

ჯონისა და ქენდის იგივე გადაწყვეტილების მიღება მოუწიათ, როცა ხელში 160 $-ის ჩეკი ეჭირათ. მათ ნამდვილად შეეძლოთ ამ თანხის გამოყენება მიმდინარე საჭიროებისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად ამჯობინეს, გულუხვობა გამოეჩინათ ღვთის მიმართ უფრო დიდი მოსავლის მიღების იმედით და ხანგრძლივი პერსპექტივით. და მათ სწორად გადაწყვიტეს.

„ზოგი ხელგაშლილია, მაგრამ გამუდმებით ემატება, ზოგი ხელმოჭერილია, მაგრამ მაინც უჭირს“.

– იგავები 11:24

სანამ ამ თავს დავასრულებდეთ, კიდევ ერთი იგავის მოყვანა მინდა. გადავხედოთ მათე 25:14-30 მონაკვეთს, სადაც ლაპარაკია ტალანტებზე.

„ვინაიდან ეს ისე მოხდება, კაცმა რომ გამგზავრებამდე მოუხმო თავის მონებს და თავისი ქონება ჩააბარა. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და წავიდა. ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იშრომა და დამატებით ხუთი მოიგო. ორის მიმღებმაც ორი სხვა მოიგო, ხოლო ერთის მიმღები წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა იმ მონების ბატონი და ანგარიში მოჰკითხა მათ. მივიდა ხუთი ტალანტის მიმღები, სხვა ხუთი ტალანტიც მიუტანა და უთხრა: ბატონო, ხუთი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა სხვა ხუთი ტალანტიც მოვიგე. უთხრა მას მისმა ბატონმა: კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ. შედი შენი ბატონის სიხარულში. მივიდა ორი ტალანტის მიმღები და უთხრა: ბატონო, ორი ტალანტი რომ ჩამაბარე, აჰა, სხვა ორი ტალანტიც მოვიგე. უთხრა მას ბატონმა: კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ! მცირედზე ერთგული იყავი, მრავალზე დაგაყენებ; შედი შენი ბატონის სიხარულში. მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს. მაშინ მიუგო ბატონმა პასუხად: ბოროტო და უქნარა მონავ! იცოდი, რომ ვიმკი, სადაც არ დამითესავს, და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია; ამიტომ ჩემი ვერცხლი ვაჭრებისთვის უნდა მიგეცა და დაბრუნებისას სარგებლითურთ მივიღებდი ჩემსას. ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს. ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს. ეს უსარგებლო მონა კი გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა“.

– მათე 25:14-30

ეს ამბავი ჩვენთვის ნაცნობია. ბატონი ქალაქიდან მიდის და სამ მსახურს ტოვებს პასუხისმგებელ პირებად. ერთს ოქროს ხუთ ტომარას უტოვებს, მეორეს – ორს, ხოლოს მესამეს – ერთს.

პირველი ორი მაშინვე შეუდგა შრომას და დატოვებული ტალანტები გაორმაგა. ბატონი მათ აქებს გაწეული საქმისთვის. თუმცა ამჯერად მესამე მსახურზე გავამახვილოთ ყურადღება. მას ერთი ტომარა ოქრო მისცეს, მაგრამ არაფერი მოიმოქმედა. ფაქტობრივად, დამარხა ბატონის დაბრუნებამდე.

> *„მივიდა ისიც, რომელმაც ერთი ტალანტი მიიღო და უთხრა: „ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია. შემეშინდა, წავედი და მიწაში დავფალი შენი ტალანტი. აჰა, შენი შენვე გქონდეს“.*

კარგად დააკვირდით პირველ წინადადებას: *„ბატონო, ვიცოდი, რომ მკაცრი კაცი ხარ - იმკი, სადაც არ დაგითესავს, და კრეფ, სადაც არ დაგიბნევია“.*

ამით რის თქმა სურს მას? გეტყვით, ზუსტად რას ამბობს მსახური. მისი დამოკიდებულება ასეთია: „რატომ უნდა ჩავერთო შენს საქმეში? თუ იქ იმკი, სადაც არ დაგითესავს, ვინ გადაიხდის თესლის ფულს და ვინ მიმოაბნევს მას? ვინ გაწევს მთელ ამ შრომას?“

ახლა ვხვდებით, რომ ბატონმა მას თესლის საყიდელი ფული მისცა, მაგრამ მან ჩათვალა, რომ ეს საქმე მისი დროის დაკარგვად არ ღირდა. მისთვის ეს მომგებიანი არ იყო. მთელი მოგება, შრომის შედეგი ბატონთან მივიდოდა. მას ბატონი მკაცრ ზედამხედველად მიაჩნდა, ამიტომ უარი თქვა მის საქმეში მონაწილეობაზე. იგი უკმაყოფილების ნამდვილი მიზეზის დაფარვას შეეცადა და განაცხადა, რომ ფულის შენახვა მისი დაკარგვის შიშმა აიძულა და დაცვის მიზნით დამარხა. ბატონმა მისი ტყუილი გამოააშკარავა და უთხრა, რომ სულ მცირე, ბანკის ანგარიშზე მაინც უნდა განეთავსებინა თანხა მოგების მისაღებად, თუ ფულის დაცვა იყო მისი მთავარი მიზანი.

არა, იმ მსახურს ოქრის დაკარგვა დიდად არ ადარდებდა; მას უფრო ის საფასური აღელვებდა, რაც საქმეში ჩართვას მოყვებოდა. მას ბატონზე დამახინჯებული და ბოროტი წარმოდგენა ჰქონდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ბატონი სულაც არ იყო მკაცრი ზედამხედველი. სხვა ორმა მონამ დაწინაურება მიიღო და ბატონის თანხების წარმატებით განკარგვის შემდეგ მისი ქონებით გახარების პატივი ერგოთ.

მესამე მსახურმა ბატონზე არასწორი წარმოდგენის გამო უარი თქვა მონაწილეობის მიღებაზე. და ეს სწორედ ის არის, რასაც რელიგია გვასწავლის – ღმერთი მკაცრი ზედამხედველია და მასთან თანამშრომლობას მოგება არ მოაქვს. ამიტომ, რა აზრი აქვს მის საქმეში ჩართვას?

ღმერთზე ასეთი შეხედულება სრულიად დამახინჯებული და არასწორია. მისთვის უსამართლოს წოდება ბოროტებაა. ღმერთი სწორედ რომ საწინააღმდეგო ბუნებისაა. ის კეთილი და უხვად დამაჯილდოვებელია.

ახლა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. კარგად დავაკვირდეთ, რას უშვება ბატონი ბოროტი მონისთვის გამორთმეულ ოქროს.

> *„ამიტომ წაართვით მაგას ტალანტი და მიეცით ათი ტალანტის მქონეს. ვინაიდან ყოველ მქონებელს მიეცემა და ჭარბად ექნება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს. ეს უსარგებლო მონა კი გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა“.*

სწორად წავიკითხე? ბატონმა უსარგებლო მონას ერთი ტომარა ოქრო წაართვა და მისცა ათი ტომრის და არა ოთხი ტომრის მქონეს? დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს სწორი პოლიტიკა იყო, მაგრამ ზუსტად ეს გააკეთა. **ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ!!!!**

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲘᲓᲔᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲜᲐ ᲣᲓᲔᲕᲗ ...

ღმერთი თავის დიდებულ იდეებსა და დავალებებს იმ შვილებს აძლევს, რომლებსაც გონებაში მისთვის სარგებლობის მოტანა უდევთ და ჯერ პატარა-პატარა საქმეებში დაუმტკიცეს ერთგულება და რწმენა.

ღმერთი უგუნური როდია. იგი იქ დააბანდებს თავის თანხას, სადაც მაქსიმალურ მოგებას მიიღებს.

გთხოვთ, დაფიქრდეთ ჩემს ნათქვამზე – ღმერთი იქ დააბანდებს თავის თანხას, სადაც მაქსიმალურ მოგებას მიიღებს!

ახლა უნდა ითქვას, რომ ღმერთს აქვს არა *ფულადი*, არამედ *ადამიანთა* ბიზნესი. და თუ მას ერთგულად და გულმოდგინებით

ვემსახურებით, დაგვაწინაურებს და კეთილგანწყობით გვიბოძებს მის სიკეთეებს.

დიახ, ღმერთს გარკვეული გაგებით გამორჩეულები ჰყავს, რომლებსაც სხვადასხვა დავალებებს აძლევს. ამ ადამიანებმა ერთგულება დაუმტკიცეს და ახლა უფრო დიდ და მეტი საზღაურის მომტან საქმეებს იღებენ მისთვის.

ყურადღება მიაქციეთ ორი წარმატებული მსახურის დამოკიდებულებას – ისინი მყისვე საქმეში ჩაერთნენ და ბატონის ფული აამოქმედეს. რატომ მყისვე? იმიტომ, რომ ეს იყო *შესაძლებლობა* და არა მონობის ტვირთი.

ღვთის ერში ბევრი ფიქრობს, რომ მისი საქმე მძიმე და მოსაწყენია; რომ ეს შესასრულებელი მოვალეობაა და არა შესაძლებლობა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს.

როცა მე და დრენდა Now Center-ის კამპუსს ვაშენებდით, გადაწყვეტილება უნდა მიგვეღო. იმ დროს 300 ადამიანისგან შემდგარ ეკლესიას წარმოვადგენდით. გადავწყვიტეთ, რომ მუდმივი და უფრო დიდი სახლი აგვეშენებინა მორწმუნეთა მზარდი რაოდენობის გათვალისწინებით.

დავგეგმეთ, რომ მაქსიმალურად დიდი თანხები მოგვეზიდა, დაახლოებით, 6 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტისთვის. იმ დროს ეს ჩვენთვის წარმოუდგენელი თანხა იყო. გეგმის თანახმად, ძირითად ინფრასტრუქტურას 4.2 მილიონი დოლარი უნდა დათმობოდა, ხოლო დარჩენილი 2 მილიონი – მოწყობას. შენება უნდა წარმართულიყო თანხების შემოსვლის კვალდაკვალ.

ეს არ იყო ჩვენი პირველი გამოცდილება, როცა ღვთიური პროექტების მხარდასაჭერად ხელგაშლილობა უნდა გამოგვეჩინა, მაგრამ იმ დრომდე განხორციელებულთაგან უდიდესი გახლდათ.

იმ მსახურთა მსგავსად, რომლებიც დარწმუნებული არიან ღვთის სიკეთეში, მაშინვე მოვინდომეთ თანხების მოზიდვის საქმეში მონაწილეობა და გვინდოდა იმ დონის შესაწირი გაგვეღო, რომელიც ღვთის მიერ ჩვენთვის ნათქვამის მიმართ რწმენასა და მორჩილებას მოითხოვდა.

იმ დღეს, როცა მთელმა თემმა განაცხადა, რის გაღებას აპირებდნენ პროექტის განსახორციელებლად, მე და დრენდამ 200 000 დოლარის გაღების პირობა მივეცით. იმ დროისთვის ამხელა თანხა არ გვქონდა, მაგრამ გვქონდა საწყისი $20 000, რომლის დათესვაც გვინდოდა დარჩენილი ბალანსის შესავსებად.

ადრინდელი შემთხვევებიდან ვიცოდით, რომ ღმერთი გვაჩვენებდა სად და როგორ მიგვეღო საჭირო თანხა ისე, რომ ჩვენთვისაც საკმარისი დაგვრჩენოდა.

დათესვის შემდეგ დავიწყეთ სულიწმიდით ლოცვა იმ მიმართულებისა და მითითებების მოლოდინში, თუ საიდან და როგორ უნდა მიგვეღო დარჩენილი თანხა. საბაზისო ცოდნისთვის, თუ როგორ მოვიდა ჩვენამდე ხსენებული ფინანსები, საჭიროა გითხრათ, რომ ფინანსურ კომპანიას ვფლობთ აგერ უკვე 39 წელია. ის სხვადასხვა მომწოდებლებისა და პროფესიონალების დახმარებით მუშაობს, როგორც ადრე გითხარით. ყველაზე დიდ მომწოდებლებს ყოველწლიური კონვენციები და შეხვედრები აქვთ თავიანთ კლიენტებთან.

იმ კონკრეტულ წელს ერთმა მომწოდებელმა მე და დრენდა ლონდონში, ინგლისში მიგვიწვია ყრილობაზე. ლონდონის ცენტრის ერთ მშვენიერ სასტუმროში გავჩერდით. მართლაც ლამაზი იყო, როგორც ლონდონში იტყვიან.

ერთი სიტყვით, კომპანიას ღონისძიება ჰქონდა ქალაქის მეორე ბოლოში და ვიცე-პრეზიდენტმა მე და დრენდას იქამდე კებით მისვლა შემოგვთავაზა, რაც სიხარულით მივიღეთ. მგზავრობისას ვიცე-პრეზიდენტმა მადლობა გადაგვიხადა ყველა იმ ბიზნესისთვის, რომელსაც მას ვუგზავნიდით და ახალი საბონუსე პროგრამის შესახებ გვიამბო, რომლის ჩაშვებას იმ წელს აპირებდნენ.

ამ ქალბატონმა აგვიხსნა, როგორ მუშაობდა ის და როგორი იყო საბონუსე სტრუქტურა, რომლითაც ხელშემწყობებს დააჯილდოვებდნენ მათი პროდუქციის რეკომენდაციისთვის. აღტაცებული ვუსმენდი მას, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს ბიზნესს საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ იმ საბონუსე სისტემაში მონაწილეობა მიეღო.

ამის შემდეგ მეტი დეტალის შეტყობა მოვინდომე, მაგრამ მან მკვეთრად გამოგვიცხადა, რომ ჩვენი კომპანია ვერ მიიღებდა მონაწილეობას საბონუსე პროგრამაში მის კომპანიასთან ჩვენი ურთიერთობის სტრუქტურიდან გამომდინარე.

ნათქვამის დაჯერება შეუძლებელი იყო. რატომ წამოიწყო ამ ყველაფრის მოყოლა და დიდებული გეგმის გამხელა, თუ ბოლო წუთს გამომაცლიდა ხელიდან? ვერც იმას ვხვდებოდი, რა სტრუქტურით იყო აგებული მის კომპანიასთან ჩვენი თანამშრომლობა, რომ ბონუსის მიღება გვეკრძალებოდა.

მომდევნო კითხვები დავუსვი, მაგრამ მან არც ერთზე არ გამცა ამომწურავი პასუხი. ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცოდი, ეს იყო ჩემი გამორიცხვა საბონუსე სისტემიდან. ეს მან ნათლად გაგვაგებინა.

ერთი წელი გავიდა. ჩვენი პროდუქცია კარგი იყო იმ წელს და გადავწყვიტე ვიცე-პრეზიდენტისთვის დამერეკა და ბონუსის შესახებ გამომეკითხა. ისე მოხდა, რომ მას ვერ დავუკავშირდი და ჩემი სათქმელი მის ასისტენტს შეტყობინების სახით დავუტოვე.

მეორე დღეს ასისტენტმა დამირეკა და მკაცრი ტონით მითხრა, რომ ვიცე-პრეზიდენტმა გასულ წელს ყველაფერი ამიხსნა და დასამატებელი არაფერი ჰქონდა.

ხედავთ?! ღმერთი აჯილდოვებს! და ღვთის საქმეში ხელგაშლილობას მოგება მოაქვს.

კეთილი, – ვიფიქრე მე, – *ხომ ვცადე მაინც.*

ამრიგად, დავიწყე ლოცვა, სად უნდა მეშოვა დარჩენილი 180 000 დოლარი, როცა გავიგონე, როგორ მეუბნებოდა სულიწმიდა, რომ ისევ დამერეკა ვიცე-პრეზიდენტთან და ბონუსის შესახებ მეკითხა. მინდა გითხრათ, რომ მისი ნათქვამი აღტაცებით არ მიმიღია. ორი წლის მანძილზე ვთხოვდი მას და უკვე ვიცოდი მისი პოზიცია. მან მკაფიოდ გამოხატა თავისი აზრი. გადავწყვიტე, ელ. ფოსტით დავკავშირებოდი, ასე ვთქვათ, ფონის მოსასინჯად.

შვიდი დღის შემდეგ მისი წერილი მივიღე, სადაც ჩემდა გასახარად ნათქვამი იყო, რომ დაფიქრდა და ჩვენი კომპანიისთვის ბონუსის მიცემა გადაწყვიტა. საოცარია, რომ ბონუსი ზუსტად $200 000 გახლდათ! ახლა იწყება ამ ამბის საუკეთესო ნაწილი. კონტრაქტის ცვლილება 14 წელს მოიცავდა და იქედან მოყოლებული ყოველწლიური 200 000 დოლარი გვერიცხებოდა.

ხედავთ?! ღმერთი აჯილდოვებს! და ღვთის საქმეში ხელგაშლილობას მოგება მოაქვს.

ამრიგად, რა დაგვიჯდა მე და დრენდას 200 000 დოლარის დათესვა?

ხუთი წელი გავიდა და გადავწყვიტეთ, რომ ეკლესიას მეტი თანხის მოზიდვა სჭირდებოდა რამდენიმე საქმის დასასრულებლად და მოწყობილობის საყიდლად.

ისევ გადავწყვიტეთ მე და დრენდამ, რა თანხა დაგვეთესა ამ პროექტების განსახორციელებლად. შევთანხმდით $500 000-ზე.

ოჰო! ეს ხომ დიდი ფულია! და მაინც, ვიგრძენით, რომ შეგვეძლო ღვთის ნდობა მას შემდეგ, რაც წინა $200 000-თან დაკავშირებით გააკეთა. დავთესეთ იმდენი, რამდენიც შეგვეძლო და ეს $50 000-ს შეადგენდა. ისევ ვერწმუნეთ სულიწმიდას, რომ ეჩვენებინა, სად და როგორ მიგვეღო დარჩენილი $450 000.

ვფიქრობ, დაახლოებით, ექვსი კვირა გავიდა და შეტყობინება მივიღე, რომ მოსალოდნელი იყო რამდენიმე საკონტრაქტო ცვლილება, თუ როგორ უნდა გადაეხადათ ჩვენი კომპანიისთვის. ცვლილებების დაანგარიშების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში, დაახლოებით $630 000-ით მეტს გადაგვიხდიდნენ, ვიდრე იქამდე. საკმაოდ შთამბეჭდავია, არა? კეთილი, კიდევ იცით რა? ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც ახლა ხორციელდებოდა, კიდევ 11 წელი იქნებოდა ძალაში და ყოველ მომდევნო წელს ასეთი გაზრდილი ცვლილებების კურსით გადაგვიხდიდნენ.

ისევ ვიმეორებ, რამდენი დაგვიჯდა მე და დრენდას თესვა და ღვთის პროექტებში ხელგაშლილობის გამოჩენა?

ამრიგად, გახსოვდეთ, რომ ღმერთი მოგების ღმერთია. ის კეთილი და დამაჯილდოვებელია.

თავი 3
საკმარისი კვალიფიკაცია გაქვთ?

ვფიქრობ, ყველასთვის ცნობილია საშობაო ისტორია და სამი მეფე, რომლებმაც იესოს ოქრო, გუნდრუკი და მური მიუტანეს. ოდესმე გიფიქრიათ, რა ფასი ექნებოდა ამ ნივთებს? უფრო მართებული იქნებოდა კითხვა: „რატომ მიუტანეს, პირველ რიგში, სწორედ ეს ნივთები?“

კეთილი! გარკვეული კვლევების შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ამ სახის საჩუქრები უფლისწულებთან მიჰქონდათ, რადგან ისიც მომავალი მეფე იყო.

საუკეთესო შეფასებით, ამ ნივთების ღირებულება ერთიდან რამდენიმე ასეულ ათას დოლარამდე იქნებოდა.

როგორც ჩანს, ბრძენებმა კარგად შეისწავლეს წმიდა წერილი და წინასწარმეტყველებები მომავალი მესიის შესახებ და ვარსკვლავის გამოჩენით შეიტყვეს რა მისი მოსვლის შესახებ, ხანგრძლივ მოგზაურობას შეუდგნენ ძღვენის მისართმევად.

იესოს ბაგაში ნახვის კონცეფცია არასწორია, თუმცა ჩვენს საშობაო სპექტაკლებში ასეა წარმოდგენილი. ეს მათეს მონათხრობიდან ვიცით.

> *„შიგნით რომ შევიდნენ, დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან ერთად, და დამხობილებმა სცეს მას თაყვანი; გახსნეს თავიანთი საუნჯენი და მიართვეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური“.*
>
> – მათე 2:11

მათ იესო სახლში ნახეს და არა ბაგაში. ტექსტი მიგვანიშნებს, რომ იესო პატარა ბავშვი იყო და არა ახალშობილი. ამრიგად, გარკვეული დრო გავიდა, სანამ ბრძენები აქამდე მოაღწევდნენ.

მეორე, დანამდვილებით არავინ იცის, რამდენი ბრძენი მოვიდა. ბიბლია მათი რაოდენობის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ ის კი ვიცით, რა მოიტანეს. იმ დროისთვის ოქროზე მეტად ნელსურნელება და მური ფასობდა, ამიტომ მათი საჩუქრები მეტისმეტად ძვირფასი იყო.

რატომ წამოვჭერი ეს საკითხი? ნება მომეცით, გკითხოთ, თქვენი აზრით, რატომ მოიტანეს ბრძენებმა ეს ძღვენი?

გეტყვით, რატომაც – იოსებს თავისი დავალების შესასრულებლად სახსრები სჭირდებოდა.

გაიხსენეთ ...

ღმერთი ყოველთვის აფინანსებს თავის დავალებებს – ყოველთვის!

Faith Life ეკლესია გადავსებული იყო. სავსე იყო უქმეებზე, სავსე იყო კვირის დღეებში, როცა 200-ზე მეტ ბავშვს ვასწავლიდით, სავსე იყო პატარა ჯგუფებით და თანამშრომელთა შტატით. მეტი ფართი გვჭირდებოდა. დავიწყეთ ფიქრი, მეორე კამპუსი იყო საჭირო თუ არსებული შენობის გაფართოება. გადავწყვიტეთ, ერთდროულად ორივე მიმართულებით გვემოქმედა.

ამრიგად, შევკრიბეთ გუნდი კამპუსისთვის ადგილის მოსაძიებლად და გავუშვით ქალაქის იმ მხარეს, რომელიც ჩვენი აზრით, პირველ ეტაპზე უნდა დაგვეთვალიერებინა.

ამასთან ერთად დავიწყეთ შენობის დიზაინის, საინჟინრო კვლევებისა და გაფართოების სხვა სამუშაოებისკენ პირველი ნაბიჯების გადადგმა. დავიქირავეთ არქიტექტორი და მშენებელი და შენების გამოცდილების მქონე მრჩეველთა გუნდთან ერთად შევიკრიბეთ.

დაგეგმილი სამუშაოების გარდა რამდენიმე სერიოზული პრობლემაც აღმოვაჩინეთ. მათგან უდიდესი იყო კანალიზაციისა და წყლის მიწოდების სისტემის არქონა არსებულ შენობაში. იმ დროისთვის ჭის წყალს და ავტონომიურ ასენიზაციურ-სანიტარულ სისტემას ვიყენებდით.

ოლქის ხელისუფლებამ უკვე გვითხრა, რომ ჩვენს 36-აკრიან ფართობზე დამატებითი შენობების აგება გვეკრძალებოდა, თუ კამპუსს ქალაქის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო

სისტემას არ მივუერთებდით, რადგან არსებულ ვითარებაში სხვაგვარად დაუშვებელი იყო. ვიცოდით, რომ ეს სამუშაოები მიმდინარეობდა. ჩვენს ირგვლივ ბევრი ახალი შენობა აიგო და დარწმუნებული ვიყავით, რომ მალე წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მილები საკმაოდ მოგვიახლოვდებოდა ჩვენი შენობის დასაერთებლად.

გამოვარკვიეთ, რომ წყალი და კანალიზაცია ჯერ ჩვენს ქუჩამდეც კი არ მოუყვანიათ და ეს არ გახლდათ, უბრალოდ, დაერთების პრობლემა. მილები ჩვენამდე არც იყო მოსული.

დავიწყეთ შემოთავაზებების მიღება ჩვენს შენობამდე წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოყვანაზე. ჩვენ გადავიხდიდით, მაგრამ უბნის განვითარების კვალობაზე სისტემაზე დაერთების საფასურად გაწეულის ხარჯების დიდ ნაწილს უკან ამოვიღებდით. არ მკითხოთ, რამდენი მოგვთხოვეს ამის გაკეთებაში.

ისევ ქალაქის პროექტებს მივუბრუნდით და მათი გეგმები და გრაფიკები შევისწავლეთ. იმედი გვქონდა, რომ მალე ეს მომსახურებები ხელმისაწვდომი გახდებოდა ან გაყვანის თარიღებს ცოტათი მაინც მოაახლოვებდნენ, რადგან განვითარებად არეალში ვიმყოფებოდით და ბოლოს მაინც მოუწევდათ ჩვენამდე მოსვლა. აღმოჩნდა, რომ ეს ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული. იცით რა გვითხრეს, როდის იქნებოდა შესაძლებელი ამ მომსახურებებით სარგებლობა? არც ისე მალე.

ვიცოდით, რომ წლობით ვერ დაველოდებოდით წყლისა და კანალიზაციის გაყვანას ჩვენს ტერიტორიაზე, ამიტომ არსებული შენობის გაფართოება დროებით გადავიფიქრეთ და კამპუსისთვის ადგილის მოძიება პრიორიტეტად დავისახეთ (იმ შეკრებიდან ამ წიგნის დაწერამდე ოთხი წელი გავიდა და ქალაქის მესვეურთაგან ჯერაც არაფერი ისმის კანალიზაციის გაყვანის ვადებზე ჩვენს რაიონში).

ღმერთი ყოველთვის აფინანსებს თავის დავალებებს _ ყოველთვის!

იცით, ჩვენი გუნდი ექვს თვეს ეძებდა კამპუსისთვის გამოსადეგ ადგილს, მაგრამ უშედეგოდ. ჩანდა, რომ შესაბამისი აღწერილობის მქონე შენობები, არც გასაქირავებლად და არც საყიდლად არ იშოვებოდა. ამრიგად, უქმე დღეებში ღონისძიებების მოსაწყობი ცენტრის დაქირავება გადავწყვიტეთ ჩვენს არეალში, რომლის ღირებულება თვეში $30 000 იყო. გარდა ამ

ხარჯისა, ყოველ კვირას უნდა დაგვეწყო და ისევ აგველაგებინა მოწყობილობები. ნამდვილად არ მინდოდა ჩემი ხალხის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება. კარგი იქნებოდა მუდმივი ადგილის ფლობა, რომელიც ყველთვის ჩვენს განკარგულებაში იქნებოდა. გულში მშვიდობა არ გვქონდა ამ ცენტრის დაქირავებასთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ მცირე სავაჭრო პასაჟში ადგილის იჯარით აღება მოვინდომეთ, მაგრამ ყველა შესაკეთებელი სამუშაოსა და ცვლილების გათვალისწინებით, რაც მის გამოსაყენებლად იყო საჭირო, ამ პროექტზეც უარი ვთქვით.

შენობის მოძიებაში ერთ-ერთი საბაზისო მოთხოვნა იყო მთელი წლის მანძილზე ბავშვთა განათლების მხარდაჭერის შესაძლებლობა. ეკლესიაში ასობით ოჯახია, რომლებიც სახლის პირობებში ასწავლის შვილებს და ჩვენ არა მარტო თანამშრომლობას, არამედ ყოველკვირეულ მეცადინეობებსაც ვმასპინძლობთ. ბევრჯერ გვისაუბრია, რომ კარგი იქნებოდა საკუთარი სკოლის ქონა, დღიურად მოვლის ცენტრი, სკოლის შემდგომი პროგრამა და მრავალი სხვა, რაც ჩვენს ადგილობრივ საზოგადოებას მოემსახურება. სწორედ ამის საკეთებლად გვინდოდა ადგილის შერჩევა. დავთესეთ იმ შენობის მისაღებად და დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი საჭიროებისთვის გამოსადეგ შენობას ვიპოვიდით, მაგრამ ის არა და არ ჩნდებოდა.

მე და დრენდა ტექსასის შტატის ქალაქ ფორტ-უერსში ახალი სატელევიზიო ქსელის, *გამარჯვების* მხარდასაჭერ შეკრებაზე უნდა წავსულიყავით. იქ ყოფნისას გადასაღებ მოედანზე ვიჯექი, როცა უფალი დამელაპარაკა. მან მითხრა: „*მინდა, რომ ამ ქსელისთვის $100 000 დათესო. სახლში დაბრუნდი შენს ეკლესიაში, გამოწერე ეს ჩეკი, დაიჭირე ყოველ მსახურებაზე და გამოაცხადე, რომ ეს არის თესლი სრულყოფილი შენობის საპოვნელად. გარდა ამისა, შერისხე სატანა და უთხარი მას, რომ შეწყვიტოს ჩემს საქმეში ჩარევა. დათესვისას გამოაცხადე ამის აღსრულება*“.

ასეც მოვიქეცით. სახლში დავბრუნდით და ჩემს ხაზინადარს დავურეკე. ვუთხარი, რომ *გამარჯვების* სატელევიზიო ქსელისთვის $100 000 დოლარი გადაერიცხა. შემდეგ თან წავიღე ჩეკი ყველა მსახურებაზე და მთელი ეკლესიის თანხმობით იგი სრულყოფილი შენობის საპოვნელ თესლად გამოვაცხადეთ. შევრისხეთ სატანა და ვუთხარით მას, რომ შეეწყვიტა ჩარევა და ღვთიური უზრუნველყოფის დაყოვნება.

მომდევნო დღეს, ორშაბათ საღამოს, ჩვენმა ქალიშვილმა დაგვირეკა და გვითხრა, რომ ჩვენი ტექსასში ყოფნისას უძრავი ქონების აგენტმა დარეკა საინტერესო ადგილის ჩვენების შემოთავაზებით. მასზე იჯარა არ ვრცელდებოდა და ჩვენს ბიუჯეტს ბევრად აღემატებოდა. ეს ადგილი გასაყიდად იყო გამოტანილი $7.9 მილიონად. ქონება გაცილებით მეტი ღირდა, რადგან ბანკში ჩადებული გახლდათ. იმ ქალბატონმა თქვა, რომ შენობა იდეალური იყო კამპუსისთვის. მიუხედავად ამისა, კარგად იცოდა, რომ ფინანსური თვალსაზრისით სახარბიელო ვარიანტს არ წარმოადგენდა, თუმცა მაინც აინტერესებდა, ხომ არ ვნახავდით. ჩვენ დავთანხმდით.

ამრიგად, სამშაბათ დილას უძრავი ქონების სანახავად წავედით. ტერიტორია 7 აკრს მოიცავდა და მაღალი კლასის კერძო სკოლისთვის გახლდათ განკუთვნილი. თავად სამსართულიანი შენობის გარდა ეზოში კიდევ იყო ორი დიდი ნაგებობა და სახლი. მას ჰქონდა სარბენი ბილიკი, ოთხი ტენისის კორტი, მოსაცდელი ოთახები, ხელოვნების შენობა ფოტოლაბორატორიით, ორი ღუმელი კერამიკის გამოსაწვავად, საკერავი მოწყობილობებით და ხელოვნებისთვის საჭირო მასალებით სავსე ოთახი, ათეულობით მუსიკალური ინსტრუმენტი მუსიკის ოთახში და კიდევ ბევრი რამ. მთელი შენობა ავეჯით იყო გაწყობილი და ყოველგვარი მასალის მარაგებით სავსე.

ყველაფერი დავათვალიერეთ და მართლაც სრულყოფილი გვეჩვენა. ამავდროულად ვიცოდით, რომ მის საყიდლად ვალს ვერ ავიღებდით. შენობის ფონდში $3 მილიონი გვქონდა გადანახული, მაგრამ კიდევ $5 მილიონის სესხება დაგვჭირდებოდა.

იმ საღამოს ჩვენი მსახურების ერთ-ერთ პარტნიორთან სადილობა განვიზრახეთ. ეს სადილი ოთხჯერ დაიგეგმა და გადაიდო შემოდგომის მანძილზე, მაგრამ ამჯერად დათქმულ დროს შედგა.

საუბრისას ამ ბატონმა პროექტით გათვალისწინებულ შენობაზე ჩამომიგდო სიტყვა და ვუამბე ყველა იმ დაბრკოლების შესახებ, რაც ამ საქმეს წინ ედგა. მან შემომხედა და მითხრა:

– იცი, ასეთი შეგრძნება არ მაქვს. ვფიქრობ, შენობის გაფართოების ნაცვლად კამპუსის გახსნა უნდა განიხილო.

ვუთხარი მას, რომ ექვსი თვეა წარუმატებლად ვეძებდით შესაფერის შენობას. ისიც დავამატე, რომ იმ დღეს საოცრად კარგი უძრავი ქონება დავათვალიერეთ, რომელიც იჯარით არ

გაიცემოდა და ფასიც ჩვენს შესაძლებლობას აღემატებოდა.

მან რამდენიმე კითხვა დაგვისვა მის შესახებ, შემდეგ დრენდას შეხედა და თქვა:

– რა მოხდება, უსასყიდლოდ რომ მიიღოთ?

დრენდამ არაფერი უპასუხა, რადგან ნათქვამი ხუმრობად მიიღო. მან ისევ ჰკითხა დრენდას:

– დრენდა, რა იქნება უფასოდ რომ მიიღოთ?

მან იკითხა:

– რას გულისხმობთ?

– ჩეკს გამოვწერ ამ შენობის შესაძენად! – თქვა იმ ბატონმა.

მე და დრენდა გავშეშდით.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მან გადაიხადა შენობის საფასური. ჩვენც მოგვიხდა გარკვეული თანხის დახარჯვა მისი განახლებისა და იმ სახის მიცემისთვის, რა მიზნითაც შევიძინეთ. შედეგად შესანიშნავი კამპუსი მივიღეთ. შენობის საფასურიც გადახდილი იქნა!

ვერაფრით დავგეგმავდი ჩვენს საჭიროებებზე უფრო მეტად მორგებულ კამპუსს. იქ ყველაფერი სრულყოფილი იყო. ჩვენი სადაზღვევო კომპანიისთვის ქონების ღირებულების შეფასება მოვახდინეთ და $11 მილიონი გამოვიდა თავისი მოწყობილობით.

დაფიქრდით ამაზე: ახლა $11 მილიონიანი და 89 000 კვადრატული ფუტის ტერიტორია გვაქვს უფასოდ! არ გიტაცებთ ასეთი ამბები?

როგორც უკვე ვთქვი, ღმერთი ყოველთვის აფინანსებს თავის საქმეებს. ეს მისი მსახურებაა და არა ჩვენი. ჩვენ უბრალოდ, მასთან ვთანამშრომლობთ ოჯახურ ბიზნესში.

ახლა ნება მომეცით, გითხრათ, რა ეწია იმ ცოლ-ქმარს, რომლებმაც ჩვენი შენობის შეძენა დააფინანსეს. პირველ რიგში, ქონების ჩამოწერის გამო, რომელიც შესწირავის სახით გაიღეს, მათი საშემოსავლო გადასახადი იმაზე მეტად შემცირდა, ვიდრე შენობაში გადაიხადეს. როგორ? შენობა ორი წელი მათ სახელზე ირიცხებოდა. შემდეგ ეს შენობა მსახურებას აჩუქეს იმ დროისთვის მისი ღირებულების ფასად.

ᲪᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲯᲔᲠᲖᲔ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲐᲓ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ!

ეს გახლავთ სტრატეგია, რომელიც კარგად უნდა იცოდეთ, თუ პასტორი ხართ და შენობა გჭირდებათ. საბოლოოდ, შენობა ორივე მხარისთვის უსასყიდლო გამოდგა გონივრული

საგადასახადო დაგეგმვის წყალობით. თუმცა ეს როდია ამ ამბის ყველაზე საინტერესო ნაწილი.

ხსენებული პარტნიორი სხვა ბიზნესის შეძენას ცდილობდა ქალაქში, რომელიც გასაყიდად იყო გამოტანილი იმ დროისთვის, როცა ჩვენ კამპუსის შენობას ვეძებდით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბატონი ნაღდი ფულით იხდიდა, ფრანშიზის მფლობელებს უნდა დაედასტურებინათ მისი შემოთავაზება ქონების შესყიდვაზე. სამწუხაროდ, ისინი მოვიდნენ და განაცხადეს, რომ უფლება სხვას გადასცეს. ჩვენი პარტნიორი ძალზე იმედგაცრუებული იყო მათი გადაწყვეტილებით. მან მითხრა, რომ ამ საქმის ხელიდან გაშვება არ შეეძლო. სულში გრძნობდა, რომ ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა.

როცა მან ჩვენი შენობისთვის დათესა თანხა, მითხრა, რომ ფრანშიზის მფლობელების აზრის შეცვლის რწმენით დათესა. გარდა ამისა, სხვების შემოთავაზებებთან შედარებით მას უფრო მყარი პოზიცია ეჭირა და თან ნაღდი ფულის გადამხდელი იყო.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მფლობელებმა ჩვენი საკუთრების ტრანსაქციის განხორციელებისთანავე დაურეკეს. მათ უთხრეს, რომ წინა გარიგება ჩაიშალა, ამიტომ ახლა მისი ჯერი იყო, თუ შეძენა ისევ სურდა. მან, რა თქმა უნდა, თანხმობა განაცხადა.

რამდენიმე კვირით ადრე, სანამ ახალი ბიზნესის შეძენას საბოლოოდ გააფორმებდა, სრულიად მოულოდნელი გარიგება ჩაუვარდა ხელში და იქედან იმდენივე თანხა აიღო, რამდენიც ბიზნესის საყიდლად სჭირდებოდა. მას აღარ მოუხდა იმ ფულის შეხება, რომელიც თავიდანვე ჰქონდა გადადებული. მან მითხრა, რომ ფაქტიურად, ეს საქმე უფასოდ ჩაიგდო ხელში.

სხვათა შორის, შეძენილი ბიზნესის ღირებულება ორჯერ მეტად გაიზარდა, ვიდრე მისი ყიდვა დაუჯდა. ქონების საბოლოოდ გაფორმების დღეს აღტაცებულმა დამირეკა.

ცათა სამეფო ყოველ ჯერზე უტყუარად მოქმედებს!

ეს პარტნიორი ხელგაშლილი იყო ღვთიური დავალებების მიმართ, მორჩილებით მიჰყვებოდა მას და მოწმე გახდა, რა გააკეთა ღმერთმა ორივე ჩვენგანისთვის. ჩვენ ახალი სატელევიზიო მაუწყებლობისთვის დავთესეთ, რომელიც ღვთის კიდევ ერთი დავალება იყო და ნახეთ, რა მოხდა ჩვენს ცხოვრებაში.

ღვთისა და მისი ხალხის მიმართ ხელგაშლილობა ისეთ კარს ხსნის, რომლის არსებობაზე არც კი გიფიქრიათ.

ადამიანები ყოველთვის მეკითხებიან: „გარი, ცათა სამეფოს ფინანსების ყველაზე მნიშვნელოვანი გასაღები რა იქნება?“

კეთილი! ბევრი რამეა, რასაც სიამოვნებით გაგიზიარებდით, მაგრამ რამდენიმე რჩევა შეუფასებელია. დარწმუნდით, რომ სამეფოს ამ პრინციპებს ჩაიწერთ.

ამ წიგნიდან სხვა რომ არაფერი მიიღოთ, ეს მაინც დაიმახსოვრეთ!

დასაწყისისთვის მინდა, აიღოთ ლუკას სახარების მე-4 თავი და დააკვირდეთ ცათა სამეფოს ამ დიდებულ კანონს. ვიცი, რომ მოყვანილი ტექსტი იმაზე დიდია, ვიდრე ჩემ მიერ გამოყენებული სხვა ციტატები, მაგრამ მთლიანი მონაკვეთის წაკითხვა მიმდინარე მოვლენების განცდის სიამოვნებას მოგგვრით, თუ რატომ უპასუხა იესომ ასე და არა სხვაგვარად.

> *„მივიდა ნაზარეთს, სადაც აღიზარდა და ჩვეულებისამებრ, შაბათ დღეს შევიდა სინაგოგაში და დადგა წასაკითხად. და მიაწოდეს ესაია წინასწარმეტყველის წიგნი. გაშალა წიგნი და ნახა ადგილი, სადაც ეწერა:*
>
> *„უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“.*
>
> *დახურა წიგნი, მსახურს გადასცა და დაჯდა; სინაგოგაში ყველა მას მისჩერებოდა. და დაუწყო მათ ლაპარაკი: „დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ“.*
>
> *ყველამ დაუმოწმა; გაოცებულნი იყვნენ მისი პირიდან გამოსული მადლის სიტყვებით. თან ამბობდნენ: „ეს იოსების ვაჟი არ არის?“*
>
> *უთხრა მათ: „თქვენ, უეჭველია, ასეთ ანდაზას მეტყვით: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. აქაც, შენს მშობლიურ ქალაქშიც მოახდინე ის, რაც კაპერნაუმში მოგიხდენია, როგორც გავიგეთ“. უთხრა: „ჭეშმარიტად*

გეუბნებით თქვენ, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი არ არის მიღებული თავის სამშობლოში. ჭეშმარიტებით გეუბნებით თქვენ, მრავალი ქვრივი იყო ისრაელში ელიას დროს, როცა დაიხშო ცა სამ წელიწადსა და ექვს თვეს ისე, რომ დიდი შიმშილობა იყო მთელ ქვეყანაზე. და არც ერთ მათგანთან არ იქნა მივლენილი ელია, გარდა ქვრივი დედაკაცისა სიდონის ცარფათში".

– ლუკა 4:16-26

ეს ტექსტი უდაბნოში იესოს ცდუნების შემდეგ გვხვდება, როცა იგი მშობლიურ ქალაქში ბრუნდება და მოვლენებიც იქ აღიწერება.

იესო ნაზარეთში იყო აღზრდილი და ისინი კარგად იცნობდნენ მასსა და მის ოჯახს. სავარაუდოდ, იესოს ბევრჯერ წაუკითხავს ადგილები წმიდა წერილიდან ადგილობრივ სინაგოგაში. კიდევ არის რაღაც, რაც უნდა იცოდეთ იესოს მიერ შერჩეული ტექსტის შესახებ. იგი ესიას 61:1-2-დან კითხულობდა და მთლიანად წაიკითხა შემდეგ წინადადებამდე, „***უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად***" და შეჩერდა.

საინტერესოა, რომ მან წინადადება შუაში გაწყვიტა და ვიცით, რომ იმ კონკრეტულ ადგილზე გარკვეული მიზნით გაჩერდა.

უფლის შეწყალების წელი გახლდათ საიუბილეო წელი და დედამიწაზე ღვთის სამეფოს აღდგენაზე მიუთითებდა. ის იყო მესიის დაბრუნების პირველსახე, როცა ყველაფერს აღადგენდა. ამრიგად, როცა იესო ამ ფრაზაზე შეჩერდა და თქვა, „***დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ***", ამით გამოაცხადა, რომ მესია იყო!

შემდეგ მან განაგრძო და იწინასწარმეტყველა, რას იტყოდნენ მის შესახებ მომავალში, რაც მნიშვნელოვანია – „შენი არ გვჯერა; დაგვიმტკიცე" – რადგან არ ერწმუნენ მას.

„უთხრა მათ: „თქვენ, უეჭველია, ასეთ ანდაზას მეტყვით: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. აქაც, შენს მშობლიურ ქალაქშიც მოახდინე ის, რაც კაპერნაუმში მოგიხდენია, როგორც გავიგეთ".

კაპერნაუმში იესომ თავისი მსახურების ცენტრი დააფუძნა და იქ მოახდინა სასწაულთა უმეტესობა. იგი წინასწარმეტყ-

ველებდა, რომ მრავალ დიდ სასწაულს ნახავდნენ და ეს კაპერნაუმში მოხდებოდა. ამის მომსწრენი იტყოდნენ, მოდი და აქ, ნაზარეთშიც მოახდინე იგივე, რომ გერწმუნოთ. ფაქტობრივად, იგი ნაზარეველებს გულქვაობასა და ურწმუნოებაში ადანაშაულებდა. მან იცოდა, რომ ისინი არ დაუჯერებდნენ და არასოდეს ერწმუნებოდნენ. გარდა ამისა, იესო გადმოსცემს, რას იტყოდნენ ისინი მის ჯვარცმასთან დაკავშირებით – *„მკურნალო, განიკურნე თავი შენი“* .

> *გამვლელები კი თავებს აქნევდნენ და გმობდნენ მას. ამბობდნენ: „ტაძრის დამანგრეველო და სამ დღეში ამშენებელო, იხსენი შენი თავი; თუ ღვთის ძე ხარ, გადმოდი ჯვრიდან“. მღვდელმთავარნიც დასცინოდნენ მწიგნობრებსა და უხუცესებთან ერთად და ამბობდნენ: „სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია. თუ ისრაელის მეფეა, გადმოვიდეს ჯვრიდან და ვიწამებთ მას“.*
>
> – მათ 27:39-42

მსახურების დასაწყისიდან ბოლომდე ამბობდა, რომ მოსმენილის მიუხედავად მის სიტყვას არ მიიღებდნენ. უფრო ნათლად რომ აეხსნა სათქმელი, იესომ ელიასა და ქვრივის მაგალითი მოიყვანა. ღმერთმა ელია ისრაელის ფარგლებს გარეთ გაგზავნა, რადგან გულგაქვავებულ ისრაელიანებს რწმენა არ შეეძლოთ. ამან ისე განარისხა რჯულის მასწავლებლები, რომ იესო გარეთ გაიყვანეს და მისი მოკვლა მოინდომეს, თუმცა ბიბლია ამბობს, რომ ხელიდან დაუსხლტა მათ.

ახლა მინდა დაწეროთ ერთი სიტყვა და ისეთ ადგილას შეინახოთ, სადაც ადვილად გაიხსენებთ, რადგან ეს არის თქვენი ფინანსური მომავლის გასაღები. დაწერეთ „გაიგზავნა“, დიახ, ზუსტად ეს სიტყვა „გაიგზავნა“, რაც ძალზე მნიშვნელოვანია!

<u>გაიგზავნა</u>

მინდა 1 მეფეთა 17:7-16-ს გადახედოთ, სადაც ისეთ ძალმოსილ საიდუმლოს ვიპოვით, რომელიც სრულიად შეცვლის თქვენს ცხოვრებას.

„გამოხდა ხანი და დაშრა ნაკადული, რადგან წვიმა არ მოდიოდა ქვეყნად. გამოეცხადა უფლის სიტყვა და უთხრა: „ადექი, წადი ციდონის ცარფათში და იქ იცხოვრე; ნაბრძანები მაქვს იქ ერთი ქვრივი ქალისთვის, რომ გამოგკვებოს. ადგა და წავიდა ცარფათში; ქალაქის კარიბჭეს რომ მიადგა, აჰა, შეშას აგროვებს ქვრივი ქალი. დაუძახა და უთხრა: „გთხოვ, ცოტა წყალი მომიტანე ჭურჭლით, რომ დავლიო“. წავიდა თუ არა მოსატანად, კვლავ დაუძახა მან და უთხრა: „გთხოვ, პურის ნაჭერიც წამომიღე შენი ხელით“.

მიუგო ქალმა: „ცოცხლია უფალი, შენი ღმერთი, რომ პური არ გამაჩნია; ერთი მუჭა ფქვილი მაქვს ქოთანში და ცოტაოდენი ზეთი ქილაში; აჰა, ცოტაოდენ შეშას ვაგროვებ, წავალ და გამოვაცხობ ჩემთვის და ჩემი შვილისთვის, შევჭამთ ამას და მერე დავიხოცებით“.

უთხრა ელიამ: „ნუ გეშინია, წადი და ისე მოიქეცი, როგორც თქვი. მაგრამ ჯერ მე გამომიცხვე მცირედი პური და მომიტანე; შენთვის და შენი შვილისთვის მერე გამოაცხობ. რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: არ გამოილევა ფქვილი ქოთანში და ქილაში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მისცემს მიწის ზედაპირს“.

წავიდა და ელიას სიტყვისამებრ მოიქცა; და ჭამდა თვითონ, მისი სახლეული და ელია, მრავალი დღის განმავლობაში. არც ფქვილი ილეოდა ქოთანში და არც ზეთი იკლებდა ქილაში, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ჰქონდა ნათქვამი ელიას მეშვეობით“.

– 1 მეფეთა 17:7-16

ნება მომეცით, არსებული ვითარება გაგაცნოთ. საშინელი გვალვაა და ის ნაკადულიც დაშრა, საიდანაც ელია წყალს სვამდა. ღმერთი ელაპარაკება მას და მითითებას აძლევს: ***„ადექი, წადი ციდონის ცარფათში და იქ იცხოვრე; ნაბრძანები მაქვს იქ ერთი ქვრივი ქალისთვის, რომ გამოგკვებოს“***. უნდა აღინიშნოს, რომ ცარფათი ქანაანური ქალაქი იყო და იმ დროს ისრაელის ნაწილს არ წარმოადგენდა.

ელია ქალაქს უახლოვდება და ხედავს, როგორ აგროვებს ფიჩხს ქვრივი ქალი. ის ქალს ცოტაოდენ წყალს სთხოვს. ***„წავიდა***

თუ არა მოსატანად, კვლავ დაუძახა მან და უთხრა: „გთხოვ, პურის ნაჭერიც წამომიღე შენი ხელით“. ქვრივი პასუხობს, რომ საჭმელი აღარ აქვს და მხოლოდ იმდენი ფქვილი დარჩა, რაც ერთ ჯერზე ეყოფა მას და მის ძეს.

ამის შემდეგ წინასწარმეტყველი რაღაც უცნაურს აკეთებს და ვითარების გათვალისწინებით დაუშვებლადაც კი მოგეჩვენებათ. იგი ქალს ავალებს პურის გამოცხობას ჯერ მისთვის და შემდეგ ოჯახისთვის. წინასწარმეტყველი ხვდება, რა მოსასმენი უნდა იყოს მისი სიტყვები, ამიტომ მითითებას ნუგეშისცემასაც ამატებს, „*ნუ გეშინია*“. შემდეგ მას ასეთ რამეს უცხადებს:

> *„რადგან ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი: არ გამოილევა ფქვილი ქოთანში და ქილაში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მისცემს მიწის ზედაპირს“.*

ოჰო! რას იზამს იგი? ერწმუნება მას და მისცემს შვილის ბოლო ლუკმას?

> *<u>წავიდა და ელიას სიტყვისამებრ მოიქცა;</u> და ჭამდა თვითონ, მისი სახლეული და ელია, მრავალი დღის განმავლობაში. არც ფქვილი ილეოდა ქოთანში და არც ზეთი იკლებდა ქილაში, უფლის სიტყვისამებრ, როგორც ჰქონდა ნათქვამი ელიას მეშვეობით.*

ქალმა დაუჯერა ელიას და ყურადღება მიაქცია შედეგს – საზრდო ყოველდღიურად იქნებოდა ელიას, ქალისა და მისი ოჯახისთვის. ნება მომეცით, ერთი სიტყვა შევცვალო და ისევ გავიმეორო: „საზრდო ყოველდღიურად იქნებოდა ღვთიური დავალების. ასევე, ქალის და მისი ოჯახის საჭიროებისთვის“.

წინა თავში გაცემის შიშზე ვილაპარაკეთ, თითქოს ოჯახისთვის საკმარისი არ დაგრჩებათ, თუ ღვთის დავალებისთვის შესწირავთ. როგორც ხედავთ და მომავალშიც დაინახავთ, რომ ასე არ ხდება!

ნება მომეცით, ერთი კითხვა დაგისვათ: „რამე დაუჯდა ქვრივს იმ უკანასკნელი საკვების გაცემა?“ არა, არ დაუჯდა. მისი სიცოცხლე ამით გადარჩა.

ახლა, სანამ ჩვენს საუბარს მივუბრუნდებოდეთ სიტყვაზე *გაგზავნა*, კიდევ ერთი კითხვა მინდა დაგისვათ. რატომ დაიჟინა წინასწარმეტყველმა, რომ ჯერ მისთვის გამოეცხოთ პურის კვერი? არა ქალის პურიდან, არამედ ცალკე? ისიც კი სთხოვა, რომ ჯერ მისთვის მიეტანა და მერე გამოეცხო თავისთვის (გახსოვდეთ, რომ სულიერი მეცნიერები უნდა იყოთ და ყველაფერს იკვლევდეთ).

ყველა ეს ისტორია ცათა სამეფოს კანონებისა და მოქმედების მნიშვნელოვან გააზრებას უკავშირდება. ნუთუ ელია ისე დამშეული იყო, რომ არ შეეძლო მოთმენა, სანამ ქალი თავის ოჯახს დაანაყრებდა? არა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რატომ მოიქცა ასე ელია. წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ თავდაპირველად მისთვის და არა ქალისთვის გამომცხვარი პურის გაღება ქალის ქმედებას, ასევე მთელ ფქვილსა და ზეთს ღვთის სამეფოსა და მისი დავალების კანონიერ იურისდიქციაში მოაქცევდა. ნება მომეცით, ისევ გავიმეორო.

როცა ქალმა წინასწარმეტყველს (ღვთიურ დავალებას) პირველი პური შესწირა, მისმა ზეთმა და ფქვილმა სამეფო შეიცვალა. ახლა ისინი ღვთის სამეფოს იურისდიქციას დაექვემდებარნენ. ღმერთი მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებდა ფქვილისა და ზეთის ლეგალურად გამრავლებას.

იგივე პრინციპის მოქმედებას ხედავთ იესოს მსახურებისას, როცა მან 5 000 ადამიანი დააპურა ხუთი პურითა და ორი თევზით.

თუ ამ ამბავს გაიხსენებთ, იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ წასულიყვნენ და ენახათ, რა ჰქონდა ხალხს. ისინი მოვიდნენ და თქვეს, რომ იყო ხუთი პური და ორი თევზი. იესომ მოწაფეებს მათი მოტანა უბრძანა. ბიბლია გვეუბნება, რომ მან საჭმელი აკურთხა და ისევ მოწაფეებს დაუბრუნა. ვიცით, რომ იესო რელიგიურად არაფერს აკეთებდა, მაშ რატომ მოიქცა ასე?

ასე უნდა გაეკეთებინა, თორემ პურისა და თევზის გამრავლებას ვერ შეძლებდა.

იცით, იმ დროისთვის ხუთი პური და ორი თევზი, კანონის თანახმად, ადამიანის ძალაუფლებაში იმყოფებოდა. ღმერთი ლეგალურად მათ ვერაფერს მოუხერხებდა, მაგრამ იესოსთვის უსასყიდლოდ გადაცემისა და კურთხევის შემდეგ ისინი ღვთის სამეფოს იურისდიქციაში მოექცნენ. მხოლოდ ასე გახდა შესაძლებელი თევზისა და პურის გამრავლება.

იგივე პრინციპი ჩანს ლუკას მე-5 თავში, სადაც პეტრე, იაკობი და იოანე მთელი ღამე თევზაობდნენ და ვერაფერი დაიჭირეს. იესომ პეტრეს ნავი ითხოვა, ნაპირს ცოტათი მოაშორა და იქედან უქადაგებდა ხალხს. ამის შემდეგ პეტრეს ეუბნება, რომ ბადე მოისროლოს ღრმა წყალში თევზის დასაჭერად.

როგორც გახსოვთ, მათ ისე გაავსეს თევზით ორი ნავი, რომ კინაღამ ჩაიძირნენ. როცა იესომ ნავი ითხოვა, სინამდვილეში იმ ერთი დღით სათევზაო ბიზნესი ითხოვა ქადაგებისთვის. როცა ნავი მას დაექვემდებარა, მთელი ბიზნესი იმ წუთიდანვე ღვთის სამეფოს იურისდიქციაში მოექცა. ამან კანონიერი გახადა ზეციდან ცოდნის სიტყვის გამოგზავნა თევზის ადგილსამყოფელის შესახებ, რასაც დიდი თევზჭერა მოყვა (ყოველთვის ვამბობდი, რომ ნებისმიერს შეუძლია თევზის დაჭერა, თუ იესო ეტყვის, სად არის თევზი და როგორ უნდა დაიჭიროს. იგივე პრინციპი იმოქმედებს, როცა თქვენ გაიღებთ ღვთის დავალებებისთვის).

ახლა ელიას ისტორიას თუ დავუბრუნდებით, იმ ქალმა, არსებითად, პარტნიორობა გაუწია წინასწარმეტყველს მის დავალებაში და იგივე საზღაური მიიღო, რაც ელიამ. მან და ქვრივმა თავისი ოჯახითურთ ღვთიური უზრუნველყოფა მიიღეს. ხედავთ ამას?

ამ პრინციპზე მოგვიანებით კიდევ ვილაპარაკებ ამ წიგნში, მაგრამ ამჯერად ყველაზე დიდ გასაღებზე, სიტყვა *გაგზავნაზე* უნდა გადავიდეთ.

მოდი, განვიხილოთ. ღმერთმა ისრაელში ერთი ქვრივიც ვერ იპოვა, რომელსაც მისი მორჩილების რწმენა ექნებოდა. მან იცოდა, რის გაკეთება სურდა, თუმცა ადამიანი სჭირდებოდა, რომელიც ზეცას დათანხმდებოდა, რომ დავალება კანონიერი გაეხადა და ელიასთვის აუცილებელი უზრუნველყოფა მოეტანა.

გახსოვდეთ, რომ იმ დროს საკვები არსად იყო. ადამიანები შიმშილისგან იხოცებოდნენ. ვერავინ წავიდოდა საჭმლის საშოვნელად ან ბაზარში საყიდლად, რადგან არაფერი იშოვებოდა. ელიას უზრუნველყოფა ღვთის სულიდან უნდა მოსულიყო.

ვინაიდან ისრაელში არავინ აღმოჩნდა, ვინც უფალს ერწმუნებოდა, მას ისრაელის ფარგლებს გარეთ, სხვა ერში წასვლა მოუხდა, სადაც მორწმუნე გულის მქონე ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. და როგორც ადრე ვთქვით, ელია

კონკრეტულ ქვრივთან გაიგზავნა, ვისი რწმენაც ღმერთმა კარგად უწყოდა.

ღვთის პირველ ადგილზე დაყენებით და მის მიმართ ნათქვამი უფლის სიტყვის დაცვით ღვთიური დავალება, ელია, ისევე იქნა მოვლილი მთელი გვალვიანი პერიოდის განმავლობაში, როგორც ქალის ოჯახი.

და აი, დგება ამ ამბის ცენტრალური მომენტი ...

როცა ღმერთს გარკვეული საქმეები აქვს მოსაგვარებელი, დედამიწას გადმოხედავს, რომ იპოვოს ვინმე სანდო, რომელიც მას დაემორჩილება და მის გეგმებს შეასრულებს. მას ასევე სჭირდება ამ განრიგის დამფინანსებელი ხალხი.

ამრიგად, ნება მომეცით, ძალზე ნათლად განვმარტო: თუ გსურთ ღვთისგან დიდი იდეებისა და დიდი ბიზნეს-კონცეფციების მიღება, ამისთვის გამოსადეგი უნდა იყოთ! ღმერთმა იცის თქვენი გული და მთელ დედამიწაზე ეძებს მათ, ვისაც თავის დავალებებს მიანდობს. იგი ეძებს, ვის შეიძლება მიანდოს მისი საქმეების დაფინანსება. შემდეგ ამ ადამიანს თავის გეგმას გაუმხელს საჭირო სახსრების შეგროვების თაობაზე. ხედავთ ამას?

გახსოვდეთ, რომ უფლის სიტყვა *გაიგზავნა* ქვრივთან და ამან მისი სიცოცხლე გადაარჩინა!

მახსოვს, უფლის სიტყვა მოვიდა ჩემთან, რომ ავმდგარიყავი და საკუთარი ბიზნესი წამომეწყო ახალი პრიორიტეტებითა და დავალებებით. ასეც მოვიქეცი და ამან ჩემი ცხოვრება გადაარჩინა.

ღმერთი ეძებს მორჩილი გულის მქონე ადამიანებს, რომ მათ მიანდოს დავალებები!

მოდი, განვიხილოთ ამ ამბავში გადმოცემული პრინციპები:

1. ღმერთს დედამიწის სამეფოში აქვს საქმეები, რომელთა განხორციელებაც სურს;
2. ყოველი დავალებისთვის საჭიროა ადამიანები;
3. ყოველ დავალებას სჭირდება დაფინანსება;
4. ღმერთი დედამიწას დაჰყურებს იმ ადამიანების მოსაძებნად, რომლებიც მის დავალებებს შეასრულებენ;
5. და ღმერთი დედამიწას დაჰყურებს იმ ადამიანების მოსაძიებლად, რომლებიც მის დავალებებს დააფინანსებენ;
6. როცა ღვთიურ დავალებებს ვაფინანსებთ, ზეცას კანონიერ უფლებას ვაძლევთ ჩვენს გამოსაყენებლად არა

> მარტო ღვთიური დავალებების დაფინანსებისთვის. მისი ნამეტი ჩვენს ცხოვრებასაც აფინანსებს.

ეს ხელგაშლილობის ფასად არასოდეს დაგიჯდება! ჩემს ეკლესიას ვეუბნები: „ყოველთვის თქვი „დიახ!“

თავი 4
ვისია ეს ფული?

როდისმე გაგიაზრებიათ, რომ ფული, რომელიც ახლა თქვენს ხელშია, თქვენი არ არის?

გიფიქრიათ, ერთი შეხედვით გიჟურ იდეაზე, რომ ღმერთმა თქვენს ხელში ვიღაც სხვისთვის მოათავსა?

ვიცი, ვიცი, რომ ცხოვრებაზე ამ კუთხით არ შეგიხედავთ, მაგრამ აუცილებელი კი არის, რადგან ეს თქვენი ცხოვრებისეული ზრდის კიდევ ერთი გასაღებია.

დაფიქრდით ჩემს ნათქვამზე. ღვთიური დავალების დაფინანსებაზე ვლაპარაკობთ, გესმით? ჩვენ ვთქვით, რომ ღმერთი დედამიწაზე ადამიანებს ეძებს, რომლებსაც გული უძგერთ ღვთის სამეფოსთვის და უფლის დავალებების დაფინანსება სურთ. ვიცით, რომ ფული ადამიანების ხელშია და თუ ღმერთს თავისი დავალებების დაფინანსება უნდა, თანხები იმის ხელში უნდა მოხვდეს, ვისაც მისი გაცემა არ დაენანება და გულუხვობას გამოიჩენს ღვთისა და მისი ერის მიმართ.

ამრიგად, რა გაქვთ ხელში? როცა თქვენს თანხებს უყურებთ, ხვდებით, რომ იქნებ ღმერთმა სხვა ადამიანისთვის გამოგიგზავნათ? ან იქნებ რომელიმე პროექტის დაფინანსება სურს, რომელიც მიზნად აქვს დასახული?

რასაკვირველია, კანონიერად თქვენია ის, რაც თქვენს ხელში მოხვდა და თავად უნდა გადაწყვიტოთ, რას უზამთ. თუმცა მე მინდა უფლისთვის სანდო ადამიანების სიაში ვიყო იმ შემთხვევისთვის, როცა ის ფულის მათ ხელში მოხვედრას მოისურვებს. თქვენ არა?

> *„ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში*

გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს".

– 2 კორინთელთა 9:10-11

ამ მონაკვეთს უკვე გადავხედეთ, მაგრამ აქ არის რაღაც, რაც არ უნდა გამოგვრჩეს. მე-10 მუხლში ლაპარაკია, რომ ღმერთი მთესველს თესლით *ამარაგებს* და პურსაც აძლევს საჭმელად.

იფიქრეთ, რას გვეუბნება ეს ადგილი: ღმერთი თესლს აძლევს მთესველს და პურს საჭმელად. საჭმელი პურია ყველაფერი, რაც თქვენს სახლეულს სჭირდება უხვი ცხოვრებისთვის, რომელიც ღმერთმა გაგიმზადათ. თუმცა ის *თესლს აძლევს მთესველს*.

ოდესმე ბაღის მცენარეები გაგიშენებიათ ან ბალახი დაგითესიათ ეზოში? თქვენ იწყებთ თესლის ჩაყრას მიწაში და ამ პროცესში მეორე მუჭით თესლს იღებთ მას შემდეგ, რაც ხელს გაითავისუფლებთ. სახეზეა გარკვეული ნაკადი. თესლს მიწაში ყრით და შემდეგ მომდევნო მუჭით ივსებთ ხელს და ასე აგრძელებთ, სანამ თესლი გაქვთ. ფრაზას, *ღმერთი თესლს აძლევს მთესველს*, იგივე მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს, რომ უფალი თესლს აწვდის მას, ვინც უკვე ჩართულია თესვის პროცესში.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲗᲔᲡᲚᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲗᲔᲡᲕᲔᲚᲡ!

პავლე განაგრძობს და ამბობს, რომ ღმერთი საჭირო პურსაც გვაძლევს, რა თქმა უნდა, მაგრამ ხაზგასმა თესვასა და იმ ზეგავლენაზე კეთდება, რომელიც მას ჩვენს ცხოვრებაზე აქვს, რომ არაფერი ვთქვათ ხალხის გულების ღმერთთან დაახლოებაზე.

ამის გათვალისწინებით და ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ ღმერთს სურს, რაც შეიძლება მეტი თესლი დათესოს უზარმაზარი მოსავლის მისაღებად. ამრიგად, ღმერთის ადგილას რომ იყოთ, ვის მისცემდით თესლს უპირველესად? მას, ვინც ზარმაცობს და თესვის საქმეს ახლოს არ ეკარება, თუ მას, ვინც აქტიური მთესველია? ვფიქრობ, პასუხი ცხადია.

როცა ერთგულები ვართ იმაში, რაც გვაქვს, ღმერთი გვეუბნება, რომ ჩვენი თესლის მარაგს გაზრდის მეტის დასათესად და დედამიწაზე ცათა სამეფოს გავლენის გასავრცელებლად.

ხომ შენიშნეთ, რას ამბობს პავლე? როცა თესავთ და იმკით, თქვენი თესლის მარაგი იზრდება, რაც ყოველ ახალ შემთხვევაში მეტი გულუხვობის გამოჩენის საშუალებას გაძლევთ. თუ ეს მართალია (და რა თქმა უნდა, ასეა), მაშინ თქვენი სათესლე მარაგი ის თანხაა, რომელიც ამჟამად ხელთ გაქვთ და შესაძლებლობისას ხელგაშლილობისთვის მზადაა. სანამ გულუხვობას გამოიჩენთ, მანამდე თესლის მარაგი უნდა გქონდეთ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ფული, რომელიც ხელთ გიპყრიათ, სულ თქვენი არ არის. მისი ნაწილი ღმერთმა თესლის სახით მოგცათ. თესვა-მკის ციკლი ნაკადურია. ჯერ ვთესავთ, შემდეგ ვიმკით. როცა ასე ვაგრძელებთ და სათესლე მასალას არ ვჭამთ, ჩვენი მოსავალი ზრდას განაგრძობს და მასთან ერთად იზრდება გულუხვობის გამოჩენის უნარი.

რასაკვირველია, შიმშილის დროს პური გჭირდებათ და ამ მარცვლის ბიზნესიდან იღებთ იმას, რაც აუცილებელია. როცა საქმე ფართოვდება, თქვენი წილი პურის ოდენობაც იზრდება.

მინდა, კიდევ უფრო ჩავუღრმავდეთ ამ თვალსაზრისს.

ნებ მომეცით, აღვნიშნო, რომ ღმერთი თავის თესლს იმ ადამიანს აძლევს, ვისაც თესვისთვის გული უძგერს და არა იმას, ვინც ოდესმე დააპირებს ამ საქმეში ჩართვას. ის თესლს აძლევს მთესველს.

ამრიგად, ისმის კითხვა: ცხოვრებაში მხოლოდ *თქვენი* ფული გინდათ, რომ გქონდეთ თუ თქვენიც გეჭიროთ და ღვთისაც?

ცხოვრებაში მხოლოდ თქვენი ფული გინდათ, რომ გქონდეთ თუ თქვენიც გეჭიროთ და ღვთისაც?

ჯეიმსი და ელა ჩვენს ეკლესიაში იმიტომ მოვიდნენ, რომ ამიშების თემში, სადაც აღიზარდნენ, მსგავსი არაფერი გაუგიათ. ცათა სამეფოს კონცეფცია მათთვის სრულიად ახალი იყო და საუკეთესო მონაფეებად იქცნენ. მათ არაერთხელ მოისმინეს სიტყვა, რომელსაც სამეფოში ცხოვრებაზე ვასწავლიდით Faith Life ეკლესიაში.

ერთ დღეს ჯეიმსმა უფალს უთხრა, რომ ყოველთვის სხვებისგან ისმენდა ისტორიებს, თუ რა დიდებულ საქმეებს აკეთებდა ცათა სამეფო მათ ცხოვრებაში და მასაც უნდოდა მსგავსი მოწმობა ჰქონოდა. მან გადაწყვიტა, შეემოწმებინა სამეფოს კანონები, რომელთა შესახებაც ისმენდა. წყვილი დასასვენებლად წავიდა და მთელი ეს დრო

სიტყვის მოსმენაში გაატარეს, რომელიც ორმაგი წილის შესახებ სწავლებას ეხებოდა. ჩემი წიგნი, *თქვენი ფინანსური რევოლუცია: სიმშვიდის ძალა*, ის-ის იყო გამოვიდა და იქიდან ვასწავლიდი. მათ გადაწყვიტეს, რომ თესვის დაწყებამდე ღვთის სიტყვას ჩაღრმავებოდნენ.

მათ გადაწყვიტეს, რომ $10 000-ის მოსამკელად დათესავდნენ. ეს თანხა სჭირდებოდათ სახლში რაღაცების შესაკეთებლად და სხვა საჭიროებებისთვის, რომლებიც მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს აქვთ ხოლმე. მათ არ იცოდნენ, საიდან მოვიდოდა ეს ფული, მაგრამ საკმარისად შეისწავლეს ცათა სამეფოს პრინციპები, რომ მისი მიღების რწმენა ჰქონოდათ.

იმ დროისთვის ჯეიმსს საკუთარი ავტოსარემონტო ბიზნესი ჰქონდა. 10 000 დოლარისთვის დათესვიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ მან სამსახურში წასვლამდე ელას უთხრა, რომ ორმაგი წილის შესწავლამ გულში თესლის გაორმაგების რწმენა ჩაუსახა. ჯეიმსი ფიქრობდა, რომ მისი გული მზად იყო $20 000-ის მისაღებად. ელამ თქვა, რომ ამის გაგონებაზე ელდა ეცა, მაგრამ ქმარს მხარი აუბა. როცა კაცი სახლიდან გადიოდა, ცოლმა დაუძახა: „კარგი, იყოს 20 000“.

ის დღე ერთი ჩვეულებრივი დღეთაგანი იყო მაღაზიაში. ჯეიმსის მუდმივი კლიენტი მოვიდა მანქანის შესაკეთებლად და როცა მან შეკვეთის გაფორმება დაასრულა, ის კაცი ოფისში ჩამოჯდა და ჯეიმსს შესჩივლა, რამდენად იმედგაცრუებული იყო ამ ბოლო დროს ძროხების გამო. გამოირკვა, რომ ძროხებმა მესერი გაარღვიეს და გაიქცნენ. ამ კაცის მიწა ეროვნულ ტყეს ესაზღვრებოდა და საქონელი იქ დადიოდა, სადაც მოეპრიანებოდა. ჯეიმსის კლიენტი ხანდაზმული ფერმერი გახლდათ და თქვა, რომ მეტისმეტად დაბერდა ძროხების მოსავლელად და ამ საქმისთვის წერტილი უნდა დაესვა. მისმა მომდევნო ნათქვამმა ჯეიმსი ისე გააოგნა, რომ ჰკითხა, სწორად გაიგო თუ არა მისი სიტყვები.

მეგობარმა ასე განაცხადა:

– მოკლედ, ძროხების ამბავს მოვრჩი და სწორედ ამიტომ ყველა მათგანს თქვენ გაძლევთ. დღეიდან ისინი თქვენ გეკუთვნით.

ჯეიმსმა არ იცოდა, რა ეპასუხა. მას მიწა არ ჰქონდა. ქალაქში ცხოვრობდა მეოთხედ აკრ ნაკვეთზე და თან ავტომექანიკოსი იყო. მართალია ამიშებთან გაიზარდა და საქონლის მოვლა

იცოდა, მაგრამ ეს წლების ამბავი გახლდათ. ის-ის იყო მადლობა უნდა გადაეხადა და თავაზიანი უარი ეთქვა, რომ დათესილი თესლი გაახსენდა. შესაძლოა, აქ რაღაც იმალებოდა, რომელიც უნდა შეემოწმებინა.

მეგობარს კიდევ რამდენიმე კითხვა დაუსვა და გამოარკვია, რომ ლაპარაკი იყო ანგუსის 23 შავ ძროხასა და კიდევ სამ ცხენზე. ჯეიმსს გაახსენდა რამდენიმე ხნის წინ ვიღაცის ნათქვამი, რომ ნახირის შეძენა სურდა. მათ არ უნდოდათ ცალობით ყიდვა და თანდათან მოგროვება, არამედ მთლიანი ნახირის შეძენა ჰქონდა გადაწყვეტილი. ჯეიმსმა დარეკა და ის კაცი დაინტერესდა. შემდეგ იკითხა, რას გადაიხდიდნენ ნახირში. მყიდველი ცოტა ხნით დაფიქრდა და უთხრა: „ოჰ, დაახლოებით, $20 000-ს“.

ჯეიმსი ყურებს არ უჯერებდა. ეს ყველაფერი იმ დღეს მოხდა, როცა სახლიდან გამოვიდა და ელას ორმაგი მოსავლის მიღების შინაგანი მოწმობის შესახებ უთხრა. მან მიამბო, რომ ადვილი საქმე არ იყო მთელი ნახირის გამორეკვა და შემდეგ ახალ მეპატრონესთან მიყვანა, მაგრამ მაინც მოახერხა. ჯეიმსმა თქვა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ცათა სამეფოს ყოვლისშემძლეობაში და რომ ახლა მისი პოტენციალი შეუზღუდავი გახლდათ.

როცა იმ დღეს სახლში დაბრუნდა და ელას ძროხების შესახებ უამბო, ქალი გაოგნებული დარჩა. ჯეიმსსა და ელას ღვთის წყალობაზე თუ ჰკითხავთ, იმდენი რამ აქვთ მოსაყოლი, რომ კარგი იქნება, რამდენიმე საათი თავისუფალი დრო გქონდეთ.

ეს საოცარი მაგალითია, თუ როგორ აჩვენებს სულიწმიდა ადამიანს, სად უნდა მოიმკას მოსავალი ღვთის მიმართ გამოჩენილი გულუხვობის პასუხად. როცა ვთესავთ, უნდა გვახსოვდეს შემდეგი: რასაც სულიწმიდა გვაჩვენებს, უკეთესი სიტყვის არარსებობის გამო შეიძლება *სიგიჟე* ვუწოდოთ! შეუძლებელი იყო, რომ ჯეიმსი კალმით და ფურცლით მისულიყო ამ იდეამდე, რაც არ უნდა ემუშავა T-სებრი ქანჩის გამოყენებით ან გონებაში უამრავი ვერსიის განხილვით.

მაგალითისთვის ავიღოთ პეტრე. დარწმუნებული ვარ, ყველაზე ფანტასტიკურ ფიქრებშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ დაჭერილ თევზს მუცელში გადასახადებისთვის საჭირო ფული ექნებოდა ან ნაპირზე მიმავალი რაბინი იმ ადგილას ურჩევდა ბადის გადაგდებას, სადაც ცხოვრებაში ყველაზე მეტ თევზს დაიჭერდა.

შემოგვხედეთ მე და დრენდას, როცა სტრესსა და ფორიაქში ვიყავით ცხრა წლის განმავლობაში. იმ დროს შეუძლებელი იყო ფიქრი, რომ ერთხელაც საკუთარ კომპანიას დავაფუძნებდით ადამიანების ვალებიდან გასათავისუფლებლად და რაც კიდევ უფრო საკვირველია, სატელევიზიო მაუწყებლობა გვექნებოდა მსოფლიოს ყველა დროით სარტყელში, სახელწოდებით *Fixing the Money thing*.

ღმერთს ვერასოდეს შეზღუდავთ.

მოდი, განვაგრძოთ. ახლა მინდა გადავხედოთ, ჩემი აზრით, ყველაზე საფუძვლიან იგავს, რომელიც კი იესოს მოუყოლია ადამიანებში ღვთის საქმიანობასა და მათ გამოსადეგობაზე. ეს სიტყვა ნამდვილად გიბიძგებთ იმისკენ, რომ შეჩერდეთ და კარგად გაიაზროთ.

> *„თავის მოწაფეებსაც უთხრა: „იყო ერთი მდიდარი კაცი; ჰყავდა სახლმმართველი, რომელზეც ამბავი მიუტანეს, ქონებას გინიავებსო. დაიბარა და უთხრა: ეს რა გავიგე შენზე? ჩამაბარე შენი მმართველობის ანგარიში, რადგან სახლმმართველი ვეღარ იქნებიო.*
>
> *მაშინ თქვა სახლმმართველმა თავისთვის: როგორ მოვიქცე? ჩემი ბატონი მმართველობას მართმევს. ბარვა მე არ შემიძლია, მათხოვრობის კი მრცხვენია. ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, რომ მიმიღონ თავიანთ სახლებში, როცა მმართველობას ჩამომაშორებენ.*
>
> *სათითაოდ დაიბარა თავისი ბატონის მოვალეები; ჰკითხა პირველს: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა?*
>
> *მიუგო: ასი საწყაო ზეთი.*
>
> *უთხრა: აიღე შენი თამასუქი, ახლავე დაჯექი და ორმოცდაათი დაწერე.*
>
> *შემდეგ სხვას ჰკითხა: შენ რამდენი გმართებს?*
>
> *მან თქვა: ასი საწყაო ხორბალი.*
>
> *უთხრა: აიღე შენი თამასუქი და ოთხმოცი დაწერე.*
>
> *და შეაქო ბატონმა უმართლო სახლმმართველი, გონივრულად რომ მოიქცა, რადგან წუთისოფლის შვილები სინათლის შვილებზე მოხერხებულნი არიან თავიანთ თაობაში. მეც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უმართლობის მამონით, რომ, როდესაც გაღარიბდებით, მიგიღონ მარადიულ სავანეში.*

მცირედში ერთგული დიდშიც ერთგულია; და მცირედში უმართლო, დიდშიც უმართლოა. ჰოდა, თუ უმართლო მამონაში არ იქნებით ერთგულნი, ჭეშმარიტს ვინ მოგანდობთ? და თუ სხვისაში არ იქნებით ერთგულნი, თქვენსას ვინ მოგცემთ? არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც!"

ყოველივე ეს ფარისევლებსაც ესმოდათ, რომლებიც ვერცხლის მოყვარულნი იყვნენ, და სასაცილოდ იგდებდნენ მას. უთხრა მათ: „თქვენ თავს იმართლებთ ადამიანთა წინაშე, მაგრამ ღმერთმა იცის თქვენი გული, რადგან, რაც ამაღლებულია კაცთა შორის, სიბილწეა ღმერთის წინაშე".

– ლუკა 16:1-15

რამდენი რამ ჩანს ამ იგავში, თუ კარგად დავაკვირდებით. პირველი, ვხედავთ, რომ მდიდარმა ერთი სახლმმართველი დააყენა თავის ქონებაზე. ჩანს, ეს კაცი ბატონის თანხებს ფლანგავდა და სახლმმართველობისთვის გამოსადეგი აღარ იყო. როცა სამუშაოს კარგავდა, სწრაფად მოიწვია ყველა, ვისაც მდიდრისა რამე მართებდა და ვალის დაკლება ზოგიერთს სანახევროდაც შესთავაზა, თუ დარჩენილს სწრაფად გადაიხდიდნენ.

რასაკვირველია, მესაკუთრემ არ იცოდა, რას სჩადიოდა მმართველი. უმართლო კაცი კი ფიქრობდა, რომ სხვა ადამიანებისთვის შეღავათის მიცემით კეთილგანწყობას მოიხვეჭდა და მმართველობიდან გათავისუფლებულს სამსახურს შესთავაზებდნენ თავიანთ ბიზნესში. როცა ბატონმა უმართლო სახლმმართველის ამ საქმიანობის შესახებ გაიგო, თავისთან დაიბარა და:

„შეაქო ბატონმა უმართლო სახლმმართველი, გონივრულად რომ მოიქცა".

გონივრულობის განსაზღვრება ასეთია: „ჭკვიანურად მო-

ფიქრება ან გამჭრიახობის გამოჩენა, განსაკუთრებით, პრაქტიკულ საკითხებში. მოხერხებულობისა და გაქნილობისადმი მიდრეკილება; ხრიკიანობა".[11]

ბატონმა დაინახა, რომ მმართველს მომგებიანი გეგმის შედგენისა და გამოყენების უნარი ჰქონდა, ამ შემთხვევაში არა ბატონის სასარგებლოდ, არამედ საკუთარი თავისთვის – და ეს იყო ის, რის დანახვაც მას სურდა სახლმმართველის სამსახურში ყოფნისას. თუმცა, როცა ვითარება შეიცვალა და მნეს საკუთარ თავზე ზრუნვა დასჭირდა, დიდი გონიერება და საფუძვლიანი მიდგომა გამოიჩინა. მან ინიციატივა აიღო საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად და საკუთარი კეთილდღეობისთვის, რაც ბატონთან სამსახურში არ გაუკეთებია. ნება მომეცით, აქ პირდაპირი ვიყო — ეს კაცი ტიპური მოჯამაგირე გახლდათ!

ახლა მინდა რთული კითხვა დაგისვათ: თქვენც ხომ არ ხართ ქრისტიანი მოჯამაგირე ანუ დაქირავებული?

საკუთარ კეთილდღეობაზე უფრო მეტად ფიქრობთ თუ ღვთის საქმეზე? საკუთარი საზრუნავი უფრო მეტად გაღელვებთ თუ ღვთიური პრიორიტეტები და მიზნები? ხომ არ ფლანგავთ ღვთის ქონებას?

ოჰო! ვიცი, რომ მარტივი არ არის პასუხის გაცემა. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ ეს იგავი მეტად საფუძვლიანია, რადგან პირდაპირ გულში იჭრება და იქ დაფარულ არასწორ მოტივებს ამხელს.

იესო სურათს გვიხატავს და განმარტავს, რას ნიშნავს იყო დაქირავებული იოანე 10:11-13-დან.

> *„მე ვარ მწყემსი კეთილი. კეთილი მწყემსი თავის სიცოცხლეს დებს ცხვრისთვის. დაქირავებული კი არც მწყემსია და არც ცხვარი ეკუთვნის. მოვარდნილი მგლის დანახვაზე იგი ტოვებს ცხვარს და გარბის. მგელიც იტაცებს მათ და ფანტავს. დაქირავებული იმიტომ გარბის, რომ დაქირავებულია და არ ზრუნავს ცხვარზე".*
>
> – იოანე 10:11-13

NKJV ვერსია ასე გადმოგვცემს:

[11] *The American Heritage® Dictionary of the English Language, Fifth Edition*

„დაქირავებული იმიტომ გარბის, რომ მოჯამაგირეა და ცხვარი არ ადარდებს“.

რაც შეეხება უმართლო სახლმმართველს, მას აეკრძალა ბატონის ფინანსების განკარგვა, რადგან მისი კეთილდღეობა საერთოდ არ აინტერესებდა და მხოლოდ თავისი ადარდებდა. ახლა მას უკვე ჰქონდა წასვლისა და საკუთარი ფულის გამომუშავების უნარი, მაგრამ აღარასოდეს ექნებოდა მისი და ბატონის სახსრების ერთდროულად განკარგვის შესაძლებლობა.

ვფიქრობ, იმ დროში ვცხოვრობთ, როცა დაქირავებულის აზროვნება მართავს მთელ ამერიკასა და მსოფლიოს.

რესტორანში, ალბათ, გინახავთ ჭუჭყიანი მაგიდები და მოთხვრილი იატაკი, თუმცა უკანა პლანზე რამდენიმე თანამშრომელი უსაქმურად დგას. ან სწრაფი კვების ობიექტს აღებთ დაკეტვამდე 30 წუთით ადრე და ელდას გგვრით მაგიდებზე დახვავებული სკამები, ხოლო თანამშრომლები რიგში არიან გამწკრივებულები და საათს შესცქერიან, რომ სამუშაო დროის ამოწურვისთანავე გაიქცნენ. კითხვა არც კი გჭირდებათ, რომ გაიგოთ, მეპატრონე იქ არის თუ არა. აქ არის ყველა დაქირავებული. მათ არ აინტერესებთ ბიზნესის მოგება. ისინი აქ ხელფასისთვის მუშაობენ, სულ ეს არის.

ბევრი მეპატრონე მეუბნება, რომ საქმე სულ უფრო ცუდად მიდის და თუ თანამშრომელი, სულ მცირე, დროულად მოდის სამსახურში, ყველასგან გამოირჩევა. ბიზნესის მეპატრონეებს უნდათ ისეთი ხალხის აყვანა, რომელიც სამუშაოს გაითავისებს და მისგან წაღებას არ შეეცდება. მათ ისეთი თანამშრომლები სურთ, რომლებიც საკუთარ საქმესავით წარმართავენ სამუშაოს. ისინი მეუბნებიან, რომ ამგვარი დამოკიდებულების მქონე თანამშრომელი ყველანაირად წახალისებული და სასურველი იქნება.

ღმერთიც ასე ფიქრობს. იგი ეძებს ადამიანებს, რომლებიც ზრუნავენ იმაზე, რაც მას აღელვებს და სძულთ ის, რაც მას სძულს.

1 სამუელის მე-15 თავში მეფე საულმა ყამალეკს შეუტია იმისთვის, რაც ისრაელიანებს გაუკეთეს ეგვიპტიდან გამოსვლისას. მეფე საულს მითითება მიეცა, რომ ცოცხალი არ დაეტოვებინა არც მეფე და არც ხალხი. გარდა ამისა, თან არ უნდა წამოეყვანათ არავითარი პირუტყვი, თუმცა საული

სხვაგვარად მოიქცა:

> *„მაგრამ დაზოგეს საულმა და ხალხმა აგაგი, აგრეთვე საუკეთესო ცხვარი და საქონელი, ნასუქი ვერძები და ყოველივე საუკეთესო. არ ისურვეს მათი მოსპობა, ხოლო ყოველივე უმნიშვნელო და ცუდი მოსპეს“.*
>
> – 1 სამუელი 15:9

გადახედეთ, რას ამბობს ღმერთი 10-11 მუხლებში:

> *„და იყო სიტყვა უფლისა სამუელის მიმართ: „ვწუხვარ, რომ გავამეფე საული, რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს“. დამწუხრდა სამუელი და მთელი ღამე შეღაღადებდა უფალს“.*

შემდეგ 1 სამუელის 16:1-ში ვხედავთ ღვთის საუბარს სამუელთან საულის თაობაზე:

> *„უთხრა უფალმა სამუელს: „როდემდე უნდა გლოვობდე საულს? განა მე არ უარვყავი იგი როგორც ისრაელის მეფე? ააავსე შენი რქა ზეთით და წადი. ბეთლემელ იესესთან გგზავნი, რადგან მის ძეთა შორის გამოვარჩიე ჩემთვის მეფე“.*

როგორც უმართლო სახლმმართველი იყო დათხოვნილი ბატონის ქონების განკარგვის საქმიდან, ისე მოხდა საულის შემთხვევაშიც. და ხვდებით, რაშია საქმე? მეც და თქვენც ასე მოგვივა.

რას ეძებს ღმერთი? ვის ენდობა იგი?

> *„მისი მოცილების შემდეგ, მეფედ დავითი აამაღლა მათთვის, რომლის შესახებ თქვა დამოწმებით: ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულის სანდომი კაცი, <u>რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს ნება-სურვილს“</u>.*
>
> – საქმეები 13:22

თუ შესაძლებელია ჩვენი ჩამოშორება საქმეებისგან, გამოდგომაც შესაძლებელია. ალბათ, იკითხავთ: „კეთილი, გარი, მაგრამ ეს როგორ მოვახერხოთ?“ ხსენებული იგავი ამ კითხვასაც პასუხობს.

> *„მცირედში ერთგული დიდშიც ერთგულია; და მცირედში უმართლო, დიდშიც უმართლოა. ჰოდა, თუ უმართლო მამონაში არ იქნებით ერთგულნი, ჭეშმარიტს ვინ მოგანდობთ? და თუ სხვისაში არ იქნებით ერთგულნი, თქვენსას ვინ მოგცემთ?*
>
> *არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვადეს; ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც!“*
>
> – ლუკა 16:10-13

ნება მომეცით, ნათლად აგიხსნათ: ჯერ ერთგულების გამოცდა უნდა ჩააბაროთ. როცა მცირედში ერთგულად შეგრაცხავენ, დიდსაც მოგანდობენ. გამოცდა ყოველთვის ფიზიკურიდან იწყება და შემდეგ სულიერში გადადის. სანდო უნდა აღმოჩნდეთ ქვეყნიერი სიმდიდრის განკარგვაში, სანამ ღმერთი თავის სიმდიდრეს მოგანდობთ. თუ სხვისი ქონების მართვაში არ გამოდექით, საკუთარ ქონებას ვინ მოგცემთ? ღმერთი ნამდვილად არა.

მაშ, კარგი! აი, იგავის გამოყენება ჩვენი ცხოვრებისთვის.

ქრისტიანთა უმეტესობა ღმერთს მორჩენილ თანხას სწირავს.

ქრისტიანთა უმეტესობა ბიუჯეტს გადახედავს და გადაწყვეტილებას იღებს: „აი, ამის გაცემა შემიძლია“. და მაინც, ისინი წავლენ და უპრობლემოდ იყიდიან სრულიად ახალი მოდელის კატერს.

სულაც არ მინდა ვინმემ თავი დამნაშავედ იგრძნოს. ღმერთი არ გაღიზიანდება იმით, რომ ახალი კატერი გყავთ. უბრალოდ, კითხვას გისვამთ: გინდათ განკარგოთ როგორც საკუთარი, ისე ღვთის ფინანსები?

გუგლში თუ მოიძიებთ, რამდენს გასცემენ რიგითი ქრისტიანები, ელდა გეცემათ. ერთ-ერთ სატატისტიკურ მონაცემს გადავხედე, რომლის თანახმად საშუალო ქრისტიანი კვირაში $13-ს სწირავს ეკლესიას.[12]

ბევრ სტატისტიკურ მაჩვენებელს გადავხედე შესაწირთან დაკავშირებით და ყველა სევდისმომგვრელი იყო. როგორც გითხარით, ქრისტიანთა უმრავლესობა ღმერთს მორჩენილ თანხას სწირავს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ და გამიგეთ, რომ არ ვცდილობ ვინმეს მსჯავრი დავდო ან დანაშაულის გრძნობა გავუღვიძო. უბრალოდ, მინდა ერთი საკითხი გამოვკვეთო და ვფიქრობ, ღვთის სიტყვა ჩემს თვალსაზრისს ადასტურებს – ღმერთს დაქირავებულები არ სჭირდება; იგი მეპატრონეებს ეძებს.

მეორე, ღმერთი არ ეძებს ადამიანებს, რომლებიც ნაძალადევად სწირავენ დანაშაულის გრძნობის გამო. მას სიხარულით გამცემი უყვარს 2 კორინთელთა 9:7-ის თანახმად.

საული გადაყენებულ იქნა, ვინაიდან არ მოიქცა ღვთის ნათქვამისამებრ, მაგრამ დავითი აირჩიეს, რადგან ემორჩილებოდა და აკეთებდა იმას, რაც ღმერთს სურდა.

ამრიგად, ნება მომეცით, ახალი პერსპექტივა დაგანახოთ. რა მოხდება, თუ ჩვენს სამყაროს თავდაყირა დავაყენებთ და უპირველესად, ღვთისთვის ცხოვრებას გადავწყვეტთ? რა იქნება, რომ ჩვენ ვიცხოვროთ დარჩენილი თანხით? ეჭვი მაქვს, რომ თქვენი მონარჩენი ფინანსები საკმარისზე მეტი იქნება და კურთხეული ცხოვრებით იცხოვრებთ.

ამან იმუშავა რ. გ. ლეტურნოს ცხოვრებაში. მოკრძალებული წამოწყებით და მხოლოდ შვიდი კლასის განათლებით დაიწყო, თავად განისწავლა და ბოლოს მანუფაქტურის იმპერია ააგო. მისმა ექსკავატორებმა დიდი როლი ითამაშეს მეორე მსოფლიო ომის მოგებაში და თანამედროვე ამერიკის გზატკეცილების ინფრასტრუქტურა წარმოშვეს. სიცოცხლის ბოლოს მას უკვე 30 პატენტი ჰქონდა.[13]

რაში მდგომარეობდა მისი საიდუმლო? იგი ღმერთს სწირავდა საკუთარი შემოსავლის 90 %-ს.[14]

---

[12] https://www.pastorrickypowell.com/life_matters_with_pastor_/2009/10/startling-statistics

[13] http://centerforfaithandwork.com/article/who-was-rg-letourneau

[14] https://centerforfaithandwork.com/article/why-rg-letourneau-gave-90-percent

არ გეუბნებით, რომ იგივე უნდა გააკეთოთ. ეს იყო შეთანხმების შედეგი, რაც მან და ღმერთმა დადეს, როცა ის 30 წლის იყო და ვალებში იხრჩობოდა. მან ღმერთი აირჩია თავის ბიზნეს-პარტნიორად (როგორც უწოდებდა მას) და ამ საქმემ გაამართლა.

როცა ღმერთმა მომიწოდა, რომ ეკლესია წამომეწყო ნულიდან, უკვე ვმართავდი საკუთარ კომპანიას, Forward Financial Group-ს. ის ძალზე წარმატებული იყო და ქვეყნის მასშტაბით პირველი გახლდათ 5 000 ოფისს შორის ჩვენს უმთავრეს მომწოდებელთან ერთად. როცა ღმერთმა პასტორად მომიწოდა, ვკითხე:

– რა ვუყო კომპანიას? დავკეტო და ეკლესიის პასტორობას შევუდგე?

უფალმა მიპასუხა და ასე მითხრა:

– არა, შეინარჩუნე ის, რადგან ბევრ ადამიანს დაეხმარება.

ასეც მოვიქეცი.

უნდა ვაღიარო, რომ ზოგჯერ ძალზე რთული იყო ორივე საქმის ერთად კეთება, მაგრამ ის ათასობით ადამიანს დაეხმარა წლების მანძილზე. ეკლესიის მწყემსობის დაწყებისას ვვარაუდობდი, რომ კომპანიის წარმადობა (პროდუქტიულობა) დაიკლებდა, რადგან მის საქმიანობაში ჩემი ჩართულობა მკვეთრად შემცირდა. თუმცა სრულიად საწინააღმდეგო მოხდა, რადგან მე და დრენდამ თავი გადავდეთ ღვთის დავალებების შესასრულებლად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიაში მხოლოდ თავისუფალ დროს ვმუშაობდი, ის მაინც ვარსკვლავურ რეიტინგს ინარჩუნებდა.

ასობით ოფისებს შორის ჩვენ ყოველთვის პირველ ხუთეულში ან ათეულში შევდიოდით ქვეყნის მასშტაბით და ცნობადობას ვინარჩუნებდით. თუმცა ამის დანახვაზე მეღიმებოდა – ხომ ვიცოდი, რომ იქ მცირე დროით ვმუშაობდი და სრულ განაკვეთზე მეტს პასტორობას ვახმარდი. ღმერთმა კეთილგანწყობით და სიბრძნით მაკურთხა, რომ ფულის მთელი გულით მიმდევარი ამქვეყნიური ხალხი შეჩერებულიყო და ინტერესით ეკითხა, როგორ ვახერხებდი ამას.

მახსოვს, ერთ კონვენციაზე ყოფნისას მაგიდასთან ვიჯექი და ჩემ გვერდით მჯდომმა მკითხა, რა მოცულობის მარკეტინგულ საქმიანობას ვეწეოდი. გავუღიმე და ვუთხარი:

– არანაირს.

მან ისევ იკითხა:

– აბა, ამხელა ბიზნესს როგორ მართავ?

ვუთხარი, რომ მხოლოდ სიტყვიერი გადაცემით ვმუშაობდით და ღმერთი გვაკურთხებდა. მან მხოლოდ თავი გადააქნია, რადგან ვერაფერი გაიგო.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲐᲛᲐᲡ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲛᲠᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲝᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ერთხელ ჩვენი ერთ-ერთი მომწოდებლის პრეზიდენტმა დამირეკა და მკითხა, ხომ არ ვისურვებდი კონვენციაზე სიტყვით გამოსვლას, თუ როგორ მივაღწიე ასეთ წარმატებას. ვუთხარი, რომ სიამოვნებით გავაკეთებდი ამას. შემდეგ კითხვები დამისვა, როგორ ვმუშაობდით და როგორ ვმართავდით ბიზნესს. რასაკვირველია, მომიხდა იმის თქმა, რომ ვენდობოდით ღმერთს და როგორ გვაკურთხა თავისი კეთილგანწყობით. შემდეგ ისიც ვუთხარი, რომ კვირაში მხოლოდ რამდენიმე საათს ვუთმობდი საქმეს, რადგან სრული განაკვეთით ვმუშაობდი ეკლესიის პასტორად. კომპანიის პრეზიდენტმა ასე მითხრა:

– მე მეგონა, დეტალურ მარკეტინგულ სტრატეგიას გაგვაცნობდი და გაგვიზიარებდი, როგორ მოქმედებს ის. ვფიქრობ, ეს ის არ არის, რაც მხედველობაში მქონდა, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ გაზიარება მოისურვე.

იცით, მათ ამით იზარალეს. ვფიქრობ, ბევრს დავეხმარებოდი იმ კონვენციაზე.

ამ წიგნში ვახსენე, რომ ღმერთი თქვენს საქმეებზე იზრუნებს, თუ თქვენ მის საქმეებზე იმუშავებთ!

ამრიგად, ნება მომეცით, ისევ დაგისვათ კითხვა, რომლითაც დავიწყეთ, „ვისია ეს ფული?“

მოისურვებდით მხოლოდ საკუთარი ფულის ქონას, რის ანაბარადაც უმართლო სახლმმართველი დარჩა თუ ღვთის თანხებსაც განკარგავდით? როცა ღვთის თანხებს ფლობთ, თქვენი საქმის მარცვალი თანდათან ენერგიით ივსება ღვთიური სიბრძნისა და მადლის წყალობით და მიღებულ მოგებასთან ერთად საჭმელი პურის მოსავალიც იზრდება.

დარწმუნებული ვარ, ღმერთს არ ადარდებს, მილიონებიც რომ გქონდეთ, თუ თქვენი გული მას ეკუთვნის!

გახსოვდეთ, რომ ყველაფერი პატარა დავალებებით იწყება, სადაც არავინ იცის თქვენი სახელი. თუნდაც ფიქრობდეთ,

რომ არავის აღელვებს, რას აკეთებთ ნახევარგანაკვეთიან სამუშაოზე, ღმერთი ხედავს ამას. ყოველი დავალების შესრულებისას მომდევნოსთვის იწვრთნებით, ამიტომ ამრეზით არასოდეს შეხედოთ პატარა წამოწყებებს დღეს. ისე მიუდექით მას, როგორც თქვენს საკუთარს და მთელი გულით იშრომეთ. გარანტიას გაძლევთ, რომ ვარსკვლავივით გაბრწყინდებით და საკუთარ თავს წინსვლისა და კეთილგანწყობის პოზიციაზე დააყენებთ.

თავი 5
პარტნიორი გჭირდებათ!

როგორც იცით, ფინანსურ ბიზნესში ვმუშაობ თითქმის 40 წელია. წლების მანძილზე ადამიანები მეკითხებიან, როგორ უნდა დაიწყონ ბიზნეს-საქმიანობა და რა განაპირობებს ბიზნესის ზრდას.

რასაკვირველია, ამისთვის ბევრი რამის ცოდნაა საჭირო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რის თქმაც მათთვის შემიძლია, ეს გახლავთ *პარტნიორის* საჭიროება.

ამდენი წლის მანძილზე ეკლესიის მწყემსობისას საკმარისზე მეტად მინახავს ადამიანები, რომელთაც საუცხოო იდეად მიაჩნდათ ბიზნესის დაწყება ეკლესიურ მეგობართან ერთად, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ფეთქდება, მეგობრები განაწყენებულები რჩებიან და ხშირად აღარც ელაპარაკებიან ერთმანეთს. ურთიერთობები ინგრევა. იმდენჯერ მაქვს ნანახი მსგავსი სცენარი, რომ არავის ვურჩევ მეგობართან ერთად ბიზნესის წამოწყებას, თუ მოქმედების საზღვრები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაწერილი არ აქვთ.

და მაინც, არის ერთი პარტნიორი, რომელსაც დაჟინებით გირჩევთ და ეს ღმერთია.

წინა თავში ვისაუბრეთ ქალზე, რომელმაც წინასწარმეტყველი ელია მიიღო და უკანასკნელი საჭმელი გაუნაწილა. დავინახეთ, რომ რწმენის აქტმა წინასწარმეტყველი ყოველდღიური საკვებით უზრუნველყო და ამის გაკეთებით ელიას დავალებაზე არსებულ ცხებულებას და უზრუნველყოფას ეზიარა. ისინი პარტნიორები იყვნენ.

ამ წიგნში არაერთხელ ვილაპარაკეთ ღვთის მიმართ გამოჩენილ ხელგაშლილობასა და მისი დავალებებისთვის დათესვაზე. ასევე გითხარით, თუ როგორ ხსნის სიუხვე ადამიანთა გულებს თქვენდამი და ღმერთისადმი.

ამ თავში ღვთის სამეფოს კიდევ ერთ ძალმოსილ პრინციპს გაგიზიარებთ, რომელიც თქვენს ფინანსებს სრულიად ახალ სიმაღლეებს დააპყრობინებს. ეს გახლავთ *მეწილეობის* პრინციპი.

> *„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ღმერთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.*
>
> *ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად“.*
>
> *მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენ სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს“.*
>
> *ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ“.*
>
> – ლუკა 5:1-7

ვიცი, რომ ეს მონაკვეთი უკვე ვახსენე, როცა ნავებსა და სათევზაო ბიზნესზე ვლაპარაკობდი, რომელმაც სამეფო (ანუ იურისდიქცია) შეიცვალა იმ დროს, როცა პეტრემ (სიმონმა) თავისი ნავი იესოს ათხოვა საქადაგებლად. ასევე ვილაპარაკე საოცარ თევზჭერასა და ორი ნავის თითქმის ჩაძირვაზე. გაიხსენეთ, რომ პეტრეს ნათქვამის თანახმად, მან მთელი ღამე ითევზავა და ვერაფერი დაიჭირა. ახლა, სულ რაღაც რამდენიმე საათის შემდეგ, თევზით სავსე ბადის გამოთრევაც კი გაუჭირდა. რაში იყო განსხვავება? რასაკვირველია, ცათა სამეფოსა და ასევე *პარტნიორობაში*. ნება მომეცით, აგიხსნათ.

> *„დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა“.*

მოდი, ვითარება გავაანალიზოთ გონებაში. სად იყვნენ ისინი და რას აკეთებდნენ, როცა მათთან იესო მივიდა? ისინი არ თევზაობდნენ, არამედ ნაპირზე ბადეებს რეცხავდნენ წინა ღამის უშედეგო თევზაობის შემდეგ.

როცა იესომ თავისუფალი ნავები შენიშნა, პეტრეს სთხოვა, ნაპირს ცოტა მოშორებოდა, რომ ხალხისთვის იქედან ექადაგა. მაშ, სად იყვნენ იაკობი და იოანე – პეტრეს მეწილეები, როცა მას იესო გაყავდა ცოტა მოშორებით? ისინი ისევ ნაპირზე იყვნენ მეორე ნავთან და თავიანთ ბადეებთან.

ქადაგების შემდეგ იესომ პეტრეს უთხრა, რომ ბადეები უფრო ღრმა წყალში მოესროლა. თქვენ უკვე იცით, რაც მოხდა. მან იმდენი თევზი დაიჭირა, რომ ბადეები კინაღამ დაეხა. პეტრემ თავის მეწილეებს დაუძახა, რომ თევზის ამოთრევაში დახმარებოდნენ. ბიბლია ამბობს, რომ ორივე ნავი ისე გაივსო თევზით, რომ კინაღამ ჩაიძირა.

> *„ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ“.*

აი, ახლა დგება მილიონდოლარიანი შეკითხვის ჯერი: რა რწმენა ჰქონდათ იაკობსა და იოანეს, რომ მათი ნავი კინაღამ ჩაიძირა თევზის სისავსის გამო?

იფიქრეთ ამაზე – ისინი ჯერ კიდევ ნაპირზე იყვნენ თავიანთ ნავებთან. მხოლოდ პეტრე დათანხმდა იესოს მოშორებით გაყვანაზე. ის ერთადერთი იყო, ვინც თქვა: „მაგრამ *შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს*“. ამრიგად, კითხვაზე სწორი პასუხია, *არანაირი*! იაკობსა და იოანეს *თავიანთი* რწმენით არ მოუმკიათ თევზის დიდი მოსავალი; ეს პეტრეს რწმენის გამო მოხდა. მან, უბრალოდ დასახმარებლად დაუძახა თავის მეწილეებს, რომლებიც ჯერ კიდევ ნაპირზე იყვნენ. საოცარია, რომ მათი ნავიც ზუსტად ისევე გადაივსო, როგორც პეტრეს ნავი.

> *„მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი*

> *ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ. მაგრამ შენ სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს".*

თუ პეტრეს რწმენამ მოიწია მოსავალი, მაშ იაკობისა და იოანეს ნავი როგორ გაივსო ზუსტად იმავე რაოდენობის თევზით?

ტექსტი პასუხობს ამ კითხვას – ისინი მეწილეები იყვნენ.

მეწილის ანუ პარტნიორის განმარტება ასეთია კოლინზის ინგლისურ ლექსიკონში:

> **პიროვნება, რომელიც სხვასთან ერთად იზიარებს ან მხარს უჭერს რაიმე საქმეს ან წამოწყებას და მასთან დაკავშრებულ რისკებსა და მოგებას.**

მეწილე ანუ პარტნიორი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ბიზნესის რისკებს, ხარჯებსა და მოგებას ინაწილებს. ამრიგად, როცა პეტრემ იესოს ნავი ათხოვა გამოსაყენებლად, ფაქტობრივად, მხოლოდ ნავი კი არა, თავისი საქმე მიანდო ამ სიტყვის საკანონმდებლო მნიშვნელობით. ტექნიკური თვალსაზრისით, იაკობსა და იოანესაც ჰქონდათ წილი პეტრეს მიერ იესოსთვის ნავის თხოვებაში. სწორედ ამ პარტნიორობის გამო აივსო მათი ნავი.

იაკობმა და იოანემ ზუსტად იგივე ოდენობის მოსავალი მიიღეს, რაც პეტრემ, იმის მიუხედავად, რომ იმ ვითარებაში რწმენა საერთოდ არ გამოუჩენიათ. სანაძლეოს დავდებ, რომ მაშინ ძალიან გაუხარდათ პეტრეს მეწილეობა. რას ფიქრობთ? მე ასე ვფიქრობ. ნება მომეცით, კიდევ ერთი პირადი მაგალითი მოვიყვანო ამ პრინციპის დასადასტურებლად.

მე და დრენდა 60 აკრის ტერიტორიას ვფლობდით, რომელიც ტყის, წყალმარჩხებისა და მინდვრების ერთობლიობას წარმოადგენდა. ეს იყო აბსოლუტურად სრულყოფილი, ირმებზე სანადირო ადგილი. ჩვენი ქონების ირგვლივ მარცვლეული ეთესა, ხოლო ტყე და წყალმარჩხი ირმებს ბუნებრივად იზიდავდა.

გარაჟის თავზე ოფისი მოვიწყვე ხის თაროებითა და ჩაშენებული გაზის ბუხრით. ეს არის წყნარი, კომფორტული, კაცური გამოქვაბულის მსგავსი ოფისი, სადაც მუშაობა ძალიან

მიყვარს. ერთადერთი, რაც იქაურობას აკლია, გახლავთ ხარირმის ფიტული ჩემი სამუშაო მაგიდის თავზე. მართალი გითხრათ, არასოდეს ვიყავი დაინტერესებული დიდი ზომის ხარირმების მოკვლით. მე უფრო ხორცზე მონადირე გახლდით. შესაბამისად, არასოდეს მომიკლავს იმხელა ხარირემი, რომელიც კედელზე აღმართვის ღირსი იქნებოდა.

იმ მიწაზე ხუთი წლის სახლობის შემდეგ დრენდამ აიჩემა, რომ კარგი იქნებოდა, ჩემი ოფისისთვის დიდი ხარირმის მონადირება. იმ დრომდე ამხელა ცხოველი არც კი მინახავს ჩვენს ტყეში. ირმებზე ნადირობის ყოველ სეზონზე გავდიოდი და ორიოდე მშვენიერ რვატოტიან ხარირემს ვკლავდი, მაგრამ ისეთი არ შემხვედრია, რომ მისი კედელზე აღმართვა მომეწადინებინოს.

იმ წელს, რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით მეტად ვეთანხმებოდი დრენდას. ვუთხარი კიდეც, რომ დიდი ხარირმის მონადირებას ვაპირებდი კედელზე ჩამოსაკიდად. და მაინც, ასეთი დიდი ცხოველი არ მხვდებოდა. ჩვენი სამზარეულოს ფანჯარა ტყესა და მინდორს გაჰყურებს, მაგრამ დიდი ირმისთვის თვალი არასოდეს მომიკრავს.

ამრიგად, მე და დრენდამ დიდი ხარირმისთვის დავთესეთ. ჩემ მიერ დასათესი თანხის ჩეკს წავაწერე, რომ ათტოტიანი და უფრო დიდი ცხოველისთვის ვთესავდი. იმ თესლზე ვილოცეთ და ჩემი მაგიდის უჯრაში გასაგზავნად შევინახე. კონვერტმა იქ სამი დღე გაატარა ისე, რომ გაგზავნას ვერ ვახერხებდი. ვიცოდი, რომ ათტოტიანი ხარირმის რწმენა არ მქონდა. მქონდა რვა, ექვსი ან ოთხტოტიანის რწმენა მთელი დღის განმავლობაში, მაგრამ ვერ ვხედავდი დიდ ხარირემს იმ დარწმუნებით, რომელიც ამბობს: „ვიცი, უბრალოდ ვიცი, რომ ათტოტიან ან უფრო დიდ ხარირემს მოვინადირებ, როცა ტყეში წავალ“.

საკმარისი გამოცდილება მქონდა ცათა სამეფოსთან დაკავშირებით, რომ ამას მივმხვდარიყავი. ეს რწმენა არ იყო. ამრიგად, ის ჩეკი დავხიე და ახალი გამოვწერე, რომელსაც დავაწერე: „ოთხ-ტოტიანი ან უფრო დიდი ირმისთვის“. ჩეკი მაშინვე გავაგზავნე.

სანადიროდ წასვლის წინა ღამეს დრენდას ვუთხარი, როგორც მოვიქეცი.

– უბრალოდ, არ მქონდა რწმენა იმხელა ხარირმის მოსაკლავად, – ვუთხარი მას.

მან შემომხედა და თქვა:

– შენ გაქვს ირმის რწმენა, ხოლო მე მაქვს გამოსაფენი ხარირმის რწმენა. ღმერთს იმაზე გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე შენ სთხოვ ან ფიქრობ!“

დილა ჩვეულებრივად დაიწყო ციყვების შარიშურით და ჩიტების ჭიკჭიკით ტყეში, ისე რომ ჩამოცვენილი ფოთლების ხმაზე გონებით წარმოვიდგინე ირმებზე სანადირო ადგილები. ჩასაფრებული დიდხანს არ ვმჯდარვარ, დაახლოებით 20 წუთი, როცა ტყეში მომავალი ხარირმის ხმა მოსწვდა ჩემს ყურს. იგი პირდაპირ ჩემი ხისკენ მოექანებოდა და მეც სროლისთვის მოვემზადე.

როცა ხარირემი მომიახლოვდა, დავინახე, რომ ოთხტოტიანი იყო, ზუსტად ისეთი, როგორსაც მოვინადირებდი ხოლმე, რადგან საჭმელად ძალზე გემრიელია. ირემი ჩემგან 25 იარდის მოშორებით ღიობზე შეჩერდა და მეც ისარი ვესროლე. სამწუხაროდ, ისარი მეტისმეტად მაღლა და უკან მოხვდა და ვიცოდი, რომ მისი დადევნება დამჭირდებოდა.

ხარირემი ტყეში გარბოდა. შემდეგ მოსაზღვრე სიმინდის ყანაში შევარდა. ახლა უკვე დავკარგე მხედველობის არიდან. მესმოდა, როგორ მიშლიგინებდა სიმინდებში და მისი სიჩქარით თუ ვიმსჯელებდი, კარგა მომქანცველი დევნის სამუშაო მელოდა წინ. კიდევ 20 წუთი შევყოვნდი და ხიდან ჩამოსვლა გადავწყვიტე ისრის შესამოწმებლად. შემეძლო მეთქვა, რომ ნამდვილად მოვარტყი, რადგან სისხლის წვეთები შევნიშნე.

წვეთების კვალს მივყევი და გავმხნევდი, რადგან სისხლი საკმაოდ დასდენია. დაახლოებით 100 იარდის შემდეგ სისხლის წვეთები აღარ ჩანდა. ირგვლივ დაკვირვებით მიმოვიხედე, მაგრამ ერთი წვეთიც ვერსად ვნახე. ორი საათის ძიების შემდეგ მივხვდი, რომ ირემი ხელიდან დამისხლტა. იმედგაცრუებული ვიყავი. პირველი, არასოდეს მდომებია ირმის დაჭრა და შემდეგ მისი დაკარგვა და მეორე, უკმაყოფილო დავრჩი ჩემი ნასროლით.

სიმინდის ყანაში დგომისას, როცა გადავწყვიტე, რომ სახლში დაბრუნების დრო იყო, ერთი აზრი მომივიდა. *შანსი კიდევ მქონდა. შესაძლებელი იყო, ისევ წავწყდომოდი ირემს უკანა გზაზე სიმინდის ყანაში ან წყალმარჩხთან.*

ყოველი შემთხვევისთვის მშვილდ-ისარი გავმართე. ნელა მივემართებოდი სარეველებიან ღარტაფზე, როცა მოულოდნელად ირემი გადმომიხტა და ჩემ წინ აღმოჩნდა. ვერ მიხვდა, რასთან ჰქონდა საქმე, ამიტომ შეჩერდა და უკან მიიხედა.

კამუფლაჟირებული ტანსაცმელი მეცვა და შევნიშნე, რომ ხარირემი იყო, მაგრამ ყოყმანობდა, რადგან ვერ მხედავდა. ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა. მისი რქების დანახვა მოვასწარი, მაგრამ არ ვიცოდი, რამდენად დიდი იყო და რამდენტოტიანი.

ვიცოდი, რომ წამები მქონდა ირემთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად. იგი ისრის სროლის მანძილის მიღმა იყო, დაახლოებით, 55 იარდის დაშორებით და ჩემი მიმართულებით იდგა. სწრაფად მოვზიდე მშვილდი, ზურგის ზედა ნაწილში დავუმიზნე და გავისროლე.

ხარირემი მაშინვე დავარდა, როცა ისარი მოხვდა და იქვე დარჩა. ცოტა არ იყოს, გაოგნებული ვიყავი, ნუთუ მართლა მოხდა ეს?

როცა ირმისკენ მივდიოდი, პირველი ეს გავიფიქრე: „დრენდას რწმენა!“ ხარირემი უზარმაზარი აღმოჩნდა. 26 ტოტი დავთვალე. გარდა ამისა, დაღმა მზარდი ტოტებიც ჰქონდა. არასოდეს მენახა ამხელა ხარირემი! აღელვებული ვიყავი მეთქი რომ ვთქვა, ეს სრულად ვერ აღწერდა ჩემს მდგომარეობას.

როგორც უკვე მიხვდით, ხარირემი ჩემს ოფისს ამშვენებს და მაგიდის თავზე ჰკიდია.

ცოტა ხნით კიდევ მინდა ამ ირემზე გელაპარაკოთ. როგორ ან რატომ გამოჩნდა ის?

ოთხტოტიანი ზუსტად დროულად გამოჩნდა, მაგრამ მაინც ვერ მოვინადირე. თუმცა დრენდამ თქვა, რომ დიდი ხარირმის რწმენა ჰქონდა.

მას უპირატესობა ჰქონდა ჩემთან შედარებით. იგი ირემზე არ ნადირობს, ამიტომ მისთვის სულ ერთია, ცხოველი ოთხტოტიანი იქნება თუ არა. დრენდასთვის ირემი ირემია. მას ნადირობის გამოცდილება არ აქვს და შესაბამისად, არც ამის შეუძლებლობის დამამტკიცებელი სურათი წარმოუდგება გონებაში. ჩვენს მიწაზე არასოდეს დამინახავს რვატოტიანი ირემი, არათუ ამაზე დიდი, მაგრამ დრენდას რწმენა არ ეყრდნობოდა იმის ცოდნას, დიდი ირემი იყო თუ არა ჩვენს მიწაზე. მას მხოლოდ იმის სჯეროდა, რომ ღმერთს შეეძლო მისი მოყვანა.

ეს ნადირობა ირმების გამრავლების, ეგრეთ წოდებული, ახურების სეზონს დაემთხვა. ამ დროს ხარირმები მრავალ მილს გადიან მეწყვილის ძებნაში. ამიტომ, ეს პერიოდი კარგი დროა იმისთვის, რომ ხარირმები ნახოთ თქვენს ტერიტორიაზე, თუნდაც აქამდე არასოდეს გენახოთ. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

დრენდას რწმენამ ის ხარირემი ჩემამდე მოიყვანა, თუმცა მე ასეთი დიდი ცხოველის მონადირების რწმენა არ მქონდა.

მინდა კიდევ ერთხელ წაიკითხოთ – კედელზე გამოსაფენი ხარირმის მონადირების რწმენა არ მქონდა!

ვიცი, რასაც ფიქრობთ – *მოიცა, გარი. უკვე დავიბენი. თუ ირმის მოპოვების რწმენა არ გქონდა, როგორ გამოჩნდა ის?*

ისევე, როგორც იაკობისა და იოანეს ნავი გაივსო თევზით.

ასეთია მეწილეობის ძალა.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვანოთ და შემდეგ ამის შესახებ ვისაუბროთ.

> *„მადლობას ვუხდი ჩემს ღმერთს ყოველ თქვენს გახსენებაზე. ყოველ ჩემს ვედრებაში სიხარულით ვლოცულობ ყოველი თქვენგანისთვის, სახარებაში თქვენი თანამონაწილეობისთვის, პირველი დღიდან აქამდე. და დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც დაიწყო თქვენში კეთილი საქმე, დაასრულებს კიდეც იესო ქრისტეს დღემდე.*
>
> *ასეც მმართებს ფიქრი ყოველ თქვენგანზე, რადგან გულში მყავხართ, ბორკილებში ვიქნები თუ სახარების დაცვასა და მის განმტკიცებაში, რადგან ყველანი ჩემი თანაზიარნი ხართ მადლში“.*
>
> – ფილიპელთა 1:3-7

პავლე ამბობს, რომ სიხარულით იხსენებს ფილიპეს ეკლესიას, რადგან მუდამ მისი პარტნიორები იყვნენ მსახურებაში. უფრო მეტიც, ის ამბობს, რომ ამ მეწილეობის გამო ეზიარნენ ღვთის მადლს, რომელიც მის მსახურებაზე იყო.

გახსოვთ, ადრე ვთქვით, რომ მადლი ღვთიური ძალა ან უნარია, რომელიც პავლეს დავალების შესრულებისთვის სჭირდებოდა? ფილიპელთა ეკლესია მონაწილეობდა ამ დავალების გაფართოებაში და იაკობისა და იოანეს მსგავსად ეზიარნენ მასზე არსებულ ცხებულებასა და მადლს.

მოდი, ფილიპელთა მიმართ წერილის მეოთხე თავს გადავხედოთ და მეწილეობის საოცარ შედეგებს დაინახავთ.

> *„ხოლო თქვენ კარგად მოიქეცით, ჭირში რომ მეზიარეთ. თქვენ იცით, ფილიპელნო, რომ ხარების დასაწყისში,*

როცა მაკედონიიდან გამოვედი, არც ერთმა ეკლესიამ არ მიიღო მონაწილეობა ჩემთან მიღება-გაცემაში, თქვენს გარდა. თესალონიკეშიც გამომიგზავნეთ, რაც მჭირდებოდა, ერთი-ორჯერ. არა იმიტომ, რომ მოსაკითხს ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავლდება. ყოველივე მივიღე და უხვად მაქვს; კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპაფროტიდესგან თქვენ მიერ გამოგზავნილი კეთილსურნელება, საამებელი მსხვერპლი, ღვთისთვის მოსაწონი. ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს, ქრისტე იესოში დიდების მეშვეობით.

– ფილიპელთა 4:14-19

პავლემ ის-ის იყო მიიღო ახალი შემოწირულობა ფილიპელთა ეკლესიიდან. მოუსმინეთ, რას პასუხობს მათ: *„ჩემი ღმერთი კი აღავსებს ყოველ თქვენს საჭიროებას“*.

ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლე არ ამბობს: *„თქვენი* ღმერთი აღავსებს ყოველ თქვენს საჭიროებას, რადგან ჩემ მიმართ ხელგაშლილობა გამოიჩინეთ“. არა! ის ამბობს: „ჩემი ღმერთი კი აღავსებს ყოველ თქვენს საჭიროებას!“

აქ ხედავთ, რომ ფილიპელები პავლეს პარტნიორები იყვნენ და შესაბამისად, პავლეს დავალების მადლსაც ეზიარებოდნენ. როგორც იაკობმა და იოანემ დაიჭირეს თევზი პეტრეს რწმენის გამო, ისე პავლეც აცხადებს, რომ ფილიპელთა საჭიროებები დაკმაყოფილდება *მისი რწმენის* მეშვეობით!

დავუშვათ, მანქანა გჭირდებათ და ჩვენი მსახურების პარტნიორი ხართ. ვთქვათ, ეს ავტომობილი $30 000 ღირს. როცა GaryKeesee.com-ს ნახავთ, მიხვდებით, რას ნიშნავს პარტნიორობა – ეზიარებით ჩვენი მსახურების ცხებულებასა და მადლს.

ჩვენ, როგორც მსახურებას, მარტივად შეგვიძლია $30 000-ზე შეთანხმება, რადგან ამგვარი საჭიროების ნიშნულს უკვე დიდი ხანია გადავცდით. ჩვენთვის ადვილია $30 000-ის რწმენა, რადგან ამჟამად ყოველწლიურად მილიონებს ვხარჯავთ. თუმცა ადრე მახსოვს, როგორ უნდა მივნდობოდი ღმერთს $30 000-ს მისაღებად, რაც მაშინ ჩვენ ნინ მდგარ უზარმაზარ მთას ჰგავდა.

ამრიგად, კითხვაზე, მწამს თუ არა, რომ ღვთისგან მივიღებ $30 000-ს, პასუხია – სრულიად. ამრიგად, პავლეს მსგავსად, როცა შეთანხმებაში ვართ და პარტნიორები ვხდებით, შემიძლია განვაცხადო თქვენი საჭიროების დაკმაყოფილება და აქ *თქვენი* რწმენა კი არ მოქმედებს, არამედ *ჩემი*.

ცხადია, თქვენ გჭირდებათ რწმენა, როცა მარცვალს აგდებთ $30 000-ის მისაღებად. ასევე უნდა გჯეროდეთ არა მარტო ღვთის სიტყვის, არამედ ჩვენიც. გულდაჯერებული უნდა იყოთ, რომ ღვთისგან ცხებული და მოწოდებული ვარ, რომ წრფელად ვმოქმედებ. ასევე ჩემს ცხოვრებასა და მსახურებაში *თვალსაჩინო შედეგებს* უნდა ხედავდეთ. თუ ჩვენს საქმიანობას დააკვირდებით და ნახავთ, საიდან მოვედით, ცხადი გახდება, რომ $30 000 რწმენა გვაქვს!

შესაძლოა, თქვენ არ გქონდეთ $30 000-ის რწმენა, მაგრამ თუ ერთად ვითანამშრომლებთ, დაინახავთ საოცარ საქმეებს. იგივე მოხდა კედლის ხარირმის შემთხვევაში. სანადიროდ გასვლის წინა ღამეს დრენდამ მითხრა:

– შენ გწამს, რომ ირემს მოკლავ, მაგრამ მე მჯერა, რომ კედელზე გასაკრავ ხარირემს მოინადირებ“. აი, ასე მოქმედებს პარტნიორობა.

ნება მომეცით, რამდენიმე საფუძვლიანი წესი მოვიყვანო თქვენთვის კითხვის დასმით: კომპიუტერულ კომპანიას რომ იწყებდეთ, მეწილედ ისეთ ადამიანს აირჩევდით, რომელსაც ფული არ აქვს და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია თუ ვინმე ისეთს, ვისაც მულტიმილიონის ღირებულების კომპანიას ფლობს და საკმარისი ფინანსები აქვს დასაწყისისთვის თქვენს დასახმარებლად?

რასაკვირველია, აქ ბევრი ვარიაცია არსებობს და მე მხოლოდ თვალსაჩინოებას წარმოგიდგენთ. ვფიქრობ, ერთი შეხედვით, მაინც გამოცდილი ადამიანის არჩევა სჯობს, ვისაც დაფიქსირებული წარმატებებისთვის მიუღწევია და არ დანებებულა! იგივე ხდება მაშინაც, როცა მსახურების პარტნიორი ხდებით.

გთხოვთ, არ აურიოთ ჩემი ნათქვამი ღვთისგან პირდაპირ მოსულ მითითებაში, რომელიმე ადამიანის პარტნიორობის შესახებ. ასეთი ზეციური რჩევა ჩემს ნათქვამს აღემატება. ხშირად, ღმერთი მიგიძღვით მისი დავალების შესრულებისას, მაგრამ სხვა შემთხვევაში, თავად უნდა აირჩიოთ პარტნიორი.

ახლა კონკრეტულად თესვისას გასაკეთებელ არჩევანზე ვლაპარაკობ, როცა მოსავლის მიღება გინდათ და უფრო მაღალ დონეზე ასვლის სურვილი გაქვთ.

მე ვთესავ დავალებებისთვის, რომლებიც, ჩემი რწმენით, საკუთარი ცხოვრებისთვის საჭირო ფონდების დაჩქარებული მიღების თვალსაჩინო მიზანს ემსახურება. ერთი წესი, რომელსაც არასოდეს ვარღვევ, გახლავთ იმ ღვთიური დავალებისთვის დათესვა, რომელიც რწმენასა და შეთანხმებას გულისხმობს ჩემი მოსავლის დაჩქარებული მიღების საქმეში. ამგვარი შესაწირი *მიზანმიმართულია* და არ უნდა აგერიოთ ღარიბების დახმარების საქმეში.

ღარიბების დახმარება ღვთის გულითადი საჭიროებაა და მას თავისი საზღაური აქვს, მაგრამ მე ვცდილობ ისეთი დავალების შესრულებაში გავწიო პარტნიორობა, სადაც რწმენის არებობა ცხადია და ჩემთან შეთანხმების პოტენციალიც გააჩნია.

აი, ასე იფიქრეთ: ვიღაც ისეთს რომ ვთხოვო $10 მილიონზე შეთანხმება, ვინც საათში $3-ს გამოიმუშავებს, მძიმე მდგომარეობაშია და ასე იყო წლები, რა შანსი მექნება, რომ ნამდვილ შეთანხმებას ექნება ადგილი ჩვენ შორის?

იცით, მე ყველას ვემსახურები და ამისთვის ვარ მოწოდებული, მაგრამ როცა შეთანხმებაზეა საუბარი, აქ მართლაც უნდა იყოს თანხმობა ორივე მხრიდან. ფერმერი თესლს ნებისმიერ მინდორზე არ თესავს. იგი სწორ ნიადაგს ეძებს ჩაფიქრებული მოსავლის მისაღებად. აქ ამქვეყნიურ სამყაროში სხვა ადამიანის რწმენასთან, სხვის ცხებულებასთან პარტნიორობაზე ვლაპარაკობ.

კიდევ ერთი რამ, რასაც ვითვალისწინებ, გახლავთ ღვთის დავალებისთვის თესვა, რომელსაც იგივე ნაყოფი აქვს, რისიც თავად მე მჯერა ღმერთში.

მაგალითად, ჩემი კომპანია ორ თვითმფრინავს ფლობს. სანამ რომელიმე მათგანს შევიძენდი, ღვთის დავალებისთვის ვთესავდი. ეს გახლდათ მსახურება, რომლის შესახებაც ვიცოდი, რომ ადრე ათეულობით მრავალმილიონიან თვითმფრინავებს ყიდულობდა. როცა ვამბობ ბევრს, მართლაც *ბევრს* ვგულისხმობ. კომპანია ყველა თვითმფრინავისთვის ნაღდ ფულს იხდიდა. მათ თვალსაჩინო შედეგი ჰქონდათ, როცა საქმე თვითმფრინავებზე მიდგებოდა. ვიცოდი, რომ ისინი ადვილად დამთანხმდებოდნენ ამ საჰაერო ტრანსპორტის შეძენაზე და რწმენას იქამდე

შეინარჩუნებდნენ, სანამ რეალურად არ ვიყიდდი. არ მოვისურვებდი ისეთ მსახურებასთან პარტნიორობას, რომელთა აზრითაც თვითმფრინავები მეტისმეტად ძვირი იყო, შეძენად არ ღირდა ან მისი ფლობის სურვილი ეშმაკისგან მოდიოდა. ასეთ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა რეალურ შეთანხმებას. არა, მე მინდოდა იმ მსახურებასთან დაკავშირება, რომელიც კარგად აცნობიერებდა, რა ადგილას ვიყავი მე, შეძლებდა ჩემთან შეთანხმებას ღვთიურ რწმენაში თვითმფრინავის მისაღებად და ამის დასამტკიცებლად ნაყოფებიც ჰქონდა.

პილოტობას ვეწეოდი 19 წლის ასაკიდან და ვისწავლე ქვეყნის მასშტაბით 3 000 ფუტზე ფრენა მოხრეშილი ასაფრენი ზოლით. მთელი ცხოვრება თვითმფრინავებს ვქირაობდი, სანამ ერთ დღესაც ასეთი აზრი არ მომივიდა: *იცი რა? თესლი უნდა დავთესო და ღმერთს ვერწმუნო ჩემი თვითმფრინავისთვის.*

აი, რა გავაკეთე. ზუსტად ვიცოდი, რომელი თვითმფრინავისთვის უნდა დამეთესა, ამიტომ ჩეკის წიგნაკში ზუსტად იმ თვითმფრინავის დასახელება ჩავწერე და მე და დრენდა ამაზე შევთანხმდით. შემდეგ ეს ჩეკი ზემოხსენებულ მსახურებას გავუგზავნე.

ერთი თვის შემდეგ ექიმთან რეგულარულ ვიზიტზე წავედი. მასთან საუბრისას შემთხვევით ახსენა:

– ვინმე ხომ არ იცი, თვითმფრინავის შეძენა რომ უნდოდეს?

ცოტა არ იყოს, გამაკვირვა ამ კითხვამ. ცხოვრებაში არ მომსვლია თავში აზრად, რომ ვინმესთვის მეკითხა თვითმფრინავის პოტენციური მყიდველის შესახებ. მაინც ვიკითხე, რა თვითმფრინავზეა ლაპარაკი-თქო და აღმოჩნდა, რომ ზუსტად ის იყო, რომლისთვისაც დავთესე.

ცხადია, ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. წავედი და თვითმფრინავი დავათვალიერე, მფლობელს დავუკავშირდი და მან საფრენად დამპატიჟა. სრულყოფილი იყო. მხოლოდ ერთი პრობლემა არსებობდა – იმ დროისთვის არ მქონდა გადასახდელი ფული.

თუმცა ღმერთს გეგმა ჰქონდა. გასულ შემოდგომას (ახლა უკვე მარტი იყო), მამაჩემისგან სახლი შევიძინე, რომელიც გაზაფხულზე საოფისე შენობად უნდა გადამეკეთებინა. მამამ მითხრა, რომ ზამთრის დადგომამდე იქ წყალი გადაკეტა და ეს არასოდეს შემიმოწმებია.

თვითმფრინავის ნახვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა ძმამ დამირეკა და მითხრა, რომ სახლი დაინგრა. ყველა თაბაშირ-მუყაო განადგურებული იყო და უმეტესი მათგანი კედლებიდან ჩამოცვივდა.

ჩანს, წყალი არ იყო გადაკეტილი და ზამთარში მილები გაიყინა. ახლა, როცა მარტი დადგა და დათბა, წყალმა დინება დაიწყო მთელ სახლში და არავინ იცის, რამდენ ხანს. ალბათ, რამდენიმე კვირა მაინც იქნებოდა.

ჩემმა ძმამ არ იცოდა, რომ მე უკვე მოვურიგდი ერთ სამშენებლო კომპანიას. მათ მთელი სახლისთვის უნდა მოეხსნათ თაბაშირ-მუყაო და გარე მოპირკეთება როგორც გადაკეთების პროცესის ნაწილი, რომ ჩემი ახალი საოფისე კომპლექსი მოგვეწყო.

ამის შემდეგ მართლაც საოცარი ამბავი მოხდა. სადაზღვევომ წყლით მიყენებული დაზიანების საფასური გადაიხადა და ეს იყო ნაღდი თანხა, რომელიც ჩემი თვითმფრიინავის შესაძენად საკმარისი გახლდათ.

თვითმფრინავი ნაღდი ფულით ვიყიდე!

დაიმახსოვრეთ, რომ პარტნიორობა საოცარი სულიერი პრინციპია, რომლის შესახებაც უნდა იცოდეთ და მისით ისარგებლოთ.

თავი 6
მეათედის საიდუმლოება

ხშირად ვიღებ მეილებს ადამიანებისგან, რომლებიც ცდილობენ დამარწმუნონ, რომ ცათა სამეფოს ეს კანონი – მეათედის გაღება – უკვე წარსულს ჩაბარდა და აღარ მოქმედებს.

მიუხედავად ამისა, ხსენებული პრინციპი იმდენად მნიშვნელოვანი მეჩვენება, რომ მას მთელი თავი მივუძღვენი.

ვიცი, რომ გსმენიათ მეათედის შესახებ, თუ ეკლესიურ ცხოვრებასთან რაიმე შეხება გაქვთ. ისიც ვიცი, რომ მეათედზე გაგონილი მთლად ზუსტი არ არის და მის შესახებ გავრცელებული ზოგიერთი ძვალ-რბილში გამჯდარი რელიგიური აზროვნების გასწორება არსებითია, სანამ გავაგრძელებდეთ.

უპირველესად, ეს სიტყვა ერთ მეათედს აღნიშნავს და ღვთის ერის შემოსავლის იმ ნაწილის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, რომელიც მის საქმეს ხმარდებოდა.

ამგვარი განმარტება საბაზისოა და მთელი ამ თავის მანძილზე მინდა, საკითხი უფრო ღრმად შევისწავლოთ. თუ ეს ცნება თქვენთვის უცხოა, მოცემული განსაზღვრება, ძირითადად, ასახავს, თუ რას წარმოადგენს ღვთიური მეათედი.

მეორე, როცა ადამიანთა უმრავლესობა მეათედზე ფიქრობს, თვალწინ ძველი აღთქმა და მოსეს რჯული წარმოუდგება, სადაც მეათედის გაღება ისრაელი ერის ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო იყო.

დღეს ქრისტეს სხეულში დიდი დაბნეულობაა მეათედთან დაკავშირებით – რას წარმოადგენს ის, ისევ მოქმედებს თუ იესოს მოსვლით უკვე გაუქმდა.

ალბათ, გსმენიათ, რომ სულიერი მკვლევარი გავხდი მას შემდეგ, რაც ღმერთმა მისი სამეფოს მოქმედების მექანიზმის შესწავლაზე მიმითითა. მინდოდა, გამეგო, რა როგორ მუშაობდა, ხოლო მეათედს დიდი კითხვის ნიშანი ესვა, რაზეც პასუხი უნდა გამეცა.

ამრიგად, გადავხედოთ მეათედს, საიდან მოვიდა, რას აკეთებს და რატომ არის დღესაც აქტუალური.

მართალია მოსეს რჯულში წერილობით არის დადასტურებული მეათედის, როგორც სავალდებულო გადასახადის მოთხოვნა, მაინც უნდა ითქვას, რომ ის მოსეს რჯულით არ დაწყებულა. მისი წარმოშობის გამოსაკვლევად საწყისს და ადამისა და ევას ცხოვრებას უნდა მივუბრუნდეთ.

როგორც ადრე აღინიშნა, ადამი შეიქმნა და დედამიწაზე დასახლდა როგორც მთელი ქვეყნის მმართველი ცათა სამეფოს სახელით.

> *„ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე“. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი“.*
>
> – ებრაელთა 2:7-8ა

ადამი დიდებითა და პატივით იყო დაგვირგვინებული. დედამიწაზე არაფერი იყო, რაც მას არ ემორჩილებოდა. სიტყვა *დაგვირგვინებული* მასშტაბურ სურათს გვიხატავს, თუ როგორ ფუნქციონირებდა ეს.

ქვეყნიურ მეფეს თუ დააკვირდებით, მას გვირგვინი მოსავს. ის მხოლოდ ადამიანია, თუმცა გვირგვინი მიუთითებს, რომ მთელი ხელისუფლება მის სიტყვებს ზურგს უმაგრებს. ასე იყო ადამის შემთხვევაშიც. იგი დედამიწას მართავდა სრული ძალაუფლებით, ხოლო ზეცა მის ნამოქმედარს მხარს უჭერდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამი თავისთავად მხოლოდ ადამიანი იყო და მისთვის გადაცემული ძალაუფლების ფარგლებში მოქმედებდა. მას ჰქონდა დიდება (ძალა) და პატივი (პოზიცია და ავტორიტეტი), რასაც ზურგს უმაგრებდა ღვთის სამეფო.

საინტერესოა, რომ სატანა უკვე დედამიწაზე იყო, როცა ადამი შეიქმნა, ვინაიდან აქ იქნა გადმოგდებული ადამიანის შექმნამდე. მან შეიძულა მასზე დაბალი დონის ქმნილება (ბუნებრივად), რომელიც ძალაუფლებით მასზე მაღლა იდგა ცათა სამეფოში. სატანა ცდილობდა ადამის ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალება ეპოვა, რომ სრულიად გაეუქმებინა მისი მმართველობა.

რასაკვირველია, მას არ ჰქონდა ადამის პოზიციისთვის ძირის გამოთხრის ან გადმოგდების ძალაუფლება, ამიტომ ევას ცდუნების მზაკვრული გეგმა დაისახა მის დასარწმუნებლად, რომ ღვთის ნდობა არ შეიძლებოდა. ამით ევა და ადამი ღვთის საწინააღმდეგოდ აჯანყდებოდნენ და მას აღარ გაჰყვებოდნენ.

სატანის გეგმა წარმატებული გამოდგა. ადამი და ევა ამბოხდნენ და ძალაუფლების პოზიციები დაკარგეს. ამ მომენტში ადამმა ღმერთი დედამიწიდან გააძევა სულიერი წინამძღოლობის სფეროში, რადგან ამქვეყნიურ სამეფოში მთელი ძალაუფლება მას ჰქონდა გადაცემული. ადამიანი და ღმერთი ერთმანეთს დაშორდნენ.

ბევრი რამ მოხდა იმ დროს სულიერ სამყაროში, თუმცა ამის დეტალურად განხილვის დრო არ მაქვს, რადგან ჩვენი ყურადღება მიმართულია მეათედის საკითხისადმი. დავუბრუნდეთ იმ მომენტს, როცა ადამი და ევა დაეცნენ და მიხვდნენ, რაც დაემართათ.

> *„უთხრა ადამს: „რადგან ისმინე შენი ცოლის ხმა და ჭამე ხის ნაყოფი, რომელზეც გითხარი რომ არ გეჭამა, წყეულიმც იყოს მიწა შენ გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე!“ ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები“.*

– დაბადება 3;17-19

ერთი შეხედვით, ვხედავთ, რომ ადამიანმა უზრუნველყოფა დაკარგა (ის ედემის ბაღიდან გამოაგდეს), მისი მიზანი თვითგადარჩენა გახდა და მტანჯველი შრომით და ოფლით უნდა გაეტანა თავი. ღმერთმა ისიც უთხრა, რომ მიწას დაუბრუნდებოდა ანუ ერთ დღესაც, *მოკვდებოდა*. ადამისთვის სრულიად უცხო იყო სიკვდილისა და მტკივნეული გადარჩენის კონცეფციები და ის შიში და უიმედობა, რომელიც ქვეყნიერებაზე შემოვიდა.

როგორც ხედავთ, ადამი მიხვდა, რომ სამყარო ძირფესვიანად შეიცვალა.

ახლა მინდა მივუბრუნდეთ ლუკ. 4-ს, სადაც კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას ვიპოვით, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა.

> *„აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და, ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“*
>
> – ლუკ. 4:5-7

ამ მონაკვეთში სატანა ამტკიცებს, რომ დედამიწის სამეფოთა (ერების) კუთვნილი თანხები მის იურისდიქციაში შედის და აცხადებს, რომ ამის ძალაუფლება მას აქვს მიცემული. აქ ის მართალს ამბობს, რადგან სწორედ ადამმა გადასცა ძალაუფლება თავისი ამბოხებით.

ყურადღება მიაქციეთ, რომ მისი ნათქვამის თანახმად, ერებისა თუ სამეფოების დიდებაც მას ეკუთვნის. რა არის ერების დიდება? ეს *სიმდიდრეა*.

დედამიწის ყოველგვარ კუპიურაზე გამოსახულია ამ-ქვეყნიური სამეფო ან ერი, ამიტომ ნებისმიერი ვალუტა რომე-ლიმე ქვეყნიური სამეფოს იურისდიქციაში შედის. ახლა სატანა ამტკიცებს, რომ ერების ფული ანუ სიმდიდრე მას ეკუთვნის და ვისაც უნდა, იმას აძლევს. მარტივად რომ ვთქვათ, ის აცხადებს ყოველგვარ უფლებას ერების სიმდიდრესა და აყვავებაზე. ძალზე მნიშვნელოვანია და მალე აღმოვაჩენთ, რომ მეათედს მეტად კონკრეტული მიზანი აქვს, რომელიც ამ ფაქტთან არის კავშირში.

> *„შეიცნო ადამმა ევა, თავისი ცოლი. დაორსულდა ევა, შვა კაენი და თქვა: „უფლის წყალობით კაცი შემეძინა“. მერე აბელი შვა, მისი ძმა.*
>
> *გახდა აბელი მეცხვარე, ხოლო კაენი - მიწათმოქმედი. გავიდა ხანი და მიართვა უფალს კაენმა <u>მიწის ნაყოფთაგან შემდგარი ძღვენი</u>. აბელმაც მიართვა ძღვენი უფალს - <u>თავის ცხვართა პირმშოთგან და მათი ცხიმიდან</u> და გადმოხედა უფალმა აბელსა და მის ძღვენს. კაენსა და მის*

ძღვენს არ გადმოხედა უფალმა. დიდად გაბრაზდა კაენი და მოეღუშა სახე.

ჰკითხა უფალმა ღმერთმა კაენს: „რად გაბრაზდი და მოიღუშე სახე? თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? ხოლო, თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვაა ჩასაფრებული კართან და შენკენ აქვს ლტოლვა, მაგრამ შენ უნდა იბატონო მასზე“.

– დაბადება 4:1-7

კეთილი, რა მოხდა აქ? ესენი იყვნენ შვილების პირველი თაობა. რატომ გადაწყვიტეს მსხვერპლის შეწირვა? იმ დროისთვის არ ყოფილა არანაირი წერილობითი ვალდებულება, მაშ, რატომ გადაწყვიტეს შესაწირის მიტანა?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამმა და ევამ, მათმა მშობლებმა *ასწავლეს* შვილებს შესაწირის გაღება. ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღმერთი მხოლოდ რიტუალის ჩასატარებლად არ ადგენს წესებს და მათ ქმედებას რაღაც *ლეგალური* მიზეზი უნდა ჰქონოდა, რის გამოც ადამმა და ევამ შვილებს ღვთის წინაშე მსხვერპლის მიტანა ასწავლეს.

ტექსტზე დაკვირვებით შენიშნავთ, რომ ორი ჭაბუკის შესაწირავში დიდი სხვაობა იყო. ამ საკითხს არ ჩავუღრმავდებით და მოკლედ ვიტყვით, რომ ერთმა ცხოველები შესწირა, ხოლო მეორემ – მცენარეულობა. ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი იყო, თუ როგორ შესწირეს მათ ხელთ არსებული რესურსები და რატომ გააკეთეს ეს პირველ რიგში.

ყურადღება მიაქციეთ, რომ კაენმა მიწის ნაყოფებისგან შემდგარი ძღვენი მიიტანა, ხოლო აბელმა ცხვართა პირმშოები და მათი ცხიმი. ხედავთ განსხვავებას? ერთ შემთხვევაში გვაქვს „რაღაც ნაყოფები“ და მეორე მხრივ – „საუკეთესო ნაწილი“, რომელიც ფარის პირმშოებისა და ცხიმისგან შედგებოდა.

რატომ მიიტანა აბელმა ცხიმის ნაწილი და პირმშოები?

ღმერთი ადამს ეტყოდა შესაწირის მოთხოვნების შესახებ.

ხედავთ? ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მეათედი იქნა მიტანილი.

თუ მეათედის საკითხს შეისწავლით მოსეს რჯულში, ის ყოველთვის შედგებოდა **საუკეთესო ნაწილის პირველი** 10%-

სგან. მოყვანილ მონაკვეთში ნათლად ვხედავთ, რომ აბელმა მეათედი გაიღო *პირველი* და *საუკეთესო* ნაწილიდან. თუმცა კაენი დიდად მოხარული არ იყო, რომ ღვთისთვის უნდა შეეწირა, ამიტომ „რაღაც“ ნაყოფებისგან შემდგარი ძღვენი მიიტანა – არც პირველი და არც საუკეთესო.

ცხადია, კაენმა იცოდა, რა და როგორ უნდა შეეწირა ღვთისთვის, რადგან ღმერთმა უთხრა მას: *„თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? ხოლო, თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვაა ჩასაფრებული კართან და შენკენ აქვს ლტოლვა, მაგრამ შენ უნდა იბატონო მასზე“.*

კაენმა უარი თქვა ღვთიურ დარიგებაზე, რომ ნასწავლების შესაბამისად ემოქმედა და ამის ნაცვლად აბელი, საკუთარი ძმა მოკლა. შესაძლოა, ფიქრობდა, რომ აბელის თავიდან მოშორებით, მინდორიც მას დარჩებოდა. და ფარაც; ან სიხარბის გამო მიწის ნაყოფთა მხოლოდ გარკვეული ნაწილი მოიტანა, თითქოსდა მორჩილების გამოსახატავად, როცა მისი გული ღვთისგან შორს იყო. მის მოტივებზე ვარაუდი შეგვიძლია, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცით: კაენს არ სურდა მეათედის იმ სახით მოტანა, როგორც ასწავლეს.

ამ მომენტისთვის, ალბათ, კითხვა გაგიჩნდებათ: „რატომ არის აუცილებელი, თავდაპირველად, მეათედის მოტანა? რატომ ითხოვს ღმერთი მეათედს? ამაზე გიპასუხებთ, მაგრამ ჯერ ვნახოთ, კიდევ რა შეიძლება ვისწავლოთ მეათედის შესახებ, სანამ კითხვებზე გადავიდოდეთ.

ამის შემდეგ განვიხილოთ მონაკვეთი, სადაც უშუალოდ სიტყვა *მეათედი* პირველად არის ნახსენები.

> *„გამოეგება სოდომის მეფე შავეს ველზე, რომელსაც ახლა სამეფო ველს უწოდებენ, ქედორლაღომერსა და მასთან მყოფ მეფეებზე გამარჯვების შემდეგ. და გამოუტანა პური და ღვინო მელქისედეკმა, შალემის მეფემ; და იყო ის უზენაესი ღმერთის მღვდელი. აკურთხა იგი და თქვა: „კურთხეულია აბრამი უზენაესი ღმერთის, ცისა და დედამიწის მპყრობელის მიერ. კურთხეულია უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგაგდებინა შენი მტრები“. და მისცა მას აბრამმა მეათედი ყოველივედან“.*
>
> – დაბადება 14:17-20

აქ შემდეგი კითხვა უნდა დავსვათ: როგორ მიხვდა აბრაჰამი, რომ მეათედი უნდა გაეღო ან ვისთვის უნდა მიეცა?

როგორც ჩანს, მეათედის გაღება ადამიდან მოყოლებული ხდებოდა თაობებში, ხოლო მის შესახებ ადამმა ღვთისგან ისწავლა ამბოხების შემდეგ. აქ გამოყენებულია სიტყვა მეათედი, რაც ერთი მეათედი ნაწილის გაცემაზე მიანიშნებს.

ბევრი იტყვის, რომ მეათედი მოსეს რჯულიდანაა და ახალი აღთქმის მორწმუნეს არ სჭირდება მისი დადება. ორი შემთხვევა მოვიყვანე – კაენისა და აბელის და აბრაჰამის – იმის დასტურად, რომ მეათედს მოსეს რჯულის დაწერამდე გასცემდნენ. დიახ, გეთანხმებით, რომ მეათედის მოთხოვნა მოსეს რჯულში ჩაიწერა და ისრაელი ერის ვალდებულებად იქცა. თუმცა ისრაელი ამას უკვე აკეთებდა, როცა მოსე ასპარეზზე გამოვიდა.

მაშ, რატომ ჩაიწერა მეათედი მოსეს რჯულში? რჯულით უნდა წარმართულიყო ისრაელის ახალი ერის მთელი ცხოვრება ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ. ყოველგვარი საკანონმდებლო და სახელმძღვანელო მოთხოვნები ქცევის კოდექსში აისახა, რომლებითაც ხალხს უნდა ეცხოვრა. ამრიგად, რჯულში მეათედის საკითხიც შევიდა, რომ მისი შესრულება მთელი ერისთვის სავალდებულო გამხდარიყო. მალე მივხვდებით, რატომ სურდა ღმერთს მეათედის ვალდებულების დაწესება, მაგრამ მანამდე მეათედის ამსახველი კიდევ რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ.

„ახლა კი ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ჩაუკვირდით თქვენს გზებს. ბევრს თესავთ, მაგრამ ცოტას იმკით; ჭამთ, მაგრამ ვერ ძღებით; სვამთ, მაგრამ ვერ რწყულდებით, იცვამთ, მაგრამ ვერ თბებით. თუ ვინმე რამეს შოულობს, გახვრეტილი ქისისთვის შოულობს.ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ჩაუკვირდით თქვენს გზებს! ადით მთაზე, მორები აიტანეთ და ხელახლა ააშენეთ ტაძარი. მოვიწონებ ამას და დიდებით გამოვჩნდები - ამბობს უფალი. დიდი მოსავლის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ, აჰა, მცირედს ღებულობთ და რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ? - ამბობს ცაბაოთ უფალი - იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი საკუთარი სახლებისკენ გარბიხართ. ამიტომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ - მოსავალი. გვალვას მოვუხმე მიწაზე, მთებზე,

მარცვლეულზე, მაჭარზე, ზეთზე და ყველაფერზე, რასაც მიწა აღმოაცენებს; ადამიანებზე, საქონელსა და თქვენი ხელის მთელ ნაჯაფარზე“.

– ანგია 1:5-11

ამ მონაკვეთში წინასწარმეტყველი ანგია ისრაელს ტაძრის მშენებლობის მიტოვების თაობაზე საყვედურობს ბაბილონის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ. მათ წარმატება არ სდევთ, ნაკლოვანებას განიცდიან, მარცვლეული არცთუ კარგია და მთელი ერი იტანჯება. ღმერთი მათ ურჩევს, რომ **თავიანთ გზებს** ჩაუკვირდნენ; ნახონ, რას აკეთებენ ისეთს ან რას არ აკეთებენ, რაც ამ ნაკლოვანებას იწვევს.

ღმერთი ამბობს: *„ამიტომ დაგიკავათ ცამ ცვარი“.* იგი ამბობს, რომ გვალვის მოხმობა მოუხდა **ხალხის** ნამოქმედარის გამო. ისინი თავიანთ სახლებს აშენებდნენ, ხოლო ღვთის სახლი ნანგრევებში რჩებოდა. ეს ნიშნავს, რომ ისინი მეათედს არ გასცემდნენ.

იცით, მეათედი ლევიანებთან უნდა მიეტანათ – მღვდლებთან – და ტაძრის მსახურებას უნდა მოხმარებოდა. იმის გამო, რომ მეათედი არ გროვდებოდა და შესაბამისად, ტაძრის მშენებლობაც მიტოვებული იყო, ღმერთმა კურთხევის მარჯვენა აიღო მათგან.

კარგად გაიაზრეთ, რომ ღვთის ნება არ იყო ისრაელი ერისგან მისი კურთხევის აღება. მას არჩევანი არ ჰქონდა, რადგან მეათედი კანონმდებლობის საკითხი გახლავთ.

„ამ დღიდან მოყოლებული გულით დაუკვირდით იმას, რაც ადრე ხდებოდა; სანამ ქვა ქვაზე დაიდება უფლის ტაძარში; იყო დრო, მოდიოდნენ ოცძნიან ზვინთან და ათი იყო, მოდიოდნენ ორმოცდაათ საწყაულიან ქვევრთან ღვინის ამოსახაპად და ოცი ხვდებოდათ. ხორშაკითა და სეტყვით ვგვემდი თქვენს ყოველ ნაშრომს, მაგრამ არ მოიქეცით ჩემკენ - ამბობს უფალი. იმ დღიდან მოყოლებული, მეცხრე თვის ოცდამეოთხე დღიდან, იმ დღიდან, როცა საძირკველი ჩაეყარა უფლის ტაძარს; გულით დაუკვირდით: კიდევაა ბეღელში თესლი? დღემდე

არ გამოუღია ნაყოფი ვაზს, ლეღვს, ბროწეულსა და ზეთისხილს. ამ დღიდან კი ვაკურთხებ!“

– ანგია 2:15-19

მას შემდეგ, რაც ტაძარი პირველ ადგილზე დააყენეს, ღმერთმა უთხრა მათ, რომ ეს დღე და საათი აღენიშნათ, რადგან ამიერიდან რადიკალური ცვლილებების მომსწრენი გახდებოდნენ. უფალს სურდა ნიშნულის დადება, რომ ხალხი გამხნევებულიყო, ეს შთამბეჭდავი ცვლილება დამახსოვრებოდა და მეათედის შეწირვაზე უარის თქმა აზრად აღარ მოსვლოდა. მეათედს მათთვის მოჰქონდა სარგებელი და არა ღვთისთვის.

აქ რამდენიმე რეალური გასაღები ჩანს, რომელთა აზრსაც მალე ჩაწვდებით, მაგრამ ახლა მინდა გააცნობიეროთ, რომ მეათედი კანონიერი ვალდებულებაა. ღმერთს კურთხევის ხელის აღება უწევდა, როცა ისინი მეათედს არ დებდნენ. მას ეს არ *სურდა*, მაგრამ *უწევდა*.

„რადგან მე, უფალი, არ ვიცვლები, ამიტომ არ ნადგურდებით თქვენ, იაკობის ძენო. თქვენი მამების დღეებიდანვე განუდექით ჩემს წესდებებს და არ იცავთ მათ. მოიქეცით ჩემკენ და მეც მოვიქცევი თქვენკენ! - ამბობს ცაბაოთ უფალი. თქვენ კი კითხულობთ: როგორ მოვიქცეთო? განა გაძარცვავს ღმერთს ადამიანი? თქვენ კი მძარცვავთ და თან კითხულობთ: როგორ გაგძარცვეთო? მეათედით და შესაწირით! წყევლით ხართ დაწყევლილნი, რადგან მთელი ერი მძარცვავთ. მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში, რომ იყოს საზრდო ჩემს სახლში. აბა გამომცადეთ ამით - ამბობს ცაბაოთ უფალი - თუ არ გაგიხსნათ ცის სარკმელები და არ გადმოგიღვაროთ კურთხევა აუწყველად. შენთვის შევაჩერებ მჭამელს, რომ მიწის ნაყოფი არ გაგინადგუროს მინდორში და ვაზი არ გაგიპარტახოს - ამბობს ცაბაოთ უფალი. და ნეტარად ჩაგთვლით ყოველი ხალხი, რადგან სანუკვარ ქვეყანაში იცხოვრებთ - ამბობს ცაბაოთ უფალი“.

– მალაქია 3:6-12

აქ მეორე წინასწარმეტყველს ვხედავთ, რომელიც ერს საყვედურობს და აცხადებს, რომ მათ ღმერთი გაძარცვეს ისრაელის კურთხევის უნარისგან. ის ამბობს, რომ მთელი ერი წყევლის ქვეშაა იმის გამო, რასაც არ აკეთებენ. ხალხს მითითება მიეცა, რომ მეათედი მოიტანონ ღვთის სახლში, რომ იქ იყოს საზრდო.

კიდევ ვიმეორებ, რომ მეათედი ლევიანებთან, მღვდლებთან უნდა მიეტანათ. ხალხს რაღაც ნაწილი კი მიჰქონდა, მაგრამ არა მთელი მეათედი (გაიხსენეთ კაენის ცოდვა). უფალი მათ ეუბნება, რომ სრული მეათედის შეწირვის შემთხვევაში ციური კურთხევა ისევ გაიხსნებოდა. მაშინ ზეცას კანონიერი უფლება ექნებოდა, რომ დედამიწაზე ემოქმედა. ღმერთი მათ ეუბნება, რომ მეათედის გაღებას თუ დაუბრუნდებიან, კურთხევა განუზომელი იქნება და ველარც დაიტევენ.

კეთილი! აქ შევჩერდეთ და ერთი წუთით ამაზე ვილაპარაკოთ, სანამ უფრო შორს წავიდოდე.

აქამდე გავარკვიეთ, რომ მეათედი ადრიდანვე დაიწყო და ახლა ვხედავთ, რატომაც. ვხედავთ, რომ მეათედის გაღება ღმერთს კანონიერ უფლებას აძლევს, რომ გამანადგურებელ სატანასა და ღვთის ერს შორის დადგეს და შერისხოს ის.

ძირითადად, ღმერთი ამბობს: „ხელები შორს, სატანა! შენ ვერ შეეხები მათ საკუთრებას!“

იცით, ადამის დაცემის შემდეგ სატანას სურდა, რომ ადამი სრულიად დაემშია პლანეტაზე, ამიტომ ღმერთმა მაშინვე შემოიტანა მეათედი ადამისა და ევას დასაცავად. როცა ადამმა და ევამ მეათედის გაღება არჩიეს, ამით ღმერთი პირველ ადგილზე დააყენეს. მათ ღმერთი აირჩიეს.

გავიხსენოთ, რომ სატანამ იგივე გზით მოახერხა დედამიწის სამეფოში შემოღწევა. მან ადამი და ევა აცდუნა, რომ ღვთის ნაცვლად მისთვის დაეჯერებინათ და ამით ლეგალური უფლება მოიპოვა. ამრიგად, მეათედის, 10%-ის ღვთისთვის გაღებით ღმერთს ადამისა და ევას უზრუნველყოფის დაცვის უფლება ეძლევა.

მეათედი იმისთვის დაწესდა, რომ ადამისა და ევას ირგვლივ კანონიერი დამცავი მესერი აღმართულიყო. ის დღესაც მოქმედებს და კანონიერ ფარად რჩება.

უნდა გვახსოვდეს, რომ მეათედი გახლდათ კანონი, რომელიც

დედამიწაზე ადამიანის უზრუნველყოფის შესანარჩუნებლად იყო საჭირო სატანის ტერიტორიაზე. ეს არ ცვლიდა მათ სტატუსს სულიერი აღდგენის საჭიროებასთან დაკავშირებით. არა, ცოდვის გამოსასყიდი მსხვერპლი უნდა მოტანილიყო, სანამ ეს მოხდებოდა. თუმცა მეათედი ღმერთს სატანის შეჩერების საშუალებას აძლევდა, რომ ადამიანები არ გაეძარცვა და მათ დედამიწაზე თავის გატანა შეძლებოდათ.

ბევრი ამბობს, რომ მეათედი ძველი აღთქმის კანონია და ახლა გაუქმებულია, რადგან რჯული აღსრულდა იესოს მსხვერპლშეწირვით. თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ მეათედის კანონი ადამიანის დაცემიდან მოყოლებული არსებობდა, სანამ მოსეს რჯული დაიწერებოდა.

მეათედი იმისთვის დაწესდა, რომ ადამისა და ევას ირგვლივ კანონიერი დამცავი მესერი აღმართულიყო. ის დღესაც მოქმედებს და კანონიერ ფარად რჩება.

მეათედი ამქვეყნიური სამეფოს კანონია და მანამ იქნება ძალაში, სანამ სატანა დედამიწაზე თავისუფლად დაპარპაშებს, როგორც ახლა. რაკი ის ჯერ კიდევ აქ არის, მეათედიც მოქმედია.

კიდევ ერთი რამ შეიძლება იხილოთ ეკლესიაში – ადამიანები, რომლებიც მეათედს დებენ, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევენ. ეს მეათედის შესახებ ზოგიერთი მცდარი სწავლების გამო ხდება. ისინი ფიქრობენ, რომ მეათედის შეწირვით უფლის კურთხევა მათზე გადმოღვრის წარმატებას ისე, რომ ვერ დაიტევენ. როცა ისინი მეათედის გაღებას იწყებენ, მაგრამ გადმოღვრილ სიუხვეს ვერ ხედავენ, ასკვნიან, რომ მეათედი აღარ მოქმედებს. მათი ასეთი ვარაუდი არასწორია და მიზეზის გასარკვევად ტექსტს უნდა ჩავუღრმავდეთ.

ღმერთმა ადამიანებს უთხრა, რომ მეათედის გაღების შემთხვევაში, *„შენთვის შევაჩერებ მჭამელს, რომ **მიწის ნაყოფი** არ გაგინადგუროს მინდორში და **ვაზი არ გაგიპარტახოს**“*.

ხედავთ? მოყვანილი მონაკვეთი ამბობს, რომ ცის სარკმელები გაიღება და ღმერთი *მათი* მიწის ნაყოფს აკურთხებს. აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მეათედის ზღუდის მიღმაც კი საჭიროა რაღაცის გაზრდა.

მეათედი თავისთავად არ მოიტანს სიუხვეს. ის მხოლოდ იცავს იმას, რაც მისი დამცავი ზღუდის შიგნით იზრდება.

თუ სამი პომიდვრის ნერგი გაქვთ, ისინი უხვად მოისხამენ, მაგრამ თუ მათ გარდა არაფერი გაქვთ, სამი დიდებულად

მსხმოიარე მცენარე გექნებათ და ეს, საერთო ჯამში, დიდ სიუხვედ არ ჩაითვლება.

მხოლოდ ის მოიტანს სიუხვეს, რასაც მეათედის ზღუდის შიგნით გამოზრდით.

სამწუხაროდ, არასწორი სწავლების შედეგად ღვთის ერის ბევრი წარმომადგენელი მეათედს სწირავს, მიუჯდება მაგიდას ცივი ჩაის ჭიქით და ელოდება, როდის დაიწყება სიუხვის გადმოღვრა. სიუხვე კი მაშინ მოვა, როცა ვაცნობიერებთ ჩვენ წილ საქმეს ამ პროცესში.

ამრიგად, კიდევ ერთხელ განვიხილოთ.

1. მეათედი დედამიწაზე თავიდანვე დაწესდა, ადამიანის დაცემისას.
2. ის მოსეს რჯულში ჩაიწერა, რადგან რჯულს უნდა წარემართა ისრაელი ერის ცხოვრება. ღმერთს სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ადამიანთა კურთხევის საშუალება ექნებოდა, ამიტომ მეათედის კანონი რჯულში ჩაწერა გასაგრძელებლად. ის არ გაუქმებულა. ისევ არსებობს მისი შესრულების კანონიერი მოთხოვნა. ახლა ჩვენ გვაქვს *არჩევანის საშუალება*, რომ გავიღოთ მეათედი და მისი უპირატესობებით ვისარგებლოთ.
3. მეათედის კანონი მიწიერი კანონია და მანამ იქნება ძალაში, სანამ სატანა თავისუფალია.
4. მეათედის გაღება ავტომატურად არ მოიტანს წარმატებას, მაგრამ ღმერთს საშუალებას მისცემს, რომ სატანას აუკრძალოს თქვენი ზღუდის შიგნით რაიმეს გამოზრდაში ან აგებაში ხელის შეშლა.
5. მეათედის გაღება არ განსაზღვრავს, ზეცაში მოხვდებით თუ არა. ზეცაში წახვალთ, თუ იესოს სახელს მოუხმობთ, მაგრამ მეათედი გავლენას მოახდენს თქვენს წარმატებაზე ამქვეყნად.
6. მეათედი ღვთის სამარაგო სახლს ეკუთვნის. ძველ აღთქმაში იქედან იკვებებოდნენ მსახურებაზე დადგენილი მღვდლები. დღესაც იგივე ხდება. მეათედი თქვენს მშობლიურ ეკლესიაში უნდა მიიტანოთ. ღმერთმა მეათედი მსახურებაზე ზრუნვისთვის დააწესა.
   ადამიანებს უკითხავთ, შეიძლება თუ არა მეათედი გაიღონ ეკლესიაში, თუ ის არ მოსწონთ. ჩემი პასუხი?

იპოვეთ ახალი ეკლესია, რომელიც რწმენასა და ცათა სამეფოზე ასწავლის.

თუ ორ ეკლესიას შორის არჩევანი ვერ გაგიკეთებიათ, მეათედი შესწირეთ იქ, საიდანაც იკვებებით, მაგრამ ღვთის საუკეთესო სურვილია, თქვენი დაფუძნება კარგ, მშობლიურ ეკლესიაში. თუ ასეთი თქვენს არეალში არ მოიძევება, ვიმეორებ, იქ გაიღეთ მეათედი, საიდანაც სულიერ საზრდოს იღებთ.

7. მეათედის სახელდება არ შეგიძლიათ. მაგალითად, მისი დათესვისას ვერ იტყვით, „ამ მეათედს ვთესავ ამისთვის და ამისთვის.“ ის უკვე განსაზღვრულია. შეგიძლიათ, შესაწირი დათესოთ რაიმეს მისაღებად, მაგრამ არა მეათედი.
8. მეათედი არის თქვენი შემოსავლის 10%. ეს ყველა გადასახადის წინ უნდა იქნას გაღებული. გაიხსენეთ, რა თქვა ღმერთმა მალაქიას მეშვეობით: „მოიტანეთ *მთელი* მეათედი საგანძურში“. 9 პროცენტი არ არის მეათედი. არც ექვსი პროცენტია მეათედი. მეათედი გახლავთ 10%. თუ ამბობთ, „არ შემიძლია ამ 10%-ის გაღება“, გააკეთეთ ის, რაც ღმერთმა უთხრა ისრაელიანებს, როცა სრული მეათედი არ მოჰქონდათ. „გამომცადეთ“, – თქვა მან. გაიღეთ მეათედი რწმენით და იცოდეთ, რომ ღმერთი მას პატივს მიაგებს.
9. როგორ უნდა დავადგინო, რის მეათედი გავიღო? ჩემი პრაქტიკული მეთოდი ასეთია: არის ეს შემოსავალი დაბეგრილი?
10. თუ საშემოსავლო გადასახადს იხდით, მაშინ ამ თანხიდან მეათედი უნდა გაიღოთ. ბიზნესიდან უნდა გავიღო მეათედი? ვიმეორებ, არის გადასახადით დაბეგრილი? მეათედს არ ვიხდი ჩემი ბიზნესის მთლიანი შემოსავლიდან. ვთესავ ჩემი ბიზნესიდან მაშინ, როცა მინდა, მაგრამ ეს არ არის მეათედი. თუ ბიზნესიდან გავდივარ, მაშინ მეათედს ვიღებ იქედან, რასაც ბიზნესიდან ავიღებ და როცა ავიღებ.
11. რა ხდება, თუ კონკრეტული მომენტისთვის არც ერთ ეკლესიას არ ვეკუთვნი? შეგიძლიათ მეათედი გაიღოთ იმ მსახურებისთვის, საიდანაც სულიერ საზრდოს იღებთ, სანამ რომელიმე ეკლესიაში არ დაფუძნდებით.

> დიახ, ბევრი ადამიანი ამჯობინებს დისტანციურ ეკლესიას თანამედროვე ცხოვრების რიტმის გამო და ფეისბუქის ლაივ-მაუწყებლობის წყალობით. თუ თქვენს საცხოვრებელ ადგილას არ არის კარგი ბიბლიის მორწმუნე ეკლესია, შეგიძლიათ მეათედი გაიღოთ იმ დისტანციური ეკლესიისთვის, საიდანაც იკვებებით. მრავალმა სოფლად მცხოვრებმა ადამიანმა აირჩია ჩვენი Faithlifechurch.org თავის მშობლიურ ეკლესიად სწორედ ამ მიზეზის გამო.

კეთილი, ახლა გავაგრძელოთ.

უფალმა მაჩვენა, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა მეათედს ისე გასცემს, როგორც სავალდებულო გადასახადს (თუ საერთოდ გასცემს კიდეც, რადგან უმეტესობა ამას არ აკეთებს). ეს ნიშნავს, რომ ისინი რწმენას არ ავარჯიშებენ. უბრალოდ იციან, რომ მეათედის ვალდებულება აკისრიათ და ისე იხდიან, როგორც გადასახადს.

კარგია მეათედის გაღება, მაგრამ ყოველთვის რწმენით უნდა გასცემდეთ. სხვა შემთხვევაში გაღება რელიგიური მოტივით იქნება და არა რწმენის თვალსაზრისით.

დაე, ყოველი სიტყვა გამოცხადება იყოს იმისა, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული. მეათედი არ გახლავთ მძიმე ტვირთი და ნაღვლიანი არ უნდა გასცემდეთ. ღმერთი არ ცდილობს თქვენთვის რაღაცის *წართმევას*. პირიქით, მას სურს, რომ რაღაც *მოგცეთ*. მეათედის სარგებელს უნდა ვაცნობიერებდეთ და გვწამდეს. მისით უნდა გავიხაროთ. მეათედი თაყვანისცემის აქტია, რომელიც აცხადებს, რომ ღმერთი ჩვენი წყაროა. მასში დევს კარგად განსაზღვრული სარგებელი და როცა გავცემთ, რწმენაში უნდა ვიყოთ მის მისაღებად.

ოჯახებს ყოველთვის ვურჩევ, რომ მეათედი წინასწარ გადადონ, როცა ეკლესიაში მოსვლას აპირებენ. ასევე ვურჩევ, რომ მოსვლამდე ხელები დაასხან მეათედს, გამოაცხადონ მისი სარგებელი და ცის სარკმლების გაღება, სატანას აუკრძალონ მათი მოსავლის შეხება. მათ ასევე უნდა გამოაცხადონ, რომ სატანა მათ ვერაფერს მოპარავს და რასაც ხელს მოჰკიდებენ, წარმატებული იქნება იესო ქრისტეს სახელით.

და ბოლოს, ნება მომეცით, რომ ამ თემაზე საუბარი ახალ აღთქმაში მეათედზე შეხედულებით დავასრულო. ო, დიახ! აქ მეათედი ნახსენებია! მომდევნო მონაკვეთი გახლავთ ის,

რომელიც ადრე წავიკითხეთ.

> *„გამოეგება სოდომის მეფე შავეს ველზე, რომელსაც ახლა სამეფო ველს უწოდებენ, ქედორლაღომერსა და მასთან მყოფ მეფეებზე გამარჯვების შემდეგ. და გამოუტანა პური და ღვინო მელქისედეკმა, შალემის მეფემ; და იყო ის უზენაესი ღმერთის მღვდელი. აკურთხა იგი და თქვა: „კურთხეულია აბრამი უზენაესი ღმერთის, ცისა და დედამიწის მპყრობელის მიერ. კურთხეულია უზენაესი ღმერთი, რომელმაც ხელში ჩაგაგდებინა შენი მტრები“. და მისცა მას აბრამმა მეათედი ყოველივედან.*
>
> – დაბადება 14:17-20

ახლა ვნახოთ, რას ამბობს ებრაელთა წერილის ავტორი მეათედის შესახებ:

> *„ვინაიდან ეს მელქისედეკი, სალიმის მეფე, უზენაესი ღმერთის მღვდელი, შეეგება აბრაჰამს, როდესაც მეფეთა განადგურების შემდეგ ბრუნდებოდა, და აკურთხა იგი. რომელსაც ყველაფრის მეათედი უწილადა აბრაჰამმა. უწინარეს ყოვლისა, მისი სახელი ნიშნავს სიმართლის მეფეს, შემდეგ სალიმის მეფეს ანუ მშვიდობის მეფეს; უმამოს, უდედოს, უგვარტომოს, არც დღეთა დასაბამი აქვს, არც სიცოცხლის დასასრული; ღმერთის ძის მსგავსად, რჩება მღვდლად სამუდამოდ.*
>
> *შეხედეთ ახლა, რამდენად დიდია ის, ვისაც მამამთავარმა აბრაჰამმაც კი უწილადა თავისი ნადავლის მეათედი. მათ, ვინც ლევიანთაგან მიღებენ მღვდლობას, რჯულით მცნებადა აქვთ მეათედის აღება ხალხისგან, ანუ თავიანთი ძმებისგან, თუმცა ისინიც აბრაჰამის საზარდულიდან გამოვიდნენ. ის კი მათი გვარიდან არ არის, მაგრამ მაინც მიიღო მეათედი აბრაჰამისგან და აკურთხა აღთქმის მქონე. ხოლო ყოველგვარი ცილობის გარეშე, უმცირესი უმეტესის მიერ იკურთხება. აქ მეათედს ღებულობენ მოკვდავი ადამიანები, იქ კი ის, ვისაც მოწმობა აქვს, რომ ცოცხალია“.*
>
> – ებრაელთა 7:1-8

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რას ამბობს ტექსტი: „*აქ მეათედს ღებულობენ მოკვდავი ადამიანები*“, რაც ძველი აღთქმის ლევიანებზე მიუთითებს. შემდეგ ასე გრძელდება: „***იქ კი ის, ვისაც მოწმობა აქვს, რომ ცოცხალია***“.

მელქისედეკი სიმართლის და მშვიდობის მეფე იყო, უდედმამო, ცხოვრების დასაწყისისა და დასასრულის გარეშე და ღვთის ძის მსგავსად, უკუნისამდე მღვდლობა ჰქონდა. იმ დღეს აბრაჰამის წინაშე იესო ქრისტე იდგა, თუმცა მაშინ ცნობილი არ იყო იესოს სახელით.

გახსოვთ, იოსებს ანგელოზმა უთხრა, რომ ძისთვის იესო უნდა დაერქმია. სიტყვა იესო ნიშნავს მხსნელს და ამით ცხადი უნდა ყოფილიყო, რას წარმოადგენა ის ჩვენთვის. ქრისტე არ არის იესოს გვარი. როცა იესო ქრისტეს ვახსენებთ, ვამბობთ, რომ ის ცხებული მხსნელია. იესო არ იყო ცნობილი იესოს სახელით, როცა ის აბრაჰამის წინაშე იდგა. ეს გეგმა ჯერ კიდევ დაფარული იყო სატანისგან იმ დროისთვის.

ᲛᲔᲐᲗᲔᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲖᲚᲣᲓᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲨᲛᲐᲙᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲕᲐᲨᲘ.

ამრიგად, სახელი მელქისედეკი უბრალოდ ასახავდა, თუ რას წარმოადგენდა ეს პიროვნება. ის იყო სიმართლის მეფე და მშვიდობის მთავარი. თუმცა მან წინასწარმეტყველურად გამოაცხადა აბრაჰამის მომავლის შესახებ, როცა პურითა და ღვინით მოემსახურა და ეს ახალ აღთქმაზე მიანიშნებდა (პური, მისი დამტვრეული სხეული და ღვინო, ჩვენთვის დაღვრილი სისხლი). ასე მოხდებოდა მოგვიანებით აბრაჰამის შთამომავალთა ცხოვრებაში და აღსრულდებოდა პატრიარქისთვის მიცემული ღვთიური აღთქმა დაბადების მე-12 თავიდან.

რაც შეეხება მეათედს, ებრაელთა წერილი ამბობს, რომ მას ახლა იღებს „ის, ვისაც მოწმობა აქვს, რომ ცოცხალია“. ახლა სწორედ იესო იღებს მეათედს, რომელსაც აქვს მოწმობა, რომ ცოცხალია! იგია მეფეთა მეფე და უფალთა უფალი.

ამრიგად, მეათედის კანონი დღესაც მოქმედია. ერთადერთი მღვდლობა შეიცვალა. ძველ აღთქმაში ლევის ტომი იღებდა მეათედს ღვთისმსახურებისთვის. დღეს იესო (რომელიც იუდას ტომიდან მოვიდა და არ იყო ლევიანი და ეს ახალი მღვდლობის დაფუძნებაზე მიუთითებს) ეკლესიიდან იღებს მეათედს მისი

მსახურების საქმისთვის. რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ თავად იესო პიროვნულად არ იღებს მეათედს. გაიხსენეთ, რას ამბობს ბიბლია, რომ ეკლესია ქრისტეს სხეულია ანუ მისი კანონიერი წარმომადგენელი დედამიწაზე, ისევე როგორც ჩვენი სხეულია ჩვენი გამოხატულება დედამიწაზე. თუ მის ეკლესიას ანუ მის სხეულს ვაძლევთ, ფაქტობრივად, იესოს ვწირავთ. ძველი აღთქმის ქვეშ მყოფი ლევიანები მეათედს აგროვებდნენ ღვთის მსახურებისთვის მაშინ, ხოლო ეკლესია მეათედს აგროვებს ღვთის მსახურებისთვის ახლა.

მიმოვიხილოთ, რომ მეათედი არის თქვენი ცხოვრების კანონიერი ზღუდე, რომელიც ეშმაკს ხელს უშლის ღვთიური უზრუნველყოფის მოპარვაში. გახსოვდეთ, რომ თავად მეათედი არ გამოიწვევს თქვენი ცხოვრების აყვავებას! სიუხვეს განსაზღვრავს ის, რასაც ამ ზღუდის *ფარგლებში* გააკეთებთ!

მეათედი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა თქვენს ფინანსურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ დავუთმე ამდენი დრო ცათა სამეფოს ამ მნიშვნელოვანი კანონის განხილვას.

ამრიგად, მომდევნო ჯერზე, როცა ეკლესიაში იქნებით და პასტორი მეათედის შეკრებაზე გამოაცხადებს, სიხარულით აყიჟინდით, რადგან უკვე იცით, რა იქნება მისი სარგებელი.

თავი 7
ქისა გჭირდებათ: ნაწილი პირველი

ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, პასტორი პიტერ მორთლოქი *City Impact Church*-ის მწყემსია ოკლენდში, ახალ ზელანდიაში. მან საოცარი მსახურება ააშენა, რომელიც ახალი ზელანდიის ერთ-ერთ უდიდეს ეკლესიას წარმოადგენს.

წლების მანძილზე ჩვენი მეგობრობის განმავლობაში, დაახლოებით, 20 მოტო-მოგზაურობა ჩავატარეთ ჩრდილოეთ ამერიკისა და ახალი ზელანდიის ტერიტორიებზე. სწორედ მან გადამაწყვეტინა *ჰარლის* მოტოს ყიდვა. წლების მანძილზე *ჰონდას* გულშემატკივარი ვიყავი და მას ვატარებდი, მაგრამ მოგზაურობებისას პიტერი დაჟინებით მთხოვდა, რომ *ჰარლი* მექირავებინა. თავიდან *ჰარლით* არ აღვფრთოვანდი, როგორც ჩემი *ჰონდათი*, მაგრამ ამ ფირმის მოტოციკლებზე თუ გსმენიათ, გეცოდინებათ, რომ ბოლო წლებში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანეს დიზაინში, რაც მომეწონა. ამრიგად, გასულ წელს დრენდამ სრულიად ახალი *ჰარლი* მიყიდა, რომლითაც სიამოვნებით ვმოგზაურობ.

ჩვენი ერთობლივი გასეირნებებისას შევნიშნე, რომ პასტორი პიტერი ყოველთვის თან ატარებდა მხარზე მოგდებულ ტყავის ჩანთას, რომელსაც კაცურ საფულეს ვეძახდი. ერთ დღესაც, ჩემს საფულეზე ჯდომა მეტისმეტად მტკივნეული გახდა და მას თავისი ჩანთის შესახებ ვკითხე. ამ საუბრის შემდეგ მან ისეთივე მიყიდა დაბადების დღის საჩუქრად. ისინი არცთუ პოპულარულია შტატებში, მაგრამ ევროპასა და ახალ ზელანდიაში ძალზე გავრცელებულია და მე მომწონს ის.

როგორც წესი, ყოველთვის ვკარგავდი მზის სათვალეებს. სადმე დავდებდი და მავიწყდებოდა. რაც მამაკაცური ჩანთის,

გნებავთ, კაცის საფულის გამოყენება დავიწყე, ერთი სათვალეც კი არ დამიკარგავს. ახლა სრულად ვაცნობიერებ, რატომ უყვართ ქალებს ჩანთების ტარება. ყველაფერი შიგნითაა მოთავსებული. ეს საოცარია. სულაც არ ვცდილობ თქვენს დარწმუნებას, რომ კაცის ჩანთა შეიძინოთ, მაგრამ ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს.

იცით, რომ იესო ქისის ტარებისკენ მოგვიწოდებდა?

> *„ამიტომ ნუ ეძებთ, რა ჭამოთ და რა სვათ, და ნუ შფოთავთ. რადგან ყოველივე ამას ქვეყნიერების ხალხები ეძიებენ; თქვენმა მამამ იცის, რომ გჭირდებათ ეს ყველაფერი. მაშ, ეძიეთ ღმერთის სამეფო და ყოველივე ეს შეგემატებათ. ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ კეთილინება თქვენთვის ცათა სამეფოს მოცემა. გაყიდეთ თქვენი ქონება და გაეცით მოწყალება. დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ ულევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ დაა ზიანებს. რადგან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქ იქნება.*

– ლუკა 12:29-34

არ მგონია, რომ იესო მოდური ტენდენციისკენ გვიბიძგებდა, არამედ გარკვეული პროცესის გააზრებას გვირჩევდა (თუ გნებავთ ქისა ჩანთით შევცვალოთ).

იესოს სურდა ხაზგასმა, რომ თქვენს საგანძურთან მისადგომელის ქონა მნიშვნელოვანი იყო.

მაგალითად, შესაძლებელია ბანკში მქონდეს მილიონი დოლარი, მაგრამ თუ მასთან მისადგომელი არ მაქვს, ვერაფერი ხეირია, არა? სწორედ ამიტომ ატარებთ დასაკეც საფულეს, რომ მარტივად გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული აქტივები.

საფულის დაკარგვა ყველაზე დიდი სტრესის გამომწვევია. ყოველთვის ვზრუნავ იმაზე, რომ ეს არ დამემართოს. ჩემი საფულე, რომელსაც კაცურ ჩანთაში ვინახავ, ყოველთვის ჩემთანაა.

იესოს ციტატის რამდენიმე სიტყვაში დიდი სიბრძნე და ცათა სამეფოს პრინციპები ჩანს, რომლებიც თქვენს თანხებს უკავშირდება მის სამეფოში. უპირველესად, ფრაზა „ნუ შფო-

თავთ“ ერთზე მეტჯერ არის გამოყენებული. იესო გვეუბნება, რომ ღმერთმა იცის, რა გვჭირდება და კონკრეტულ მითითებას გვაძლევს, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ მისი უზრუნველყოფა.

> *„ამიტომ ნუ ეძებთ, რა ჭამოთ და რა სვათ, და ნუ შფოთავთ. რადგან ყოველივე ამას ქვეყნიერების ხალხები ეძიებენ; თქვენმა მამამ იცის, რომ გჭირდებათ ეს ყველაფერი. მაშ, ეძიეთ ღმერთის სამეფო და ყოველივე ეს შეგემატებათ“.*

იესო ამბობს, რომ არ ვიღელვოთ, რადგან მამამ ეს უკვე გაითვალისწინა. ღმერთმა იცის თქვენი საჭიროებები. შემდეგ იესო ერთ მითითებას ურთავს.

> *„მაშ, ეძიეთ ღმერთის სამეფო და ყოველივე ეს შეგემატებათ“.*

იესო ამბობს, რომ ღმერთს პასუხი აქვს, მაგრამ მისი კანონიერი მოპოვებისთვის გარკვეული პროცესია საჭირო. ღმერთს პასუხი აქვს, მაგრამ უნდა იცოდეთ, როგორ მოქმედებს მისი სამეფო, სანამ ამაზე პრეტენზიას განაცხადებთ.

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო, უპირველესად, ღვთის კი არა, *ცათა სამეფოს* ძიებისკენ მოგიწოდებთ. ვფიქრობ, უმეტესი ჩვენგანი ამ მონაკვეთში სწორედ ღვთის ძიებას გულისხმობს, მაგრამ ეს ასე არ არის. იესომ ეს ცხადი გახადა. თუ პასუხი ღვთის ძიებაა, მაშინ იგი პირდაპირ იტყოდა, „ამიტომ უპირველესად ღმერთი ეძიეთ და ყოველივე ეს შეგემატებათ“. ღმერთმა იცის, რა გჭირდებათ, მაგრამ არსებობს კანონიერი პროცედურა, რომელიც მანამ უნდა გაიაროთ, სანამ ზეცას ქვეყნიერ სამყაროში მისი გადმოცემის კანონიერი უფლება მიეცემა.

ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ ღვთის სამეფოს მმართველი მეფეა. მეფის ავტორიტეტი და ნება სამეფოს ყველა ქვეშევრდომზე ვრცელდება მისი კანონმდებლობის აღსრულების მეშვეობით.

წინა ოთხ წიგნში, რომლებიც ცათა სამეფოს ეძღვნებოდა, გარკვეული დრო დავუთმე მისი ცხოვრების, რწმენისა და იურისდიქციის საკითხების განხილვას. რატომ? იმიტომ,

რომ ეს პრინციპები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სამეფოს ცხოვრებაში წარმატების მოპოვების და მისი გააზრებისთვის. ამ საკვანძო კომპონენტებს ყველა ჩემს წიგნში მიმოვიხილავ – ვიცი, რომ ზოგიერთი მხოლოდ ერთ წიგნს წაიკითხავს და იმ საკითხების საფუძვლიანი ცოდნა დასჭირდება, რაც ჩვენს ცხოვრებას რეალურად შეცვლის.

უნდა იცოდეთ, როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო!

ამ თავში მოყვანილი ინფორმაცია თქვენი ფინანსური რევოლუციის სერიის წიგნებიდან გახლავთ აღებული. თუ ისინი წაიკითხეთ, შეგიძლიათ თამამად გადახვიდეთ მერვე თავზე. თუ ჯერ არ წაგიკითხავთ ან სამეფოს საბაზისო და არსებითი პრინციპების გადახედვა გსურთ, ჩემთან დარჩით მეშვიდე თავში.

იურისდიქციის საკითხი

როგორც ადრე ვთქვი, ოჰაიოს ერთ-ერთ უმშვენიერეს ნაწილში 60 აკრის ფართობის მიწაზე ვცხოვრობ. თავდაპირველად 55 აკრი მქონდა, მაგრამ მეზობელმა მოსაზღვრე მიწის ნაწილი მომყიდა და ახლა სრული 60 აკრია ჩემს საკუთრებაში. ეს ტერიტორია დიდ სიხარულს გვანიჭებს აგერ უკვე 22 წელია. გვაქვს ტყიანი ნაწილი ირმებზე სანადიროდ, წყალმარჩხები იხვების მოსანადირებლად და მინდვრები – კურდღლებისა და ხოხბებისთვის, ასევე ოთხბორბლიანით ამ ყველაფრის შემოვლის შესაძლებლობა, რაც მართლაც კურთხევაა ჩვენთვის.

თუ ჩემს ტერიტორიას ახლოდან დააკვირდებით, მთელ პერიმეტრზე დაინახავთ გავლის ᲐᲛᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲡ. მათი მეშვეობით ადამიანი იგებს, სად იწყება ჩემი სამფლობელოს საზღვრები. ოჰაიოს კანონების თანახმად, ჩემს მიწაზე ფეხის დადგმის მსურველს ყოველთვის თან უნდა ჰქონდეს წერილობითი თანხმობის ფორმა, როცა კი მოსვლას გადაწყვეტს. თუ ასეთი ფორმა არ ექნებათ, საზღვრის დარღვევად ჩაეთვლებათ, აქედან გაძევდებიან და პროცესში ჯარიმების გადახდაც მოუწევთ.

მოკლედ ...

ვერ შეძლებთ იმ ტერიტორიის დაპყრობას, რომელზეც კანონიერი უფლება არ გაქვთ.

როგორც ვთქვი, ჩემ მიერ ხელმოწერილი წერილობითი თანხმობა ჩემს ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებას მოგანიჭებთ. ვინმემ რომ გაგაჩეროთ ჩემს მიწაზე და იქ ყოფნის მიზეზი გკითხოთ, პასუხად საკმარისი არ იქნება ირმებზე ნადირობის სურვილის მოყვანა. კანონი ამბობს, რომ შემოსასვლელად საჭიროა წერილობითი ნებართვა.

ზუსტად იგივე პროცედურა უნდა გაიაროთ ბანკში, როცა ფულის გამოტანა გსურთ. ისინი თქვენს ვინაობას დაადგენენ (ID). საცალოდ მოვაჭრესაც აქვს თქვენი ვინაობის დადგენის უფლება, როცა საკრედიტო ბარათს იყენებთ რაიმეს შესაძენად. პირადობის ბარათის მოთხოვნა ანგარიშზე წვდომისგან დასაბრკოლებლად კი არა, სხვათა თაღლითობისგან თქვენს დასაცავად ხდება.

ვერ შეძლებთ იმ ტერიტორიის დაპყრობას, რომელზეც კანონიერი უფლება არ გაქვთ.

როცა იესომ თქვა, რომ თავდაპირველად ღვთის სამეფო უნდა გეძიათ, ფაქტობრივად ამას ამბობდა: *„შეისწავლეთ ცათა სამეფოს კანონები, რომ კანონიერი უფლებებით ეფექტურად ისარგებლოთ, როგორც მისმა მოქალაქეებმა“.* გაიგეთ, რა გეკუთვნით და როგორ უნდა მოიპოვოთ. ამის შემდეგ შეგემატებათ ყველაფერი, რაც გჭირდებათ.

კიდევ ერთი მაგალითი იქნება ჩემი შვილისთვის ფონდების მინდობა. სრულწლოვანების ასაკის მიღწევისთანავე, როცა მისთვის ანგარიშზე ფულის გადარიცხვა შესაძლებელი იქნებოდა, მას დავუსახელებდი ბანკს, ვაჩვენებდი, როგორ გამოეტანა ანგარიშიდან თანხა და როგორ განეთავსებინა დეპოზიტი. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მას ეკუთვნის, მასზე წვდომისთვის აუცილებელია ოფიციალური პროცედურის გავლა.

ნება მომეცით, ეს ყველაფერი შევაჯამო. როცა იესომ თქვა, რომ ჯერ სასუფეველი უნდა გვეძებნა, ამით მოგვიწოდებდა, გვესწავლა ცათა სამეფოს მოქმედების პრინციპები იმ კანონებისა და პროცედურების გასაგებად, რაც ჩვენი კუთვნილის კანონიერად მოპოვების უფლებას მოგვცემდა. როგორც ბანკის ანგარიშის მაგალითზე იხილეთ, შესაძლოა გარკვეულ აქტივებზე კანონიერი უფლება გქონდეთ, მაგრამ ვერ მოიპოვოთ, რადგან მასთან წვდომის პროცედურის გავლა ვერ შეძელით. მაგალითად, თუ პირადობის ბარათს

სახლში დატოვებთ და ბანკში წახვალთ, ანგარიშიდან თანხის გამოტანის უფლებას არ მოგცემენ, თუმცა ის ფული თქვენია. გააცნობიერეთ, რომ ცათა სამეფოში იურისდიქციის საკითხი მასში წარმატებით მოქმედების წინაპირობა გახლავთ.

დარწმუნებული ვარ, გსმენიათ ასეთი ამბავი: რომელიღაც ცნობადი სახე ავად ხდება და მისთვის ლოცვას ითხოვენ. მილიონობით ადამიანი ერთიანდება ამ პიროვნების განკურნებისთვის ლოცვაში, მაგრამ ის მაინც კვდება. რატომ?

ან ვიღაც გეუბნებათ, რომ მათი ბებია ლოცვის მიუხედავად გარდაიცვალა და სურთ ამის მიზეზი გაიგონ, ან ნაცნობმა გითხრათ, რომ ფინანსური საჭიროებისთვის თანხა დათესეს, მაგრამ მაინც არ ემართებათ ხელი. არსებობს თუ არა პასუხები მსგავს შეკითხვებზე?

სანამ პასუხს გაგცემდეთ, გავიაზროთ, რომ ყველაფერი არ ვიცით, რაც სულიერ სამყაროში ხდება, ამიტომ არც მე მაქვს ამის პრეტენზია. თუმცა ღვთის სიტყვაზე დაყრდნობით ვიცით, რომ თუ ვინმე ავად არის, იესომ უკვე გადაიხადა მისი განკურნების საფასური. ასევე ვიცით, რომ ხელგაშლილობისა და გაცემის შემთხვევაში ბიბლია მიღებასაც გვპირდება. და მაინც, ყოველდღიურად ვხედავთ ღვთის სიტყვის თითქოსდა ცხად მარცხს, რომ დაწერილისამებრ მოხდეს ადამიანთა ცხოვრებაში. ნუთუ ამაში მხოლოდ ღმერთს უნდა დავდოთ ბრალი?

ამ თავში ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას დარწმუნდებით, რომ პასუხია ხმამაღალი „არა“. თუ არა, მაშ სად არის პრობლემა? ბოლოს და ბოლოს, ადამიანთა უმრავლესობა ხომ ღმერთს ადანაშაულებს ტრაგედიებში! მათ იციან, რომ უფალს აქვს ცუდი რამეების შეჩერების ძალა და არ აკეთებს, ამიტომ ვარაუდობენ, რომ მას ამის სურვილიც არ აქვს. სწორედ ასე წარმოიშვა მცდარი მოძღვრება: „ღმერთი ბოროტებას უშვებს კარგი ადამიანების ცხოვრებაში“. ხალხი დარწმუნებულია, რომ ღმერთმა დაუშვა რაღაც უბედურება, თუ არ აღკვეთა ან არ ჩაერია მაინც. თუ გააზრებული გაქვთ, რომ ღმერთი ყოველთვის კეთილია და ტყუილის თქმა არ შეუძლია, ისიც გეცოდინებათ, რომ პრობლემა მასში არ არის, არამედ ვიღაც სხვაში და პასუხისთვის ძიებას იწყებთ.

როცა ოთახში შედიხართ და სიბნელეს აწყდებით, მაშინვე ვერ იქნებით დარწმუნებული, რომ ეს ელექტროენერგიის კომპანიის ბრალია. ალბათ, თავდაპირველად ჩამრთველს გადართავთ და

თუ შუქი მაინც არ აინთო, მერე უკვე ნათურას შეამოწმებთ. ამ შემთხვევაში კარგად ხვდებით, რომ პრობლემა *თქვენს* მხარეს უნდა მოიძიოთ.

თუ გაქვთ ცოდნა, რომ შეცდომა ღვთის ბრალი არ არის, ვინაიდან სიტყვა და აღთქმები მოგვცა მისი ნების გასაცხადებლად, მაშინ გულმოდგინე კვლევას იწყებთ მოკლე ჩართვის საპოვნელად, რომელმაც ხელი შეუშალა ღვთის პასუხის თქვენამდე მოტანას.

მოწაფეებმა გამოავლინეს ამგვარი შეხედულების არსებობა, როცა ბიჭისგან დემონის განდევნა ვერ შეძლეს მათ. 17:14-23-ში. იმის ნაცვლად, რომ ეთქვათ, „რატომ არჩია ღმერთმა დემონის დატოვება იმ ბიჭის სხეულში?“, მათ იესოს ჰკითხეს: „რატომ ვერ განვდევნეთ იგი?“ სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი მეყსეული კითხვა, როცა ვხედავთ, რომ გარემოებები, თითქოსდა, ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგება.

ისევ ვიმეორებ, რომ პირველი, ღვთის სიკეთეში უნდა ვიყოთ დარწმუნებული და მეორე, რომ ის არასოდეს იტყუება. ბიბლია უნდა იკითხოთ და კითხვები დასვათ, თუ გსურთ სასუფევლის მოქმედების პრინციპების გაგება. გახსოვდეთ, რომ დიდებული ბიბლიური მაგალითები გარკვეულ მიზანს ემსახურება – იესოს თქვენთვის რაღაცის ჩვენება სურს.

ისევ აღვნიშნავ, რომ ღვთის სამეფო რეალური სამეფოა და გარკვეული კანონებისა და პრინციპების ფარგლებში მოქმედებს, რომლებიც არასოდეს იცვლება. როგორც უკვე ვთქვი, ამ პრინციპების შესწავლა და გამოყენება შესაძლებელია, როგორც მიწათმოქმედმა იცის თესვისა და მკის კანონები ქვეყნიერებაზე და მათ უხვი მოსავლის მისაღებად იყენებს. ვინაიდან ცათა სამეფო მისი მოქალაქეებისთვის დაწესებული კანონებით მოქმედებს, რომ გაიგონ და გამოიყენონ ისინი, *ყველას* შეუძლია მათი სწავლა. ზოგჯერ ამ კანონების ცოდნა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

მარკი და ჰანა ჩვენს ეკლესიაში მოვიდნენ და ბავშვის ყოლა მოისურვეს. ამ დრომდე ქალს ექიმები ეუბნებოდნენ, რომ დაფეხმძიმება და მით უმეტეს, ბავშვის მუცლით ტარება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა მისი სხეულის გარკვეული პრობლემების გამო. წყვილმა იცოდა ღვთის სიკეთის შესახებ და Faith Life Church-ში სამეფოს კანონებიც შეისწავლეს. ჰანა დაორსულდა. სიტყვებით არ გამოითქმოდა მისი აღფრთოვანება.

რაღაც დროის შემდეგ ქალს მუცლის არეში მწვავე ტკივილები დაეწყო და რამდენჯერმე გულიც კი წაუვიდა.

როცა ასეთი შემთხვევები განმეორდა, ჰანამ ექიმთან წასვლა გადაწყვიტა შესამოწმებლად. მისი ექიმი არ დახვდა, მაგრამ მორიგე ექიმმა ულტრაბგერით გამოკვლევა დაუნიშნა, რომ ენახა, რაში იყო საქმე.

ექიმმა სისხლის დიდი კოლტი შენიშნა და ნაყოფის მოწყვეტა დაადასტურა. გულისცემა უკვე აღარ ისმოდა.

კლინიკაში ჰანას მეორე დღეს მოსვლა შესთავაზეს, რომ მკვდარი ნაყოფი მოეშორებინათ, მაგრამ მან უარი უთხრა. ამის ნაცვლად მისმა ქმარმა, მარკმა ღვთის სიტყვით და აღთქმებით გაამხნევა და შეაგონა, რომ ღვთის სიტყვას დანდობოდა ბავშვის საქმეში.

იმ კვირის უქმეებზე ჰანამ ეკლესიის ლოცვითი მხარდაჭერა მიიღო და დარწმუნებული იყო, რომ ჯანსაღ ბავშვს გააჩენდა ექიმების ნათქვამის საწინააღმდეგოდ.

მომდევნო ორშაბათს ქალი თავის ექიმთან წავიდა, რომელიც პირველი ვიზიტისას ვერ ნახა. მანაც ულტრაბგერითი გამოკვლევის ჩატარება შესთავაზა. ექიმი გაოგნებული დარჩა, როცა ეკრანს დააკვირდა და დანახული სურათი რამდენიმე დღის წინა გადაღებულ სკანირებას შეადარა. შემდეგ ჰანას ასეთი რამ უთხრა: „ამ საქმეს ვეწევი 30 წელია და მსგავსი არაფერი მინახავს. წინა კვირის სურათზე სისხლის დიდ კოლტს ვხედავ და არც გულისცემა ისმის. დღეს ეკრანს რომ ვუყურებ, კოლტი გამქრალია და სრულყოფილი ცოცხალი ბავშვი ჩანს სრულყოფილი გულისცემით“.

რამდენიმე თვის შემდეგ ჰანამ ჯანსაღი გოგონა გააჩინა, რომელსაც ეველინი დაარქვეს. ერთ დღესაც ქალი დაინტერესდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სახელს და მისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ ეველინი *სიცოცხლეს* ნიშნავდა! ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ჰანა უკვე მეორე ბავშვს ელოდება.

ეს საოცარი ამბავი ნამდვილად ღვთის საქმიანობის შედეგი გახლდათ. თქვენ, როგორც სულიერმა მკვლევარებმა ახლავე უნდა დასვათ რამდენიმე კითხვა: „რატომ მოხდა ასე? ჰანა ღვთისთვის გამორჩეული ხომ არ არის? ნუთუ ღმერთმა შემთხვევით გადაწყვიტა მისი ბავშვის განკურნება?“ ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს.

ვიმეორებ, რომ აქ რიგითმა ქრისტიანმა მიიღო სასწაული. ადამიანებს მოვუწოდებ კიდევ ერთხელ გააზრებისკენ, რომ „სასწაული“ რაღაც ჩვეულებრივიდან მომდინარეობს. სასუფეველში ეს, უბრალოდ, მისი კანონების ამოქმედების შედეგი გახლდათ.

ჰაერში ქვა რომ ავაგდო, მიწაზე ჩამოვარდება და ალბათ, შეშლილად ჩამთვლიდით, ამ დროს ჩემი ყვირილი რომ გაგეგონათ: „ოჰო, დაინახეთ? ქვა მიწაზე დაეცა! ეს ხომ სასწაულია!“ ამაში არ დამეთანხმებოდით, ვინაიდან გეცოდინებოდათ გრავიტაციის კანონის მოქმედების შედეგი. ეს კანონი *ყოველთვის* მოქმედებს *ნებისმიერი ადამიანისთვის* და ქვა *ყოველთვის* მიწაზე ჩამოვარდება.

ამრიგად, სულიერ მკვლევარებს გვმართებს ზემომოყვანილი ამბის სულიერი გასაღების პოვნა, თუ რა მოხდა და ცათა სამეფოს რომელი სულიერი კანონი თუ კანონები გამოვლინდა მასში.

ლუკას სახარების მე-8 თავი ერთ-ერთი დიდებულ ისტორიათაგანია, რომელიც პასუხს გაგვცემს რწმენასა და იურისდიქციაზე.

> *„გზად მიმავალ იესოს კი ხალხი აწყდებოდა ზედ. და იყო ერთი ქალი, რომელიც თორმეტი წელი სისხლის დენით იტანჯებოდა; მთელი ქონება ექიმებში დახარჯა, მაგრამ ვერავინ განკურნა. უკნიდან მიუახლოვდა, მისი ტანსაცმლის კალთას შეეხო და იმწამსვე შეუწყდა სისხლის დენა. და იკითხა იესომ: „ვინ შემეხო?“ ყველამ იუარა. პეტრემ და მასთან მყოფებმა უთხრეს: „მოძღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი კითხულობ, ვინ შემეხოო?“ ხოლო იესომ თქვა: „ვიღაც შემეხო, რადგან ვიგრძენი, რომ ძალა გავიდა ჩემგან“. დაინახა ქალმა, რომ ვერ დაიმალა, ძრწოლით მიუახლოვდა, დაემხო მის წინაშე და საჯაროდ განაცხადა, რა მიზეზითაც შეეხო და როგორ უცბად განიკურნა. უთხრა მას: „ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა. წადი მშვიდობით!“*
>
> – ლუკა 8:42ბ-48

აქ ჩვენ ვხვდებით წლების მანძილზე განუკურნებელ ქალს. იგი იესოს უკან მიყვება, მისი სამოსის კალთას ეხება და

მეყსეულად იკურნება. ამ ამბავში ცათა სამეფოს მოქმედების რამდენიმე საფუძვლიანი გასაღები ჩანს. მათი შესწავლით საძიებელ კითხვებს ნათელი მოეფინება.

უპირველესად, მის ირგლივ მყოფი ბრბო იესოს ეხებოდა და როგორც სახარება გვიამბობს, ხალხი ზედ აწყდებოდა. როცა იესომ იკითხა: „ვინ შემეხო?“ პეტრე განაცვიფრა ამ კითხვამ, რადგან ვიმეორებ, რომ მას *ყველა* ეხებოდა. თუმცა იესო მიხვდა, რომ ის კონკრეტული პიროვნება სხვანაირად შეეხო – მან იგრძნო, როგორ გავიდა მისგან სულიწმიდის ძალა.

ამ ისტორიის წაკითხვის შემდეგ ჩვენს სულში ფორიაქი უნდა წარმოიშვას, ზარები აწკრიალდეს და გაჩერება და მომხდარის გააანალიზება მოგვთხოვოს. თქვენი გონება მაშინვე უნდა გადაერთოს გამოძიების რეჟიმზე და ათასობით კითხვა დასვას. ჩვენ, სულიერი მკვლევარები უნდა დავინტერესდეთ, რატომ განიკურნა მხოლოდ ეს ქალი და სხვა არავინ. მაშ ასე, ვსვამთ კითხვას, „რატომ გადმოიღვარა ცხებულება მხოლოდ ამ ქალზე და არა *ყველა სხვაზე, ვინც იმ დროს იესოს შეეხო*?“

ტრადიციული რელიგიური პასუხი ასეთი იქნება: იმიტომ, რომ იესოს ასე უნდოდა. მაგრამ უნდოდა კი? იესომ წინასწარ განიზარახა მისი მომსახურება, როცა განსაკურნებელი იყო? ხელები დაასხა ქალს? უბრძანა სნეულებას, რომ მისი სხეული დაეტოვებინა? პასუხია „არა“. ფაქტობრივად, იესომ არც კი იცოდა ბრბოში იმ ქალის ყოფნის შესახებ. მან იკითხა კიდეც, ვინ შემეხოო.

ამრიგად, იესომ რეალურად არჩია მისი განკურნება იმ მომენტში? ვიმეორებ, მან არც კი იცოდა, რომ ქალი იქ იყო. მაშ, როგორ განიკურნა იგი? რატომ განიკურნა? როგორც სულიერმა მკვლევარებმა, უნდა გამოვრიცხოთ აზრი, რომ ის ღვთის განსაკუთრებული შვილი იყო ან იესოსთან გამორჩეული კავშირი ჰქონდა. საქმ.10:34 გვეუბნება, რომ ღმერთი მიკერძოებული არ არის პიროვნებების მიმართ.

ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იესოს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ქალის გადაწყვეტილებაში იმ დღეს განკურნების თაობაზე, რადგან არც კი იცოდა მისი იქ ყოფნის შესახებ. ყველანი ვთანხმდებით, რომ ის ცხებულების მატარებელი ჭურჭელი იყო, მაგრამ ქალის გადაწყვეტილებასთან – განკურნება იმ დღეს მიეღო – მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

იესო გვეუბნება, ზუსტად როგორ მოხდა, რომ ქალმა სამეფოს ცხებულებისა და ძალის წყაროდან მიიღო. მან თქვა: *„ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა. წადი მშვიდობით!“* ეს წინადადება ამბობს ყველაფერს, რაც უნდა ვიცოდეთ და ჩვენს კითხვას პასუხობს, თუ რატომ და როგორ მიიღო მან განკურნება. ჩვენ, სულიერ მკვლევარებს, ამ ისტორიაზე დაკვირვება გვმართებს, რომ საკვანძო მომენტები დავინახოთ და მივხვდეთ, რატომ მიიღო მან ის, რაც მიიღო.

უპირველესად, იესო მას *ასულს* უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ ის ისრაელი ერის ნაწილი და აბრაჰამის შთამომავალი გახლდათ. მას, როგორც აბრაჰამის ასულს, პატრიარქის კურთხევასა და მასთან ღვთის აღთქმის სარგებელში წილი ჰქონდა.

> *„თქვა: „თუ მთელი გულით დაემორჩილები უფლის, შენი ღმერთის ხმას, სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურად იღებ მის მცნებებს და დაიცავ მის ყოველ წესს, არ მოვავლენ შენზე არც ერთ სენს, რომელიც მოვავლინე ეგვიპტეზე, რადგან მე ვარ უფალი, შენი მკურნალი“.*
>
> – გამოსვლა 15:26

როცა იესომ მას ასული უწოდა, ამით მიანიშნა, რომ ქალს აბრაჰამისა და ღვთის აღთქმაში მონაწილეობის კანონიერი უფლება ჰქონდა. და მაინც, მხოლოდ ეს ფაქტი არ შეიძლებოდა მისი განკურნების ერთადერთი მიზეზი ყოფილიყო. ყველა ადამიანს, ვინც იმ დღეს იესოს ეხებოდა, იგივე კანონიერი უფლება ჰქონდა. კიდევ რაღაც უნდა არსებულიყო ცათა სამეფოდან ძალის გადმოსადინებლად. იესო კიდევ ერთ მიზეზს გვეუბნება, რატომაც მიიღო ქალმა. ფაქტობრივად, იესომ თქვა, რომ სწორედ ამის გამო განიკურნა.

მან თქვა, რომ ქალი მისმა რწმენამ განკურნა.

ახლა ვიცით მიზეზი, რის გამოც მიიღო – მისი კანონიერი უფლება იყო განკურნების მიღება, ვინაიდან აბრაჰამის ასული გახლდათ, ხოლო მისმა რწმენამ ჩართო ზეციური ძალის გადმოდინება მის სხეულში საჭირო მომენტში.

ფაქტი, რომ ის იყო ასული, შეიძლება შევადაროთ ელექტროკომპანიის ძალას და თქვენს სახლში შემოყვანილ სადენებს. მოწოდება შესაძლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს,

რომ თქვენს სახლში შუქი ანთია. ამისთვის აუცილებელია ჩამრთველზე თითის დაჭერა.

მაშ ასე, აბრაჰამის კანონიერ შთამომავალს ჰქონდა განკურნების უფლება. ვინაიდან მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა დედამიწასა და საკუთარ სიცოცხლეზე, პირადად გადართო ჩამრთველი ძალის მისაღებად.

სად არის ეს ჩამრთველი? როგორ უნდა ავამოქმედოთ ის?

ამის საპოვნელად ჩვენი ტერმინოლოგიის განვსაზღვრა დაგვჭირდება.

რა არის რწმენა?

რწმენა ის ტერმინია, რომელსაც ქრისტიანები აქეთ-იქით თავისუფლად ისვრიან და ჩემი აზრით, ბევრმა თუ დიდმა უმრავლესობამ არა, არც კი იცის, რა არის რწმენა, რატომ არის საჭირო და როგორ მიხვდნენ, არიან თუ არა რწმენაში ან როგორ მოიპოვონ ის. თუ რწმენა იყო ის, რის ჩართვამაც ცხებულება გადმოადინა და ქალი განკურნა, მაშინ ის გულმოდგინედ უნდა გამოვიკვლიოთ!

რწმენის განსაზღვრებას რომაელთა მე-4 თავში ვპოულობთ.

> *„რომელიც უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი“. არ შესუსტებია რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. და არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა“.*
>
> – რომაელთა 4:18-21

მოდი, კარგად გავარკვიოთ ამ ამბის ვითარება. აბრაჰამსა და სარას შვილები არ ჰყავდათ. აქ არ ვგულისხმობ, რომ მათ ჩასახვის პრობლემები ჰქონდათ და მცდელობა უნდა გაეგრძელებინათ. ისინი თითქმის 100 წლისები იყვნენ და ყველაფერი დამთავრებული იყო. მათი სხეულები შვილის

ყოლისთვის აღარ გამოდგებოდა. ეს უკვე შეუძლებელი გახლდათ! და მაინც, ღმერთი მათ შვილს შეჰპირდა, თუმცა ბუნებრივი გზით ეს სრულიად წარმოუდგენელი ჩანდა.

ბიბლიის მიხედვით, აბრაჰამი *გულდაჯერებული იყო*, რომ ღმერთს ნათქვამის შესრულების ძალა შესწევდა იმ ვითარებების მიუხედავად, რომლებიც სხვა რამეზე მეტყველებდნენ. აი, რწმენის განმარტება ჩვენთვის. გულდაჯერება (სრულად დარწმუნება), რომ ღმერთს დაპირების შესრულების ძალა აქვს.

ამას ასე ვიტყოდი: „**თქვენი გული ზეცასთან თანხმობაშია**“. არა მარტო გონებით ეთანხმებით ღვთის ნათქვამს, არამედ გულდაჯერებულიც ხართ.

ჩვენი განმარტება რწმენის რაობაზე

ჩემთან ერთად ხმამაღლა წარმოთქვი ეს, რომ დარწმუნდე, გაიგე თუ არა: რწმენა არის ღვთის ნათქვამში გულდაჯერება. ეს არის ჩვენი გონებისა და გულის თანხმობა ზეცასთან, *სრული რწმენა*.

რატომ არის საჭირო რწმენა?

რატომ არ შეუძლია ღმერთს ყველას განკურნება საავადმყოფოებში, როცა ეს უნდა? რატომ არ შეაჩერებს ომებს? რატომ არ აგზავნის ანგელოზებს ჩვენთვის სახარების საქადაგებლად? დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი კითხვები მოგისმენიათ. პასუხი ასეთია: მას არ შეუძლია.

აქ არ ვგულისხმობ, რომ მას არ აქვს ამისთვის საჭირო *ძალა*. მას არ აქვს ამის გაკეთების *კანონიერი უფლება*.

ჩემი ნათქვამის გასაგებად ებრაელთა წერილს უნდა გადავხედოთ.

> *„სადღაც ვიღაცამ დაამოწმა და თქვა:*
>
> *„რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე“.*
>
> *ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი*

დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.

– ებრაელთა 2:6-8

ღმერთმა ადამიანს მისცა კანონიერი უფლება მთელ დედამიწაზე, სადაც ის მოათავსა. არაფერი იყო დარჩენილი, რაც მისთვის არ დაემორჩილებინა. იგი მთელ ამ სამეფოს სრული კანონიერებითა და ძალაუფლებით მართავდა. ძალაუფლებით მართვის უნარს მხარს უჭერდა ხელისუფლება, რომელმაც ის დედამიწაზე დაადგინა. არსებითად, ადამი ღვთის სამეფოს უფლებამოსილებით მართავდა. იგი ამ სამეფოს გვირგვინს ატარებდა, რომელიც ღვთის დიდებას, ცხებულებასა და პატივის ადგილს ასხივებდა.

ᲖᲔᲪᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲜ ᲥᲐᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲣᲚᲓᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲜᲐᲗᲘᲥᲕᲐᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ.

რასაკვირველია, აქ ლაპარაკი როდია ლითონის გვირგვინზე, არამედ იმ შეგრძნებაზე, რაც გვირგვინის ტარებას მოაქვს. ამ ვითარების შთამბეჭდავი სურათის წარმოსადგენად იფიქრეთ ქვეყნიერ მეფეზე. მართალია ის ჩვეულებრივი ადამიანია და მის ბუნებრივ არსებას რეალური ძალა არ გააჩნია, მაგრამ გვირგვინი ადგას, რაც არა მხოლოდ მის პოზიციაზე, არამედ მის უკან მდგარ მთელ სამეფოსა და ხელისუფლებაზე მეტყველებს. მის სიტყვებში ძალაუფლება იგრძნობა, რადგან მას ზურგს უმაგრებს სამეფოსა და ხელისუფლების ყოველგვარი ძალა და რესურსი.

წარმოიდგინეთ შერიფი, რომელიც გზაზე მოძრაობას აკონტროლებს. მას უზარმაზარი ტრაილერის შეჩერება რამდენიმე სიტყვით შეუძლია: „გააჩერეთ კანონის სახელით!“

დიახ, სატვირთო მანქანა ადამიანზე გაცილებით დიდია და ეს უკანასკნელი მას ვერც შეედრება, მაგრამ მანქანა ადამიანის გამო კი არ ჩერდება, არამედ იმ სამკერდე ნიშნის გამო, რომელსაც ის ატარებს. ამ ნიშნის მიღმა მთელი მთავრობა დგას. ამ შემთხვევაში მთავრობა სამკერდე ნიშნის მქონე ადამიანზე

გაცილებით დიდია. თუ ტრაილერის მძღოლს პოლიციელის არ ეშინია, იმ ხელისუფლების მაინც შეეშინდება, რომელსაც ეს კაცი წარმოადგენს და სატვირთოს შეაჩერებს. იგივე ხდება აქაც. ადამი დედამიწის ყოველ ქმნილებაზე მაღლა იყო დაყენებული. ღვთიური ძალა და ბატონობა, რომელიც დიდებისა და პატივის გვირგვინით იყო წარმოდგენილი, ადამიანს სრულ დარწმუნებას აძლევდა, რომ მისი ნათქვამით იმართებოდა ყოველივე ღვთის სამეფოს სახელით.

> *„ცანი - ცანია უფლისა, ქვეყანა კი **კაცთა შვილებს მისცა“**.*

– ფსალმუნი 115:16

დედამიწაზე ადამიანის კანონიერი იურისდიქციის პრინციპი არსებითია ცათა სამეფოს კანონების, განსაკუთრებით კი, რწმენის მოთხოვნის გასაგებად, რომლის მეშვეობითაც ღმერთს ქვეყნიერებაზე ჩარევის კანონიერი უფლება ეძლევა.

> *„უთხრა მათ იესომ: „წინასწარმეტყველი არსად არ არის პატივის გარეშე, გარდა თავისი სამშობლოსი, სანათესაოსი და საკუთარი სახლისა“. **<u>და ვერ მოახდინა იქ ვერავითარი სასწაული</u>**, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა. უკვირდა მათი ურწმუნოება და მიმოდიოდა გარშემო სოფლებში და ასწავლიდა“.*

– მარკოზი 6:4-6

ქუჩაში გამვლელებისთვის რომ მეკითხა, შეეძლო თუ არა იესოს რაიმეს გაკეთება, ალბათ, მეტყოდნენ, რომ შეეძლო. თუ მათ მეორე კითხვას დავუსვამდი, იცოდნენ თუ არა ადგილი ბიბლიიდან, სადაც იესო ცდილობდა რაღაცის გაკეთებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რას მიპასუხებდნენ?

გარწმუნებთ, რომ მათი აზრით ბიბლიაში ასეთი ადგილი არ იქნებოდა, მაგრამ მაინც არის ერთი. იესომ ვერ შეძლო ადამიანთა განკურნება. მე, როგორც სულიერ მკვლევარს, მინდა ვიცოდე, რატომ.

პასუხი მარტივია – მან ვერ შეძლო და ახლა უკვე იცით, რომ ეს მათი ურწმუნოების ბრალია, როცა ზეცას არ ეთანხმებიან და ამით ღმერთს მათ ვითარებაში ჩარევის კანონიერ უფლებას ართმევენ.

დარწმუნდით, რომ კარგად გაიაზრეთ ის, რაც ახლა აღმოვაჩინეთ.

ზეცას არ აქვს დედამიწაზე ჩარევის უფლება, სანამ რომელიმე კაცი ან ქალი სრულად გულდაჯერებული არ იქნება ზეცის ნათქვამში და ამას რწმენა ჰქვია.

ადრე მოყვანილი მაგალითის მიხედვით დავუშვათ, რომ ავად გახდა საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება. მილიონობით ადამიანს სთხოვენ მისთვის ლოცვას და ილოცეს კიდეც, მაგრამ ის პიროვნება მაინც კვდება. ნუთუ ღვთის სიტყვამ მარცხი იწვნია? არა. ეს შეუძლებელია. ამრიგად, პასუხი სადმე სხვაგან უნდა ვიპოვოთ.

> *„ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი. ნუ იქნებით მათი მსგავსები, რადგან თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ“.*
>
> – მათე 6:7-8

მრავალს სჯერა, რომ ღმერთი მეტად მოისმენს და დასახმარებლად აღიძვრება, თუ უფრო მეტი ადამიანი ილოცებს. ვფიქრობ, ამ დროისთვის საკმარისად განვიხილეთ ეს საკითხი და ვიცით, რომ ასეთი აზრი სრულიად მცდარია. და როცა ვამბობ, რომ იქ რწმენა არ იყო, უმთავრესად, ვგულისხმობ ერთი რომელიმე ადამიანის არსებობას, რომელიც ღვთისგან რწმენით მიიღებდა რამეს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ თავად იესოს უხვად ჰქონდა რწმენა მარკოზის მე-6 თავში, მაგრამ მაინც ვერავინ განკურნა.

მე და თქვენ რომ ვლაპარაკობდეთ ავადმყოფ მეგობარზე, რომლის განკურნებისთვისაც მილიონები ლოცულობენ, აუცილებლად გკითხავდით, „თავად *ის ადამიანი* (ავადმყოფი მეგობარი) *რას ამბობს?*“

შესაძლებელია სნეულისთვის 20 მილიარდი ადამიანი

ლოცულობდეს, მაგრამ თუ ეს ადამიანი ამბობს, რომ მოკვდება, ის მართლაც მოკვდება.

ისევ განვიხილოთ ჩვენი მაგალითი, რომელიც მარკოზის მე-6 თავიდან მოვიყვანეთ. ვიცით, რომ იესოს განკურნების რწმენა ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი მოიმოქმედა იმ ადამიანთა რწმენის ჩართვის გარეშე.

უამრავი ადამიანი მოდის ჩემთან და ამბობს, რომ მისი ბებია, ბაბუა ან ნათესავი ავად იყო, მისთვის ლოცულობდნენ, მაგრამ არაფერი მოხდა. მე ყოველთვის ვეკითხები: „რა თქვა ბებიამ? რას ამბობდა ბაბუა? იყო იქ რწმენა?“

იცით, თქვენ არ გაქვთ სულიერი ძალაუფლება სხვა ადამიანზე. შეგიძლიათ მოემსახუროთ მათ, მაგრამ ისინიც უნდა ჩაერთონ. ერთი, რის გაკეთებასაც ადამიანებს ვთხოვ, როცა მათთვის ლოცვას ვაპირებ, არის სურათის შეცვლა. ვგულისხმობ ხედვას, რასაც არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით გონებაში წარმოიდგენენ. მინდა, რომ ეს სურათი სიკვდილიდან სასიცოცხლოდ შეცვალონ.

> *„აუწყეს ეს ამბები იოანეს მისმა მოწაფეებმა. მოიხმო იოანემ თავისი ორი მოწაფე და იესოსთან გაგზავნა შესაკითხად: „შენ ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ ჰკითხეს მისულმა კაცებმა: „იოანე ნათლისმცემელმა გამოგვგზავნა შენთან ამ კითხვით: შენ ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ იმჟამად მან ბევრი განკურნა სნეულებათა და სატკივართაგან, ასევე ავი სულებისგან, და მრავალ ბრმას უწყალობა მხედველობა. უთხრა მათ იესომ პასუხად: „წადით, უთხარით იოანეს, რაც ნახეთ და მოისმინეთ - ბრმები კვლავ ხედავენ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ“.*

– ლუკა 7:18-22

ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო არ ახსენებს ადგილს წერილიდან. მას შეეძლო ეთქვა: „დაბრუნდით და უთხარით იოანეს, ნახოს ესა და ეს ადგილი წმიდა წერილიდან“. თუმცა არა, მან მოწაფეებს თავიანთ მოძღვართან ყველა იმ კარგი

საქმის ჩამოთვლა დაავალა, რომელიც ღვთის სამეფოს ძალითა და ძალაუფლებით მოიმოქმედა.

მეგობრის ან ოჯახის წევრის დასახმარებლად იგივე უნდა გააკეთოთ. უთხარით სნეულ მეგობარს, როგორ განკურნა იესომ ვიღაც სხვა. თუ შესაძლებელია, დაუმოწმეთ მაგალითით, სადაც ადამიანი იგივე სნეულებისგან განიკურნა, რაც თავად მას სჭირს. წარმოუსახეთ სურათი, რომელიც შთააგონებს და იმედს მოუტანს. იმედს ყოველთვის თან მოსდევს სურათი და თქვენ გსურთ, რომ მეგობარმა ან ოჯახის წევრმა დაინახოს, თუ როგორ იკურნება ავადმყოფობისგან.

როცა მეგობარი ან ოჯახის წევრი ხედავს, რომ განკურნება შესაძლებელია, შეგეკითხება, როგორ მოხდება ეს. აი, დგება მომენტი, რომელსაც ელოდით – მისი გული ახლა უკვე ღიაა ღვთის სიტყვის მითითებებისა და ცათა სამეფოს პრინციპების მისაღებად. ალბათ, მოისურვებთ მის მოყვანას ცათა სამეფოში, თუ ჯერ არ არის ზეციდან შობილი და მეორე, გარკვეული დრო დაჰყავით მასთან და განუმარტეთ ბიბლიური მუხლები განკურნებაზე. თუ შესაძლებელია, გარკვეული მასალაც დაუტოვეთ თქვენ მიერ ნათქვამის განსამტკიცებლად. მრავალი ასეული ადამიანის განკურნება გვინახავს ყოველგვარი სახის დაავადებებისგან, როცა ასე მოიქცნენ. სანამ მათთვის ვილოცებდე, კიდევ ერთ კითხვას ვუსვამ, რატომ ჰგონიათ, რომ განიკურნებიან ლოცვის შემდეგ. მინდა, რომ მათი რწმენა წმიდა წერილის მონაკვეთს ჩაეჭიდოს და არა უბრალოდ ლოცვის ფაქტს.

ახლა უკვე ვიცით, რომ რწმენა არის ზეცასთან თანხმობა, როცა გულდაჯერებული ხართ ღვთის ნათქვამში. ახლა იმასაც ვხვდებით, რომ რწმენა საჭიროა ღვთისთვის დედამიწის საქმეებში ჩარევის კანონიერი უფლების მისანიჭებლად და ეს ადამიანის ზეცასთან თანხმობის შემთხვევაში ხორციელდება.

როგორ უნდა ვიქონიოთ რწმენა?

> *„ამრიგად, რწმენა - მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა - ქრისტეს სიტყვისაგან“.*
>
> – რომაელთა 10:17

როგორ მოდის რწმენა ღვთის სიტყვის მოსმენით? რა პროცესს აქვს ადგილი? მხოლოდ მოსმენა საკმარისია ადამიანის სულში რწმენის განსავითარებლად?

იმის გასაგებად, როგორ მოდის რწმენა და რას ამბობს რომ.10:17, გადავხედოთ მარკოზის მე-4 თავს. ყოველთვის ვამბობდი, ბიბლია ზემოთ რომ აისროლოთ, ჩამოვარდნისას მარკოზის მე-4 თავზე გადაიშლება; აი, ამდენად მნიშვნელოვანია ხსენებული თავი!

მარკ.4:13-ში იესომ თქვა, რომ ბიბლიის *ვერცერთ სხვა* იგავს ვერ გაიგებთ, თუ ვერ მიხვდებით, რას ასწავლის იგი ამ იგავში. ვიტყოდი, რომ ეს არსებითია! რატომ არის ეს თავი ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ გვეუბნება, როგორ ურთიერთმოქმედებს ზეცა ქვეყნიერებასთან, როგორ მოიპოვებს კანონიერ უფლებას და სად ხდება ეს. თქვენს ცხოვრებაში არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე ამ თავის სათქმელის ცოდნა.

აქ იესო სამ იგავს გვიყვება, თუ როგორ წარმოიშობა რწმენა ადამიანის სულში, რაც უკვე იცით, რომ არის ზეცის მოთხოვნა დედამიწის საქმეებში კანონიერი ჩარევისთვის. თავში გადმოცემული სამი ამბავი ეხება მთესველს, მარცვლის ჩამგდებ კაცსა და მდოგვის მარცვალს.

მოდი, დავიწყოთ მარკოზის მე-4 თავის მეორე იგავით, სადაც იესო გვიყვება კაცზე, რომელიც მარცვალს აგდებს მიწაში.

> *„და თქვა: „ღმერთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.*
>
> – მარკ. 4:26-29

პირველ რიგში, ტერმინები უნდა დავადგინოთ. რა არის *თესლი*, რომელზეც იესო ლაპარაკობს და რა არის მიწა? ფაქტობრივად, იესო მათ რაობას იმავე თავის წინა, მთესველის იგავში განმარტავს.

მარცვალი ღვთის სიტყვაა, ხოლო ნიადაგი – ადამიანის გული ან სული. ამ იგავში იესო ამბობს, რომ ადამიანი ღვთის სიტყვას თავის გულში აბნევს. შემდეგ ნიადაგი ანუ ადამიანის *გული თავისთავად* აღმოაცენებს რწმენას ანუ ზეცასთან თანხმობას. ეს ბუნებრივი პროცესი და ჩვენი ადამიანური სულის ფუნქცია გახლავთ – ის გამოზრდის, რასაც შიგ ჩადებთ.

სანამ წინ წავიდოდეთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს რწმენის განმარტების დამახსოვრებას – *მამაკაცის ან ქალის გული, რომელიც სრულად ეთანხმება ზეცის ნათქვამს*.

აქ კარგად გაიაზრეთ, რომ ზეცის თანხმობა არ ნიშნავს ღვთის სიტყვის გონებით დათანხმებას. ბიბლია ამბობს, რომ აბრაჰამი *გულდაჯერებული* იყო. გულდაჯერების რაობის და შეგრძნების გასარკვევად ერთ თვალსაჩინოებას მოვიყვან. დავუშვათ გითხარით, რომ ნიუ იორკში ემფაიერ სთეით ბილდინგის სახურავიდან უნდა გადმოხტეთ. თქვენს დასარწმუნებლად გეუბნებით, რომ მკლავები უნდა გაშალოთ და მყარად შეინარჩუნოთ ეს მდგომარეობა; მაშინ დედამიწამდე უსაფრთხოდ დაეშვებით. ალბათ, ირონიულად გაიცინებთ, რადგან იცით, რაც მოხდება ამ შემთხვევაში. სრულად დარწმუნებული ხართ შედეგში. აი, ასეთია გულდაჯერება. *იცით*, დარწმუნებული ხართ და სხვა გზა არ არსებობს – თუ გადმოხტებით, მოკვდებით.

მაშ, კიდევ ერთი სიტუაცია განვიხილოთ და ნახეთ, აქ რას იზამთ. დავუშვათ, სხეულზე გაქვთ ხილული, საკმაოდ დიდი სიმსივნე და ექიმი გეუბნებათ, რომ ერთი თვის სიცოცხლე დაგრჩენიათ. ეს კიბოა. რეალურად, ექიმი გეუბნებათ, რომ სიმსივნის ეს სახეობა იმდენად იშვიათია, რომ ამ დიაგნოზის მქონე პაციენტის გამოჯანმრთელების არცერთი შემთხვევა არ აღრიცხულა.

ახლა დავუშვათ, რომ იცით, რას ამბობს 1 პეტრ. 2;24.

> *„რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ. განკურნებულნი ხართ მისი ჭრილობებით“.*
>
> – 1 პეტრე 2:24

წერილი პასუხს გვაწვდის, მაგრამ მე და თქვენ სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ: სიბნელის სამეფოში გავიზარდეთ და ჩვენს ირგვლივ მხოლოდ უკულმართობასა და სიკვდილს ვხედავთ. შიშის სამეფოში ცხოვრებამ სრულად დაგვარწმუნა, თუ რას ამბობს შიში. ასეთ გარემოში ცხოვრებამ გაგვწვრთნა და ვიცით, რომ სიმსივნე კლავს. ყველანაირი მედია-საშუალება გვიმოწმებს ამ აზრის ჭეშმარიტებას. მაშ, როგორ უნდა შევცვალოთ ჩვენი თანხმობა? როგორ ვიყოთ გულდაჯერებული იმაში, რასაც ღმერთი ამბობს? კეთილი! რეალურად, საკუთარ თავს ვერ გადავახტებით, თუმცა ღვთის სიტყვა ცოცხალი და ძალით სავსეა. თქვენს სულში მისი დათესვით თავისთავად აღმოცენდება და ზეცის ნათქვამთან თქვენს თანხმობას მოიწევს მოსავლად.

> *„და თქვა: „ღმერთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი.* ***<u>რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი:</u>*** *ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.*
>
> – მარკოზი 4:26-29

მიწა (თქვენი გული) თვითონ წარმოშობს თანხმობას. ყურადღება მიაქციეთ, რომ რწმენისთვის ვერ ილოცებთ; ეს თქვენი გულის და სიტყვის ფუნქცია გახლავთ. როგორც ამ მონაკვეთში ვხედავთ, თქვენი გულისა და ზეცის თანხმობა პროცესს წარმოადგენს. ეს მეყსეულად არ ხდება. მოყვანილი თვალსაჩინოება გვეუბნება, რომ პირველი, ღვთის სიტყვის მიღებისას რწმენა ზრდას იწყებს, როგორც ახლად დარგულ თესლს გამოაქვს ჩანასახი. შემდგომი ზრდა წარმოშობს ჯეჯილს, თავთავს. თავთავია ადგილი, სადაც თესლი ან ნაყოფი ფორმას იძენს. მცენარის არსებობის ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არაფერი ჩანს საჭმელად. მას ჯერ კიდევ არ გამოუღია მწიფე ნაყოფი, მაგრამ ზრდას განაგრძობს.

ზუსტად იგივე პროცესი მიმდინარეობს ღვთის სიტყვასთან დაკავშირებით. ფიზიკურ სამყაროში არ ჩანს ხილული ცვლი-

ლება, როცა რწმენა ზრდის პროცესშია. ჯერ თანხმობა არ წარმოშობილა, მაგრამ გჯეროდეთ, რომ მცენარე იზრდება, რწმენა წარმოქმნის პროცესშია და თანხმობაც მოვა. იესო განმარტავს, რომ თავთავში სავსე მარცვლების მომწიფებისას დგება მკა. თანხმობა სახეზეა და რწმენა წარმოიშვა.

როცა მარცვალს მიწაში აგდებთ, მცენარე ზრდას იწყებს გაღვივების პროცესის მეშვეობით, თუმცა ნაყოფი ჯერ არ ჩანს. მცენარე ზრდას არ შეწყვეტს, თუ შესაფერის ნიადაგში დარჩება. როცა მომწიფდება, ნაყოფსაც გამოიღებს.

დავუშვათ, სიმინდის მოყვანა გადაწყვიტეთ. სიმინდის მარცვალი პატარა თავთავს გამოიღებს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული და მისი ჭამა არ შეიძლება. როცა დრო მოუვა თავთავი მომწიფდება. გაიაზრეთ! ამ მომენტისთვის სიმინდის მარცვალი თავთავში ზომით უტოლდება იმ მარცვალს, რომელიც ნიადაგში დაითესა და შეთანხმებაც სახეზეა.

როცა თავთავის მარცვალი დამწიფდება, ის ზუსტად — <u>ზუსტად</u> — ისე გამოიყურება, როგორც დათესილი.

დათესეთ სიმინდის მარცვალი და ნახავთ, რომ დამწიფებულ ტაროზე ზუსტად იმ ზომის მარცვლები იქნება, რა ზომისაც მიწაში ჩააგდეთ. ისინი ერთი და იგივეა. ერთნაირად გამოიყურებიან და გემოც ერთნაირი აქვთ ისე, რომ ვერ გაარჩევთ.

ამრიგად, ნება მომეცით, სხვა სიტყვებით გადმოგცეთ იესოს ნათქვამი. როცა ღვთის სიტყვას ვისმენთ (რომ.10:17), ამით მას ჩვენს გულში ვფანტავთ. თუ სიტყვას გულში დავიტოვებთ, ის გაიზრდება და მომწიფდება. ამის შემდეგ სრულად დავეთანხმებით ზეცის ნათქვამს. ზეცა და დედამიწა შეთანხმდებიან და მას დედამიწაზე კანონიერი მოქმედების უფლება მიეცემა იმ ადამიანის მეშვეობით, რომელიც სრულად გულდაჯერებულია. ჩვენი აზრები და შეხედულებები სრული რწმენით ეთანხმება ზეცის ნათქვამს. ეს არ არის გონებით გასააზრებელი. ზუსტად ასე ვართ დარწმუნებული, როცა ვიცით, რომ ზემოთ აგდებული ქვა აუცილებლად ძირს ჩამოვარდება. ზეცა ღვთის სიტყვას თესავს ამქვეყნად, სადაც საჭიროა ღვთის ნებასთან შეთანხმება. თუ ზეცა ამბობს, რომ განკურნებული ხართ, ამას ყველა დაინახავს, როცა სიტყვა თქვენს გულში მომწიფდება. არავითარი შიში. როცა თვალებს დახუჭავთ, საკუთარ თავს განკურნებულს იხილავთ! სწორედ ამიტომ ამბობს ებრ. 11:1:

„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“.

შესაძლოა ფიზიკურ სამყაროში ეს უხილავი იყოს, მაგრამ სულში უკვე დანახული გაქვთ და ეს ისეთივე რეალურია, თითქოს უკვე ხელში გეჭიროთ. ამ შეთანხმებას რწმენა ქვია და მას ისეთი სურათი მოაქვს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში ამქვეყნიური სამყაროს ფარგლებს სცდება!

თუმცა მარკოზის მე-4 თავი ამით არ მთავრდება. მას შემდეგ, რაც ზეცისა და რწმენის თანხმობას გვასწავლის, ნაყოფის მომკის მითითებას გვაძლევს.

> *„რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.*

– მარკოზი 4:29

ყურადღება მიაქციეთ, რომ გული ზეცასთან თანხმობაშია, მაგრამ ჯერ არაფერი ხდება. რატომ? როგორც არაერთხელ მითქვამს, თქვენ გაქვთ კანონიერი უფლება აქ დედამიწაზე.

გახსოვთ ჩვენი მსჯელობა ლუკას სახარების მე-8 თავიდან, სადაც სისხლმდინარე დედაკაცი განიკურნა? გაიხსენეთ იესოს ნათქვამი: „ასულო, *შენმა* რწმენამ განგკურნა“. მაშინ გითხარით, რომ იესომ ქალს „ასული“ უწოდა. მას კანონიერი პოზიცია ეჭირა ზეცის წინაშე. დედაკაცი აბრაჰამის ასული გახლდათ. მას კანონიერი უფლებები ჰქონდა. მაშინ ეს მდგომარეობა თქვენს სახლში სადენებისა და ელექტრობის წყაროსთან კავშირის არსებობას შევადარე. დენი გაქვთ და განათება შესაძლებელია, მაგრამ თავად უნდა მიაჭიროთ თითი ჩამრთველს. ზუსტად ასე, რწმენა მომწიფდა, ძალის მიღება შესაძლებელია, მაგრამ არაფერი მოხდება, სანამ ჩამრთველს არ შეეხებით.

აქ, დედამიწაზე უნდა გამოუშვათ ღვთის სამეფოს ძალა, რადგან მხოლოდ თქვენ, კაცსა თუ ქალს, გაქვთ ამის კანონიერი უფლება. ზუსტად ამ პრინციპის გათვალისწინებით მიიღეთ გადარჩენა, როგორც რომ.10:10-შია ნახსენები:

„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.

– რომაელთა 10:10

ადამიანი გულით იჯერებს ღვთის სიტყვას და გამართლებას იღებს. გამართლება იურიდიული ტერმინია და კანონის ადმინისტრირებას უკავშირდება. ამრიგად, როცა კაცის თუ ქალის გული ზეცასთან თანხმობაშია – როცა მას სჯერა, რასაც ზეცა ამბობს – გამართლებულია ცისა და მიწის წინაშე. ახლა ზეცას კანონიერად შეუძლია მის ცხოვრებაში და მისი მეშვეობით იდინოს და ზეგავლენა მოახდინოს დედამიწაზე ღვთის სამეფოს სახელით. უცნაურია, რომ კანონიერი საფუძვლის არსებობისა და ადამიანთა რწმენაში დარჩენის შემდეგაც არაფერი ხდება. „ძმაო გარი, ხომ თქვი, რომ რწმენის შემთხვევაში ზეცის ძალაუფლებას კანონიერი უფლება ექნებოდა სამოქმედოდ?“ მართალია, მაგრამ ვიღაცამ უნდა გამოათავისუფლოს ის რწმენის არსებობისას. მოდი, კიდევ ერთხელ გადავხედოთ საკვლევ მონაკვეთს.

*„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო **ბაგით აღიარებენ გადასარჩენად**“.*

– რომაელთა 10:10

როცა რწმენაში დგახართ ანუ გამართლებული ხართ, ახლა ზეცას შეუძლია დედამიწის საქმეებში ჩარევა. და მაინც, მუხლი ამბობს, რომ *ბაგეებით* აღიარების შემდეგ იღებთ გადარჩენას. ხედავთ ამ ორ ნაწილს? ზეცის ნაწილია სიტყვის მოტანა თქვენს გულამდე, სადაც შეთანხმება გამოიზრდება დედამიწაზე. შეთანხმების ანუ რწმენის არსებობის შემთხვევაში შესაბამისად უნდა იმოქმედოთ და ზეცის ძალაუფლება გამოათავისუფლოთ თქვენს ვითარებაში, რომ დანაპირები მიიღოთ.

ᲠᲝᲪᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲒᲐᲮᲐᲠᲗ ᲐᲜᲣ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲖᲔᲪᲐᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ.

ჩვენი მონაკვეთი მარკოზის მე-4 თავიდან ამბობს, რომ სამკალის მომნიფებისას, კაცი (აქ, დედამიწაზე) წარგზავნის

ნამგალს. სწორედ მან უნდა იმოქმედოს ღვთის სიტყვის თანახ-მად, როცა რწმენა უკვე არსებობს. ამით ის რეალურ მოსავალს მიიღებს.

ნება მომეცით, უკან დავბრუნდე და იმ ნამგალზე გესაუბროთ, რომელიც მარკოზის მე-4 თავშია ნახსენები. დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიურ სამყაროში თითქმის არ ისწავლება ნამგლის გამოყენება – ხალხს არ ასწავლიან, როგორ მოიმკან საჭირო მოსავალი. არც მე არ ვიცოდი, სანამ უფალმა არ დაიწყო ჩემი განსწავლა ცათა სამეფოს მოქმედების პრინციპებში. სამეფოს ამ არსებით საკითხში პირველი გამოცხადება წლების წინ მივიღე, როცა ატლანტის ერთ-ერთ ეკლესიაში ოთხშაბათ საღამოს მსახურებაზე ქადაგებისთვის მიმიწვიეს.

დიდი ეკლესია არ იყო, მაგრამ მე კმაყოფილი ვიყავი. ძალიან მიყვარდა ხალხისთვის სამეფოს შესახებ სწავლება. როცა ეკლესიაში მივედი, უცნაურად მომეჩვენა, რომ კარი დაკეტილი იყო და სულიერი არ ჭაჭანებდა. მსახურების დაწყებას სულ რაღაც ათი წუთი აკლდა.

ზურგს უკან სატვირთო მანქანის გრუხუნი შემომესმა. ეკლესიის მოსახვევთან ძველი პიკაპი მოიზლაზნებოდა. მსგავსი არაფერი წარმომედგინა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ შუა ატლანტაში ვიყავით.

დაველოდე, სანამ შენობის გვერდიდან მამაკაცი გამოვიდოდა და საკუთარ თავს წარმიდგენდა იმ ეკლესიის პასტორად. მან დაგვიანებისთვის ბოდიში მომიხადა. თურმე მისი ძველი მანქანა არ დაიქოქა. მან მითხრა, რომ მანქანის ბორცვიდან დაშვება მოუხდა, რადგან გადაბმის ქურო არ ამუშავდა. ისიც დაამატა, რომ ზოგჯერ მანქანას ვერც ასე ამუშავებს და ეკლესიამდე ხუთი მილის გავლა ფეხით უწევს.

უნდა ვაღიარო, რომ ამ საუბარმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მან ამიხსნა, რომ მისი მსახურება ძირითად სამახარობლო ხასიათის იყო და ყოველ თვე ათასობით ადამიანს კვებავდნენ. მხოლოდ ამ ერთი პუნქტიდან თვეში 10 000 ულუფა გადიოდა.

პასტორის საუბრისას თანდათან გავღიზიანდი. აი, ღვთის კაცი, რომელიც თვეში 10 000 ადამიანს კვებავს და ერთი წესიერი მანქანაც კი არ ჰყავს? ამის მოგვარება შემეძლო. სახლში საკმაოდ ახალი მანქანა მყავდა 20 000 მილის გარბენით, რომლის ჩუქებაც შემეძლო.

ჩემი გეგმა გავაცანი და ვუთხარი, რომ ერთ-ერთ თანამშრომელს მანქანით გამოვგზავნიდი ატლანტაში. რასაკვირველია, პასტორი აღფრთოვანდა. იმ საღამოს მას და პატარა ეკლესიას ღვთის სამეფოს შესახებ ვასწავლიდი – თუ როგორ ფუნქციონირებდა ის ფინანსების საკითხში. ვიცოდი, რომ მათთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ცათა სამეფოს რეალური სახის დანახვას, როცა ასე ძალიან სჭირდებოდათ ეს.

როცა სახლში დავბრუნდი, განკარგულება გავეცი, რომ მანქანა ატლანტაში წაეყვანათ. როცა ჩემი თანამშრომელი მანქანის წასაყვანად მოვიდა, ვიცოდი, რომ ზეცაში სულიერ გადარიცხვას ვასრულებდი. ვიცოდი, რომ ღვთის სამეფოსთვის მანქანის გაშვებით ღმერთს ვენდობოდი ახალი მანქანის მისაღებად, ვინაიდან მეც მჭირდებოდა.

არ ვარ ავტომობილების დიდი მოყვარული. ზოგიერთები არიან, ოღონდ მე არა. ამრიგად, მანქანას ხელები დავასხი, როცა თანამშრომელი მის წასაყვანად მოვიდა და ძირითადად, ასე ვთქვი: „ზეციერო მამა, ამ მანქანას ატლანტაში ვუშვებ იმ მსახურებისთვის. ვათავისუფლებ მას და ვთესავ როგორც თესლს, რომ მივიღებ ...“. მაშინ ვერ მოვიფიქრე, რომელი მანქანა მინდოდა, ამიტომ ასე დავასრულე: „ამას მოგვიანებით გეტყვი!“

მომდევნო რამდენიმე თვის მანძილზე მანქანაზე დიდად არ მიფიქრია, მაგრამ ერთ დილას დრენდას ვკითხე, რანაირი ავტომობილი უნდოდა. ის ცოტა ხნით დაფიქრდა და მითხრა, რომ კარგი იქნებოდა კაბრიოლეტი. ვკითხე, რომელი მოდელის კაბრიოლეტს ამჯობინებდა. მაშინ ვერცერთი მოდელი ვერ გავიხსენეთ, რომელიც მოგვეწონებოდა. ვინაიდან ამ მანქანის ყიდვას დრენდასთვის ვაპირებდი, უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ მისთვის მოსაწონ ავტომობილს მიიღებდა. ამრიგად, მას ვთხოვე, რომ ინტერნეტით მოეძებნა ან გარშემო დაეთვალიერებინა რამე და ჩემთვის ეთქვა სასურველი მოდელის შესახებ. ამის შემდეგ ახალ მანქანაზე აღარ გვისაუბრია, მაგრამ ყველა მანქანას ვაკვირდებოდით, რომელიც კი ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა.

ერთ დღეს ადგილობრივი რესტორნისკენ მივემართებოდით სასადილოდ და მოულოდნელად დრენდამ შესძახა:

– აი, ის არის!

– რა არის?

მან მანქანების სადგომზე მიმითითა. მივედი და დავინახე

BMW 6 სერიის Ci კაბრიოლეტი – ნამდვილად მშვენიერი მანქანა. ალბათ, იმასაც დავამატებდი, რომ ძვირიანი ავტომობილი იყო. დრენდა კარგი გემოვნებისთვის შევაქე და ვუთხარი, რომ მშვენიერი მანქანა შეურჩევია.

ახლა კი, უნდა იცოდეთ, რომ მე და დრენდა არასოდეს წავსულვართ და არ გადაგვიხდია დიდი ფული მანქანებში. როგორც ადრე გითხარით, ავტომობილების დიდი მოყვარული არ ვარ. ჩემი საქმიანობა ფინანსებს უკავშირდება, ამიტომ ისიც ვიცი, რომ ისინი სწრაფად უფასურდება და ყოველთვის სჯობს ერთი ან ორი წლის ნახმარი მანქანის ყიდვა. მაშ ასე, ჩემი გეგმა იყო კარგი მეორადი ავტომობილის ყიდვა.

ერთი კვირის შემდეგ ერთმა კაცმა დამირეკა ეკლესიიდან და მითხრა:

– დრენდასთვის მანქანა ვიპოვე!

შევფიქრიანდი, რადგან არავისთვის მითქვამს იმ BMW-ს შესახებ, რომელიც სადილობისას ვნახეთ.

დავინტერესდი, რომელი მანქანა ნახა და ეს იყო სწორედ BMW 6 სერიის Ci კაბრიოლეტი. მან მითხრა, რომ იმ ავტომობილთან ახლოს ჩაიარა და უფალმა უთხრა, რომ ეს დრენდას მანქანა იყო.

– კეთილი, ახლა უკვე ყურადღებით გისმენ, – ვუთხარი მე.

ერთი წლის ნახმარი კაბრიოლეტი მშვენიერ მდგომარეობაში იყო. ბოლოს მის საყიდლად ნაღდი ფული გადავიხადე. დრენდამ თავისი მანქანა მიიღო. როგორ მოხდა ეს? მოდი, ეს ამბავი შევადაროთ რწმენაზე ნასწავლს და ნამგლის წარგზავნას.

როცა ჩემი მანქანა გავეცი, რწმენით გავაკეთე, მაგრამ დრენდამ ხმამაღლა თქვა: „ეს არის!“ და ამით ნამგალი მოიქნია. რამდენიმე დღეში მანქანაც გამოჩნდა.

მისი ხმამაღლა ნათქვამი „ეს არის!“ კი გავიგონე, მაგრამ წამოძახილი მარკოზის მე-4 თავსა და ნამგალთან არ დამიკავშირებია. მომდევნო ისტორია ამას ძალზე ცხადად დაგანახებთ.

რამდენჯერმე ვახსენე, რომ 60 აკრის ტერიტორიას ვფლობ. მიწის, დაახლოებით, 10 აკრი წყალმარჩხია. მიყვარს იქ ნადირობა შემოდგომაზე, მაგრამ აქ ოჰაიოში ერთი იხვიც კი არ მომინადირებია, თუმცა ადრე, უფროს კლასებში ბევრჯერ მინადირია იხვებზე. ერთ წელს წყალმარჩხები წყალმა გადაავსო და იხვები დიდ გუნდებად მოდიოდნენ იქ დასაჯდომად. დღის

განმავლობაში ასობით იხვი მოფრინავდა, რომ ღამით დაესვენათ. ერთ ღამეს წავიღე ჩემი საფანტის თოფი და სადილისთვის რამდენიმე იხვი მოვიტანე. იმ შემოდგომას მე და ჩემმა ბიჭებმა იხვებზე გვარიანად ვინადირეთ.

ერთი რამ შევნიშნე. იხვები, მეტწილად, თოფის სასროლი მანძილის მაქსიმუმზე ჩნდებოდნენ. იხვებზე ნადირობის კანონი ფოლადის საფანტით ნადირობის უფლებას იძლევა ტრადიციული ტყვიისგან განსხვავებით. ტყვიის საფანტი მძიმეა და ენერგიას გაცილებით დიდ მანძილზე ინარჩუნებს, ვიდრე ფოლადისა. ამით პრობლემა იქმნება იხვებზე შორ მანძილზე ნადირობისას. იმ შემოდგომას რამდენიმე იხვზე მონადირე მეგობარს ვესაუბრე და იხვებზე სანადირო ახალი თოფების შესახებ მიამბეს. მათი მეშვეობით შესაძლებელი იყო უფრო მძიმე ტყვიების გასროლა და კამუფლაჟირებულიც იყო. დავინტერესდი ერთი მათგანის შეძენით, მაგრამ დეკემბერი დადგა და იხვებზე ნადირობის სეზონი სრულდებოდა, ამიტომ ამ საკითხზე ბევრი აღარ მიფიქრია.

ისე მოხდა, რომ ერთხელ *კაბელას* ადგილობრივ სპორტულ მაღაზიაში შევიარე იანვრის დასაწყისში, თუ რაღაც იმ დროს და იხვებზე სანადირო თოფები გამახსენდა. მინდოდა რომელიმე შემეთვალიერებინა. გარეთ გამოსვლამდე თოფების განყოფილებაში შევიარე და წყლის ფრინველებზე ნადირობისადმი მიძღვნილი იარაღების მთელი სექცია დავინახე. მახსოვს, დაუფიქრებლად გავიშვირე თითი ერთ-ერთისკენ, რომელიც საუკეთესო მომეჩვენა და ხმამაღლა ვთქვი: „უფალო, ასეთი მექნება“, მაშინ არ გამიაზრებია, რა ვთქვი; ეს სიტყვები უბრალოდ დამცდა ბაგიდან. იხვებზე ნადირობის სეზონი მეორე შემოდგომამდე არ გაიხსნებოდა, ამიტომ თოფის შეძენას არ ვგეგმავდი მანამ, სანამ სეზონი არ მოახლოვდებოდა.

ორი კვირის შემდეგ ბიზნეს კონფერენციაზე მიმიწვიეს საქადაგებლად. როცა დავასრულე, აღმასრულებელი დირექტორი მადლობის სათქმელად მომიახლოვდა და მითხრა, რომ ჩემთვის საჩუქარი ჰქონდა. ჩემდა გასაოცრად, ზუსტად ის თოფი გამოიტანა – *ზუსტად ის მოდელი* – რომლისკენაც ორი კვირის წინ კაბელას მაღაზიაში თითი გავიშვირე. რასაკვირველია, ძალიან გამაოცა ასეთმა გულუხვმა საჩუქარმა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს დამთხვევა არ იყო. გამახსენდა მაღაზიაში ნათქვამი და მივხვდი, რა მოვიმოქმედე მაშინ. ეს იყო ნამგლის მოქნევა!

ამ თავში ახლახან წაკითხულის გააზრება, როგორც ადრე ვთქვი, *არსებითია*, რომ ღვთისგან მიიღოთ რაიმე და ყველაფერი. რაც არ უნდა სთხოვოთ ღმერთს, ეს პროცესი უნდა გაიაროთ. ამიტომ დარწმუნდით, რომ კარგად გაიგეთ, რაც ახლახან წაიკითხეთ. თუ საჭიროა, კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ! აი, ამდენად მნიშვნელოვანია ეს!

თავი 8
ქისა გჭირდებათ: ნაწილი მეორე

გრძელი გზის გავლა მოგვიხდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს მნიშვნელოვანია ცათა სამეფოს მოქმედების აღსაქმელად. კიდევ ვიმეორებ, რომ ქრისტიანთა უმრავლესობას არ ესმის ცათა სამეფოს კანონები ამქვეყნიერ სამყაროში და ვერც იმას ხვდება, პირადად რა კანონიერი პოზიცია უჭირავს ღვთის სასუფეველში. ახლა იცით, რატომ დამჭირდა რწმენისა და იურისდიქციის საკითხების გარკვევისთვის შემოვლითი გზით სიარული. მათ გარეშე წარმოდგენა არ გექნებოდათ, რას გვეუბნება წმიდა წერილი ლუკას სახარებაში, როცა უპირველესად ცათა სამეფოს ძიებისკენ მოგვიწოდებს, რათა ყველაფერი დანარჩენი შეგვემატოს.

ახლა, რაკი გაიგეთ, რას ნიშნავს ეს, ისევ ჩვენს ტექსტს დავუბრუნდეთ.

> *„ამიტომ ნუ ეძებთ, რა ჭამოთ და რა სვათ, და ნუ შფოთავთ. რადგან ყოველივე ამას ქვეყნიერების ხალხები ეძიებენ; თქვენმა მამამ იცის, რომ გჭირდებათ ეს ყველაფერი. <u>მაშ, ეძიეთ ღმერთის სამეფო და ყოველივე ეს შეგემატებათ.</u>*
>
> *ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ კეთილინება თქვენთვის ცათა სამეფოს მოცემა. გაყიდეთ თქვენი ქონება და გაეცით მოწყალება. <u>დაიმზადეთ უცვეთელი ქისები,</u> საუკუნოდ ულევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ დაა ზიანებს. რადგან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქ იქნება“.*
>
> – ლუკა 12:29-34

ისევ ვიმეორებ, რომ ზეციერმა მამამ იცის, რა გინდათ და ყოველი საჭიროება უკვე უზრუნველყოფილია მის მიერ. ის თქვენ გეკუთვნით, მაგრამ ზეციდან მისაღებად უნდა იცოდეთ და აცნობიერებდეთ კანონიერ პროცესებს, რომ გაიხაროთ ყველაფრით, რაც მას აქვს.

32-ე მუხლი წარმოუდგენელ მემკვიდრეობაზე ლაპარაკობს, რომელიც მიიღეთ, როგორც მეფის ძემ და ასულმა. ის ამბობს: „***თქვენმა ზეციერმა მამამ კეთილინება თქვენთვის ცათა სამეფოს მოცემა***“.

> *„სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ. ხოლო თუ შვილები - მემკვიდრენიც, ღვთის მემკვიდრენი, და ქრისტეს თანამემკვიდრენი თუ მასთან ერთად ვიტანჯებით, რათა მასთან ერთად კიდეც ვიდიდოთ“.*
>
> – რომაელთა 8:16-17

პავლე ამბობს, რომ ქრისტეს თანამემკვიდრენი ვართ. თქვენ როგორც ძეს ან ასულს, გეკუთვნით მემკვიდრეობა, სამეფო.

შეჩერდით და ერთი წუთით დაფიქრდით. თქვენ უკვე კანონიერად გაქვთ ყოველგვარი უფლება, რაც სამეფოშია გათვალისწინებული. ხვეწნა საჭირო არ არის. ეს უკვე თქვენია.

ოჰ, როგორ მინდა, ჩაწვდეთ ამ განცხადების მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ ამბობს 2 კორ. 1:20 შემდეგ სიტყვებს:

> *„რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში არის „ჰო“ და მისით ითქმის ჩვენს მიერ „ამინ“, ღმერთის სადიდებლად“.*
>
> – 2 კორინთელთა 1:20

სწორედ ამიტომ გითხარით ჩემს ბოლო წიგნში „*Your Financial Revolution: The Power of Provision*“, რომ *საუფლო ლოცვა* კანონიერი მოთხოვნის ანუ შუამდგომლობის ფორმატშია წარმოდგენილი. თხოვნა არ არის, როცა ამბობთ: „*პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს*“. ეს მიმართვაა.

როგორც ჩემს შვილებს არ სჭირდებათ საუზმის მისაღებად ხვეწნა (ისინი მოქმედებენ ისე, როგორც მფლობელები, „მამა, კვერცხი მოგვაწოდე“), ასევე ხდება ცათა სამეფოშიც –

კანონიერი უფლება გაქვთ ნებისმიერსა და ყველაფერზე, რაც იესო ქრისტეში გეკუთვნით.

ცათა სამეფოს სიკეთეებთან კანონიერი წვდომის გარდა თქვენ მისი მოქალაქეც ხართ და ეს მრავალ სარგებელს მოიცავს, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობა ითვალისწინებს გარკვეულ უპირატესობებს, რომლებიც სხვაგვარად არ გექნებოდათ.

> *„მაშასადამე, თქვენ, უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“.*
>
> – ეფესელთა 2:19

და ბოლოს, ქისაზე (საფულეზე) ვისაუბროთ! გახსოვთ, იესომ თქვა, რომ დაგჭირდებოდათ.

> *„გაყიდეთ თქვენი ქონება და გაეცით მოწყალება. დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ ულევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრჩილი ვერ დაა ზიანებს. რადგან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქ იქნება“.*
>
> – ლუკა 12:33-34

დაიმზადეთ ქისები, საგანძური ზეცაში, რომელიც არასოდეს გიმტყუნებთ და ვერავინ წაგართმევთ. მოდი, ერთი რამ ახლავე ნათელი გავხადოთ: იესო არ ამბობს, რომ ყველაფერი უნდა გაყიდოთ, რაც გაგაჩნიათ და უქონელი დარჩეთ ზეცაში წასვლამდე. გახსოვდეთ, რომ იგივე პავლემ დაწერა 2 კორინთელთა მე-9 თავი, სადაც ყველა შესაძლო შემთხვევაში ყოველმხრივი სიუხვის გამოჩენისკენ მოგვიწოდებს. ამრიგად, პავლე ფულის ან ქონების ფლობას ცოდვად და არასწორად არ თვლის. იესო ამბობს, რომ უმჯობესია მოიშოროთ ფული და ქონება, რომლებმაც *დაგიმონათ* და თქვენი გული მარადიულად დაცული საგანძურისკენ მიმართოთ.

ჩვენ ისე ვიზრდებით, რომ ფული კერპად ვაქციოთ. ფული ცხოვრებისეული საჭიროებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს, მაგრამ ბევრი დარწმუნდა, რომ მისგან უბადრუ-

კი „ღმერთი“ დგება. სწორედ ამიტომ ეუბნება პავლე ტიმოთეს, რომ ამ ქვეყნის მდიდრებს ხელგაშლილობით გაღებისკენ მოუწოდოს სულიერი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. გულისთვის ადვილია ფულის კერპად შერაცხვა. უხვად გაცემა სიხარბის ანტიდოტია. ხშირად გააპრაქტიკეთ ეს.

> *„მდიდრებს ამ წუთისოფელში ამცნე, რომ არ გადიდ-გულდნენ, ნურც მაცდურ სიმდიდრეზე დაიმედდებიან, არამედ - ცოცხალ ღმერთზე, რომელიც ყველაფერს უხ-ვად იძლევა გასახარად, ქველმოქმედებისა და კეთილი საქმეებით გამდიდრებისთვის, რათა გულუხვნი იყვნენ და გამზიარებელნი. დაიუნჯებენ რა მტკიცე საძირკვლად მომავლისთვის, რათა მიიღონ ჭეშმარიტი სიცოცხლე“.*
>
> – 1 ტიმოთე 6:17-19

ყურადღება მიაქციეთ, რომ პავლეს მითითებით, ტიმოთემ მდიდრებს კი არ უნდა ურჩიოს, არამედ უბრძანოს გულუხვობის გამოჩენა და გაზიარება. გახსოვდეთ, რომ ფული საჭიროა, მაგრამ ეს არ არის სიცოცხლე.

მაშ, სად არის თქვენი საგანძური?

გაცემა არა მარტო აფაქიზებს თქვენს გულს ღვთისა და ადამიანების მიმართ, არამედ ასუსტებს ფულის შემბოჭველ ძალას მასზე. გულს მოშურნეობისა და თაყვანისცემის მიდრეკილება აქვს ყველაფრის მიმართ, რასაც წინ დაუდებთ, ამიტომ მას არ უნდა მივცეთ უმიზნოდ ხეტიალის უფლება. უნდა გამოვწრთვნათ ის, რომ მხოლოდ ღმერთი მიაჩნდეს თავის წყაროდ. გაღება ეწინააღმდეგება სიხარბეს, რომელიც ადვილად ეუფლება ჩვენს გულებს.

და საერთოდ, რატომ უნდა გავცემდეთ? რატომ არ გვეხმარება ღმერთი ფინანსურად ჩვენი მხრიდან გაცემის გარეშე? ეს კარგი კითხვაა და მასზე პასუხს ლუკას სახარების მე-4 თავში ვპოულობთ.

პირველი, ღმერთს ფული არ აქვს, როგორც ადრე აღვნიშნე. მეორე, მან ადამს გადასცა სრული ბატონობა დედამიწაზე, როგორც ებრ. 2:7-8-შია აღნიშნული.

„აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და, ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“

მიუგო იესომ პასუხად: „დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე“.

– ლუკა 4:5-8

წერილის ეს ნაწილი მოყვანილია უდაბნოში იესოს გამოცდის მომენტიდან, სადაც სატანა მას აცდუნებდა. ის იესოს ეუბნება, რომ ქვეყნიერების ყველა ერის ძალაუფლება და დიდება მას აქვს მიცემული. და ეს მართლაც ასეა. ადრე ეს პოზიცია ადამს ეჭირა, მაგრამ სატანას გადასცა, როცა ღვთის სამეფოს უღალატა.

ყველა სახელმწიფოს დიდება მისი სიმდიდრეა და მისი მართვის უნარი ახლა სატანის ხელთაა. ნუ დაიბნევით! ტექსტი არ გვეუბნება, რომ მან თავისით მოიპოვა ძალაუფლება ყველა სახელმწიფოზე. ღმერთს ეკუთვნის დედამიწა და მისი სისავსე, მაგრამ მოყვანილი მონაკვეთის თანახმად სატანას კანონიერი პრეტენზია აქვს ერების სიმდიდრეზე.

თუ რომელიმე ქვეყნის მონეტას დახედავთ, მასზე იმ ერის სრული ძალაუფლების ნიშნებს დაინახავთ, რომელმაც ეს ფულის ერთეული დაბეჭდა. ადამის ნამოქმედარის გამო ღმერთს არ შეუძლია კანონიერად იქონიოს პრეტენზია რომელიმე ქვეყნის ვალუტაზე ან გააყალბოს ის. იმ შემთხვევაში, თუ ღმერთი დედამიწაზე იპოვის ადამიანს, რომელსაც მისი სწამს და ზეციური იურისდიქციისა და ძალაუფლების ფარგლებში ფულის დათესვას მოინდომებს, ღმერთს კანონიერი მისადგომელი ეძლევა და ვითარებაში ერევა.

ღვთისთვის გაღება ურთიერთზემოქმედების კარს ხსნის, რაც ღვთის სამეფოს მეტად მნიშვნელოვანი კანონია. ვიმკით იმას, რაც დავთესეთ.

თუმცა ღმერთს ფული არ აქვს. მაშ, რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ იგი ვითარებაში ჩაერევა ჩვენი ფინანსების მეშვეობით? ღმერთს არ შეუძლია ფული მაგიური გზებით

გამოაჩინოს (ეს უკანონო იქნებოდა სატანის ლეგალური პრეტენზიის პირობებში), მაგრამ მას შეუძლია თქვენი დახმარება სიმდიდრის მოპოვებაში ან შექმნაში.

ისევე როგორც ადრე მოყვანილ ისტორიებში ხდებოდა, გულუხვობა ზეცას კანონიერ უფლებას ანიჭებს, რომ ადამიანს რჩევები და მითითებები გაუგზავნოს ფინანსების სფეროში, როცა ისინი გასცემენ. გახსოვთ თევზის ამბავი ლუკას მე-5 თავში? პეტრეს მზადყოფნამ, რომ იესოსთვის ნავი ეთხოვებინა საქადაგებლად, სულიწმიდას კანონიერად გაუხსნა კარი ღრმა წყალში თევზის ადგილსამყოფელის მისათითებლად.

ღვთისთვის გაღება ურთიერთზემოქმედების კარს ხსნის, რაც ღვთის სამეფოს მეტად მნიშვნელოვანი კანონია. ვიმკით იმას, რაც დავთესეთ.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ცათა სამეფოსა და ღვთის საქმისთვის გაღებით ქისებს ვიმზადებთ. გულუხვობით ზეციურ სიმდიდრეებთან მისადგომელი გვეხსნება. სწორედ ამიტომ უწოდებს პავლე „გაცემას“ ჩვენს ქისებს. ეს ყველაფერს ცვლის ჩვენს ცხოვრებაში. უკვე აღარ ვართ შეზღუდული საკუთარი გაგებით. თავად ღმერთი გვეხმარება წარმატების მიღწევაში.

> *„რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს“.*
>
> – 2 კორინთელთა 9:11

ყურადღება მიაქციეთ, რომ ბიბლიის მიხედვით *გამდიდრდებით* და აქ არ იგულისხმება საკუთარი ძალისხმევით და სიბრძნით სიმდიდრის მოპოვება. არა, თქვენი ახალი პარტნიორი ხდება – სულიწმიდა – და მან თქვენზე გაცილებით მეტი იცის.

მახსოვს, როგორი გაკოტრებული ვიყავით იმ ცხრა დაძაბული წლის განმავლობაში. ფულს, უფრო სწორად, საკმარისი ფულის არქონის შიშმა ჩემი გული შებორკა. ქრისტიანი კი ვიყავი, მაგრამ იმდენად ვერ განვავითარე ღმერთზე მინდობა, რომ გულს ქვეყნიერების დაწყევლილი სისტემის ერთგულებაზე უარი ეთქვა. მაშინ არასწორ საგანძურს ვენდობოდი! იმ დროისთვის ჩემი თავდაჯერებულობა საკუთარ მეს ეფუძნებოდა და ეს უბადრუკი არჩევანი გახლდათ რწმენისთვის.

ღმერთს ჩემთვის სწავლება მოუხდა, თუ როგორ შემექმნა საკუთარი ქისა, რომ მის მადლსა და უნარებს მივწვდომოდი. ვფიქრობ, ყველა ჩემმა ნაცნობმა იცის, როგორ გააკეთა ეს ღმერთმა, მაგრამ მინდა ხელახლა გიამბოთ იმ შეთხვევისთვის, თუ არ გაგიგიათ, როგორ განვითარდა მოვლენები. იცით, ღმერთი კარგი სტრატეგია. მან ზუსტად იცის, როგორ მიუდგეს თითოეულ ჩვენგანს.

ძალიან მიყვარს ირმებზე ნადირობა, მაგრამ წლების მანძილზე შინ ხელცარიელი ვბრუნდებოდი. გავდიოდი, სიცივეში ვიჯექი და დღეები დღეებს მისდევდა, მაგრამ ხელმოცარული ვრჩებოდი. ნადირობის ჟინი კი არ მკლავდა. ბავშვები მყავდა დასაპურებელი და ამისთვის ირმის ხორცის გამოყენება მინდოდა. მართალია, წარსულში გარკვეული წარმატება მქონდა, მაგრამ წლები გავიდა ბოლო იღბლიანი სეზონის შემდეგ, როცა სახლში ხორცი მოვიტანე.

ერთ დღეს მოახლოებულ ნადირობის სეზონზე ვფიქრობდი, როცა უფლის ხმა გავიგონე. მან მითხრა:

– რატომ არ მაძლევ ნებას, რომ გაჩვენო, როგორ უნდა მოინადირო შენი ირემი ამ წელს?

ამან შემაკრთო. *„როგორ მოვინადირო ჩემი ირემი ამ წელს?“* ეს რას ნიშნავს? ამ სიტყვების გამო ვილოცე და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ირმის მონადირების ზუსტი მიზნით ფინანსური თესლი, ძღვენი უნდა დამეთესა. შინაგანად მივხვდი, რომ უფალი მეუბნებოდა, დათესვისას მერწმუნა მისი მიღება მარკ.11:24-ის თანახმად, სანამ რეალურად გამოჩნდებოდა.

> *„ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ, და მოგეცემათ.*
>
> – მარკოზი 11:24

როგორც ქრისტიანი, ყოველთვის გავცემდი და მხარს ვუჭერდი ჩემს ეკლესიას, მაგრამ ასე კონკრეტული მიზნით თესვა და ლოცვისას რწმენა, რომ უკვე მქონდა, ჩემთვის ახალი იყო.

ჩეკის წიგნაკი ავიღე და სამახსოვრო ველზე დავაწერე: „ჩემი 1987 წლის ირმისთვის“. მას ხელები დავასხი და გამოვაცხადე, რომ ჩემი ირემი მივიღე, როცა ჩეკი ფოსტით გავუგზავნე სანდო მსახურებას.

იმ დროისთვის ოკლაჰომაში, ტალსაში ვცხოვრობდი და ქალაქის საზღვრების ლიმიტი ნადირობის ადგილის დიდ არჩევანს არ იძლეოდა, მაგრამ ეკლესიიდან ერთმა მეგობარმა ბებიამისის სახლში, სოფელში დამპატიჟა მადლიერების დღესასწაულზე. მან მითხრა, რომ მათი ფერმის მახლობლად რამდენიმე ირემი დაიარებოდა. ამრიგად, ჩემი ოჯახი მადლიერების დღის დილას იქეთკენ გაემართა კარგი სადილითა და მოზიარეობით სიამოვნების მისაღებად. რა თქმა უნდა, გეგმაში ირმის მონადირებაც შედიოდა.

ჩემმა მეგობარმა დიდად არ იცოდა, საით უნდა გავეშვი, მაგრამ იქვე ჩანდა ტყის მომიჯნავე საძოვარი. მან მინდვრისკენ წასვლა მირჩია, სადაც ტყის განაპირა დიდ ხესთან ჩავსაფრდებოდი.

მინდა ეს სურათი წარმოიდგინოთ. მოთიბული საძოვრის შუაში, დიდ ხესთან ჩავსაფრდი. ახლა რომ ვიხსენებ, ტიალ მინდორზე ვიჯექი ხის მახლობლად. თანდათან ნათდებოდა. ვიფიქრე, რომ *ასე გაშლილ მინდორში ჯდომა კარგი აზრი არ იყო და სადმე უკეთესი ადგილი უნდა მეპოვა.*

უკვე ადგომას და ტყის მიმართულებით გადანაცვლებას ვაპირებდი. საერთოდ არ ჩანდა, რა ხდებოდა ჩემს ზურგს უკან ხის მეორე მხარეს. არც კი ვიცოდი, რომ ჩემ უკან ირემი მოქროდა. ხე ახლა ირემსა და ჩემ შორის იყო მოქცეული. ვერც ირემი მხედავდა და ვერც მე ვხედავდი მას. ირემმა ხემდე მოირბინა, ჩემი სუნი იკრა და უცებ გაჩერდა, თითქოს უნდა მოეფიქრებინა, რასთან ჰქონდა საქმე.

როცა ირემი შეჩერდა და ხის აქეთ მხარეს შემოიხედა, ერთმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ. ცხოველი ჩემგან, სულ რაღაც, ხუთი იარდის მოშორებით იდგა! ხარირემს დიდი დრო არ დაუკარგავს სიჩქარის შესაცვლელად და ხმამაღალი ფრუტუნით სწრაფად გავარდა.

ახლა უნდა ვაღიარო, რომ მიზანში მსროლელად არ ვვარგივარ. სრული სისწრაფით გაფრენილი ირმის თეთრი კუდისკენ დამიზნება დიდ შანსს არ მიტოვებდა. მეორე, 30-06 ყალიბის ტყვიით მოუმზადებელი გასროლა ადვილი საქმე არ იყო. თუმცა ჩახმახს თითი რომ გამოვკარი, ხარირემი დაეცა და აღარ განძრეულა. გაოგნებული ვიყავი! თოფის ხმაზე ჩემი მეგობარი გამოვიდა და ირმის მონადირება მომილოცა. დაინახა, სადაც ეგდო. მისთვის არაფერი მითქვამს უფლის მითითებაზე, მაგრამ გავხედე და ასე ვუთხარი: „არ მგონია, რომ ირემი საუკეთესო უნარ-ჩვევის მეშვეობით მოვინადირე“.

სანადირო მოსასხამიდან ქაღალდის ფურცელი ამოვაძვრინე, რომელიც ჩეკის გაგზავნის დღეს დავწერე. ის უბრალოდ აღწერდა: „მწამს, რომ 1987 წელს ჩემს ირემს მივიღებ იესოს სახელით“. იქვე მიწერილი იყო დღე და დრო, როცა ლოცვა შევასრულე. ფურცელი მეგობარს მივაწოდე, რომ ენახა და ვუამბე, რაც უფალმა მითხრა.

მომხდარმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ირმის მონადირება უფლის ხელის საქმე იყო. რასაკვირველია, ამის დანახვისას გონება მაშინვე გეუბნებათ, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. თუმცა ბოლო 34 წლის მანძილზე ჩემი ირმები იგივე მეთოდით მოვინადირე, როგორც ის პირველი 1987 წელს. ამ მიდგომას ერთხელაც არ უმტყუნია და როგორც წესი, ერთი საათი ამისთვის სრულიად საკმარისი იყო.

ღმერთმა იგივე საშუალება გამოიყენა პეტრესთან, იაკობსა და და იოანესთან გენესარეთის ტბის პირას. ბიბლია ამბობს, რომ ისინი ნანახმა განაცვიფრა.

> *„რადგან გაოგნებამ შეიპყრო ისიც და ყველა მასთან მყოფიც იმ თევზის სიმრავლის გამო, მათ რომ დაიჭირეს; ასევე დაემართათ იაკობსა და იოანეს, ზებედეს ძეებს, სიმონის მეწილეებს. უთხრა იესომ სიმონს: „ნუ გეშინია, ამიერიდან ადამიანებს დაიჭერ“. მიაყენეს ნავები ნაპირს, ყველაფერი მიატოვეს და მას გაჰყვნენ“.*
>
> – ლუკა 5:9-11

ისე გაკვირდნენ, რომ ყველაფერი მიატოვეს და იესოს გაყვნენ. მათ საქმეების კეთების უკეთესი, გაცილებით კარგი გზა იპოვეს.

როცა ღმერთმა მაჩვენა ცათა სამეფო და ქისის შექმნის საჭირო გზა (ჩემს ზეციურ საგანძურთან მისადგომი), გულში უფრო მეტი დარწმუნება მომეცა ზეციური რესურსების მიმართ, ვიდრე ფიზიკურად იყო ჩემს ხელში.

ღმერთმა მასწავლა, რომ შემეძლო დამეთესა ნებისმიერი საგნისთვის, რაც მჭირდებოდა და იგი მომცემდა ფულის შოვნის ან ამ საგნის მოპოვების გეგმას.

ახლა დრო არ მაქვს ყველა იმ საოცარი შემთხვევის აღსაწერად, რაც ცათა სამეფოს შედეგის სახით ვიხილე, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მე და დრენდამ ფინანსურად

საკმაოდ წარმოუდგენელი რამეები ვნახეთ. საოცარია სრული ბანკროტობიდან ფინანსურ თავისუფლებამდე მისვლა და უფრო მეტიც, ისეთი მსახურების შექმნა, რომელსაც მილიონობით ადამიანი უჭერს მხარს წლების მანძილზე.

კონკრეტული მოსავლის მისაღებად რწმენით თესვა ერთ-ერთი პირველი იყო, რაც ღმერთმა ცათა სამეფოს შესახებ მასწავლა. მართალია ამ წიგნში ყველაფრის აღწერა შეუძლებელია, მაგრამ ჩემს სხვა წიგნებში ნახავთ, რამდენად კონკრეტულია ცათა სამეფო და რამდენად კონკრეტული უნდა იყოს თქვენი თესლი. *Your Financial Revolution: The Power of Provision* უფრო მეტად აღწერს თქვენი რწმენის გამოსათავისუფლებელ ნაბიჯებსა და მითითებებს, თუ როგორ უნდა დათესოთ კონკრეტულად, ვიდრე ეს წინამდებარე წიგნშია აღწერილი. გირჩევთ ერთი ეგზემპლარი შეიძინოთ და მეტი გაიგოთ ამ თემაზე.

ამ წიგნში წარმოდგენილია ცათა სამეფოს რამდენიმე საკვანძო პრინციპი, რომელიც ღმერთმა მასწავლა გულუხვობისა და გაცემის შესახებ. იმედი მაქვს, ისინი გაგამხნევებთ და შთაგაგონებთ, რომ მეტი ისწავლოთ და იქცეთ ისეთ ადამიანად, როგორსაც ღმერთი გხედავთ.

თავი 9
საწყაოს კანონი

რამდენიმე თვის წინ მე და დრენდამ $ 15000 დავთესეთ ერთ მსახურებაში. ის-ის იყო ჩემი რწმენა უნდა გამომეთავისუფლებინა, რომ სულიწმიდამ 2 კორ. 9:10-11 შემახსენა და იმის შემდეგ რამდენიმე დღე თავიდან ვერ ამოვიგდე.

> *„ხოლო ის, ვინც თესლს აძლევს მთესველს და პურს - საჭმელად, მოგცემთ და გაამრავლებს თქვენს თესლს და გაზრდის თქვენი სიმართლის ნაყოფს, რათა ყველაფერში გამდიდრდეთ ყოველგვარი ხელგაშლილობისთვის, რაც ჩვენი მეშვეობით ღვთისადმი მადლიერებას გამოიწვევს“.*
>
> – 2 კორინთელთა 9:10-11

იმ ნაწილზე ვფიქრობდი, სადაც ტექსტი ამბობს, რომ ღმერთი თესლს აძლევს მთესველს და პურს საჭმელად და მოულოდნელად ფრაზა „პურს საჭმელად“ ცალკე გამოვყავი. მივხვდი, რომ მრავალი ადამიანი შიშობს, როცა თანხის გაღება სურს. ისინი ვერ ხვდებიან ხსენებული ფრაზის აზრს. ადამიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ გაცემისას რაღაც ისეთს სწირავენ, რაც გარკვეული *ფასი* დაუჯდებათ. თუმცა ღმერთმა გამახსენა, რომ იგი არა მარტო თესლით უზრუნველგვყოფს, არამედ პურსაც გვიგზავნის საჭმელად ანუ ადამიანის პირად საჭიროებებსაც აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ეს კი ვიცოდი, მაგრამ მივხვდი, რომ მას სურდა ადამიანებისთვის გადამეცა – იგი ორივეს იძლევა და არ უნდა შეგვეშინდეს, როცა გავცემთ.

იმ კონკრეტულ საღამოს, $15 000-ის დათესვიდან რამდენიმე დღის შემდეგ სინათლის ჩაქრობა და დაძინება გადავწყვიტე, როცა მოულოდნელად აზრად მომივიდა ჩემი კუთვნილი

რამდენიმე აქციის გადახედვა – მაინტერესებდა, როგორ მიდიოდა საქმეები ბაზარზე. როცა ჩემი ანგარიში გავხსენი, დავინახე, რომ მათი კურსი ცოტათი მართლაც აწეულიყო.

ის-ის იყო ტელეფონი უნდა დამედო, როცა მზერა სხვა აქციისკენ გამექცა, რომლის მფლობელიც არ ვიყავი. ადრეც მენახა და ერთ დროს მის ყიდვაზეც ვფიქრობდი. როცა მისი ადრინდელი მაჩვენებლები მოვიძიე, ვნახე, რომ უკანასკნელი 12 თვის მანძილზე ზრდა არ შეინიშნებოდა, ამიტომ ყიდვა გადავიფიქრე.

იმ საღამოს, რაღაც მიზეზით აქცია თვალში მეცა. უცნაური იყო, მაგრამ მისი ყიდვის სურვილი გამიჩნდა, თუმცა ასე მოქმედება საერთოდ არ მახასიათებდა. ამრიგად, ავდექი, $1500-ის აქცია ვიყიდე და ტელეფონი გვერდზე გადავდე.

მე და დრენდამ ცოტა ვისაუბრეთ და ახალი აქციის ყიდვის შესახებაც ვუთხარი. შემდეგ ტელეფონი ავიღე, რომ დრენდასთვის მეჩვენებინა და გაოგნებული დავრჩი. სულ რაღაც ერთი საათის მანძილზე 100%-ზე მეტად გაზრდილიყო! აღარ დავიძინეთ და ვაკვირდებოდით, როგორ მიიწევდა მაჩვენებელი მაღლა.

მომდევნო სამი საათის განმავლობაში აქციის ფასმა $17 000-ს გადააჭარბა და გასწორდა. დრენდას ვუთხარი: „აი, ჩვენი $15 000!“

სასწრაფოდ გავყიდე აქცია და მოგება მივითვალე. მეორე დილას აქციის ფასი ისევ დაეცა და ზრდის ის სიდიდე აღარ უჩვენებია იმ შემთხვევიდან რამდენიმე თვის მანძილზე. ეს იყო ყველაზე უცნაური ამბავი, რაც აქამდე მინახავს. ვიცი, რომ სწორედ სულიწმიდამ გაანათა ის აქცია ჩემთვის. დრენდას ვუთხარი, რომ ამით ღმერთმა ჩვენი თესლი დაგვიბრუნა. იგი აძლევს თესლს მთესველს და პურს საჭმელად! იცით, არ ვდარდობ იმაზე, როგორ მოახერხებს ამას, მაგრამ ყოველთვის კი ახერხებს!

საინტერესო აი, რა იყო! აქციის გაყიდვის შემდეგ თანხა ჩემს ანგარიშზე დავაბრუნე. ამაზე დავფიქრდი, *ბიჭოს! რომ მცოდნოდა, აქცია ასე სწრაფად აიწევდა, $ 1500-ზე მეტს დავდებდი*. უკან მოხედვა ყოველთვის ნორმალური მხედველობის უნარზე მიანიშნებს. დიახ, შემეძლო $ 10 000-ის ყიდვა ან თქვენი გონება უცებ გაქანდება და ფიქრობს, *რა მოხდებოდა $100 000 რომ ჩამედო? რამხელა თანხას გამოვიმუშავებდი*

ამ დაბანდებიდან! თუმცა მე არც $100 000 და არც $10 000 არ ჩავდე. $5 000-იც კი არ გამიმეტებია, არამედ მხოლოდ $1500. ჩემი მოგება შეზღუდული იყო. $1500 გადავიხადე და მართალია, მეტი სარგებლის მიღებას ვისურვებდი, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, რადგან მხოლოდ $1500 ჩავდე.

ლუკ. 6:38-ში ბიბლია გვეუბნება, რა მოხდა მაშინ, იმ ღამით რატომ ვერ გამოვიმუშავე მეტი ფული.

> *„მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ თქვენსავე კალთაში. რადგან <u>რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ</u>“.*
>
> – ლუკა 6:38

იცით, მე დავადგინე საზომი და ჩემივე საზომით დამიბრუნდა უკან – იმ ღამის შესაძლებლობა ჩემ მიერ გაღებული თანხის პირდაპირპროპორციული იყო. რა საწყაოთიც მივუწყე, იგივე საწყაოთი დამიბრუნდა. იესომ თქვა, რომ გაცემაშიც იგივე პრინციპი მოქმედებს.

მინდა, გაჩვენოთ ერთი ბიბლიური ამბავი, სადაც ეს მოხდა. აქედან გაცილებით მეტს ვისწავლით საწყაოს კანონის შესახებ.

> *„ასე შეღაღადა ერთმა ქალმა, წინასწარმეტყველთა ცოლთაგან, ელისეს: „მოკვდა ჩემი ქმარი, შენი მსახური; შენ იცი, რომ უფლის მოშიში იყო იგი. ახლა კი მევახშე მომადგა, რათა ორივე ჩემი შვილი მონებად წაიყვანოს თავისთვის“. უთხრა ელისემ: „რა გაგიკეთო? მითხარი, რა გაქვს სახლში?“ უპასუხა: „ერთი დოქი ზეთის მეტი არაფერი აქვს სახლში შენს მხევალს“. უთხრა ელისემ: „წადი და მთელი შენი სამეზობლოდან ითხოვე ჭურჭელი; ყველა მეზობლისგან წამოიღე, რაც შეიძლება ბევრი ცარიელი ჭურჭელი ინათხოვრე. მერე შედით და შეიკეტეთ კარი შენ და შენმა ძეებმა; ჩაასხი ზეთი ყოველ ამ ჭურჭელში და სავსეები განზე გადგი“ წავიდა და შეიკეტა კარი თავის ძეებთან ერთად. აწვდიდნენ მას ჭურჭელს, ის კი ზეთს ასხამდა. როცა ყველა ჭურჭელი აივსო, უთხრა თავის ძეს: „კიდევ მომიტანე ჭურჭელი“. უპასუხა: „აღარაა მეტი ჭურჭელი“ და ზეთიც შეწყდა. მივიდა ქალი*

და უამბო ღვთისკაცს. უთხრა მან: „წადი, გაყიდე ზეთი და გადაიხადე შენი ვალი; დანარჩენით კი თავი ირჩინეთ შენ და შენმა ძეებმა“.

– 2 მეფეთა 4:1-7

ეს დიდებული ამბავია და მასში ბევრი რამ არის სამეფოს შესახებ.

ეს ქალი წინასწარმეტყველთან დახმარებისთვის მიდის. ის ვალებშია და მალე შვილებსაც დაკარგავს. საინტერესოა, რომ წინასწარმეტყველს ფული არ გამოუტანია საგანძურიდან. ამის ნაცვლად იგი ვითარებისთვის უცნაურ კითხვას სვამს: „რა გაქვს სახლში?“

ვფიქრობ, ამან ქალი გააკვირვა. ეს გრძნობა თითქოს მის პასუხში ისმის. „არაფერი მაქვს!“, – ეუბნება ის და მეტი ხაზგასმისთვის უმატებს, – „საერთოდ არაფერი“. თუმცა ქალი მაინც ამბობს, რა აქვს სახლში. ეს ბევრი არ არის. მცირე ოდენობის ზეთია. წინასწარმეტყველს მხოლოდ ამის მოსმენა სურდა. ეს იყო პასუხი. ყურადღებით დააკვირდით მის მითითებებს.

„უთხრა ელისემ: „წადი და მთელი შენი სამეზობლოდან ითხოვე ჭურჭელი; ყველა მეზობლისგან წამოიღე, <u>რაც შეიძლება ბევრი</u> ცარიელი ჭურჭელი ინათხოვრე“.

რაც შეიძლება ბევრი ითხოვე. ეს რამდენია? ვფიქრობ, თქვენც ამ აზრის ხართ, რომ მოგროვებული ჭურჭლის რაოდენობა კამათის საგანია. მხოლოდ ქალს შეეძლო განესაზღვრა, რამდენია მისთვის ბევრი. ის მალევე აღმოაჩენს, რომ საკმარისად ბევრი მაინც არ მოუტანია!

„წავიდა და შეიკეტა კარი თავის ძეებთან ერთად. აწვდიდნენ მას ჭურჭელს, ის კი ზეთს ასხამდა. როცა ყველა ჭურჭელი აივსო, უთხრა თავის ძეს: „კიდევ მომიტანე ჭურჭელი“.

უპასუხა: „აღარაა მეტი ჭურჭელი“ და ზეთიც შეწყდა“.

ყურადღება მიაქციეთ, როდის შეწყდა ზეთის დინება – არა კონკრეტული რაოდენობის ჭურჭელზე, არამედ მაშინ, როცა ჭურჭელი გათავდა. როცა ყველა ჭურჭელი გაივსო, ქალმა შვილს კიდევ ერთის მოტანა სთხოვა, მაგრამ მან უპასუხა, რომ მეტი აღარ იყო დარჩენილი. დარწმუნებული ვარ, წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ ზეთის გადმოღვრა გაგრძელებულიყო – მან ხომ ბევრი ჭურჭელი შეაგროვა. ზრდას საზღვარი ჰქონდა, რომელიც ღმერთმა კი არა, ქალის აზროვნებამ დააწესა.

ვიცი, რომ ის აუცილებლად მოისურვებდა მეტი, გაცილებით მეტი ჭურჭელი ჰქონოდა. რეალურად რომ გაეცნობიერებინა, რასთან ჰქონდა საქმე, დარწმუნებული ვარ, ქალაქის ყოველ კარზე დააკაკუნებდა და ჭურჭელს ითხოვდა. შესაძლოა, ქალაქის ფარგლებს გარეთაც კი ეთხოვა მეტი.

და მაინც, ამ ამბავს კარგი დასასრული აქვს: მათ ვალები გადაიხადეს და გაყიდული ზეთის წყალობით ოჯახმა თავის რჩენაც შეძლო.

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო შედეგი? მას შეეძლო *ყველა* ნაცნობის ვალი გადაეხადა, ქალაქის ახალი სკვერი გაეშენებინა და ბევრ ადამიანს დახმარებოდა.

მაშ, რატომ მოაგროვა მხოლოდ განსაზღვრული ოდენობის ჭურჭელი? დარწმუნებული ვარ, პასუხი გახლავთ ამ ქალისთვის დამახასიათებელი თვითგადარჩენის აზროვნება. იგი ფოკუსირებული იყო იმ მომენტისთვის არსებულ მწვავე საჭიროებაზე – ვალის გადახდასა და იმ რესურსის ფლობაზე, რაც შვილების გაზრდას დასჭირდებოდა. ამ ზეწოლის მიღმა ფიქრის ნაცვლად ქალი მის თავიდან მოშორებას ცდილობდა. დარწმუნებული ვარ, რომ ათასი ჭურჭლის მოგროვების შემთხვევაშიც კი ყველა მათგანი გაივსებოდა. მან თავად დაადგინა ზღვარი!

ღმერთი ყველა ჩვენგანს იგივე შესაძლებლობას აძლევს, რაც ქალს ჰქონდა. თავად უნდა ავირჩიოთ, სად გადის ზღვარი.

ნება მომეცით, აგიხსნათ, რადგან ამ თავში წმიდა წერილის გასაღებს განვიხილავთ.

„მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი საწყაო, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე მოგეცემათ

თქვენსავე კალთაში. რადგან რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“.

– ლუკა 6:38

ძალიან გვიყვარს ამ მუხლის პირველი ნაწილის ციტირება – გავცეთ და უხვად მოგვეცემა, მაგრამ ხშირად ყურადღებას არ ვაქცევთ ბოლო ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ მხოლოდ იმ საზომით მოვიმკით, რომელსაც გაცემისას ვიყენებთ.

რატომ არის ეს პრინციპი არსებითი მნიშვნელობის მქონე თქვენთვის და ჩემთვის? კეთილი, ნება მომეცით, ერთი მაგალითი მოვიყვანო.

დავუშვათ, დამწყები ფერმერი ხართ და გითხარით, რომ 5 000 ბუშელი ხორბლის ყიდვა მინდა. მე და თქვენ ფასზე ვთანხმდებით და თქვენ 10 აკრ მიწაზე ხორბალს თესავთ მოსავლის მისაღებად.

ვფიქრობ, უკვე იცით, რაც მოხდება. დიდ შეცდომას დაუშვებთ კონტრაქტით გათვალისწინებული რაოდენობის ხორბლის მიღებაში. რატომ? იმიტომ, რომ წარმოდგენა არ გაქვთ, რამდენი აკრი იქნება საჭირო 5 000 ბუშელი ხორბლის მისაღებად.

რამდენი ქრისტიანი დაამწკრივებს ხოლმე სატვირთო მანქანებს მოსალოდნელი მოსავლის ბაზარში წასაღებად, მაგრამ თავის ნაკვეთზე მხოლოდ ორი პომიდვრის ნერგს ზრდის?

ფერმერის მაგალითში საზომი გახლავთ მიწის ფართობი, რაზეც მოსავალი უნდა მიიღოს. ქალის შემთხვევაში ეს იყო ჭურჭლის რაოდენობა. იესოს მაგალითში ეს არის ჩვენ მიერ დათესილი თესლი.

თუ მოსალოდნელი მოსავლის მიღება შეუძლებელია იმ საზომით, რომელიც თესვისას გამოვიყენეთ, იმედგაცრუება გველის და ნაკლები გაგების ადამიანები ამაში ღმერთსაც კი დაადანაშაულებენ, როგორც მისი სიტყვის შეცდომას.

აი, მილიონი დოლარის ღირებულების კითხვა: თუ ფერმერს 5 000 ბუშელი ხორბალი სჭირდება და წარმოდგენა არ აქვს, რამდენ აკრზე უნდა დათესოს მარცვალი ამ რაოდენობის მოსავლის მისაღებად, რა უნდა ქნას?

უნდა ჰკითხოს ფერმერს, რომელსაც ეს საკითხი ესმის!

ახლა ეს პრინციპი რეალურ ცხოვრებისეულ ვითარებაში გადმოვიტანოთ, რომელსაც მუდამ ვხედავ.

ოჯახს სურს გადაიხადოს $ 300 000-იანი ბინის იპოთეკა და იციან, რომ ამისთვის უნდა დათესონ. ცოლ-ქმარი თანხმდება და რწმენას ათავისუფლებს. საკითხავია, რამდენი უნდა დათესონ? ამ კითხვას ხშირად ვისმენ. რამდენი უნდა დათესონ, რომ $ 300 000-თვის საჭირო საწყაო აივსოს? მათ წარმოდგენა არ აქვთ. ვინმე ისეთს უნდა ჰკითხონ, ვინც იცის. ასეთი პიროვნება სულიწმიდაა.

ყველა ჩვენგანს ბევრჯერ მოგვისმენია მისი ჩურჩულით ნათქვამი პასუხი კითხვაზე. როგორც წესი, კარგი სწავლების გარეშე მარტივად უგულებელვყოფთ იმ ნაზ ხმას, თითქოსდა ამის გაკეთება არ შეგვიძლია. მაგალითად, აპირებთ XYZ-თვის დათესვას და შინაგანად გრძნობთ, რომ $ 1000 უნდა დათესოთ. თქვენი გონება მაშინვე გამოდის ასპარეზზე და ამბობს: „არა, ამის გაკეთება არ შემიძლია“ ან უარესი, „სატანა, გამშორდი“.

ერთ რამეში დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ <u>სატანა არასოდეს გირჩევთ მეტის გაღებას ცათა სამეფოსთვის</u>. მან კარგად იცის სამეფოს კანონები. ასეთ შემთხვევაში, როცა საზომის განსაზღვრის პრინციპში თავდაჯერებულობას არ ავითარებთ, დანებდებით და ისევ ჩვეულ $ 100-ს დათესავთ. და რასაკვირველია, ხორბლის მაგალითისამებრ, ვერ მიიღებთ მოსალოდნელ მოსავალს.

ახლა, სანამ კიდევ გავაგრძელებდე, ერთი საკითხი უნდა განვმარტო:

გაცემული თანხის რაოდენობა მარტივად არ განისაზღვრება დათესილი თანხის ოდენობით!

დააკვირდით ლუკ. 21:1-4-ს:

> *„აიხედა და დაინახა, რომ საგანძურში თავიანთ შესაწირს ყრიდნენ მდიდრები. დაინახა ღარიბი ქვრივიც, რომელმაც ორი ლეპტა ჩააგდო. თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ამ ღარიბმა ქვრივმა ყველაზე მეტი ჩააგდო, ვინაიდან ყველამ მოჭარბებულიდან ჩაყარა, მან კი თავისი სიდუხჭირიდან ჩააგდო მთელი სარჩო, რაც ებადა“.*

იესოს ნათქვამის მიხედვით, ღარიბმა ქვრივმა მდიდრებზე მეტი გაიღო იმ დღეს. მდიდრებმა გაცილებით მეტი ჩადეს საგანძურში, მაგრამ ბიბლია ამბობს, რომ მათ თავიანთი სიმდიდრიდან გაიღეს ანუ ჩვენი ენით, შესწირეს მოჭარბებული. ღარიბმა ქვრივმა თავისი გაჭირვებიდან გაიღო და ამას დიდი რწმენა სჭირდებოდა.

განსაკუთრებული რწმენა არ უნდა იმ თანხის გაღებას, რაც ისედაც ზედმეტია. რა თქმა უნდა, მოჭარბებული ქონებიდან უხვად გაცემა კარგი საქმეა, მაგრამ იმ დღეს ხალხი აკვირდებოდა, რას გაიღებდნენ მდიდრები და ეს უკანასკნელნიც, ხშირად, თავიანთი თანამოძმეების დასანახად სწირავდნენ საკუთარი რელიგიური პოზიციის განმტკიცებისთვის.

ამრიგად, გაცემული თანხის რაოდენობა ყოველთვის არ არის ჩვენი საწყაოს ზუსტი განმსაზღვრელი. ეს მეტწილად ასეა, მაგრამ არა ყოველთვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერთი ადამიანისთვის „დიდი“ მეორესთვის ავტომატურად იმდენს არ ნიშნავს.

ადრე ათასი დოლარის შეწირვა ჩემთვის წარმოუდგენლად დიდი იყო. ფაქტობრივად, როცა დავიწყეთ, ამხელა შესაწირის გაღებას რამდენიმე თვე ვუნდებოდით. შემდეგ ჩვენი შესაძლებლობები თანდათან ისე გაიზარდა, რომ რწმენით და გულდაჯერებით გაცილებით მეტს გავცემდით.

აი, რას ვეუბნები ადამიანებს: როცა უზრუნველყოფისთვის თესავთ, დრო გამოყავით და სულიწმიდას ჰკითხეთ, რამდენი და სად უნდა დათესოთ.

როგორც წესი, ჩვევაში გამჯდარი თესვა იმდენ რწმენას არ მოითხოვს, ვიდრე დიდი გარღვევისთვის დათესვა, როგორიცაა თქვენი სახლის საფასურის გადახდა. როცა მსხვილი საგნებისთვის ვთესავ, ყოველთვის ვცდილობ მის *შეგრძნებას*. რას ვგულისხმობ ამაში? არ მინდა უბრალოდ, მოჭარბებული თანხა გავცე. მინდა იმდენი გავიღო, რომ ჩემი რწმენის ჩართულობა *ცხადი გახდეს*. რაოდენობა საკმარისად დიდი უნდა იყოს საიმისოდ, რომ ჩემს ხორცს რეაქცია ჰქონდეს და გონებაში ასეთი რამ გავიგონო: „*დარწმუნებული ხარ?*“

აღმოვაჩინე, რომ სულიწმიდა გეტყვით, რა რაოდენობის თანხა უნდა გაიღოთ, როცა ამის შესახებ ჰკითხავთ. ოღონდ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მართლა გინდათ მისგან მოსმენა.

აქ ხშირად მჭირდება დახმარება. იმის გამო, რომ გადასახადებს მე ვიხდი, დრენდასთვის გაცილებით ადვილია დასათესი თანხის საჭირო ოდენობის მოსმენა ყოველგვარი ეჭვის გარეშე. გახსოვთ ის ამბავი, როცა Faith Life-ის კამპუსისთვის, თავდაპირველად, $ 200 000 დავთესეთ?

კეთილი! მაშინ ყველა დეტალი არ მომიყოლია. ეს უნდა ყოფილიყო სამწლიანი მიძღვნა, არა ვალი, არამედ მიზანი, რომ ამდენს გავიღებდით ხსენებული პერიოდის განმავლობაში. როცა დადგა ჩვენი განზრახვის გამოცხადებისა და საწყისი თესლის დათესვის დღე, ვიგრძენი, რომ $150 000 დოლარი იყო ის თანხა, რის გაღებაზეც გული მეთანხმებოდა. თუმცა დრენდა შემეკამათა და მითხრა, რომ მან $200 000 მოისმინა. მისი ჩართულობა უარვყავი და მტკიცედ გადავწყვიტე $150 000-ის გაღება. რეალური მსახურების დროს მან ისევ დაიჟინა, რომ $ 200 000 უნდა დაგვეთესა, მაგრამ კვლავ უარვყავი.

ზუსტად იმ მომენტის წინ, როცა თანხა უნდა დაგვესახელებინა, ჩვენი ეკლესიის ერთმა ფერმერმა სიტყვის თქმა ითხოვა. მან ყველას მოუწოდა, რომ ღმერთს მინდობოდნენ თავიანთი მოსავლის მიღებაში. მან აგვიხსნა, რომ ფერმერი თავის გამოკვებისთვის თესვა-მკის პრინციპზეა დამოკიდებული და ეს კანონები სანდოდ მიაჩნია. მან თქვა, რომ ყოველ წელს $200 000-ს ხარჯავს მარტო თესლის დასათესად. შემდეგ აგვიხსნა, რომ ერთი შეხედვით, უგუნურებად მოგეჩვენებათ $ 200 000-ის მიწაში მოსროლა, რადგან დათესილს უკან ვეღარ დაიბრუნებ. ფერმერმა ხაზი გაუსვა, რომ თესვა-მკის კანონი ყოველთვის უპირატესობს გაცილებით დიდი მოსავლის მიღებით, ვიდრე მინდვრების დასათესად გაღებული $200 000-ია.

ამ დროს დრენდამ მსუბუქად გამკრა გვერდში. $200 000 მინიშნებად ჩავთვალე და ეს თანხა დავთესეთ. ალბათ, გახსოვთ, როგორ აღძრა ღმერთმა ვიცე-პრეზიდენტის გული, რომ ჩვენთვის წლიური ბონუსი მოეცა და თანხამ ზუსტად $200 000-ს შეადგინა. ერთი პენიც არ დაგვიჯდა იმ თესლის დათესვა. და როგორც ადრე გითხარით, ბონუსი კიდევ რამდენიმე წელი იყო ძალაში. მისგან მიღებულმა შემოსავალმა 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

იცით, დრენდას გონება არ იყო სავსე გადასახადებთან დაკავშირებული ყოველგვარი წვრილმანით, ამიტომ შიშს იქ უბრალოდ ადგილი არ ჰქონდა. მან ღვთისგან მოისმინა. და

რეალურად, მეც იგივე უნდა გამეკეთებინა. თუმცა ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ამხელა თანხა დავთესეთ და იმ $ 150 000-ის გაღებაც კი მეშინოდა. მადლობას ვუხდი ღმერთს ჩემი მეუღლისთვის, რომელმაც უფლის მიმართ მეტი ნდობისკენ მიბიძგა დიდი რაოდენობის თანხის გაღებით.

თესვას *ყოველთვის* სჭირდება რწმენა, *ყოველთვის*. მოდი, ნუ მივცემთ შიშს ადგილს, რომ შეგვაფერხოს სრული მოსავლის მიღებაში, რაც ღმერთმა ჩვენთვის განიზრახა.

> *„იმასაც გეტყვით, რომ ვინც ძუნწად თესავს, ის ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, ის უხვად მოიმკის“.*
>
> – 2 კორინთელთა 9:6

ამ ტექსტში პავლე შესაწირს აგროვებს სხვა ეკლესიისთვის. ის ხალხს ერთ პრინციპს ახსენებს, რომელიც ადრე ასწავლა, რომ დათესილს აუცილებლად მოიმკიან თესვის საწყაოს შესაბამისად. პავლე საწყაოს პრინციპის განსაზღვრაზე ლაპარაკობს.

როცა პეტრემ იესოს ნავი ათხოვა გამოსაყენებლად, დავინახეთ, რომ იაკობისა და იოანეს ნავიც ზუსტად იმ რაოდენობის მოსავლით აივსო, რაც პეტრეს რწმენამ მოიტანა. ამის მიზეზი მათი მეწილეობა გახლდათ. ნება მომეცით, კითხვა დაგისვათ: პეტრეს თავის ბიზნესში 1000 ნავი რომ ჰყოლოდა, რამდენი ნავი აივსებოდა?

თუ იტყვით ათასივეო, მართალი იქნებით.

ისევ ვხედავთ საწყაოს დადგენას. საწყაო ის ჭურჭელია, რომელიც ღმერთმა უნდა აავსოს. ამიტომ მოგიწოდებთ, რომ საზომი დიდ ხედვაზე გათვალოთ. უკან არ უნდა მოიხედოთ და დანანებით თქვათ: „ვაჰ, იმ აქციის ფასი სამ საათში ათასი პროცენტით გაიზარდა. კარგი იქნებოდა, მეტი თანხა ჩამედო“.

მაშ, რამ მიბიძგა იმ საღამოს, რომ მხოლოდ $1500-ის აქცია შემეძინა, როცა სულიწმიდამ მის ყიდვაზე მიმანიშნა? კეთილი, ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სულიწმიდას არ ვკითხე რაოდენობა. უბრალოდ, ჩემი გონებით ვმოქმედებდი და მის ხმას ყურადღება არ მივაქციე.

ახლა მინდა გაგაფრთხილოთ, რომ არ წახვიდეთ და აქციების შეძენა არ დაიწყოთ. როგორც ადრე გითხარით, აქციებში დიდ თანხას არ ვდებ. იმ საღამოს ღმერთმა მთავარზე მიმანიშნა – ის

იძლევა თესლს დასათესად და პურს საჭმელად; მან შემახსენა, რომ ჩვენ ვადგენთ საწყაოს ოდენობას.

იმედი მაქვს, რომ შემდეგში ამ ამბავს გაიხსენებთ, როცა ღმერთი მხარზე ხელს მოგითათუნებთ მისი დავალების დასაფინანსებლად.

ყველამ უნდა მივცეთ ღმერთს ჩვენი გამოწვრთნის უფლება.

მახსოვს ფლორიდის უძრავი ქონების ფასის ვარდნა 2009 წლის კრახის დროს. იქ მეგობრები გვყავდა, რომლებიც სანაპიროზე ცხოვრობდნენ და მათთან ხშირად დავდიოდით. მაშინ მთელ ფლორიდაში სახლები იყიდებოდა. ერთ დღესაც ჩვენს მეგობართან ერთად სანაპიროზე მივდიოდით, როცა მან გვითხრა: „რაღაც უნდა გაჩვენოთ“.

ერთ სახლთან მიგვიყვანა, რომელზეც გაყიდვის ნიშანი იყო დამაგრებული. იქ ორი სახლი ერთად იყიდებოდა $695 000-ად. (დიახ, სწორად კითხულობთ, ორი სახლი სანაპიროზე $ 695 000-ად. ორივე მათგანი ავეჯით იყო გაწყობილი. ვფიქრობ, შევთანხმდებით, რომ ეს ნაჩუქრად ჩაითვლებოდა და ნამდვილი გარიგება გახლდათ). ერთი გაქირავებული იყო და კარგი შემოსავალი მოჰქონდა, რადგან სახლები სანაპიროზე იდგა. იმ დროისთვის ვერც კი ვიფიქრებდი ამხელა თანხის გაფლანგვას, ამიტომ მათი ყიდვა უგულებელვყავი (ვიცი, ვიცი, რომ არცთუ გონივრულია). ჩემს მეგობარს უკვე ჰქონდა რამდენიმე სახლი და არ სურდა კიდევ ორის განკარგვის საქმის დამატება. ვგულისხმობ, რომ მან ზუსტად იმ სახლებთან მიგვიყვანა. ყოველდღე არ ხდება, როცა მულტიმილიონერი გეთათბირება და ამბობს: „აი, რას გავაკეთებ“. რასაკვირველია, დრენდა მეუბნებოდა, რომ ეს სახლები უნდა გვეყიდა, მაგრამ მე ადგილიდან არ ვიძროდი.

ალბათ, მიხვდებით, რა მოხდა. ის ორი სახლი გაიყიდა და რამდენიმე წელში $3 მილიონი ღირდა.

მაშ, ნუ მისცემთ შიშს ლაპარაკის უფლებას, როცა თესავთ და საწყაოს ადგენთ. იყავით გაბედული!

იცით, რა იყო ყველაზე სამწუხარო და იმედგამაცრუებელი? იმ დღეს ამ საკითხზე არც კი მილოცია. სულიწმიდის სიბრძნე გვერდზე გადავდე. უგულებელვყავი მეგობრისა და ცოლის რჩევა, რომელიც ძალიან გონიერი ქალია. მაინც უარზე ვიყავი, რადგან სახლების ყიდვა მთელ ჩვენს ნაღდ ფულს წაიღებდა და ეკონომიკის ვარდნის პირობებში ამხელა

თანხის გაღების აზრი უსიამოვნო გრძობას მიჩენდა. როგორც გითხარით, ღმერთს არ დავეკითხე და ეს შეცდომა ძვირად დამიჯდა.

სამწუხაროდ, ბევრი მოსავალი გავუშვი ხელიდან (არა ყველა, მაგრამ ბევრი) და ღმერთს ჩემთან ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა.

ერთხელ, წლების წინ ისე მოხდა, რომ დრენდა კურორტზე კენეტ კოუპლენდს შეხვდა. მან ის სასაუზმოდ დაპატიჟა თავის მეუღლესთან, გლორიასთან ერთად.

სუფრასთან კენეტმა თქვა, რომ დრენდასა და ჩემთვის სიტყვა ჰქონდა. ჩემმა ცოლმა მისი ნათქვამი ტელეფონზე ჩაიწერა ჩემთვის, რადგან მაშინ იქ არ ვიყავი. სიტყვა რაღაც ამდაგვარი გახლდათ:

> „ვეცადე შენთვის მომეცა სახლები და მიწები, მაგრამ ამის უფლება არ მომეცი“.

ოჰ, ეს ნამდვილი საყვედური იყო. როცა ჩემს წარსულს გადავხედე, მივხვდი, რამდენ რამეზე ვთქვი უარი და შეცდომა დავინახე. ამრიგად, შევემზადე იმისთვის, რომ ამიერიდან ერთი მოსავალიც კი არ გამეშვა ხელიდან. როგორც კი ეს გადაწყვეტილება მივიღე, საოცარია, რამდენად სწრაფად მოიტანა ღმერთმა ჩემამდე ის, რისთვისაც დავთესე.

მაშ, ნუ მისცემთ შიშს ლაპარაკის უფლებას, როცა თესავთ და საწყაოს ადგენთ. იყავით გაბედული! არ იცით, როგორ განავითარებს ღმერთი მოვლენებს, ისევე როგორც 2 მეფეთა მე-4 თავში აღწერილმა ქვრივმა არ იცოდა, რომ ზეთი დინებას გააგრძელებდა. ეს რომ სცოდნოდა, ამბავს სრულიად სხვა დასასრული ექნებოდა. ალბათ, ახლაც წავიკითხავდით ღარიბი ქვრივის ამბავს, რომელიც მილიარდერი გახდა ზეთის ბიზნესის წყალობით.

და ბოლოს, დაიმახსოვრეთ, რომ თანდათან უფრო მეტი და მეტი მოსავლისთვის უნდა თესოთ. დღეს გუშინდელი მოსავლით ცხოვრობთ, ამიტომ ეს კარგად გაიხსენეთ თესვისას.

ასევე გახსოვდეთ, რომ თესვის შემდეგ მოდის ყველაზე ბნელი პერიოდი. თესლის რეზერვუარი ცარიელია და არც მცენარე ამოწვერილა მიწიდან. ამის მიუხედავად ჩაეჭიდეთ ღვთის სიტყვას, მტკიცედ იდექით და სულით ილოცეთ მოსავლის

მისაღებად საჭირო მიმართულებისა და დეტალებისთვის, რომელთაც ღმერთი მოიტანს.

ეს თავი ერთი ამბით მინდა დავასრულო, რომელიც ბევრჯერ მომიყოლია, მაგრამ გამეორებას მაინც ითხოვს. ის ერთ ჩემს გაყიდვების აგენტს ეხება და წლების წინ მოხდა, როცა პირველად ვისწავლე საწყაოს დადგენის პრინციპი. ის ახალ სახლს აშენებდა და როგორც ამ დროს ხდება ხოლმე, ხარჯებმა ბიუჯეტს გადააჭარბა. რაღაც ყოველთვის იცვლებოდა ან ემატებოდა და ეს სახლის საბოლოო ღირებულებას ზრდიდა.

ერთი სიტყვით, ჩემმა მეგობარმა ამოწურა ბანკის მიერ გამოყოფილი თანხა და ფული აღარ ჰქონდა. თუ კარგად მახსოვს, მას აღარ დარჩა სამზარეულოს კარადებისთვის საჭირო სრული თანხა. მგონი, ლაპარაკი იყო $25 000-ზე.

ერთ საღამოს ჩემი გაყიდვების სხვა აგენტი სახლის მშენებელ აგენტს შეხვდა თაყვანისცემის მსახურებაზე. სიტყვის ბოლოს მქადაგებელმა გარკვეული მიზნისთვის შესაწირის შეგროვების განცხადება გააკეთა. ზუსტად არ მახსოვს დეტალები, მაგრამ გაყიდვების აგენტი, რომელიც სახლის მშენებელ აგენტს ახლდა, ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ მშენებელ აგენტს რაღაც აწუხებდა იმ საღამოს.

მან მიამბო, რომ სახლის მშენებელი აგენტი ეკლესიის წინ გავიდა და შესწირა. შემდეგ თავის ადგილს დაუბრუნდა, თუმცა აღელვებული ჩანდა. შემდეგ მან მითხრა, რომ აგენტი ისევ ადგა, წინ გავიდა და ფული შესწირა. უკან დაბრუნებული ერთ ხანს ისევ იჯდა, მაგრამ მღელვარებამ არ გაუარა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ადგა და ოხვრით გაემართა წინ ფულის შესაწირად. ამჯერად უკან დაბრუნებულს სიმშვიდე მოეფინა და აღგზნებამ გაუარა.

გარკვეული დროის შემდეგ იმ თვეს სახლის მშენებელმა აგენტმა დაამოწმა, რომ იმ საღამოს ეკლესიაში დათესა სამზარეულოს კარადებისთვის დაკლებული თანხის მისაღებად. თუ სწორად მახსოვს, მშენებელმა კომპანიამ კარადების ღირებულებაზე 50 %-იანი ფასდაკლება გაუკეთა, ხოლო თავად იმდენი გამოიმუშავა, რომ საბოლოო თანხის გადახდა შეძლო.

მაშ, რა მოხდა იმ საღამოს? სახლის მშენებელმა აგენტმა მითხრა, რომ გულში მშვიდობა ვერ მოიპოვა, სანამ მესამეჯერ არ გავიდა და არ შესწირა მთელი ფული, რაც გააჩნდა. ხედავთ? ის ლოცულობდა იმ $25 000-ის გადასახდელად და სულიწმიდამ

აჩვენა ამ თანხის მოსავლის მისაღებად საჭირო საწყაო.

ამრიგად, მომდევნო ჟამს თესვისას გაიხსენეთ ცათა სამეფოს ეს ძალზე მნიშვნელოვანი კანონი, საწყაოს კანონი.

თავი 10
გულუხვი მეფე

დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ ყველას გაგვიკეთებია. როცა ადამიანი შეგვაქებს, ჩვენ რაღაც ამდაგვარს ვამბობთ: „ოჰ, ეს გარაჟის მეორეულ ნივთებში $5-ად ვიყიდე“.

რატომ ვამბობთ ასე? რატომ გვრცხვენია იმის, რაც მშვენიერია? საინტერესო და სამწუხაროა, რომ 20 წლის წინ ჩვენი ახალი სახლის მშენებლობისას ვილოცეთ, რომ გარედან უფრო მცირე ზომის გამოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო. ახალდაფუძნებული გვქონდა ეკლესია და ვფიქრობდით, რომ მრევლს არ მოეწონებოდა, დიდ სახლს თუ ავიშენებდით. იმ დროისთვის ეკლესიიდან არანაირ შემოსავალს არ ვიღებდით. სახლს ჩვენი ბიზნესის შემოსავლით ვაშენებდით, მაგრამ ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს ადამიანები ეკლესიის სახსრების გამოყენებაში დაგვადანაშაულებდნენ. ამიტომ შენობის ფართობი 7 700 კვადრატულ ფუტს შეადგენდა, თუმცა გარედან ჩვეულებრივ ორსართულიან სახლს ჰგავდა.

მოგვიანებით მივხვდით, რომ ეს სისულელე იყო. რატომ უნდა შეგვრცხვენოდა უფლის კურთხევის გამო?

ამ შედარებას ჩემს კონფერენციებზე ვიყენებ.

დავუშვათ, სცენაზე ავიპარე დაგლეჯილი და ჭუჭყიანი ტანსაცმლით და ხალხს ზეიმის თაობაზე გამოვუცხადე: დღეს მე და დრენდამ სახლის ღირებულების ბოლო ნაწილი გადავიხადეთ. შემდეგ გავუზიარე, რა მძიმე სამუშაო (ზოგჯერ კვირაში 80 საათი) შესრულდა, მაგრამ ბოლოში მაინც გავედით.

ყველა ტაშს შემოჰრავს და აყიჟინდება. რატომ? იმიტომ, რომ ვიღაცამ სისტემა დაამარცხა. გამოსავალი არსებობს.

თუ სცენაზე ავალ და ვიტყვი: „დღეს უცნობი მოვიდა ჩემთან და $1 მილიონი გადმოგვცა. ამით სახლის ღირებულების გადახდა შევძელით“. ყველა იტყვის, რომ ეს უსამართლობაა.

რატომ? იმიტომ, რომ დედამიწის დაწყევლილი სისტემის ტანჯვასა და ოფლისღვრაში გავიზარდეთ. ასე ვართ მიჩვეული თავის უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა, ეს მონობის სისტემაა, რადგან უმრავლესობა ვერ გრძნობს ნამდვილი ფინანსური თავისუფლების გემოს, ამიტომ ვერასოდეს იპოვის თავის რეალურ დანიშნულებას, სულიერ დნმ-ს. ამჟამინდელ თვითგადარჩენის სისტემაში ფინანსური გადაწყვეტილებების უმეტესობა *ფულს* უკავშირდება და არა *დანიშნულებას*. ადამიანები განთავისუფლებაზე ოცნებობენ, რომ ნანატრი სურვილებისა და მისწრაფებების რეალიზება შეძლონ, მაგრამ უმრავლესობის ცხოვრებაში ასე არასოდეს ხდება.

რამდენიმე წლის წინ ღმერთმა ორმაგი წილის და მისი დაუფლების შესახებ მასწავლა. ორმაგი წილი დედამიწის დაწყევლილი თვითგადარჩენის სისტემისა და არსებობისთვის მტანჯველი და პიროფლიანი შრომისგან გვათავისუფლებს.

ორიოდე სიტყვით, ორმაგი წილი *საკმარისზე მეტს* ნიშნავს. საკმარისზე მეტი ვალებისგან თავისუფალ ცხოვრებას გვთავაზობს და დავალებაზე ორიენტირებულს გვხდის საკუთარი თავის ფულზე გაყიდვის ნაცვლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს კონფერენციებზე წლების მანძილზე ვასწავლიდი ორმაგი წილის შესახებ, ვგრძნობდი, რომ უფალს კიდევ უნდოდა რაღაცის ჩვენება, რაც აქამდე არ გამეგებოდა. ვიცოდი, ჩემ მიერ დანახულზე მეტი რომ არსებობდა და სულიწმიდას ვთხოვე ამის ჩვენება.

დავიწყე წერილიდან ადგილების შესწავლა, რომლებიც ორმაგ წილს ეხებოდა და უფალს ველოდებოდი, როდის მაჩვენებდა იმას, რაც მაკლდა. მან ჩემი ყურადღება ყველაზე შთაბეჭდავი თვალსაჩინოებით მიიპყრო, რომლის გაცხადებაც სურდა და რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

ერთმა ბატონმა დამირეკა, რომელსაც პირადად არასოდეს შევხვედროდი, მაგრამ ჩვენი მსახურების პარტნიორს წარმოადგენდა. ჩემი წიგნების წაკითხვის შემდეგ მიხვდა, რომ ნადირობა მიყვარდა, ამიტომ დამირეკა და მითხრა:

– მინდა საფანტის თოფი გიყიდოთ. რა სახის თოფი არ გაქვთ?

იმ დროისთვის მქონდა ჩვეულებრივი, საბაზისო თოფი, რომელსაც ყველაფრისთვის ვიყენებდი ირემზე, იხვებზე, ხოხბებსა და კურდღლებზე ნადირობისთვის. გარდა ამისა,

მქონდა 20-ყალიბიანი ჰორიზონტალურლულებიანი თოფი, რომელიც მამამ 16 წლის ასაკში მაჩუქა. და მაინც, ყოველთვის მაინტერესებდა მშვენიერი ვერტიკალური საფანტის თოფები, რომლებიც ბევრჯერ მინახავს სანადირო მაღაზიებში. მათ ლამაზი გრავიურები და სრულყოფილი კონდახები ამშვენებდა, რომლებიც ყოველთვის დახვეწილად გამოიყურებოდა. ამრიგად, იმ ბატონს ვუთხარი, რომ ასეთი ვერტიკალური თოფი არ მქონდა და ყოველთვის მინდოდა მისი შეძენა. გაოგნებული დავრჩი, როცა მითხრა, რომ ერთი ცალის გამოგზავნას აპირებდა. ეს ნამდვილად უჩვეულო ამბავი იყო და ძალიან ამაღელვა.

ერთი კვირის შემდეგ ეკლესიის ოფისში ყუთი მოვიდა და როცა გავხსენი, შიგ ერთი კი არა, *ორი* უმშვენიერესი საფანტის თოფი დავინახე, რომლებიც კი ოდესმე მენახა.

სასწრაფოდ დავურეკე ჩემს პარტნიორს და მადლობა გადავუხადე ასეთი საოცარი საჩუქრისთვის.

მომდევნო კვირას მან კიდევ ორი გამომიგზავნა! ახლა ოთხი უმშვენიერესი თოფი მაქვს, რომლებიც კი ოდესმე მქონია. მას კიდევ ერთხელ დავურეკე. იმ ბატონმა მითხრა, რომ ადამიანები ხშირად საჩუქრისთვის მადლობის სათქმელადაც არ რეკავენ. ვინაიდან მე დავრეკე, მან იფიქრა, რომ ურიგო არ იქნებოდა კიდევ ორი თოფის გამოგზავნა. ცხადია, მივხვდი, რომ ღმერთი რაღაცის თქმას აპირებდა. ვგულისხმობ, რომ თოფები ორჯერ და წყვილ-წყვილად მოვიდა. მე კი უფალს ორმაგი წილის შესა-ხებ ვეკითხებოდი.

ერთი სიტყვით, თოფები ყოველთვის ფოსტით და წყვილად მოდიოდა. ძალიან მალე თოთხმეტი ახალი თოფი მომიგროვდა და ყველა უმაღლესი ხარისხის იყო. ისინი იაფიც არ ღირდა, ალბათ, რამდენიმე ათასი დოლარი ეღირებოდა.

შემდეგ ესკალადეს ჯიპის მოდელის ორი მარგალიტისფერი თეთრი კადილაკი მაჩუქეს.

იმ დროისთვის ათი წლის ჰონდა პილოტს ვატარებდით, რომელიც ძალიან გვიყვარდა (ჰონდას ყოველთვის დიდებული მანქანები ჰყავს), მაგრამ ესკალადეს ვერ შეედრებოდა.

დრენდას ლუი ვიტონის ჩანთა უნდოდა რამდენიმე წლის განმავლობაში და ორიოდე წლის წინ განსაკუთრებული საშობაო საჩუქრის სახით ვუყიდე. თუ მიხვდებით, რა მოხდა ამ წელს მის დაბადების დღეზე? მან ლუი ვიტონის ორი ჩანთა მიიღო სხვადასხვა ადამიანებისგან.

ამ სეზონზე ჩვენი მეორე თვითმფრინავი გამოჩნდა, ასევე ორი სახლი სანაპიროზე და ამ ყველაფერთან ერთად, შობას ორი შავი წაულას ქურქი გვაჩუქეს. თითოეული $10 000 დოლარი ღირდა.

მინდა შევჩერდე და ხაზი გავუსვა, რომ სულაც არ ვცდილობ გეტრაბახოთ, რადგან არც ერთ მათგანში წვლილი არ მიმიძღვის!!! თოფები თავისით გამოჩნდა. ორი თეთრი ესკალადეც თავისით გამოჩნდა. ჩანთებიც თავისით გამოჩნდა. წაულას ქურქებიც ასევე თავისით გამოჩნდა.

რა თქმა უნდა, სანაპიროზე ორი სახლის ამბავში რაღაც მოვიმოქმედეთ, მაგრამ სახლისთვის რამდენიმე წლის წინ დავთესეთ. მე ამის შესახებ არ ვიცოდი და იმ დროს არც დრენდამ იცოდა, მაგრამ რამდენიმე წლის წინ მას რომელიღაც სახლი მოეწონა უძრავი ქონების ჟურნალში. ახსოვს, როგორ გაიშვირა ხელი სურათისკენ და თქვა: „უფალო, ეს სახლი მინდა“. იმ დროისთვის ბევრი სხვა ფინანსური დაპირება და პროექტები გვქონდა, რომ ფლორიდის სახლისთვის თანხის გამოყოფა შეგვძლებოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ საჭირო დროს ისიც გამოჩნდებოდა.

ერთ დღესაც სირბილის დროს უფალი დამელაპარაკა და მითხრა:

– *ხვალ დრენდა გაგზავნე ფლორიდაში თავისი სახლის საყიდლად.*

ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით გარკვეული გადაუდებლობა იგრძნობოდა, ამიტომ ასე ვუთხარი:

– ოჰო! კარგი, უფალო.

ამრიგად, დრენდა ფლორიდაში გაემგზავრა და 25 სხვადასხვა სახლი ნახა. მათ შორის ერთმა მიიზიდა იგი, როგორც მისმა სახლმა.

მეც გავფრინდი იქ, მასთან ერთად დავათვალიერე სახლი და შევთანხმდით, რომ ეს ჩვენთვის ზედგამოჭრილი იყო (მთელი ამ დროის მანძილზე დრენდას არ გახსენებია ის დღე, როცა ჟურნალში სახლზე მიუთითა და გამოაცხადა, რომ ასეთივე ექნებოდა. ამ ამბიდან სამი წელი გავიდა და არ გვინახავს სახლი, რომელიც ჟურნალში ნანახს შეესაბამებოდა).

კონტრაქტი გავაფორმეთ სახლის შესყიდვის თაობაზე. ერთ დღეს ოჰაიოს სახლში რომელიღაც ხელშეკრულებაზე ვმუშაობდით და საჭირო იყო საინსპექციო ანგარიშის შედგენა.

ამ დროს დრენდამ მოულოდნელად წამოიყვირა: „ეს ჩემი სახლია!“

ცოტა არ იყოს, დავიბენი, რადგან კონტრაქტი შედგენილი გვქონდა და ყველაფერი სასიკეთო დასასრულისკენ მიდიოდა.

– რასაკვირველია, ეს შენი სახლია, – ვუთხარი მე.

– შენ ვერ მიხვდი, – მიპასუხა მან, – ეს *ზუსტად* ის სახლია, რომელიც უძრავი ქონების ჟურნალში ვნახე წლების წინ!

მაშინ გამახსენდა, რომ იმ ჟურნალში გამოქვეყნებული იყო სახლები იგივე ქალაქიდან. ნუთუ მართლა ის სახლი ვიპოვეთ? დრენდა დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმ სახლს ვყიდულობდით და დაიწყო მახასიათებლების ჩამოთვლა, რომლებმაც წლების წინ მიიპყრო მისი ყურადღება. შესაბამისობა სახეზე იყო. ამიტომ მცირე კვლევა ჩავატარე და ვნახე, რომ ეს სახლი მართლაც ირიცხებოდა გასაყიდი ქონების სიაში იმ წელს და დროს, როცა დრენდამ მასზე მიუთითა და მომავალში მისი დასაკუთრება გამოაცხადა. შემდეგ ვნახე, რომ რაღაც მიზეზით ის სახლი საჯარო გაყიდვიდან მოიხსნა დრენდას განცხადებიდან ძალზე მოკლე დროში.

როცა სახლის ისტორია შევისწავლე, ცხადი გახდა, რომ მთელი ეს პერიოდი ბაზარზე არ გამოჩენილა და სულ რამდენიმე დღის წინ ისევ შეიტანეს გასაყიდი ქონების ჩამონათვალში. გასაკვირი აღარ იყო, რომ სულიწმიდამ დრენდას ფლორიდაში გაგზავნა მეორე დღესვე მომთხოვა!

მაშ ასე, სანაპიროს სახლი შევიძინეთ და დრენდამ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ის, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. ამის შემდეგ, იგივე წელს მეორე სანაპირო სახლი გვერგო მემკვიდრეობით კანადაში. ოჰო!

თუ ვერ შენიშნეთ, ყველაფერი, რაც ღმერთმა გამოგვიგზავნა, საუკეთესო იყო; ვგულისხმობ უმაღლეს ხარისხს. ცოტა არ იყოს, მომხდარით გაოგნებული ვიყავით. თუმცა უფალი დამელაპარაკა და მითხრა:

– *ვიცი, რომ თოთხმეტი თოფი არ გჭირდება. ვიცი, რომ ორი თეთრი ესკალადე არ გჭირდება ...* და ასე ჩამოთვალა მთელი სია.

შემდეგ მან მითხრა:

– *არ მინდა, რომ ჩემს შვილებს ნაკლოვანების განცდა ჰქონდეთ. ისინი მთელ ქონებას ფლობენ და ჩემი კეთილი სურვილია მათთვის კარგი საგნების მიცემა.*

ᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲡ, ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲬᲘᲚᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲐ.

მან გამახსენა, რომ იგი საკმარისზე მეტის, ორმაგი წილის ღმერთია. შემდეგ მითხრა, რომ მისი ხალხი მასშტაბურად არ აზროვნებს, არ ოცნებობს საკმარისად დიდზე და ზღუდავს იმას, რის გაკეთებაც მათთვის შეუძლია.

მე და დრენდა გაოცებული დავრჩით ყველაფრით, რასაც უფალი გვაჩვენებდა. მივხვდით, რომ ადამიანებისთვის ორმაგი წილის შესახებ უნდა გვეთქვა. ორმაგი წილი პირდაპირი მნიშვნელობით ორჯერ მეტს არ ნიშნავს – უფალმა ეს ჩემი ყურადღების მისაპყრობად გამოიყენა. ორმაგი წილი *საკმარისზე მეტს* ნიშნავს.

შემდეგ ღმერთმა მითხრა, რომ ეს ეკლესიაში მესწავლებინა და ყველაფერზე მომეყოლა, რაც ჩვენთვის გამოგზავნა. ასევე უნდა მეთქვა, როგორ მიგვეღო მისგან.

ახლა მე და დრენდა საჯაროდ არ ვყვებით, რა გვაქვს, რადგან საგნები სიცოცხლე როდია და არ გვინდა ყურადღება რაიმეს ფლობაზე ან თქვენთვის სასურველის მოპოვებაზე გადავიტანოთ. ჩვენ არ ვეძებთ ამ საგნებს; ისინი ღმერთმა გამოგვიგზავნა. ამრიგად, ორმაგი წილის შესახებ 11-კვირიანი სწავლება მოვაწყვეთ ეკლესიაში და ვფიქრობ, ამან ადამიანების ფინანსებზე ყველაზე საფუძვლიანი გავლენა მოახდინა, ვიდრე ნებისმიერმა სხვა სასწავლო სერიამ.

იცით რა? მე ისეთი ადამიანებიც მყავდა ეკლესიაში, რომლებიც ამ სწავლებამ გაანაწყენა. ისინი ფიქრობდნენ, რომ არ მჭირდებოდა ეს თოფები, ორი ესკალადე ან ორი სახლი სანაპიროზე, ორი თვითმფრინავი და ორი შესანიშნავი ბეწვის ქურქი. მათ ჩათვალეს, რომ ამ ყველაფრით ვიკვეხნიდი და *ნივთების* გამო ერთ აჟიოტაჟს ვქმნიდი.

მათ მნიშვნელოვანი გამორჩათ – ღმერთი გვაჩვენებდა, რომ ის საკმარისზე მეტია. მისი სამეფო არ არის თვითგადარჩენით დაფარული ქვეყნიერების მსგავსად. მისი სამეფო საკმარისზე მეტის სამეფოა და მას ახარებს თავის შვილებზე ზრუნვა.

მინდა, ადამიანებს შევახსენო, რომ ასე არ ვიქცევი. ღმერთმა ეს გარკვეული მიზნით გააკეთა – არა იმისთვის, რომ ყველამ ატაროს ძვირფასი მანქანა. მორწმუნეებმა უნდა შეწყვიტონ მისი შემოსაზღვრა და შეზღუდვა. მას სურს, რომ არ ვთქვათ „არა“ ჩვეულებისამებრ და ამით ხელი არ შევუშალოთ ჩვენთვის

გასაკეთებელ საქმეში. მას სურს ვიცოდეთ, რომ იგი საკმარისზე მეტის ღმერთია.

ეს გაგება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს მსჯელობაში ხელგაშლილობის შესახებ. უხვად რომ გასცეთ, რაღაც უნდა გქონდეთ ხელთ, განსაკუთრებით, თუ გულუხვობა *ყველაფერშია* გამოსაჩენი. ვიცი, რომ ჩემი ყურადღება უფალს ეკუთვნის. ვისწავლე, რომ არასოდეს ვიქნები შერცხვენილი მისი სიკეთის გამო.

მომდევნო შემოდგომას ადგილობრივმა პასტორმა ჩემს მიწაზე ნადირობის უფლება მთხოვა. ხალხს ყოველთვის ვეუბნები, რომ არავის ვაძლევ ნადირობის უფლებას, სანამ მე და ჩემი შვილები ჩვენს კუთვნილ ირმებს არ მოვინადირებთ. ამის შემდეგ რამდენიმე ადამიანს ნებას ვრთავ სეზონის დახურვამდე ინადიროს. მაშ ასე, იმ შემოდგომით ჩვენი ირმები უკვე საყინულეში ელაგა, ამიტომ პასტორი დავპატიჟე.

მოსვლისას გარეთ დავხვდი, რომ სანადირო ადგილის შესახებ რამდენიმე მითითება მიმეცა. დავინახე, რომ ძველი, ფრინველების დასახოცი თოფი ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ მას მხოლოდ სპილენძის სამიზნე ამშვენებდა და ირმის მოსაკლავად არ იყო განკუთვნილი. ასეთ შემთხვევაში ირემთან ძალზე ახლოს უნდა ყოფილიყავით, რადგან ეს იარაღი არ იყო მორგებული ირმის ნაბიჯებზე. რა თქმა უნდა, მისი გამოყენება მაინც შეიძლებოდა, როგორც რამდენიმეჯერ მიცდია ჩემს სანადირო კარიერაში.

მასთან სასაუბროდ ჩამოვჯექი და გამახსენდა, რომ ჩემს არსენალში ერთი კარგი ირმებზე სანადირო საფანტის თოფი იყო, რომელიც ღმერთმა გამომიგზავნა. რეალურად, საუკეთესო თოფი გახლდათ. ვიგრძენი, როგორ მითხრა სულიწმიდამ:

– *რატომ არ აჩუქებ ამ პასტორს ირმებზე სანადირო თოფს, რომელიც შენ მოგცეს? შენ რამდენიმე ირმებზე სანადირო თოფი გაქვს, მას კი არცერთი.*

ამრიგად, პასტორს თოფი ვაჩუქე და მანაც ძალიან გაიხარა. ეს საჩუქარი მას ღვთის სიკეთეზე დაელაპარაკებოდა და მეტად აღძრავდა მასთან დასაახლოებლად.

გახსოვთ, რამდენიმე თავის წინ გითხარით, რომ ფულის გარკვეული ოდენობა და საგნები, რომლებიც თქვენს ხელშია, თქვენ არ გეკუთვნით? ღმერთმა იმიტომ გამოგიგზავნათ, რომ სხვისი საჭიროება დააკმაყოფილოთ.

რისთვის გიამბეთ ეს ყველაფერი? თქვენ გულუხვ სამეფოში ცხოვრობთ ხელგაშლილი მეფის მმართველობის ქვეშ, მაგრამ ვერასოდეს ისიამოვნებთ სამეფოს ყოველგვარი სიკეთით, თუ სიღარიბის სულის ბორკილებს არ დაამსხვრევთ, რომელიც ყველაფრის მოგროვებას გაიძულებთ, რაც კი ოდესმე მიგიღიათ.

ვიცი, რომ სატელევიზიო შოუებში ძუნწებისთვის გიყურებიათ, სადაც ისინი რეალურად დამოკიდებულებისგან განკურნებას ცდილობენ. სახლი სავსეა ყოველგვარი ნაგავით, ისე რომ გავლაც ჭირს. უმრავლეს შემთხვევაში მათი საცხოვრებელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ უნდა დაინგრეს ან ხელახლა აშენდეს. აი, ასე გამოიყურება ჩვენი გული, როცა სიხარბით სავსე ვართ და ყველაფერს ვიმარაგებთ შავი დღისთვის. ფულსა და ქონებას ზედაპირულად უნდა მოეპყრო.

ნამდვილად რთულია ხელგაშლილობის გამოჩენა, როცა თვითგადარჩენა გამოძრავებს. ღმერთი გეუბნებათ, რომ მის სახლში ყველაფერი უხვადაა, ამიტომ თავისუფლად შეგიძლიათ გულუხვი იყოთ. თქვენი გამღები ბუნება ადამიანებს ღვთის სამეფოსკენ მოიზიდავს და მათ გულებს გახსნის უფლის სიკეთისა და სულგრძელობის მისაღებად. გახსოვდეთ, რომ ღვთის სიკეთეს ადამიანები მონანიებამდე მიყავს.

> *„რადგან ცათა სამეფო წააგავს ადამიანს, სახლის პატრონს, დილაადრიანად რომ გავიდა თავისი ვენახისთვის მუშაკთა დასაქირავებლად. მუშებს დღეში თითო დინარად მოურიგდა და გაისტუმრა თავის ვენახში.*
>
> *მესამე საათი იქნებოდა, რომ კვლავ გავიდა და დაინახა სხვები, ბაზარში რომ იდგნენ უქმად. უთხრა მათ: თქვენც წადით ჩემს ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო; და ისინიც წავიდნენ. კიდევ გავიდა მეექვსე და მეცხრე საათზე, და ასევე მოიქცა.*
>
> *გავიდა თერთმეტ საათზეც, კიდევ ნახა უქმად მდგარნი და უთხრა მათ: რატომ დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?*
>
> *უპასუხეს: იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა.*
>
> *უთხრა მათ: წადით ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო.*
>
> *რომ მოსაღამოვდა, ვენახის პატრონმა უთხრა თავის მნეს: დაუძახე მუშაკებს და გადაუხადე ქირა, უკანასკნელიდან პირველამდე.*

მივიდნენ თერთმეტ საათზე დაქირავებულნი და მიიღეს თითო დინარი. პირველად მისულებმა იფიქრეს, მეტს მოგვცემენო, მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს. როცა მიიღეს, ბუზღუნი დაუწყეს სახლის პატრონს. ამბობდნენ: ამ უკანასკნელებმა, მხოლოდ ერთი საათი წაიმუშავეს და ისინი ჩვენ გაგვიტოლე, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე ავიტანეთო.

მან კი მიუგო ერთ მათგანს და უთხრა: მეგობარო, უსამართლოდ არ მოგქცევივარ, განა დინარად არ მოგირიგდი? აიღე შენი გასამრჯელო და წადი; მე კი მინდა, ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. ნუთუ არა მაქვს უფლება, რაც მე მეკუთვნის ჩემი ნებისამებრ მოვიხმარო? იქნებ შენს თვალს შურს, რომ კეთილი ვარ?

ასე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი - უკანასკნელნი, რადგან მოწოდებული ბევრია, რჩეული კი ცოტა".

– მათე 20:1-16

მაშ, რას ამბობს იესო ამ იგავში? პირველი, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მიწის მესაკუთრე ზეციერი მამაა, ხოლო მოსავალი, რომელსაც აგროვებს, არც სოიოს მარცვლებია და არც სიმინდისა. ეს ადამიანთა სულები გახლავთ. მუშაკები ჩვენ ვართ, რომელთაც მამა მინდვრად გზავნის. აქ ორი რამ არის, რის დანახვებაც, ჩემი აზრით, იესოს უნდა. პირველი, დააკვირდით, რა მონდომებით ეძებს დახმარებას მიწის მფლობელი.

„რადგან ცათა სამეფო წააგავს ადამიანს, სახლის პატრონს, დილაადრიანად რომ გავიდა თავისი ვენახისთვის მუშაკთა დასაქირავებლად".

იგი დილით ადრე დგება და იქამდე დადის, სანამ ვინმეს არ იპოვის მინდვრებში გასაგზავნად. მის მოქმედებაში გადაუდებლობა იგრძნობა. მოსავალი მოწეულია და უნდა მოიმკას, თუ არა და, დაიკარგება. ყურადღება მიაქციეთ, რომ იგი სამუშაოს დასრულებამდე ერთი საათით ადრეც კი ქირაობს მუშაკებს.

„კიდევ გავიდა მეექვსე და მეცხრე საათზე, და ასევე მოიქცა.

გავიდა თერთმეტ საათზეც, კიდევ ნახა უქმად მდგარნი და უთხრა მათ: რატომ დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?

უპასუხეს: იმიტომ, რომ არავინ დაგვიქირავა.

უთხრა მათ: წადით ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო“.

აი, აქ ჩანს იგავის საიდუმლო. რატომ დაიწყო საზღაურის გაცემა ბოლოს დაქირავებულთაგან? ამის პასუხი მე-15 მუხლში ჩანს.

„მივიდნენ თერთმეტ საათზე დაქირავებულნი და მიიღეს თითო დინარი. პირველად მისულებმა იფიქრეს, მეტს მოგვცემენო, მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს. როცა მიიღეს, ბუზღუნი დაუწყეს სახლის პატრონს. ამბობდნენ: ამ უკანასკნელებმა, მხოლოდ ერთი საათი წაიმუშავეს და ისინი ჩვენ გაგვიტოლე, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე ავიტანეთო.

მან კი მიუგო ერთ მათგანს და უთხრა: მეგობარო, უსამართლოდ არ მოგქცევივარ, განა დინარად არ მოგირიგდი? აიღე შენი გასამრჯელო და წადი; მე კი მინდა, ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ. <u>ნუთუ არა მაქვს უფლება, რაც მე მეკუთვნის ჩემი ნებისამებრ მოვიხმარო? იქნებ შენს თვალს შურს, რომ კეთილი ვარ?“</u>

<u>გშურს, რომ კეთილი ვარ?</u>

ღმერთი ადამიანთა ბიზნესშია ჩართული და თუ თქვენც მიიღებთ მასში მონაწილეობას, გულუხვად დაჯილდოვდებით და დიდი საზღაური გექნებათ.

იგავის კითხვისას ჩვენც ასე ვფიქრობთ, *ეს უსამართლობაა!* და მართალიც იქნებით, როცა საათში გამომუშავებული თანხის აზროვნებით იყურებით ამქვეყნიური წყევლის სისტემის გადმოსახედიდან. როგორც ადრე გითხარით, ეს არ არის ღვთიური აზროვნება. ვენახის პატრონს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მოგვიანებით დაქირავებული მისი გულუხვობას

დააფასებდა, როცა კუთვნილზე მეტს გადაუხდიდნენ და ისევ გააგრძელებდა მასთან შრომას. უკეთესი იქნებოდა, თუ ისინი მეგობრებსაც გააგებინებდნენ მიღებული საზღაურისა და მეპატრონის მიერ მათ მიმართ გამოჩენილი გულმოწყალების ამბავს. მაშ, რაში მდგომარეობს ამ იგავის დასკვნა? **ღმერთი ადამიანთა ბიზნესშია ჩართული და თუ თქვენც მიიღებთ მასში მონაწილეობას, გულუხვად დაჯილდოვდებით და დიდი საზღაური გექნებათ**.

შეგიძლიათ უსასყიდლოდ მიღება ღვთისგან?

იესო ბიბლიაში ერთ-ერთ ყველაზე გასაოცარ იგავს ყვება მიღების შესახებ. ვიცი, რომ მოგისმენიათ უძღები ძის ამბავი. მინდა, რომ წაიკითხოთ და შემდეგ ამაზე ვისაუბრებთ. ახლა მომყევით. უკვე წიგნის დასასრულს მივაღწიეთ და არ მინდა, მანამ შეჩერდეთ, სანამ ყველაფერს არ მოისმენთ. ამ იგავს ლუკას სახარების მე-15 თავში ვხვდებით. ტექსტი საკმაოდ დიდია, მაგრამ ნება მომეცით, გადავხედოთ მას.

> *„ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა უმცროსმა ვაჟმა უთხრა მამას: მომეცი ჩემი წილი ქონება. და გაუყო შვილებს მამამ ქონება. რამდენიმე დღის შემდეგ უმცროსმა ვაჟმა აიღო თავისი წილი, წავიდა შორეულ ქვეყანაში და თავაშვებული ცხოვრებით მთელი თავისი ქონება გაანიავა. ყველაფერი რომ შემოეხარჯა, იმ ქვეყანაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა და გაჭირვებაში ჩავარდა. ადგა და იმ ქვეყნის ერთ მცხოვრებს მიეკედლა, რომელმაც თავის მინდვრებში გაგზავნა ღორების საძოვებლად. და ნატრობდა, მუცელი იმ რკოთი მაინც ამოეყორა, ღორები რომ ჭამდნენ, მაგრამ იმასაც არავინ აძლევდა. როცა გონს მოეგო, თქვა: მამაჩემის რამდენ მოჯამაგირეს აქვს საკმარისზე მეტი პური, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამასთან და ვეტყვი: შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენ წინაშე, ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი! ადგა და წავიდა თავის მამასთან. ჯერ კიდევ შორს იყო, მამამ რომ დაინახა, შეებრალა, გაიქცა, კისერზე მოეხვია და დაკოცნა. უთხრა ვაჟმა:*

მამა! შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენ წინაშე. ღირსი აღარ ვარ, შენს ძედ ვიწოდებოდე. მამამ კი უთხრა თავის მონებს: სასწრაფოდ მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით, ხელზე ბეჭედი გაუკეთეთ და ფეხზე სანდლები ჩააცვით! მოიყვანეთ ნასუქი ხბო და დაკალით. ვჭამოთ და ვიმხიარულოთ! ვინაიდან ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. და იწყეს მოლხენა. უფროსი ვაჟი კი მინდროში იმყოფებოდა. უკან რომ ბრუნდებოდა და სახლს მიუახლოვდა, სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა. დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია? მან უთხრა: შენი ძმა დაბრუნდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, რაკი ჯანსაღი დაუბრუნდა. ის გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. გამოვიდა მამამისი და ეხვეწებოდა. მაგრამ მან უთხრა: რამდენი წელია გემსახურები, არასდროს გადავსულვარ შენს ბრძანებას და ციკანიც კი არასოდეს მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებში მემხიარულა. ხოლო, ეს შენი ვაჟი რომ მოვიდა, რომელმაც თავისი ქონება მეძავებთან გაანიავა, ნასუქი ხბო დაუკალი. მან კი მიუგო: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და, რაც კი რამ გამაჩნია, შენია. მაგრამ ახლა უნდა ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ნაპოვნ იქნა“.

– ლუკა 15:11-32

თავდაპირველად უნდა გავიაზროთ, რატომ დატოვა ახალგაზრდა კაცმა მამის სახლი. იმიტომ, რომ მასაც არასწორი წარმოდგენა ჰქონდა მამაზე უფროსი ძის მსგავსად. გაიხსენეთ ძმის საყვედური, რომ მთელი ცხოვრება მამის სამსახურში გაატარა და ერთხელაც არ მიუღია ციკანი მეგობრებთან სამხიარულოდ. მისთვის მამა მკაცრი უფროსი იყო. შესაძლოა იკითხოთ, რატომ არ წავიდა სახლიდან უმცროსი ძმის მსგავსად. ჩემი მოსაზრება ასეთია. ებრაული ტრადიციით უფროს ძმას მამის ქონების ორმაგი წილი ეკუთვნოდა მისი გარდაცვალების შემდეგ. უმცროსს ასეთი სარგებელი არ ხვდებოდა. ამრიგად, ჩემი აზრით, უფროსს ჰქონდა რაღაც დასაკარგი, ამიტომ მამის სახლში დარჩენა ამჯობინა.

უმცროსს ძმას სადმე სხვაგან „უფრო მწვანე ბალახის“ პოვნა და მამის მმართველობიდან განთავისუფლება მოუნდა, ამიტომ თავისი წილი მოითხოვა და წავიდა. ის ისეთ სამყაროში აღმოჩნდა, რომელსაც არ ელოდა. როცა ფული გაუთავდა, მიხვდა, რომ ეს ახალი ქვეყანა, სადაც მამას გაექცა, სრულიად გაკოტრებული იყო. მთელი მიწა შიმშილობამ მოიცვა. საკვების ძიებაში ისეთი რამ გააკეთა, რაც მისთვის სრულიად უცხო გახლდათ. სხვას მიექირავა პურის ფასად. სწორედ მაშინ იშვა პირველად მის გონებაში დაქირავებულის აზროვნება. ადრე იმისთვის შრომობდა, რასაც თავად წარმოადგენდა და არა გაკეთებული საქმეების გამო. ახლა იძულებული გახდა, ეშრომა, მაგრამ მხოლოდ ღორების გამოკვება ხვდა წილად. ეს ებრაელისთვის ყოვლად უწმიდური და საზიზღარი საქმე იყო. ბიბლია ამბობს, რომ ღორების ნარჩენი რკოს ჭამაზეც არ იტყოდა უარს დამშეული, მაგრამ არავინ აძლევდა. მიზეზი? ყველა სხვა ადამიანიც იმავე ნავში იჯდა, გაკოტრებული იყო და თვითგადარჩენის რეჟიმში ცხოვრობდა. ხომ არ გეცნობათ ეს ვითარება? მიუხედავად ამისა, დადგა მისი გონზე მოსვლის დღე და გაიხსენა, რომ მამამისის სახლში მსახურებსაც კი სამყოფზე მეტი საზრდო ჰქონდათ.

> *„როცა გონს მოეგო, თქვა: მამაჩემის რამდენ მოჯამაგირეს აქვს საკმარის ზე მეტი პური, მე კი შიმშილით ვკვდები. ავდგები, წავალ მამასთან და ვეტყვი: შევცოდე ზეცის წინააღმდეგ და შენ წინაშე, ღირსი აღარ ვარ, რომ შენს ძედ ვიწოდებოდე. მიმიღე როგორც ერთი შენი მოჯამაგირეთაგანი! ადგა და წავიდა თავის მამასთან“.*

როცა მიხვდა, რომ მშობლიურ სახლში საკმარისი საკვები იყო, უკან დაბრუნდა არა როგორც ძე, არამედ როგორც მონა, როგორც დაქირავებული. მან გადაწყვიტა, რომ მამის წინაშე აღიარებდა შეცდომას და ცოდვებს და ერთ-ერთ მსახურად მიღებას შეევედრებოდა. სახლს რომ მიუახლოვდა, მამა გარეთ დახვდა, მისკენ გაიქცა, მოეხვია და გადაკოცნა.

> *„ჯერ კიდევ შორს იყო, მამამ რომ დაინახა, შეებრალა, გაიქცა, კისერზე მოეხვია და დაკოცნა“.*

მოდი, ნათლად წარმოვიდგინოთ ეს სურათი, რადგან ეს ამბავი ჩვენი ზეციერი მამა ღმერთისა და ჩვენი ურთიერთობის რეალური ანალოგია გახლავთ. ძე პირდაპირ ღორების სადგომიდან მოვიდა. ებრაული კანონით ის უწმიდური იყო. როცა მამა მას გადაეხვია, თვითონაც გაუწმიდურდა, მაგრამ ასე ძის სიყვარულით მოიქცა. გაკიცხვისა და უგუნური საქციელისთვის დასჯის ნაცვლად მამამ ახალგაზრდას საუკეთესო სამოსელი ჩააცვა. შემდეგ ხელზე დამღიანი ბეჭედი გაუკეთა, რაც ძის ძალაუფლების აღდგენას ნიშნავდა. შემდეგ ფეხზე სანდლები ჩააცვა და ამით მთელ ქონებასთან ხელმისაწვდომობა მისცა. ამ ტრადიციაზე რუთ. 4:7-ში წაიკითხავთ.

> *(იმ დღეებში ასეთი წესი იყო ისრაელში: ყიდვის, გაცვლის ან რაიმე საქმის დადასტურების დროს, ერთი მათგანი გაიძრობდა ფეხსამოსს და მეორეს მისცემდა. ეს იყო მოწმობის ნიშანი ისრაელში.)*

და ბოლოს, მის საპატივცემულოდ წვეულება გაიმართა და ნასუქალი ხბო დაიკლა.

ეს ახალგაზრდა საუკეთესო შემთხვევაში დაქირავებულ მსახურად დადგომას იმედოვნებდა, მაგრამ მამამ ის ძის რანგში აღადგინა.

> *„მოუტანეთ საუკეთესო სამოსელი და ჩააცვით, ხელზე ბეჭედი გაუკეთეთ და ფეხზე სანდლები ჩააცვით! მოიყვანეთ ნასუქი ხბო და დაკალით. ვჭამოთ და ვიმხიარულოთ! ვინაიდან ეს ჩემი ვაჟი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. და იწყეს მოლხენა“.*

ამ ამბის მომდევნო ნაწილია ის, რასაც მინდა გულისყურით მოეკიდოთ.

> *„უფროსი ვაჟი კი მინდროში იმყოფებოდა. უკან რომ ბრუნდებოდა და სახლს მიუახლოვდა, სიმღერისა და ცეკვა-თამაშის ხმა შემოესმა. დაუძახა ერთ მსახურთაგანს და ჰკითხა: ეს რა ამბავია? მან უთხრა: შენი ძმა დაბრუნდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, რაკი ჯანსაღი დაუბრუნდა. ის გაბრაზდა და შესვლა აღარ უნდოდა. გამოვიდა მამამისი და ეხვეწებოდა. მაგრამ მან უთხრა: რამდენი წელია გემსახურები, არასდროს გადავსულვარ შენს ბრძანებას*

და ციკანიც კი არასოდეს მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებში მემხიარულა. ხოლო, ეს შენი ვაჟი რომ მოვიდა, რომელმაც თავისი ქონება მეძავებთან გაანიავა, ნასუქი ხბო დაუკალი. მან კი მიუგო: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და, რაც კი რამ გამაჩნია, შენია. მაგრამ ახლა უნდა ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, რადგან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და ნაპოვნ იქნა".

როცა უფროსი ვაჟი სახლში მოვიდა და გაიგო, რა მოხდა, შესვლა აღარ უნდოდა. ყურადღება მიაქციეთ, რა თქვა მან: *რამდენი წელია **გემსახურები**, არასდროს გადავსულვარ შენს ბრძანებას და ციკანიც კი არასოდეს მოგიცია, რომ ჩემს მეგობრებში მემხიარულა".* მან განაცხადა, რომ მამამისი მკაცრი ზედამხედველი იყო და საკუთარი თავი მონას გაუთანაბრა. ამის ნაცვლად, რას უწოდებს მას მამა 31-ე მუხლში? ძეს! აი, ეს არის მნიშვნელოვანი.

თქვენც ღმერთზე იგივე შეხედულებით იზრდებოდით, როგორიც ამ ორ ძეს ჰქონდა მამის მიმართ, რომ ის მკაცრი ზედამხედველი იყო და მის მსახურებას საზღაური არ ჰქონდა. მშრალი რელიგიის სწავლებით, ღვთისთვის უნდა იშრომოთ, რომ მიღებული იყოთ. უმცროსი ძის შეხედულება მას შემდეგ შეიცვალა, რაც მამამ უკან მიიღო როგორც ძე და არა როგორც მონა, ყოველგვარი სასჯელის გარეშე. უფროსი ძმის ურთიერთობა მამასთან მის მიერ გაკეთებულ საქმეებს ეფუძნებოდა, ამიტომ დაემონა მას და ცდილობდა, ყოველთვის ყველაფერი სწორად ეკეთებინა. როცა საკუთარ პიროვნებას თქვენი საქმეების პრიზმაში უყურებთ, მიზანს ყოველთვის აცდებით, არასწორად შეაფასებთ ირგვლივ მყოფ ადამიანებს, თითქოსდა ისინი არასოდეს არიან ბედნიერები თქვენს გვერდით. მართალი გითხრათ, უფროსი ძმა თავად იყო საკუთარი თავის მკაცრი ზედამხედველი იმ დონეზე, რომ მამის სიკეთით გახარებაც არ შეეძლო. როცა მამას უსამართლობაში ადანაშაულებდა და ამბობდა, რომ მისთვის ციკანიც არ მიუცია, რომ მეგობრებთან ემხიარულა, მამამ ასე უპასუხა:

„მან კი მიუგო: შვილო, შენ მუდამ ჩემთან ხარ და, რაც კი რამ გამაჩნია, შენია".

მას არ უთქვამს: „ჩემო მონავ!" მან შვილს ძე უწოდა! ძე ქონების თანამფლობელია; მისი ოჯახის წევრია. მონას მემკვიდრეობა არ აქვს. დაუკვირდით, რომ უფროს ძმას უკვე ჰქონდა მისადგომელი ყველაფერთან, რაც მამის ქონებას შეადგენდა. თუმცა მამის შესახებ დამახინჯებული წარმოდგენა და საკუთარ თავზე არასწორი

შეხედულება მოდუნებისა და მის ხელთ არსებულით გახარების საშუალებას არ აძლევდა, რადგან დაქირავებულის აზროვნება ჰქონდა.

რატომ დავუთმე ამდენი დრო ამ საკითხის განხილვას? იმიტომ, რომ დაქირავებულებს ძალიან უჭირთ ღვთისგან რამის მიღება! ისინი ყოველთვის ფიქრობენ, რომ ღვთის კეთილგანწყობა უნდა დაიმსახურონ და რახან შეცდომებს უშვებენ, შერცხვენის, შიშისა და უღირსობის განცდა ეუფლებათ და ამით ზეციერი მამისგან მიღება უჭირთ. სანამ საკუთარ თავზე ამ შეხედულებას არ გამოისწორებთ, ვერასოდეს მიიღებთ მამისგან უსასყიდლოდ. და დაიმახსოვრეთ, აუცილებლად გვჭირდება მისგან უსასყიდლოდ მიღება, რომ ზეციერი მამის მსგავსი გულუხვობა გამოვიჩინოთ.

ღვთის წინაშე სწორად დგომას ვერასდროს დაიმსახურებთ. ეს მისი საჩუქარია თქვენი სიყვარულის გამო. მომწონს მათ.3:16-17-ის ნათქვამი:

> *„მოინათლა რა იესო, მაშინვე ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და იხილა მან სული ღმერთისა, მტრედივით ჩამომავალი, მასზე რომ ეშვებოდა. და აჰა, ხმა ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“.*

ეს იმ დროს იყო, როცა იესო მსახურებას იწყებდა. მას ჯერ არაფერი გაეკეთებინა, რითაც ღვთის ქებას დაიმსახურებდა, მაგრამ დააკვირდით, რა თქვა ღმერთმა. მას უყვარს ძე და მისით ნასიამოვნებია.

გახსოვთ ორი ავაზაკი ჯვარზე იესოსთან ერთად? ერთმა თქვა, „გამიხსენე, როცა შენს სამეფოში მიხვალ“. იესომ უპასუხა: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“. რა გააკეთა მან ამის დასამსახურებლად? არაფერი!

როცა იესოს სახელს მოვუხმობთ, ბიბლია გვეუბნება, რომ ხელახლა ვიშვებით და სიბნელის სამეფოდან ღვთის სამეფოში გადავდივართ. რა გავაკეთეთ ამისთვის? არაფერი!

მაშ ასე, თავის დასასრულს დაიხსომეთ, რომ არაფრით დამიმსახურებია ის ყველაფერი, რაც ღმერთმა იმ წელს გამომიგზავნა. იგი მეხმარებოდა საკითხის გაცნობიერებაში, რომ იესოს სახელის მოხმობისას მთელს სამეფოს ვღებულობ. არ მჭირდება მისი დამსახურება. მხოლოდ ღვთის სიკეთე და გულუხვობა უნდა მივიღო. როცა მის სიუხვესა და გულმოწყალებას მიიღებთ, გულუხვობასაც გამოიჩენთ მისი სიკეთის მეშვეობით.

თავი 11
აღთქმა ხელგაშლილებისათვის

ბილი და მისი მეუღლე ეიპრილი სანტექნიკის პატარა ოჯახურ ფირმას ფლობდნენ 14 წლის განმავლობაში. ისინი Faith Life Church-ის წევრები იყვნენ და თავად ხედავდნენ ყოველწლიურ ზრდასა და გამარჯვების ისტორიებს. ამრიგად, როცა გაიგეს, რომ ეკლესიის გაფართოებას ვგეგმავდით საზოგადოების უფრო მეტი ნაწილის მოსაზიდად, მხარში ამოგვიდგნენ.

ეიპრილმა გვითხრა, რომ ამ პროექტის მხარდასაჭერად სრულად ჰქონდა მომზადებული $10 000, მაგრამ გაოცებული დარჩა, როცა სასურსათო მაღაზიიდან დაბრუნებულმა ბილმა უთხრა, რომ უფლის მითითებით $10 000 კი არა $75 000 უნდა გაეღოთ.

მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ, ეს როგორ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეიპრილი დათანხმდა შესაწირის $75 000-მდე გაზრდაზე. ისევ ვიმეორებ, რომ მათ არც ფული ჰქონდათ და არც იდეა, სად უნდა ეშოვათ დარჩენილი თანხა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ქალაქის წყალმომარაგებიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ დიდ სარემონტო პროექტს იწყებდნენ და აინტერესებდათ, ტენდერში მონაწილეობას ხომ არ ისურვებდნენ. ისინი დათანხმდნენ და იურიდიული საკითხებისა და დოკუმენტების მზადებას შეუდგნენ ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოსთვის. ეიპრილმა თქვა, რომ კონტრაქტი 100 ფურცელს აღემატებოდა და ასევე იმ ადგილზე ფინანსური ვალდებულება უნდა აეღოთ. ამ ყველაფრის თავმოყრა არცთუ ადვილი გამოდგა, მაგრამ მათ ეს შეძლეს. შემდეგში აღმოაჩინეს, რომ მათი კომპანია ერთადერთი იყო, ვინც ტენდერში მონაწილეობდა და ძალიან გაუკვირდათ, რატომ დაურეკეს მაინცდამაინც მათ.

კონტრაქტის ჩაბარების შემდეგ ქალაქის მმართველობიდან შეატყობინეს, რომ მათი კომპანია მეტისმეტად პატარა იყო ასეთი მასშტაბის სამუშაოსთვის, რადგან 75 დღეში 200 სახლი უნდა გაერემონტებინათ. გარკვეული მოლაპარაკებების შემდეგ ქალაქის მმართველობა დაარწმუნეს, რომ ამის გაკეთებას შეძლებდნენ.

ბილმა თქვა, რომ ეს იყო „სრული მობილიზების“ პროექტი, როცა თანამშრომლები გვიანობამდე მუშაობდნენ შაბათის ჩათვლით. იცით, რა? მათ პროექტი დროულად დაასრულეს და არა მარტო $ 75 000 დოლარის შეწირვა შეძლეს ეკლესიისთვის, არამედ მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სამომხმარებლო დავალიანებაც დაფარეს. ეს ამაღელვებელია!

ხედავთ, ღმერთს ბილისა და ეიპრილისთვის უფრო დიდი გეგმა ჰქონდა, ვიდრე თავად მათ. მან იცოდა ცოლ-ქმრის გულის მდგომარეობა მის მიმართ, მაგრამ მათი გაფართოება, მეტი უნარიანობის მიცემა სურდა.

ახლა, როცა მთავრობამ დაამტკიცა მათი საქმიანობა და ანგარიშზე უკვე აქვთ ქალაქის საკეთილდღეოდ წარმატებით დასრულებული პროექტი, კარი ღიაა მომავალი, უფრო დიდი კონტრაქტებისთვის.

ღმერთს უყვარს ადამიანების გამოწვევა. მან იცის ჩვენი პოტენციალი, მაგრამ ჩვენ თავად არ ვიცით, რა შეგვიძლია და როგორც წესი, ხელის წაკვრა გვჭირდება. ეს არის ნიმუში, რომელსაც უნდა მიეჩვიოთ.

> *„ვინაიდან ეს ისე მოხდება, კაცმა რომ გამგზავრებამდე მოუხმო თავის მონებს და თავისი ქონება ჩააბარა. ერთს ხუთი ტალანტი მისცა, მეორეს - ორი და სხვას - ერთი; თითოეულს მისი შეძლების მიხედვით, და წავიდა. ხუთი ტალანტის მიმღები მაშინვე წავიდა, იშრომა და დამატებით ხუთი მოიგო. ორის მიმღებმაც ორი სხვა მოიგო. ხოლო ერთის მიმღები, წავიდა, ამოთხარა მიწა და დაფლა თავისი ბატონის ვერცხლი“.*
>
> – მათე 25:14-18

ეს იგავი ადრეც წავიკითხეთ, მაგრამ მინდა რაღაც დეტალი გამოვყო, რომელსაც ადრე ყურადღება არ მივაქციეთ.

როცა ბატონმა მსახურებს დავალებები მისცა, ნათქვამია, რომ „ყველამ თავისი შეძლების მიხედვით“ მიიღო. ხუთი ტალანტის მიმღებს ხუთი ტალანტი უბოძეს, რაც ნიშნავს, რომ მას ამდენის განკარგვის უნარი ჰქონდა. მეტი უნარი რომ ჰქონოდა, ბატონი მეტს მისცემდა. იგივე ეხება დანარჩენს მონებსაც.

დავაკვირდეთ, რა მოხდა. ხუთი ტალანტის მქონეს ათი გაუხდა, რა მოხდა ამ პროცესის მანძილზე? მარტივად რომ ვთქვათ, მისი უნარი, შესაძლებლობა ხუთიდან ათის დონემდე გაიზარდა. პასუხისმგებლობის აღებისა და განკარგვის უნარი მოემატა. იგი გაცილებით ძვირფასი გახდა მისი ბატონისთვის და მომავალი დაწინაურებისთვის გაიმზადა თავი.

ახლა ბატონის სიბრძნეს დავაკვირდეთ. მან იცოდა ხუთი ტალანტის მქონე მსახურის ბუნება. მან იცოდა, რომ ამ მსახურს ახალ დონეზე ასვლის უნარი ჰქონდა. მართალია, ბატონმა მას მხოლოდ ხუთი ტალანტი მისცა, რაც მის იმჟამინდელ უნარს შეესაბამებოდა, მაგრამ ამ ტალანტების განკარგვის დავალება საწყისზე გაცილებით მეტ მოსავალს მოიტანდა და მას მმართველობის უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანდა.

ბატონმა იცოდა, რომ მსახურის ფასეულობის გაზრდა მისი გამოწვევა იყო, რომ თავად აღმოეჩინა საკუთარ თავში დაფარული შესაძლებლობები. ეს იგივე პროცესია, რომელსაც ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში იყენებს, რომ უფრო ფასეული გაგვხადოს და ჩვენი დანიშნულებისთვის გამოგვწვრთნას.

> *„მცირედში ერთგული დიდშიც ერთგულია; და მცირედში უმართლო, დიდშიც უმართლოა“.*
>
> – ლუკა 16:10

როგორც წინა თავში გითხარით, არ არსებობს პატარა დავალებები. თითოეულის მეშვეობით იზრდებით და ყოველი მათგანი რაღაცას შემატებს თქვენს უნარს მომდევნო დავალებისთვის.

ბევრჯერ გამივლია ეს პროცესი. ყოველ ჯერზე მაქვს დაფიქრების ცდუნება: *არა, ამას ვერ გავაკეთებ ან ამის დრო არ მაქვს*. და მაინც, ყოველ ჯერზე ვამბობ: „დიახ, ვიღებ ამ გამოწვევას“, და ჩემი სრული პოტენციალის გამოვლენის უნარს ვზრდი.

ადამიანები უყურებენ ჩემს ცხოვრებას და ფიქრობენ, *ოჰ, რა ადვილია ვალების გარეშე ცხოვრება, ტელევიზიით გამოსვლა, საკუთარი თვითმფრინავის ქონა. ოჰო, აი, ცხოვრება!.* დიახ, დაგეთანხმებით – და მერე რა ცხოვრება; კარგი და დიდებული ცხოვრება! თუმცა თქვენ არ იცით, როგორი იყო ჩემი ცხოვრება, სანამ აქამდე მივიდოდი. არ იცით, რა მოთმინებას, რამდენგზის უკიდურეს დაძაბულობას მოითხოვდა შესაძლებლობების ამ დონემდე მისვლა.

ახლაც ზრდის პროცესში ვარ და ღმერთი უფრო დიდი დავალებების მოცემას აგრძელებს. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ გამუდმებით ვიწელები უფრო დიდი პროექტების განსახორციელებლად და ვიწელები უფრო მეტი თანხის საშოვნელად მათი რეალიზებისთვის. მაგრამ ამ დაძაბულობას (და ზოგჯერ ქაოსსაც კი) არ გავცვლი ქვეყნიერებაზე, რადგან ეს ღვთიური წვრთნის სისტემაა, რომელიც ყველაფრის მიღწევაში მეხმარება, რასაც ჩემი მოწოდება ითვალისწინებს.

თუ რაიმე რჩევის მოცემა შემიძლია თქვენთვის ეს იქნება შემდეგი: არ გაჩერდეთ! მიეცით ღმერთს თქვენი გაწელვის უფლება, რომ გახდეთ მის მიერ ჩაფიქრებული პიროვნება.

ღმერთი ყოველთვის ბოლომდე გაიტანს, იგი არასოდეს მარცხდება. თქვენი მომავალი თქვენ წინ დევს და ბოლომდე მიაწექით!

მისცემთ ღმერთს თქვენი გაწელვის უფლებას?

ერთ ოთხშაბათ საღამოს ლოცვის შეკრებაზე ვიყავი. ჩემი გოგონა ლოცვას უძღვებოდა, როცა მოულოდნელად გაჩერდა, შემომხედა და წინასწარმეტყველება დაიწყო. აი, რა თქვა მან:

„უფალი ამბობს: „მოსავალი მეტისმეტად დიდია შენთვის. ახლა გაწელვის პროცესში ხარ. მხოლოდ ჩემი სულის მეშვეობით გაიგებ, რა უნდა მოხდეს. გადადგამ ნაბიჯს, ნებას მომცემ გაგატარო რთულ პერიოდებში, რომლებიც შენს წარმოდგენას სცილდება იმაში, რაც შეუძლებელია?“

და მაშინვე გავიფიქრე, *„ო, არა. ვიცი ეს რას ნიშნავს“.* პირველი შემთხვევა ხომ არ იყო!

დავაფასე, რომ ღმერთი მე მეკითხებოდა, მივცემდი თუ არა

რთულ და შეუძლებელ საქმეებში გაძღოლის უფლებას. ვიცი, რომ მათი მეშვეობით დიდებული ისტორიები იქმნება, როცა მათში გაივლით და ღმერთი აუცილებლად გამოჩნდება.

თუმცა გაწელვის ტკივილიც ვიცი და საფასურიც, რაც უნდა გადაიხადოთ იმ ადგილას მისვლისთვის, სადაც ადრე არასოდეს ყოფილხართ. მაგრამ, და ეს ძალიან დიდი *მაგრამ* გახლავთ, ღვთის სიკეთეც ვიცი და მისი წინსვლის სისტემაც, ამიტომ დაუყოვნებლივ ვთქვი, „დიახ!“

ღმერთს სურს თქვენში ჩადებული პოტენციალის გარეთ გამოტანა. მხოლოდ ამ ერთადერთი გზით შეძლებთ თქვენი დანიშნულების შესრულებას. მან უნდა გაგწელოთ! როგორ გვწელავს ღმერთი? *ზეწოლით.*

როცა საჰაერო ბუშტს ბერავთ და შემდეგ ჰაერს გამოუშვებთ, ბუშტი გაწელილია; ის უფრო დიდი გახდა. იგივე ხდება თქვენ და ჩემ შემთხვევაშიც. როცა ზეწოლას ვუძლებთ და არ ვნებდებით, ჩვენი შესაძლებლობა იზრდება. ეს უფრო დიდ პროექტებსა და სხვათა შორის, უფრო დიდ ჩეკებსაც ნიშნავს. იცით, სასაცილოა გულუხვობაზე ლაპარაკი, სანამ ღმერთი $ 100 000-ის გაცემას ან საყვარელი მანქანის გაჩუქებას არ მოგთხოვთ. თქვენში უნდა გაიზარდოს ღმერთზე მინდობის ხარისხი და თქვენი საკუთარი შესაძლებლობები.

იმ შეკრებაზე ღმერთს ვუთხარი „დიახ“ და რამდენიმე კვირის შემდეგ მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ჩვენს ტელემაუწყებლობას, რომელიც ყოველ კვირას, ერთ კონკრეტულ დღეს გადიოდა ეთერში, *ყოველდღიური* გრაფიკი შესთავაზეს. ეს დიდებულად კი ჟღერს, მაგრამ ასეთ ცვლილებაში მიმართულების გასაკვლევად რამდენიმე საკითხი უნდა გაითვალისწინოთ. პირველი, ჩვენი საეთერო დროის ღირებულება მეყსეულად გაიზრდებოდა 500%-ით, ხოლო იმ დროისთვის ყოველკვირეულ გადასახადსაც ძლივს ვიხდიდით. მეორე, კვირაში ხუთი პროგრამის მომზადება და რედაქტირება დაგვჭირდებოდა და არც სატელევიზიო განყოფილება გვქონდა. ჩვენი ყოველკვირეული სატელევიზო პროგრამა სხვა კომპანიას გადავაბარეთ იმ თვის მანძილზე. მათ უნდა გაეკეთებინათ პროგრამების მონტაჟი და რედაქტირება, გადაეგზავნათ ისინი მაუწყებლობისთვის და ყველა სხვა საქმე ეკეთებინათ. ამის შემდეგ გავიაზრე, რომ ამ ყველაფრისთვის ისინი სახლში უნდა შემომეშვა. ყველაზე დიდი პრობლემა ის გახლდათ, რომ მე და დრენდამ არ ვიცოდით, როგორ

აგვეშენებინა ტელევიზიის განყოფილება, მაგრამ ვიბრძოდით ამ ყველაფრის მოსახერხებლად.

რაც შეეხება ამ ტოლობის ფინანსურ მხარეს, ჩვენი ეკლესიის კამპუსი ჯერ კიდევ არ დაგვესრულებინა, ამიტომ ტელევიზიის შენობისთვის დამატებითი სახსრები, უბრალოდ, არ არსებობდა. პროდუქციის წარმოების მხრივ კი, კამერის მოწყობილობა უნდა გვეყიდა და თანამშრომლები დაგვექირავებინა მათ გამოსაყენებლად. იყო დღეები, როცა ესეც შეუძლებელი ჩანდა. მიუხედავად ამისა, ღმერთი ერთგული იყო და განაგრძობდა ჩემი და დრენდას გამხნევებას. ჩვენც გავიკვალეთ გზა.

ყველაზე დიდი წინაღობა ოთხი თვის შემდეგ შეგვხვდა, როცა გავიგეთ, რომ საეთერო დროის ნახევარმილიონიანი ვალი გვქონდა. ეს განსაკუთრებით რთულ ვითარებაში გვაგდებდა, რადგან ჩვენი პროგრამის სახელწოდება იყო *ფულის საკითხის მოგვარება* (*Fixing the Money thing*).

დავფიქრდი, შევძლებდით თუ არა ტელემაუწყებლობის შენარჩუნებას. ვიგრძენი, რომ შინაგანი სიწრფელით საქმიანობას ვერ გავაგრძელედბდი, თუ საეთერო დროის ვალს არ გადავიხდიდი. იმ დროისთვის მრავალ ეჭვთან გამკლავება მომიხდა. ისევ ვიმეორებ, რომ ღმერთი ერთგული იყო და დრენდაც ძალიან მამხნევებდა.

იმ კვირას სიზმარში ღმერთმა მითხრა, რომ ყველა დავალიანება ერთბაშად იქნებოდა გადახდილი, რაც ბუნებრივად შეუძლებელი იყო. თუმცა კვირის ბოლოს ეკლესიაში მთლიანი $ 500 000 შემოვიდა და საეთერო დროის გადასახადი სრულად დავფარეთ და მას შემდეგ ყოველთვის დროულად ვიხდით.

ოჰო, ეს მართლაც საოცარი მოგზაურობა იყო!!!

ამ პროცესში ჩვენც შევიცვალეთ. ახლა ორი ყოველდღიური პროგრამა გვაქვს და მილიონებს ვხარჯავთ სახარების გასავრცელებლად. როცა უკან ვიხედებით, ეს გამოწვევა არც ისე დიდი გვეჩვენება, როგორც მაშინ გვეგონა. ყოველთვის გახსოვდეთ, რაც პირველ თავში ვისწავლეთ: ღვთის მადლი თქვენში მოქმედებს! ღმერთთან ერთად სიარულის წლებში დანამდვილებით გავიაზრე, რატომ იწყება პავლე მოციქულის ქადაგებების უმეტესობა ამ სიტყვებით:

„მადლი და მშვიდობა ჩვენი მამა ღმერთისა და უფალ იესო ქრისტესგან“.

უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო არ ვართ. მისი მადლი, ის ზებუნებრივი გაძლიერება ჩვენს ცხოვრებაში მოქმედებს. ჩვენგან თანხმობას და უცნობი მიმართულებით ნაბიჯის გადადგმას გაბედულებას ჭირდება, მაგრამ ამად ღირს. შემიძლია დაგიმოწმოთ. მე და დრენდამ მსოფლიო მოვიარეთ სახარების ქადაგებაში. ახალ აღთქმაში აღწერილი ყველა სასწაული საკუთარი თვალით ვიხილეთ. ათასობით ადამიანის ცხოვრების შეცვლის მოწმეები ვართ და მიწის დოვლათი ვჭამეთ. არ არსებობს მიზანზე უკეთესი ადგილი!

ვლოცულობ თქვენთვის, რომ იუხვოთ ყოველ კეთილ საქმეში, რომელსაც ღმერთი მოგცემთ საკეთებლად და გაიხსენებთ, რამდენად მნიშვნელოვანია გულუხვობის გამოჩენა.

და ბოლოს, მინდა შემოგთავაზოთ ჩემი უსაყვარლესი ფსალმუნი:

> *„ალელუია! ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად ნეტარებს მის მცნებებში... სიბნელეში შუქს ამოუბრწყენს წრფელებს; მოწყალე, შემბრალე და მართალია იგი. კარგია კაცი მოწყალე და გამსესხებელი, სამართლიანად რომ წარმართავს თავის საქმეს; უკუნისამდე არ წაბორძიკდება; მარადიული იქნება მართლის ხსოვნა. ცუდი ამბისა არ შეეშინდება, მტკიცეა მისი გული, უფალზეა მინდობილი. მტკიცეა მისი გული; არ შეშინდება და ბოლოს გამარჯვებით დახედავს თავის მტრებს. გააბნია, მისცა ღატაკებს; სიმართლე მისი მარადიულია, დიდებით აუმაღლდება რქა. ბოროტი ნახავს და განრისხდება, კბილებს დააღრჭენს და გაცამტვერდება; ბოროტეულთა საწადელი მოისპობა“.*

– ფსალმუნი 112:1,4-10

ძალიან მომწონს ადგილი ბოროტის განრისხების შესახებ. ბოლო სიტყვა ყოველთვის ღმერთს ეკუთვნის. წარმატება ყოველთვის უდიდესი შურისძიებაა.

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲪᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲔᲑᲗ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ!

თუ იცით ჩემი ამბავი, ისიც გეცოდინებათ, რომ სკოლიდან 1.3 საშუალო ქულით გამომიშვეს. როცა ღმერთმა კოლეჯში სწავლის გაგრძელებაზე მიმითითა ქადაგებისთვის მონოდების შემდეგ, დიდი აღფრთოვანებით არ შევხვედრივარ ამ ამბავს.

პირველ წელს ინგლისურის გაკვეთილზე თემა უნდა დამეწერა. პროფესორმა ფურცელი დიდი „F“-ის თანხლებით და მინაწერით დამიბრუნა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ თქვენ საშუალო სკოლაში დადიოდით?“ რეპეტიტორის აყვანა დამჭირდა, რომ მესწავლა ის, რაც სკოლაში არასოდეს მისწავლია.

როცა ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა, ხსენებული ინგლისურის პროფესორისგან ელექტრონული წერილი მივიღე. იქ ეწერა: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ეს იგივე გარი ქისია, რომელსაც მე ვასწავლიდი?“ ბატონი პროფესორი გაოცებული დარჩა, რომ წიგნი დავწერე.

მიეცით ღმერთს ნება და ყველა თქვენი მეგობარი გაოგნებული დარჩება!

ერთი ჩემი კლასელი ჩვენი კომპანიის ოფისში მოვიდა ერთხელ და თქვა: „ვერაფერი გამიგია! გარი სკოლიდან გამოაგდეს და ახლა ის მთელი მსოფლიოს ტელეარხებზეა“.

მიყვარს ასეთი ამბები და ღმერთსაც ძალიან უყვარს! ამრიგად, დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი ისტორია არ დასრულებულა. იღვაწეთ გულუხვობისთვის, რომ ღვთის გული წარმოადგინოთ ყველგან, სადაც წახვალთ. ისწავლეთ ცათა სამეფოს მოქმედების წესები და გაიხარებთ ღვთის მიერ დაპირებული კარგი ცხოვრებით!

– გარი ქისი

„ვინაიდან ამ საქმის მსახურება არა მარტო ავსებს წმიდანთა ნაკლებობას, არამედ ღვთისადმი მადლიერებასაც ამრავლებს; რადგან ხედავენ რა ამ მსახურებას, ღმერთს ადიდებენ თქვენ მიერ ქრისტეს სახარების მორჩილებისა და აღიარების გამო, აგრეთვე ხელგაშლილობისა და იმ წრფელი მოზიარეობის გამო,

რასაც არა მხოლოდ მათდამი, არამედ ყველას მიმართ ავლენთ. თქვენთვის ლოცულობენ და თქვენკენ მოილტვიან ისინი ღვთის იმ მადლის გამო, რაც აღმატებულად არის თქვენში. და მადლობა ღმერთს მისი ენითაღუწერელი საჩუქრისთვის“.

– 2 კორინთელთა 9:12-15

თუ მეტის გაგება გსურთ Forward Financial Group-ის ან ფულის უსაფრთხო ინვესტირების სტრატეგიების შესახებ, ეწვიეთ ვებგვერდს forwardfinancialgroup.com, ან დაგვირეკეთ 1-(888)-397-3328.

თუ მეტი ინფორმაცია გსურთ ჩვენი კონფერენციების შესახებ ან თავად გსურთ კონფერენციის მასპინძლობა, დაგვირეკეთ (740) 964-7400 და იკითხეთ აღმასრულებლის ოფისი.

სხვა წიგნები „შენი ფინანსური რევოლუცია“ სერიაში გარი ქისის მიერ:

ერთგულების ძალა
დასვენების ძალა
სტრატეგიის ძალა
უზრუნველყოფის ძალა

ღმერთს სურს, რომ კურთხეული და წარმატებული იყოთ და შეძლოთ ხელგაშლილობის გამოვლენა ყველა შემთხვევაში!

თავისუფალი ვერასოდეს იქნებით, თუ ფინანსურად არ გათავისუფლდებით. მე და დრენდა ამას ვიმეორებთ 30 წლის მანძილზე: „ვერასოდეს აღმოაჩენთ თქვენს რეალურ პიროვნებას და სულიერ დანიშნულებას ვერ შეასრულებთ, სანამ ფულის საკითხს არ გადაწყვეტთ თქვენს ცხოვრებაში“.

განთავისუფლება შესაძლებელია!

ეს დავამტკიცეთ მე და ჩემთან ერთად, ათასობით ადამიანმა. ღვთის მადლი შეგეწევათ. მოწოდებული ხართ გარკვეული საქმეების საკეთებლად, რომელთაც ვერასოდეს შეძლებთ ფინანსების გარეშე. ფინანსური თავისუფლება უნდა მოიპოვოთ არა მარტო თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის, არამედ სხვა ადამიანების გამოც, რომ მათ ღვთის სამეფოს მოქმედება დაინახონ თქვენს ცხოვრებაში.

ადამიანები პასუხებს ეძებენ. მათ ნამდვილი საქმის პოვნა სურთ. მათთვის უკიდურესად საჭიროა ცათა სამეფოს და არა რელიგიის ხილვა.

ღმერთი კარგია და ხელგაშლილი! როცა ჩვენც ხელგაშლილები ვართ, ღვთის გულს ადამიანებს ვუზიარებთ. ეს ძალიან ცხელ დღეს ცივი წყლით დარწყულებას ჰგავს და უხვად გაღებას სიღარიბის უდაბნოში მყოფი ქვეყნიერებისთვის იმედიანი შვება მოაქვს.

გარი ქისის ფინანსური რევოლუციის სერიის მეხუთე წიგნში აღმოაჩენთ, როგორ ითანამშრომლოთ ღმერთთან *მის მიერ* დაგეგმილ დავალებებში და წარმატების ჯერარნახულ დონეზე ახვიდეთ.

მიიღეთ ძალმოსილი სამეფოს ხელგაშილობის პრინციპის ნათელი გაგება და მისი მოქმედების მექანიზმი ამ შესანიშნავი წიგნის მეშვეობით, რომელიც სავსეა ახალი გამოცხადებით, ღვთის სიტყვიდან მოყვანილი ძლიერი მაგალითებით და თავად გარისა და სხვათა შთამაგონებელი პირადი ისტორიებით, რომლებმაც ხელგაშლილობის პრინციპი საკუთარ ცხოვრებაში გამოიყენეს და შედეგად შთამბეჭდავი ცვლილებები მიიღეს.

ხელგაშლილობა ადამიანებს თქვენს გულს და მათ მიმართ ღვთის დამოკიდებულებას აჩვენებს.

გარი ქისი არის ავტორი, სპიკერი, მეწარმე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელიც აღძრულია ადამიანებს ცხოვრებაში გამარჯვების მოპოვებაში დაეხმაროს, განსაკუთრებით რწმენის, ოჯახისა და ფინანსების სფეროებში. გარიმ და მისმა ცოლმა დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნესი შექმნეს და არიან დამაარსებლები *„რწმენით ცხოვრება ახლა“*, რომელიც ორ სატელევიზიო გადაცემას უშვებს – *ფულის საკითხის მოგვარება* და *დრენდა*, ასევე მსოფლიო მასშტაბის კონფერენციებსა და პრაქტიკულ რესურსებს. გარდა ამისა, ქისები კოლუმბუსში, ოჰაიოში მწყემსავენ *„რწმენით სიცოცხლის ეკლესიას“*.

GKM GARY KEESEE MINISTRIES

garykeesee.com